

კონკურსი ისტორიაში

„მიგრაცია –

სხოვრება ახალი ფურსლიდან“

HISTORY COMPETITION

„MIGRATION –

RESTARTING LIFE FROM SCRATCH“

2019
2020





ბროშურაზე მუშაობდნენ: ლიკა კაციტაძე

ნანა ციხისთავი

დავით ჯიშკარიანი

მელიტა ფაჩულია

დაკაბადონება: მადა ცოცხალაშვილი

ყდის და პლაკატის დიზაინი: ირაკლი დევდარიანი

რედაქტორი: რუსიკო კობახიძე, ეკატერინე ციხისთავი

მოსწავლეების ესსეებში გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები
ეკუთვნით ავტორებს და არ გამოხატავს ორგანიზატორთა მოსაზრებას.
სტილი დაცულია.

ISBN 978-9941-8-2944-4

სარჩევი CONTENT

გვ. 5	შესავალი
გვ. 10	INTRODUCTION
გვ. 14	კორბერის ფონდი
გვ. 16	KÖRBER STIFTUNG
გვ. 18	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)
გვ. 20	INTERNATIONAL ORGANIZATION FOR MIGRATION (IOM)
გვ. 22	2019-2020 წწ. ისტორიის კონკურსი მოსწავლეთათვის თემაზე: „მიგრაცია – სმორაბეა ახალი ურსლიდან“ – წარმატებები, გამონწვევები და პრობლემები
გვ. 26	HISTORY COMPETITION 2019-2020 FOR STUDENTS ON TOPIC: „MIGRATION – RESTARTING LIFE FROM SCRATCH“ – SUCCESSES, CHALLENGES AND PROBLEMS
გვ. 30	2019-2020 ისტორიის კონკურსის ესეების შინაარსის ანალიზი
გვ. 32	ANALYSIS OF THE CONTENT OF THE ESSAYS OF THE HISTORY COMPETITION IN GEORGIA 2019-2020
გვ. 34-170	2019-2020 წლების ისტორიის კონკურსის საუკეთესო ესეები
გვ. 36-170	THE BEST ESSAYS OF THE 2019-2020 HISTORY COMPETITION

ისტორიის კონკურსი საქართველოში 2019-2020

„მიგრატია – ცხოვრება ახალი უპიკსილიან“

2020 წლის თებერვალს ესპანეთის ქალაქ მალაგაში, ევროპის ისტორიის კონკურსების ორგანიზატორთა ქსელის EUSTORY მორიგი შეხვედრა გაიმართა, სადაც ისტორიის კონკურსის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ. ამ შეხვედრას სრულყოფილებიანი წევრის სტატუსით ესწრებოდა საქართველო. იგი ამ ქსელის წევრი 2019 წელს, საქართველოში მოსწავლეთა შორის პირველი ისტორიის კონკურსის წარმატებით განხორციელების შემდეგ გახდა. ქსელი EUSTORY აერთიანებს ევროპისა და მეზობელი ქვეყნების ოცზე მეტ ადგილობრივ ისტორიის კონკურსს. თითოეული მათგანის მისიაა, ახალგაზრდების მიერ ადგილობრივი ისტორიის ევროპული პერსპექტივის კონტექსტში შესწავლას შეუწყოს ხელი.

ისტორიის კონკურსი, რომელიც საქართველოში უკვე მეორედ ჩატარდა, გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტისა (DVV International) და კორბერის ფონდის (Körber Foundation) ერთობლივი პროექტია. კონკურსი განხორციელდა გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით და მიმდინარეობდა აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში: ბელორუსში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში. მისი მიზანია, აღნიშნულ ქვეყნებში ისტორიის კონკურსების მხარდაჭერა და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

საქართველოში პროექტის პარტნიორები არიან ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (GAHE) და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (SovLab). პროექტის მხარდამჭერებს წარმოადგენენ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) და საქართველოს მწერალთა სახლი (Writers' House of Georgia). განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადაუხადოთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის.

ისტორიის კონკურსი 15-18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებისთვის საქართველოში პირველად 2017-2018 წლებში ჩატარდა. მისი შედეგების კრიტიკულად განაალიზებისა და რეკომენდაციების შემუშავების შემდეგ რიგით მეორე კონკურსის დრო დადგა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა მომავალი კონკურსის თემის შერჩევა იყო. თემა ნებისმიერი მოსწავლისთვის პოპულარული და ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. ამავდროს, შერჩეულ თემას არამარტო წარსული უნდა მოეცვა, არამედ აწ-

მცოსთანაც ჰქონოდა კავშირი. ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად, კონკურსის თემად შეირჩა „მიგრაცია – ცხოვრება ახალი ფურცლიდან“ (XIX-XXI საუკუნეებში).

კონკურსის თემიდან გამომდინარე, პროექტის ორგანიზატორებმა, მხარდაჭერის მიზნით, მიმართეს მიგრაციის საქართველოს ორგანიზაციის საქართველოს ოფისს, რომელიც სიამოვნებით გამოეხმაურა მათ შემოთავაზებას და აქტიურად ჩაერთო პროექტის განხორციელების პროცესში. შედეგად, ამ თანამშრომლობამ როგორც შინაარსობრივად, ასევე პრაქტიკულადაც გააძლიერა კონკურსი.

პროექტის მეორე მხარდამჭერი იყო საქართველოს მწერალთა სახლი, სადაც უნდა ჩატარებულიყო კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი, თუმცა, COVID-19-ის შეზღუდვების გამო, ეს იდეა ვერ განხორციელდა.

მეორე კონკურსის დროს კომუნიკაცია ორგანიზატორებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას შორის უფრო აქტიური და მიზნობრივი გახდა. უმთავრესი როლი ამ საქმეში ითამაშა სოციალურ ქსელში – „ფეისბუქი“ – სპეციალურად შექმნილმა გვერდმა „ისტორიის კონკურსი საქართველოში“, რომელიც არამარტო მიმდინარე სიახლეების აცვირთვის საშუალებას იძლევა, არამედ, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების, EUSTORY-ს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების, ისტორიის სწავლისა თუ სწავლების რესურსების გაცვლის სივრცედაც იქცა. ეზიდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების დროს კი, ამ გვერდის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა და ფუნქციურად გაფართოვდა.

2017-2018 წელს, პირველი კონკურსის მიმდინარეობის დროს, რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას ჩაეყარა საფუძველი. მათ შორისაა ტრენინგები, რომელთა საშუალებითაც კონკურსის ორგანიზატორები მასწავლებლებს აცნობდნენ კონკურსის მეთოდოლოგიას, აძლევდნენ მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკულ რჩევებს. ამ მიზნით, 2019 წლის ზაფხულში ღია კონკურსის საფუძველზე შეირჩა ასამდე მასწავლებელი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მათთვის ტრენინგები ჩატარდა ქუთაისში, ლაგოდეხში, დაბა ჯვარსა და თბილისში. ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, განსხვავება სხვადასხვა ტიპის მიგრაციას შორის და მისი როლი კაცობრიობის განვითარების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საინტერესო წყაროების მოძიებასა და არსებული რესურსების გაცნობას. მასწავლებლებთან აქტიური და ნაყოფიერი კომუნიკაცია შედეგებზეც აისახა. 2019-2020 წლის კონკურსში „მიგრაცია – ცხოვრება ახალი ფურცლიდან,“ მიუხედავად პანდემიისა და დაწესებული შეზღუდვებისა, მონაწილეობა მიიღო ორმოცდათხუთმეცმა მოსწავლემ საქართველოს ყველა რეგიონიდან. ახალგაზრდების ამო-

ცანას წარმოადგენდა, გადმოეცათ ცალკეული ადამიანური ისტორიები გლობალურ ისტორიულ მოვლენათა კონტექსტში. წარსულის აღმოჩენაში მათ ასევე ეხმარებოდა ძველი ფოტოები, წერილები, სტატეიები, ბიბლიოთეკები და არქივები. კონკურსში შემოსული ნაშრომების საერთო რაოდენობამ ორმოცი შეადგინა. აქედან, ცხრა ნაშრომი ჯგუფური, ხოლო ოცდათერთმეტი – ინდივიდუალური იყო. ნაშრომები განსხვავებული ფორმატით იქნა წარმოჩენილი: სულ შემოვიდა ოცდაცხრა ესე, ხუთი ვიდეო, სამი ფოტო გამოთენა და სამი პოსტერი. კონკურსის ენა ქართული იყო, თუმცა მონაწილეებს უფლება ჰქონდათ საკუთარი ნაშრომები გამოეგზავნათ აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზეც (ამ საშუალებით არავის უსარგებლია).

საკონკურსო ნაშრომები დამტრისხული ფორმით გადაეცა შესაფასებლად კომპეტენტურ უიურის, რომლის წევრებიც შერჩეულნი იყვნენ პარტნიორი ორგანიზაციების მიერ კონსენსუსის საფუძველზე. უიურის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა:

ოლივერ რაისნერი – ისტორიკოსი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ლეილა ხუბაშვილი – ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ამირან ჯამაგიძე – ისტორიკოსი, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის დამფუძნებელი;

ქეთევან სიხარულიძე – ისტორიკოსი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი;

რუსიკო კობახიძე – ფილოლოგი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი;

ირაკლი ირემაძე – ისტორიკოსი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი;

დავით ჯიქია – იურისტი, გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) პროექტების კოორდინატორი;

ნათია კვიციანი – ისტორიკოს-ეთნოგრაფი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ადგილობრივი პროგრამების კოორდინატორი.

კორონავირუსის პანდემიის შეზღუდვების გამო უიურის წევრებმა მხოლოდ ერთი შეხვედრის ჩატარება მოახერხეს ფიზიკური დასწრებით, რომლის ფარგლებშიც შეთანხმდნენ შეფასების კრიტერიუმებზე, მეთოდოლოგიასა და მუშაობის პრინციპებზე. მათი შემდგომი საქმიანობა ონლაინ რეჟიმში წარიმართა.

აქვე აღნიშვნის ღირსია 2019-2020 წლების კონკურსის ნამუშევართა მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ზრდა წინა კონკურსთან შედარებით. ამ-

რიგად, ნამდვილად არ ყოფილა მარტივი საქმე ჟიურის წევრებისთვის საუკეთესო ნაშრომების გამოვლენა. ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი სამი საპრიზო ადგილის გარდა, მომდევნო ათ ადგილზე გასული საუკეთესო საკონკურსო ნაშრომები შევიდა 2019-2020 წლების ისტორიის კონკურსისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში, ხოლო საუკეთესო ვიდეოფილმები განთავსდა YouTube-ზე.

გარდა ამისა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალური პრიზით აღინიშნა კონკურსის ორი ნაშრომი, რომელიც ასევე შევიდა პუბლიკაციაში. ხოლო, ამ ნაშრომთა ავტორებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

კორონავირუსის პანდემიის გამო დაჯილდოების ცერემონიაზე შესაძლებელი გახდა მხოლოდ გამარჯვებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების მოწვევა. ცერემონიალს ასევე ვერ დაესწრნენ პროექტის უცხოელი პარტნიორები. შექმნილი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ცერემონიალის ონლაინ ტრანსლირება იყო, რამაც საშუალება მისცა 1800-ზე მეტ დაინტერესებულ ადამიანს, პირდაპირი ჩართვით ედევნებინათ თვალყური დაჯილდოების ცერემონიალისთვის ფეისბუქზე.

გარდა ამისა, საკმაოდ ფართო გამოხმაურება მოჰყვა კონკურსს მედია საშუალებებსა და პრესაში. სიუჟეტი დაჯილდოების ცერემონიალის შესახებ გავიდა საქართველოს თითქმის ყველა მეტნაკლებად დიდი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემაში.

უშუალოდ პროექტის განმახორციელებელი და პარტნიორი ორგანიზაციების გარდა, დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში – ჰუბერტ ქნირშმა და ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. ვიდეოს საშუალებით მონაწილეთა წინაშე წარდგა პროექტის გერმანელი პარტნიორი, კოერბერის ფონდის წარმომადგენელი, კატია ფაუზერი.

ექვსმა საუკეთესო კონკურსანტმა მონაწილეობა მიიღო ისტორიის საერთაშორისო ბანაკში, რომელიც პანდემიის გამო ონლაინ ფორმატში გაიმართა, განსხვავებით 2017-2018 წლების კონკურსისგან, როდესაც გამარჯვებულები პროექტის პარტნიორი ქვეყნებიდან ბერლინში შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად, ისტორიის ბანაკის მონაწილეებს ექვსი ონლაინ შეხვედრის მანძილზე საშუალება ჰქონდათ არამარტო საკუთარი თანატოლებისთვის გაეზიარებინათ მიღებული გამოცდილება და შთაბეჭდილებები, არამედ, ასევე მოესმინათ EUSTORY-სა და კოერბერის ფონდის ექსპერტებისთვის და ამგვარად გაეფართოვებინათ თავიანთი ცოდნის არეალი.

პროექტის დასკვნით ეტაპზე გაიმართა ტუტორთა ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის შემაჯამებელი შეხვედრები, რის ფარგლებშიც მასში მონაწილე მასწავლებლებს გააცნეს კონკურსების შედეგები, ნაშრომების ანალიზი და რეკომენდაციები მომავალი კონკურსებისთვის.

ამ კონკურსისა და მთლიანად პროექტის შესახებ მომზადდა ვიდეოფილმი სახელწოდებით: „ისტორიის კონკურსი საქართველოში – მიგრაცია – ცხოვრება ახალი ფურცლიდან“, რომელიც განთავსებულია YouTube-ზე¹.

ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობდა ამ შესანიშნავ პროექტში. გვსურს მადლობა გადავუხადოთ პროექტში მონაწილე ყველა ორგანიზაციასა და მხარდამჭერს, ვინც პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახადა, ყველა მასწავლებელსა და ტუტორს, ვინც დაეხმარა მოსწავლეებს წარსულში მოგზაურობაში. და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

გერმანული ანდაზა ამბობს, ყველა დასაწყისი რთულიაო. ეს რთული ეტაპი უკვე გადალახულია. იმედია, შემდგომი კონკურსები კიდევ უფრო მასშტაბური და წარმატებული იქნება.

¹ <https://bit.ly/38ucOYP>

HISTORY COMPETITION IN GEORGIA 2019-2020

„MIGRATION – RESTARTING LIFE FROM SCRATCH“

The next meeting of the EUSTORY Network of European History Competition Organizers – was held in Malaga, Spain on February, 2020. Representatives of history competition from different countries had possibility to share their knowledge and experience. Georgia was represented as a full member of the network. Country joined the network in 2019 after successful implementation of the first history competition among students in Georgia. EUSTORY network connects more than twenty national history competitions from Europe and neighboring countries. The mission of each of them is to promote the study of national history by young people in the context of European perspective.

The history competition which was held for the second time in Georgia, is a joint project of the Institute for International Cooperation of the German Adult Education Association (DVV International) and Körber Foundation, funded by the German Foreign Office and implemented in Eastern Partnership countries: Belarus, Georgia, Moldova and Ukraine, aiming at supporting history competitions in these countries and promoting international cooperation in this field.

Project partners in Georgia are Georgian Association of History Educators (GAHE) and Soviet Past Research Laboratory (SovLab). Project is supported by the International Organization for Migration (IOM) and Writers' House of Georgia. We would also like to thank the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia for their contribution to the project.

The history competition for school students aged 15 -18 years was held for the first time in Georgia in 2017 – 2018. After critically analyzing its results and developing recommendations, it was time to organize the second competition. One of the major challenges was choosing the topic for the upcoming competition. It should have been popular and accessible to any student. At the same time, the selected topic should not only cover the past but also have a connection with the present. After a long discussion, the choice fell on „Migration – Restarting Life from Scratch“ (XIX-XXI centuries).

Due to the topic of the competition, the project organizers applied for support to the International Organization for Migration Georgian Office, which gladly responded to their offer and was actively involved in the project implementation process. As a result of this cooperation, the competition was strengthened both in terms of content and practice.

The second supporter of the project was the Georgian Writers' House,

where the award ceremony was supposed to be held, however, due to COVID-19 restrictions, this idea could not be implemented.

During the second competition, communication between organizers, teachers, students and stakeholders became more active and targeted. A major role in this was played by specially created Facebook page “History Competition in Georgia”, which not only shares current news, but also becomes a space for exchanging experiences from different countries, planned events within EUSTORY, learning history or teaching resources.

In 2017-2018, during the first competition, several important activities were launched. Trainings where the competition organizers were introducing competition methodology and giving practical advices on working with students to teachers are among them. For this purpose, about hundred teachers from different regions of Georgia were selected on the basis of an open competition in summer of 2019. Trainings for them were conducted in Kutaisi, Lagodekhi, Jvari and Tbilisi. The focus was on the following issues: the reasons causing migration, the difference between different types of migration and its role in the human development. Special attention was paid to finding interesting sources and getting acquainted with available resources. Active and fruitful communication with teachers also reflected on the results. Despite the pandemic and the imposed restrictions, fifty-five students from all regions of Georgia participated in the 2019-2020 competition „Migration – Restarting Life from Scratch“. The task of the young people was to convey individual human stories in the context of global historical events. Old photos, letters, articles, libraries and archives also help them to discover the past. The total number of entries in the competition was forty. Nine papers out of these were group and thirty-one – individual ones. Papers were presented in different formats: a total of twenty-nine essays, five videos, three photo exhibitions and three posters were submitted. The language of the competition was Georgian, although, participants had the right to submit their entries in Azerbaijani, Armenian and Russian (although, no one used this method). Shaded entries were submitted to the competent jury, the members of which were selected by the partner organizations on the basis of consensus. Jury members were:

Oliver Reisner – Historian, Associate Professor at Ilia State University;

Leila Khubashvili – Historian, Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Amiran Jamagidze – Historian, Founder of the Georgian Association of History Founders (GAHE);

Ketevan Sikharulidze – Historian, Researcher at the Soviet Past Re-

search Laboratory (SovLab);

Rusiko Kobakhidze – Philologist, Researcher at the Soviet Past Research Laboratory (SovLab);

Irakli Iremadze – Historian, Researcher at the Soviet Past Research Laboratory (SovLab);

Davit Jikia – Lawyer, Project Coordinator at the International Cooperation of the German Adult Education Association (DVV International);

Natia Kvitsiani – Historian-Ethnographer, National Programme Coordinator at the International Organization for Migration (IOM).

Due to the limitations of the Coronavirus pandemic, the jury members were able to hold only one meeting with physical attendance, during which they agreed on evaluation criteria, methodology and working principles. Their further activities were carried out online.

It is also worth mentioning the significant qualitative improvement of the entries of the 2019-2020 competition compared to the previous competition. Thus, it was not really an easy task to reveal the best entries by jury members. As it was decided by them, in addition to the first three prizes, the next ten best entries will be included in the publication dedicated to the 2019-2020 History Competition and the best videos will be posted on YouTube.

In addition, two entries of the competition, that was also published, were awarded the special prize by the International Organization for Migration. The authors of these entries were given valuable gifts.

Due to the coronavirus pandemic, it was only possible to invite the winning students and their teachers to the awards ceremony. Foreign partners of the project also could not attend the ceremony. The best way out of the situation was to broadcast the ceremony online, which allowed more than 1800 interested people to watch the award ceremony live on Facebook.

In addition, quite a wide response to competition was followed in media and press. Awards ceremony was broadcasted in almost all, more or less big TV channels of Georgia.

In addition to the project implementing and partner organizations, the awards ceremony was attended and the audience was addressed by H.E. Mr. Hubert Knirsch, German Ambassador to Georgia, as well as representatives of the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia and the International Organization for Migration (IOM). German partner of the project, Katja Fausser, representative of the Koerber Foundation was presented to audience via video.

The top six contestants took part in the International History Camp which

was held online due to a pandemic, unlike the 2017-2018 competition when the winners from the project partner countries gathered in Berlin. This time, the participants of the six-day History Camp had the opportunity not only to share their experiences and impressions with their peers, but also to listen EUSTORY and the Koerber Foundation experts, thus expanding their knowledge.

At the final stage of the project, local and international tutoring conclusive meetings were held where the teachers were introduced to the results of the competitions, the analysis of entries and recommendations for future competitions.

Film about this competition and the project as a whole titled: „History Competition in Georgia – „Migration – Life Restarting from Scratch“ which is uploaded on YouTube¹.

Lots of people participated in this wonderful project. We would like to thank all the organizations and supporters involved in the project who made it possible, to all teachers and tutors who helped students in their journeys in the past, and finally, German Foreign Office for their financial support of the project.

A German proverb says that every beginning is difficult. This difficult stage has already been overcome. Hopefully, further competitions will be more large-scale and more successful.

¹ https://www.youtube.com/watch?v=n_tLtFXdLyk

კორბერის ფონდი (Körber-Stiftung)

მოხარულნი ვართ, ვიყოთ პარტნიორები იმ ნაყოფიერი კოალიციისა, რომელიც მხარს უჭერს ისტორიის კონკურსის პროექტებს ბელორუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.

კორბერის ფონდი (Körber Stiftung) არის გერმანული ორგანიზაცია. იგი 1959 წელს დააარსა მეწარმემ და მეცენატმა კურტ ა. კორბერმა, რომელიც დღემდე აქტიურად მოღვაწეობს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე და ახორციელებს პროექტებს, თანამშრომლობს და მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში. თავისი პროექტებით, ქსელებითა და პარტნიორებთან თანამშრომლობით კორბერის ფონდი თანამედროვე სოციალურ გამოწვევებს იღებს ინოვაციის, საერთაშორისო დიალოგისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების სფეროებში.

20 წლის წინ კორბერის ფონდის ინიციატივით შეიქმნა EUSTORY – არასამთავრობო ორგანიზაციების არაფორმალური ქსელი, რომელიც ევროპის მასშტაბით ატარებს ახალგაზრდებისთვის ისტორიული კვლევის კონკურსებს. დღეს ქსელი აკავშირებს 30-ზე მეტ სამოქალაქო საზოგადოებას 20-ზე მეტი ქვეყნიდან და მოხარული ვართ, რომ 2019 წლიდან ამ ქსელში შემოგვიერთდა საქართველოს ისტორიის კონკურსიც. დღემდე EUSTORY-ის ისტორიის კონკურსებში დაახლოებით 220.000-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა და წვლილი შეიტანა 90.000-მდე პროექტში. მათ გარდა, ვინც ყოველწლიურადაა ჩართული ცალკეულ ეროვნულ წევრ ორგანიზაციებში, კიდევ 2.500-ზე მეტი მასწავლებელი, ექსპერტი, მეცნიერი და მოხალისე უთმობს თავის დროს EUSTORY-ს და მის პროექტებს. დამოუკიდებელი ეროვნული EUSTORY-ის კონკურსები ეხმარება ახალგაზრდებს, მოძებნონ ისტორიის კვალი თავიანთ უახლოეს გარემოში. პრემიის ლაურეატებს იწვევენ საერთაშორისო ახალგაზრდულ აქტივობებში, რომლებიც ქმნიან სივრცეებს შეხვედრის ადგილებისა და საერთო ევროპული ისტორიისა და მომავლის შესახებ დიალოგისთვის. თავისი საქმიანობით EUSTORY ხელს უწყობს წარსულის შესახებ დამოუკიდებელი და კრიტიკული შეხედულებების ჩამოყალიბებას მშვიდობიანი მომავლისთვის; თავიდან იცილებს რა იზოლაციას და ხელს უწყობს ურთიერთგაგებას, იგი ასევე ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ისტორიის ხედვის ევროპულ პერსპექტივასაც ავითარებს.

2014 წლიდან EUSTORY-ს ისტორიის კამპუსი საჯარო სივრცით უზრუნველყოფს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თავიანთ ბლოგებზე ისტორიულ და იდენტობის თემებზე წერენ. მისი შიდა პლატფორმა პედაგოგიური საქმიანობისთვის ვირტუალურ საკლასო ოთახებს ითვალისწინებს, ქსელის

კურსდამთავრებულთათვის – პირადი მიმოწერის ოთახებს; მოხარულნი ვართ, რომ საქართველოდან უკვე ბევრი ახალგაზრდაა ჩართული ამ პლატფორმაში.

2020 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ნოემბრის ბოლომდე ონლაინ ისტორიის ბანაკი – „ნუ მოიხედავ უკან გაბრაზებით! მტკივნეულ წარსულთან გამკლავება“ – აერთიანებს ისტორიის კონკურსის გამარჯვებულებს ბელორუსიდან, საქართველოდან, მოლდოვასა და უკრაინიდან. ღონისძიება ორგანიზებულია კოერბერის ფონდის მიერ, მაგრამ წარმოადგენს გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტისა (DVV International) და კოერბერის ფონდის ერთობლივი პროექტის – „ისტორიის კონკურსები-2 ბელორუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში“ – განუყოფელ ნაწილს და დაფინანსებულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. ღონისძიების მსვლელობისას მონაწილეები შეიკრიბებიან ინტენსიურ ონლაინ სესიებზე ოჯახის, ადგილობრივი ისტორიის საკითხებისა და მათი დღევანდლობაზე გავლენის გამოსაკვლევ-განსახილველად. მონაწილეები მტკივნეული წარსულის სტრუქტურას ოჯახის მეხსიერების თვალსაწიერიდან შეისწავლიან. თეორიული ცოდნით, მხატვრული მიდგომითა და ციფრული თხრობის საშუალებებით აღჭურვილები გაეცნობიან მრავალფეროვან საოჯახო მოგონებებს, რომლებიც ზოგჯერ თანხვდება ისტორიულ წარსულს, ზოგჯერ კი კითხვებს ბადებს.

უკან არა გაბრაზებით, არამედ სიხარულით მოხედვა, საერთაშორისო გაცვლისა და დიალოგის ექვსი სათავგადასავლო და გამდიდრებელი კვირის შემდეგ, არის ისტორიის წლევეანდელი ონლაინ ბანაკის მთავარი მიზანი, რაც ახალი გამოცდილება იქნება ყველა მონაწილისთვის.

EUSTORY-ის სამახსოვრო კამპუსში „კრიზისის მიღმა“ გამარჯვებულების კიდევ ერთი ჯგუფი მთელი ევროპიდან 2 თვის განმავლობაში (2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში) მიიღებს მონაწილეობას ერთობლივ ვირტუალურ თანამშრომლობაში, რათა შეისწავლონ, როგორ უმკლავდებოდნენ ადამიანები კრიზისებს წარსულში და იმსჯელონ, როგორ შეიძლება მიღებული გამოცდილების გამოყენება დღეს არსებულ გამოწვევათა დასაძლევად.

ვიმედოვნებთ, რომ კვლავაც გავაგრძელებთ ნაყოფიერ თანამშრომლობას ჩვენს ქართველ პარტნიორებთან და ველოდებით ბევრი ქართველი ახალგაზრდის მონაწილეობას ჩვენს საქმიანობაში წელსაც და მომავალშიც.

ჰამბურგი, 2 ოქტომბერი 2020
კატია ფაუზერი,
EUSTORY პროგრამის ხელმძღვანელი,
კოერბერის ფონდი

KÖRBER STIFTUNG

We are pleased to be a partner of the fruitful coalition of many partners who are supporting history competition projects in Belarus, Georgia, Moldova and Ukraine.

Körber-Stiftung is a German foundation established in 1959 by the entrepreneur and initiator Kurt A. Körber, which is nationally and internationally active today with its own projects, cooperation's and events. Through its operational projects, in its networks and in conjunction with cooperation partners, Körber-Stiftung takes on current social challenges in areas of activities comprising Innovation, International Dialogue and Vibrant Civil Society.

20 Years ago, Körber-Stiftung has initiated EUSTORY, an informal network of non-governmental organizations carrying out historical research competitions for young people in Europe. The network connects more than 30 civic organizations from over 20 countries today, and we have been pleased to officially include the Georgian history competition into our network in 2019. By today some 220.000 youths have participated in EUSTORY History Competitions contributing about 90.000 projects. In addition to those involved in the individual national member organizations, there are more than 2.500 teachers, experts, scholars and volunteers who give their time to EUSTORY and its projects every year.

The independent national EUSTORY competitions encourage young people to look for traces of history in their immediate environment. Award winners are invited to join international youth activities that create spaces for encounters and facilitate dialogue on the shared European history and future. With its activities, EUSTORY wants to promote independent and critical views on the past for a peaceful future. It also furthers a European perspective on local, regional and national history, shunning exclusion and promoting understanding.

Since 2014, the EUSTORY History Campus has been providing a public space for young people who blog on topics of history and identity. Its internal platform provides virtual class rooms for pedagogical activities as well as private chatrooms for the network's alumni, and we are glad that already many students from Georgia have been engaged on this platform, too.

From Mid-October to the end of November 2020 the Online History Camp „Don't Look Back in Anger! Coping with Painful Pasts“ brings history competition prize winners from Belarus, Georgia, Moldova and Ukraine

together. The activity is organized by Körber-Stiftung, but forms an integral part of the project „History Competitions in Belarus, Georgia, Moldova and Ukraine“ of DVV International and Körber-Stiftung which is funded by the Federal Foreign Office of Germany. In the course of the event, participants met in intensive online sessions to investigate and discuss matters of family and local history and their impact on the present. They will explore the fabric of painful past through the optics of family memory. Equipped with theoretical expertise, artistic approach and digital storytelling tools they learn about multifaceted family memory that sometimes concurs and sometimes questions given narratives.

Not to look back in anger but in joy after six adventurous and enriching weeks of international exchange and dialogue – that’s the goal set for the Online History Camp 2020 which is a new experience for everyone involved.

On the EUSTORY e Commemoration Campus „Beyond the Crisis“, another group of prize winners from all over Europe will use two months of joint virtual collaboration in October and November 2020 to examine how people have coped with crises in the past to discuss if anything can be learnt from it for overcoming present challenges.

We hope to continue the fruitful cooperation with our Georgian partners and are looking forward to seeing many young Georgians in our youth activities of this autumn and of the future.

Hamburg, 2 October 2020
Katja Fausser,
Programme Director EUSTORY,
Körber-Stiftung

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) 1951 წელს დაარსდა და მიგრაციის სფეროში წამყვანი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა. იგი მოქმედებს პრინციპით, რომ ჰუმანური და მოწესრიგებული მიგრაცია სასარგებლოა როგორც მიგრანტების, ისე საზოგადოებისთვის.

ორგანიზაციაში 173 სახელმწიფოა გაწევრიანებული. მას 394 ოფისი აქვს და 13 000 თანამშრომელი ჰყავს მსოფლიოს ხვადასხვა ქვეყანაში.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) პარტნიორობთან ერთად მუშაობს, რომ დაიცვას მიგრანტთა ღირსება და კეთილდღეობა, ხელი შეუწყოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას მიგრაციის მეშვეობით, უპასუხოს მიგრაციის მართვის სფეროში მზარდ ოპერატიულ გამოწვევებს და გაზარდოს ცნობიერება მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

საქართველოში IOM 1993 წლიდან მოღვაწეობს. მისი მთავარი ოფისი თბილისში მდებარეობს. ორგანიზაციას ასევე აქვს ოფისები რეგიონებში, კერძოდ, ბათუმში, ფოთში, ქუთაისსა და თელავში. გასული ორ-ნახევარი ათწლეულის განმავლობაში IOM საქართველოს მთავრობას დაეხმარა მიგრაციის მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავებაში, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპლექსური რეაგირება მზარდ მიგრაციული გამოწვევებზე. IOM-მა საქართველოს გაუზიარა თავისი გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორცაა მოქმედება საგანგებო სიტუაციებში და კრიზისის შემდგომი რეაგირება, მიგრანტთა ჯანდაცვა, იმიგრაცია და საზღვრის მართვა, ადამიანი ვაჭრობისა და საზღვრის კვეთის წესების დარღვევის თავიდან აცილება და მათთან ბრძოლა, მიგრაციის პოლიტიკა და კვლევა.

ორგანიზაცია აგრძელებს მუშაობასა და თანამშრომლობას მირაციის მართვის სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორისაა, შრომითი მობილურობა; მიგრაცია და განვითარება; მიგრანტთა, მათ შორის, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა, დაცვა; ასევე, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია.

IOM საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს მიგრაციული პროცესების კვლევის საკითხს. სწორედ ამიტომ, ორგანიზაცია სიამოვნებით ჩაერთო DVV International-ის მიერ განხორციელებულ ინიციატივაში, რომელიც გულისხმობდა, სკოლის მოსწავლეებს შორის ისტორიის კონკურსის ორგანიზებას თემაზე: მიგრაცია – ცხოვრება ახალი ფურცლიდან. IOM საქართველოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საკონკურსო ნაშუქვრების შეფასების პროცესში; ორგანიზაციამ გამოავლინა თავისი რჩე-

ულები და პრიზები გადასცა ორი შერჩეული ესეს ავტორს. გარდა ამისა, IOM საქართველომ თავის ოფისში უმასპინძლა კონკურსში გამარჯვებულებს და ვრცლად გააცნო თავისი საქმიანობა.

IOM საქართველო მზადაა, კვლავაც დაუჭიროს მხარი ახალგაზრდებში მიგრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ ინიციატივებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მიგრაციული პროცესების შესახებ ობიექტური წარმოდგენების შესაქმნელად და მიგრანტთა საჭიროებების აღსაქმელად, ისე, ქვეყნის მდგრად განვითარებაზე მიგრაციის პოზიტიური გავლენის პოტენციალის დასანახად.

INTERNATIONAL ORGANIZATION FOR MIGRATION (IOM)

Established in 1951, the International Organization for Migration (IOM) is the leading intergovernmental organization in the field of migration and is committed to the principle that humane and orderly migration benefits migrants and society.

With 173 member states and through 394 offices with 13000 staff IOM works with its partners in the international community to uphold the human dignity and well-being of migrants, encourage social and economic development through migration, assist in meeting the growing operational challenges of migration management and advance understanding of migration issues.

IOM has been present in Georgia since 1993, operating through the central office in Tbilisi and four field offices in Batumi, Poti, Kutaisi and Telavi. Over the past two-and-a-half decades, IOM has assisted the Government of Georgia in developing an effective migration management system providing a comprehensive response to evolving migration challenges in line with international standards. IOM has transferred experience in the fields of emergencies and post-crisis response, migrant health, immigration and border management, preventing and combatting human trafficking and smuggling, migrant protection and assistance, labour migration and human development, migration policy and research and provided capacity building for all migration-related structures.

The organization continues to work and cooperate on the different directions of migration management, including immigration and border management, labour mobility, migration and development, migrant protection and assistance, reintegration of returnees.

IOM Georgia pays great attention and encourages migration related research. That is why the organization was very interested in taking patronage over this excellent initiative implemented by the DVV International, which entailed organizing a history competition among schoolchildren, on the topic of „Migration – restarting life from scratch“. The IOM Georgia participated in the review and evaluation of the submitted essays; the Organization revealed its favorites and awarded with the IOM sympathy prize the authors of the two selected essays. IOM also invited and hosted the winners, their teachers and DVV International representative at the IOM office in Tbilisi and presented the work done by the Organization in Georgia in different fields of migration management to the young visitors and other guests.

IOM Georgia is ready to support the initiatives aimed at raising awareness on migration among youth, which is crucial to building an objective perception of the migration processes and recognizing the needs of migrants as well as to understanding the positive impact of migration on the sustainable development of the country.

2019-2020 წ. ისტორიის კონკურსი მოსწავლეთათვის თემაზე: „მიგრაცია – ცხოვრება ახალი უპიკსლიდან“ – ნაკმაგებები, გამონკვევები და კომბლეები

ამ სტატიაში გავაერთიანეთ 2019-2020 წლების ისტორიის კონკურსის უიურის წევრთა შეფასებები, კრიტიკული შენიშვნები და რეკომენდაციები.

მოსწავლეთა შორის ისტორიულ თემატიკაზე ჩატარებული კონკურსი რიგით მეორეა და იმედია, ტრადიციული გახდება. ამის იმედს იძლევა კონკურსის მხარდაჭერი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილება, ავტორიტეტულობა და დიდი მონდომება. ამიტომ საჭიროა, ყურადღებით გადავხედოთ შედეგებს და გავანალიზოთ პრობლემები, რომლებიც მისი მიმდინარეობის დროს გამოიკვეთა, რათა მომავალში უკეთეს შედეგზე ვიყოთ ორიენტირებული.

ზოგადად ამ კონკურსის მიზანი იყო საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეთა შორის ისეთი მაღალი ინტელექტუალური უნარების განვითარება, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, კვლევა, ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რაც ხელს შეუწყობს მოაზროვნე, შემოქმედი, თავისუფალი მოქალაქის ჩამოყალიბებას.

საკონკურსოდ მიგრაციის თემა შემთხვევით არ იყო შერჩეული პროექტის მესვეურების მხრიდან, რადგან სწორედ ეს თემა აქტუალური ჩვენს მზარდ გლობალურ სამყაროში.

მოსწავლეებმა საკვლევად ისეთი თემები შეარჩიეს, რომლებიც დღემდე აქტუალურია საქართველოში, თუმცა ისტორიის მკვლევართა დაინტერესებას ნაკლებად იწვევს. ნაშრომებში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს აინტერესებთ ეთნიკური უმცირესობების პრობლემა (ატეხაზი, ოსი, ებრაელი მიგრანტების ისტორიები), საბჭოთა წარსულის გააზრება, საბჭოთა ჯარში მიღებული გამოცდილება თუ ტრავმები, შიდა თუ გარე მიგრაციები. შეეხნენ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა უცხოის მიუღებლობა და განსხვავებული რელიგიური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულება. საინტერესო იყო მოსწავლეთა მიერ აღქმული თანამედროვე ეპოქის მიგრაციები – სამხედრო, პოლიტიკური, სოციალური და ეკოლოგიური კრიზისების შემდგომ წარმოშობილი ხალხთა მასიური გადაადგილებები, მათ შორის საქართველოს უახლესი ისტორიის მაგალითებიდან. თავისი საშინაო და საგარეო ასპექტებით ისინი კარგად ანალიზებენ იძულებით და ნებაყოფლობით მიგრაციას და შედარებით ანალიზს აკეთებენ არა მარტო საქართველოდან წასულ, არამედ საქართველოში ჩამოსულ ემიგრანტებზეც.

კონკრეტული პირებისა თუ ჯგუფების ისტორიების აღწერით ისინი შე-

ეცადნენ, გაეანალიზებინათ იძულებითი თუ ნებაყოფლობითი მიგრაციების მიზეზები და მათი გავლენა ადამიანებზე. როგორ მიმდინარეობდა ადაპტაციის პროცესი, რა ახალ ჩვევებსა და უნარებს იძენდნენ მიგრანტები ახალ გარემოში, როგორ ცვლიან ისინი იმ გარემოს, რომელშიც მოხვდნენ და რას ინახავს მათი მემსიერება. და რაც მთავარია, მოსწავლეებს სჯერათ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, როგორი სირთულეების გადატანაც არ უნდა მოუხდეთ, ყოველთვის შეიძლება ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება.

რამდენიმე ნაშრომში იყო მცდელობა, კონკრეტული ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფების მიგრაცია განეხილათ იმ ისტორიული პროცესების გაანალიზებით, რაც მიგრაციის მიზეზებს უკავშირდებოდა. მოსწავლეები ამჯობინებდნენ ნარატიულ თხრობას, თუმცა ნაშრომების უმრავლესობაში ჩართული იყო კვლევითი კომპონენტიც, რაც წლევანდელი კონკურსის ნაშრომებს გამოარჩევს წინა წლის კონკურსის ესეებისგან. ზეპირი ისტორიების ჩაწერის გარდა, მოსწავლეებს მოძიებული აქვთ ინფორმაციები პრესაში, სამეცნიერო ლიტერატურაში, ენციკლოპედიებში, ინტერნეტ-რესურსებში, ნაწილი გაესაუბრა ამ თემატიკაზე მომუშავე მკვლევრებს და ინტერვიუების ჩაწერა მათთან.

პრობლემები:

არის ზოგადი ხასიათის პრობლემები, რომელიც საერთოა ბევრი ნაშრომისათვის. მაგალითად: ნაშრომთა მნიშვნელოვანი ნაწილში, მართალია, კვლევა მიზანმიმართულია, კონცეფცია გააზრებული და შემოქმედებითი, მაგრამ აკლია მენტორის ხელი. დაგეგმვის პროცესში სასურველი იქნებოდა პედაგოგის მეტი ჩართულობა იდეის უკეთ რეალიზებისათვის და უფრო საფუძვლიანი დასკვნებისთვის. ხშირ შემთხვევაში, კარგადაა შესრულებული მხოლოდ სამუშაოს პირველი ნაწილი – მასალების მოგროვება. შედარებითი ანალიზი და დასკვნა, სამწუხაროდ, აკლია ნაშრომთა მნიშვნელოვან ნაწილს, და რომლებსაც აქვთ, ისინიც უკეთესი იქნებოდა, უფრო საფუძვლიანი ყოფილიყო.

ნარატივში ხშირად დაცულია ისტორიზმის პრინციპი, მაგრამ ნაშრომი კვლევის ხასიათს არ ატარებს. უფრო ლიტერატურულ ბელეტრისტიკის უანრშია გადაწყვეტილი.

ამდენად, წყაროების/მასალების მრავალფეროვნება, საკვანძო კითხვაზე პასუხი, ინტერპრეტაციები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ნაკლებად იკვეთება. სირთულეს შეადგენს ის ფაქტიც, რომ კვლევა ხშირად ინფორმაციის მოგროვების იქით არ მიდის. შესაბამისად, ანალიზიც ფრაგმენტულია და დასკვნაც არაკონკრეტული.

არის შემთხვევები, როცა ნაშრომი ერთი ნარატივის პერიფრაზია, რომელიც კომპოზიციურადაც არ არის შეკრული, აკლია კვლევის ელემენტი, ერთფეროვანია წყარო.

ზოგჯერ არ არის საკვანძო კითხვა, მოვლენათა მიზიგ-შედევობრიობა და არ აქვს დასკვნა.

სამწუხაროდ, ნაშრომებში ჩანს ერთი გაბმული ნარატივი, არ არის წყაროების მრავალფეროვნება. არ არის გამოკვეთილი საკვანძო კითხვა და, შესაბამისად, არც პასუხია გაცემული.

ინტერვიუირების დროს, უმეტეს შემთხვევაში, პრობლემაა, რომ ნაშრომში არ არის სტრუქტურირებული კითხვარი. არ ჩანს კვლევის ჩატარების ფორმალიზებული მექანიზმი. ნამუშევრები ზეპირი, არასისტემატიზებული ნარატივების განხილვას წარმოადგენს. ზოგჯერ ავტორი ცდილობს დაადგინოს ზოგადი კანონზონიერება, მაგრამ კვლევის გეგმის არ ქონის გამო ამას ვერ ახერხებს. არასტრუქტურირებული ინტერვიუ, უმეტესწილად, ერთ მთლიან ნარატივში გადადის და ბევრ კითხვაზე რჩება პასუხი გაუცემელი. ზოგჯერ ინტერვიუს დროს კითხვების დაუსმელობა იწვევს ერთიანი, დაუნაწევრებელი ინფორმაციის მიღებას, რომელშიც მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის თემისთვის გადამწყვეტი ღირებულების. სასურველი იქნებოდა, ავტორებს კვლევების მონაწილისათვის ჰქონოდათ უნიფიცირებული კითხვარი, რაც საშუალებას მისცემდა მოგროვილი მასალა სისტემატიზებული ყოფილიყო და შემდეგ გაკეთებულიყო დასკვნა.

ნაშრომებში არაიშვითად გვხვდება ხალხური მეტყველება, რომელიც შეიცავს დისკრიმინაციულ კონტექსტებს, ასევე ზოგჯერ საბჭოური, მოძველებული ისტორიული ტერმინოლოგია. არის სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებიც.

არის შემთხვევები, როცა მოსწავლეს გააზრებული აქვს მიზანი და შემოქმედებითად უდგება მის გადაწყვეტას. შინაარსიდან ჩანს, რომ დაცული აქვს ისტორიზმის პრინციპი და იყენებს მრავალფეროვან წყაროებს, მაგრამ არ აქვს დაცული ციტირების წესი.

ჟიურის ყველა წევრი ერთხმად უსვამს ხაზს ნაშრომების გაფორმების ძალიან დაბალ დონეს, გრამატიკულ და ტექნიკურ შეცდომებს, ნაშრომის არასწორ სტრუქტურულ აგებას, ხშირად მსჯელობის არა ლოგიკურობას და სხვ.

ნაშრომთა ნაწილს აკლია სქოლიო და ბიბლიოგრაფია.

რეკომენდაციები:

სამწუხაროდ იკვეთება, რომ ხელმძღვანელი პედაგოგებისთვის საჭირო იყო კონკურსის პირობების უკეთ გააზრება.

- ზოგადად, სასურველი იქნება, ღია ონლაინ ტრენინგების ჩატარება, როგორც მონაწილე მოსწავლეებისთვის, ასევე ხელმძღვანელი პედაგოგებისთვის მასალების მოპოვება, დამუშავებასთან, ზოგადად სამეცნიერო და პრაქტიკულ კვლევასთან, ასევე ნაშრომის წერასთან დაკავშირებით.
- სასურველია, შეიქმნას სახელმძღვანელო ვიდეო ტუტორებისათვის, რომელიც აიტვირთება კონკურსის ფეისბუქის გვერდზე, რომელზეც წვდომა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს.
- მასწავლებლებისათვის უკეთაა გასაცნობი პლაგიატის, როგორც არა კეთილსინდისიერების აღმოფხვრის აუცილებლობის მნიშვნელობა.
- მნიშვნელოვანია, კონკურსმა ხელი შეუწყოს დისკრიმინაციული ტერმინებისა თუ გავრცელებული სტიგმების გამოყენების აღმოფხვრის პროცესს.
- მოსწავლეებს უნდა განემარტოს ციტირების გამოყენების, სქოლიოს და ბიბლიოგრაფიის დართვის წესები.
- საჭიროა, საინფორმაციო ბიულეტენში ხაზგასმით იყოს მოთხოვნილი არა მხატვრული ნახატი, არამედ, ილუსტრაცია, პოსტერი, თუნდაც კარიკატურა, რაც ახლოს დგას აკადემიურ სივრცესთან და გამოიყენება ისტორიული სურათის დასადგენ მნიშვნელოვან წყაროდ.

სამომავლო თემები:

კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფისადმი რეკომენდირებულია, შემდგომი საკონკურსო თემები დაუკავშიროს:

- უახლესი ისტორიის ისეთ საკითხებს, რომლებიც ნაკლებადაა შესწავლილი და ამავე დროს მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, კვლევის პროცესში კიდევ უფრო მეტად გამოიყენონ ზეპირი ისტორიების შეგროვების მეთოდი. ამგვარი თემატიკა შესაძლებელია იყოს – გვიანი საბჭოეთის გარდაქმნები, XX საუკუნის 80-იანი წლების ანტისაბჭოთა მოძრაობები, დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი, 90-იანი წლების სამხედრო, პოლიტიკური და სოციალური კრიზისები.
- გლობალიზაცია და კულტურული იდენტობა; გლობალიზაცია და საქართველო; ეკლესია-მონასტრების როლი კულტურული იდენტობის შენარჩუნებაში.

HISTORY COMPETITION 2019-2020 FOR STUDENTS ON TOPIC: „MIGRATION – RESTARTING LIFE FROM SCRATCH“ – SUCSESSES, CHALLENGES AND PROBLEMS

This article includes the evaluations, critical remarks and recommendations of the members of History Competition 2019 – 2020 jury.

The competition on historical topic was held among students for the second time and will hopefully become traditional. The experience, authority and a strong desire of the local and international organisations supporting the competition give hope for this.

In general, the aim of this competition was to develop among primary and secondary school students such high intellectual skills as critical thinking, research, analysis, synthesis and evaluation that will help to form a rational, creative and free citizen.

The topic of migration for the competition was not chosen by chance by the project organisers, as this theme is related to our growing global world.

The students selected topics that are still relevant in Georgia, although, not popular among history researchers. The essays show that students are interested in the problem of ethnic minorities (stories of Abkhazian, Ossetian, Jewish migrants), understanding of the Soviet past, experiences or traumas gained in the Soviet army, internal or external migration. They also covered such issues as intolerance of strangers and attitudes towards different religious groups. The migrations in the modern era were perceived by the students in an interesting way – the mass movements of people after the military, political, social and ecological crisis, including examples from the recent history of Georgia. With their domestic and foreign aspects, they analyze the forced and voluntary migration well and make a comparative analysis not only of the emigrants who left Georgia, but also of those who came to Georgia.

By describing the histories of specific individuals or groups, they tried to analyze the reasons of forced or voluntary migration and their impact on people, the process of adaptation, new habits and skills that migrants acquired in new environment, the ways to change that environment and what does their memory retain. And most importantly, students believe that no matter what happens, no matter what kind of difficulties one might face, one can always restart life from scratch.

There were several attempts in some essays to discuss the migration of specific individuals or groups of people by analyzing historical processes re-

lated to the reasons of migration. Students preferred storytelling, although, most paperwork included a research component, which distinguishes this year's competition essays from the previous year's ones. In addition to recording oral histories, students have found information in press, scientific literature, encyclopedias, Internet resources, some interviewed researchers working on this topic and recorded interviews with them.

Problems:

General problems that are common to many essays were identified, for example: in many essays, despite the fact that the research has purpose and the concept is well-thought and creative, it lacks the mentor's involvement. In planning it would be desirable for the teacher to be more involved for a better realization of the idea and for more thorough conclusions. In many cases, only the first part of the work – collecting materials is well done. Unfortunately, many essays are missing comparative analysis and conclusion and the ones who have them, it would be better to be more detailed. The principle of historicism is often preserved in the narrative but the essay is not a research paper. It is rather a literary fiction. Thus, the variety of sources / materials, the answer to key questions, interpretations, cause-and-effect relations are less outlined. Another difficulty is the fact that research often does not go beyond the gathering of information. Consequently, the analysis is both fragmentary and the conclusion is non-specific. There are cases when the essay is a periphrasis of a single narrative which is not even compositionally bound, lacks a research element and is a monotonous source. Sometimes there is no key question, the events lack cause-and-effect relations and conclusion. Unfortunately, there is only one whole narrative rather than a variety of sources in the papers. There is no key question and, therefore, no answer.

When interviewing, in most cases, the problem is that there is no structured questionnaire in the paper. There is no formalized mechanism for conducting research. The papers are an overview of oral, unsystematic narratives. Sometimes the author tries to establish general legitimacy but fails due to the lack of research plan. Unstructured interviews, often, move into one whole narrative and many questions remain unanswered. Sometimes not asking questions during an interview leads to a single, unbroken piece of information in which a significant part is not of a decisive value to the topic. It would be desirable if the authors of the studies had a unified questionnaire for the interviewees that would allow the collected materials to be

systematized and then conclusion to be made. The papers often contain folk speech containing discriminatory contexts, as well as, sometimes we come across Soviet, outdated historical terminology. There are also cases of using hate speech. There are cases when a student has a purpose and creatively solves her or his solution. The content shows that one has adhered to the principle of historicism and used a variety of sources but not the rule of citation.

All members of the jury unanimously point out the very low level of paperwork, grammatical and technical errors, incorrect structure of the paper, often illogical reasoning, and etc.

Some of the papers lack footnotes and bibliography.

Recommendations:

Unfortunately, it is clear that supervising teachers needed to better understand the terms of the competition.

- In general, it would be desirable to conduct open online trainings for both participating students and supervisors in obtaining materials for processing, general scientific and practical research and the writing of a paper;
- It is desirable to create a handbook for video tutors which will be uploaded on Facebook page of the competition and would be accessible to all stakeholders;
- It is better for teachers to understand the importance of eliminating plagiarism as a matter of non-conscientiousness;
- It is important that the competition facilitates the process of eliminating the use of discriminatory terms or common stigmas;
- Students should be explained the rules for using citations, footnotes, and bibliographies;
- It is necessary to emphasize in information bulletin not an artistic drawing, but an illustration, a poster, even a caricature, which is close to the academic space and is used as an important source for determining the historical picture.

Future topics

It is recommended to the organising group of the competition to link the following competition topics:

- Issues of recent history that are less studied and at the same time allow students to make even more use of the method of collecting oral histories in the research process. Such topics can be: the transformations of the late Soviet Union, the anti-Soviet movements of the 1980s, the process of restoring independence, or the military, political and social crises of the 1990s.
- Globalization and cultural identity; globalization and Georgia; the role of the churches and monasteries in preserving cultural identity.

2019-2020 ისჯოკიის კონკუსის ესეების შინააკის ანალიზი

40 ესე და მასთან ერთად, ნახატები საინტერესო სურათს ქმნიან საქართველოში მიგრაციული პროცესების შესახებ. სტუდენტები ზოგადად ასახავენ მიგრაციის ფენომენს და ცდილობენ ნათესავეებისა და ნაცნობების გამოცდილებების მეშვეობით განმარტონ იგი; მოგვითხრობენ მიგრაციის ისტორიას ქვეყნის ყველა კუთხიდან, ამბებს იძულებითი გადაადგილების შესახებ რუსეთის იმპერიისა თუ საბჭოთა კავშირის მმართველობისა თუ რუსეთთან ბოლოდროინდელი ომების დროს. ამ ესეების კითხვისას სხვადასხვა თვალსაზრისებს ვეცნობით მიგრაციის მიზეზებისა და შედეგების შესახებ, რომლებსაც ზოგიერთი სტუდენტი კრიტიკულად განიხილავს.

სტუდენტთა უმეტესობა უარყოფით მოვლენად განიხილავს მიგრაციას, რაც საუკუნეების მანძილზე ათასობით ადამიანს აიძულებდა გადასახლება და წარმოშობის ადგილის მიტოვებას. მთლიანობაში, სტუდენტები აღწერენ მიგრაციით გამოწვეულ ტკივილს, რომელიც სამშობლოს მონაცრებას, ახალ კულტურასა და ქვეყანასთან შეგუების სიძნელეებზე მონათხრობებში ისხამს ხორცს. მიგრაცია აღიქმება შეზღუდვად, რის დროსაც ადამიანებს ეკონომიკური მიზეზებით, ომებისა თუ შიმშილის გამო და უკეთესი ცხოვრების იმედით უწევთ გადაადგილება. იძულებითი მიგრაციით გამოწვეულ გასაჭირს ამყარებს სამშობლოს რომანტიზებული ხედვა, რომელიც ბევრ ესეში აღწერილია, როგორც ბუდე, რომლისთვისაც საჭიროა ბრძოლა და მასთან დაბრუნების გზების ძიება. იძულებითი მიგრაციის აღწერის ხერხები ხაზს უსვამს სამშობლოს დაკარგვით გამოწვეულ ტრავმას, გზაში თუ ახალ ქვეყნებში სიღარიბით, შიმშილითა და შევიწროებით გამოწვეულ ტკივილს.

ეს მოთხრობები დანაკარგის შესახებ, მჭიდროდ უკავშირდება ქართველთა ტანჯვისა და ჩაგვრის თემას, რომელიც შეესატყვისება ეროვნულ ნაამბობს საქართველოს გარე ძალების მიერ მუდმივი შევიწროების შესახებ. ესეების დიდი ნაწილი კრიტიკულად არ უღრმავდება იძულებითი მიგრაციის (ასევე პოლიტიკურ) მიზეზებსა და შედეგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დროს იძულებითი გადაადგილება დასჯის ერთ-ერთ ფორმად გამოიყენებოდა. ესეები უფრო მეტად მხოლოდ იმ ტანჯვის აღწერას გვთავაზობენ, რომელიც ადამიანებმა მეორე მსოფლიო ომის, საბჭოთა რეპრესიებისა და გადასახლებების, ასევე, რუსეთთან ომის დროს გადაიტანეს. ასე რომ, ამ ისტორიებს არ აერთიანებენ მიგრაციის საერთო სურათში, რომელიც მხოლოდ იძულებითი გადაადგილებისგან არ შედგება. მეტიც, აღნიშნული ესეები არ გვიამბობენ იმ ახალ ცხოვრებაზე,

რომელიც ადამიანებმა იძულებითი გადაადგილების შემდეგ მოიგვარეს. მაგალითად, ძალიან საინტერესო იქნებოდა ახალ გარემოსთან შეგუების სიძნელეებში ჩაღრმავება, ასევე ადაპტაციის პროცესის, ხელახლა დაფუძნების მცდელობების განხილვა. ამის ნაცვლად, აქცენტი იძულებითი გადაადგილებით, რეპრესიებითა თუ ომებით განპირობებულ პიროვნულ ტრაგედიებზე უფრო აძლიერებს კოლექტიური მსხვერპლის მონათხრობს, ხოლო ზოგიერთ ესეში მიგრაცია თითქოს თავისთავად ცხად, თითქმის ლოგიკურ ნაბიჯად არის წარმოჩენილი ამ ტანჯვისგან გასაქცევად და უკეთესი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. მეტიც, ზოგიერთ ნაწერში მიგრაცია ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხის შემცველ ფენომენად განიხილება, რომელიც კრიმინალისა და ტერორისტული აქტების მატებას უწყობს ხელს. თუმცა, ამ ესეებში არ არის მოტანილი კონკრეტული მაგალითები ამ მოსაზრებების გასამყარებლად.

მეორე მხრივ, რამდენიმე ესეში გადაადგილების საკითხი განხილულია საქართველოში მცხოვრები ზოგიერთი უმცირესობის წარმომადგენელთა თვალსაწიერიდან, მათ შორის ოსების, მესხების, ებრაელების პერსპექტივიდან. ეს ესეები ახლებურად აღწერენ მიგრაციას, შეისწავლიან ფენომენის მრავალმხრივ ასპექტებს. კერძოდ, ისინი გვიჩვენებენ, რომ მიგრაცია არა მხოლოდ ტკივილსა და ტანჯვას უკავშირდება, არამედ ასევე სოლიდარობას, ახლის აღმოჩენას, ახალი იდენტობების ჩამოყალიბებას, ახალი ქვეყნის შეყვარებასაც მოიცავს საკუთარ თავში. ხშირად ყველა ეს ასპექტი ერთდროულადაა წარმოდგენილი მიგრაციის გამოცდილებაში. ეს სტუდენტები გვიჩვენებენ, რომ მიგრაცია არა ხალხის დამანაწევრებელი ძალა, არამედ გამდიდრების, სხვებისა და მათი განსხვავებულობის გაცნობისა და მიღების საშუალებაა.

საერთო ჯამში, სტუდენტთა უმეტესობა აცნობიერებს, რომ კაცობრიობის ისტორია მიგრაციის ისტორიაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ყოველთვის გადაადგილდებოდნენ და საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო მიგრირებდნენ ისტორიული, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, თითქმის არცერთი მათგანი არ ახდენს მიმდინარე მიგრაციების კონტექსტუალიზაციას გლობალიზაციის ფენომენში და არ განიხილავს, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს ტექნოლოგიურ პროგრესსა და ცხოვრების წესის ცვლილებებს ადამიანების გადაწყვეტილებაზე მიგრაციის სასარგებლოდ.

ლაურა მაფიცოლი
ფილოსოფიისა და სოციალური
ანთროპოლოგიის დოქტორი

ANALYSIS OF THE CONTENT OF THE ESSAYS OF THE HISTORY COMPETITION IN GEORGIA 2019-2020

The 40 essays and the drawings give an interesting picture of the experiences of migration in Georgia. The students overall reflect on the phenomenon of migration and try to explain it through different experiences of their relatives and acquaintances. We are told histories of migration from every corners of the country that explore experiences of forced displacement under the Russian Empire and the Soviet Union as well as the most recent wars with Russia. Reading all the essays, we get to know different points of view on the causes and consequences of migration that some of the students problematize and critically analyze.

For the majority of the students, migration is described and made sense of as a negative phenomenon that over the centuries forced thousands of people to move and abandon their lands of origins. Overall, the students underline the pain of migration which materializes into narratives of nostalgia for the homeland, and into the difficulties of adapting to a new culture and country. Migration is seen as a constraint, whereby people are forced to migrate due to economic reasons, wars, starvation and hopes for a better life. The distress caused by forced migration is empowered by a romanticized view of the homeland, which in many essays is described as the nest where people should find ways to return to and strive for. The ways in which forced migration is described emphasizes the traumas of loss of the homeland as well the traumas of poverty, starvation and harassment people endured over the road and in the new lands.

These narratives of loss are tied together with a narrative of Georgian suffering and victimization that corresponds to the national narrative whereby Georgia has always been suffering from external powers. Many essays do not critically engage with the reasons (also political) and causes of forced migration, i.e. that during the Soviet Union forced displacement and exile were used as a form of punishment. These essays rather simply display the suffering and torture people endured during WWII, the repressions and deportations in Soviet times, and the wars with Russia situate these stories within the bigger phenomenon of migration, which is not all about forced displacement. Moreover, these essays do not really describe what type of new life people who experienced forced displacement built. For instance, it would have been very interesting to dig into the difficulties of adapting to a new environment as well as the process of adapting, trying to build up a

new home. Instead, the stress on the personal suffering caused by forced displacement, repressions, wars, strengthens the narrative of collective victimization, and in some essays it seems that migration is framed as an almost consequent and logical step in order to escape from this suffering and to get better life conditions. Moreover, in some writings, migration is seen as a threat to national security and a cause of the increase rate of crimes and terrorist acts. These essays, however, do not give concrete examples to support these statements.

A few essays, on the other hand, explore the conditions of displacement from the points of view of the people from some minority groups living in Georgia, i.e. Ossetians, Meskhetians, Jews amongst others. These essays give a fresh account on migration, exploring the multifaceted aspects the phenomenon entails. Namely, they show that migration is not only about suffering and pain, but also solidarity, discovery, shape of new identities, love for a new country, etc. All these aspects often coexist in the experience of migration. These students show that migration is not a force that divides people, rather a way of enrichment, of knowing and accepting the Other and its differences.

Overall, the majority of the students acknowledge that the history of humanity is a history of migration. That is, people have always been in movement and over the centuries migrated for different reasons according to historical, economic and political conditions. Nonetheless, almost no one contextualized the current migrations within the phenomenon of globalization and the ways the changes of technology and modes of life affect people's decisions to migrate.

Laura Mafizzoli
Doctor of Philosophy and
Social Anthropology



2019-2020 წლების ისტორიის კონკურსის საუკეთესო ესეები
THE BEST ESSAYS OF THE 2019-2020 HISTORY COMPETITION

- გვ. 37 | დავით მიქაუტაძე
DAVIT MIKAUTADZE
- გვ. 49 | მარიამ ბეჟაური
MARIAM BEKAURI
- გვ. 59 | ანა ლევიძე
ANA LEVIDZE
- გვ. 67 | თამარ ჩხიტიანი
TAMAR CHKHITUNIDZE
- გვ. 77 | გვანტა გარიშვილი
GVANTSA GARISHVILI
- გვ. 89 | ლიზი მამულაშვილი, საბა კვირიკაშვილი, მარიამ ურუშაძე
LIZI MAMULASHVILI, SABA KVIRIKASHVILI, MARIAM URUSHADZE
- გვ. 101 | ნინო ნინიკური, ნაილი პაპიაშვილი, ანი გვალაძე
NINO NINIKURI, NAILI PAPIASHVILI, ANI GHVALADZE
- გვ. 111 | ანა აბულაძე
ANA ABULADZE
- გვ. 117 | დავით ვარდიძე, ეთერი კატჩკატჩაშვილი
DAVIT VARDIDZE, ETERI KATCHKATCHASHVILI
- გვ. 125 | სალომე კინტურაშვილი
SALOME KINTSURASHVILI
- გვ. 133 | მარიამი შეყლაშვილი, მარიამი გულიაშვილი, ანი კვინიკაძე
MARIAM SHEKLASHVILI, MARIAM GULIASHVILI, ANI KVINIKADZE
- გვ. 141 | მათე ნებაძე, ნინო ნეპარიძე, საბა გელაშვილი
MATE NEBADZE, NINO NEPARIDZE, SABA GELASHVILI
- გვ. 145 | ნუსტი მამუკელაშვილი, თომნა ლაბუჩიძე, ეკატერინე ჯერენაშვილი
NUTSI MAMUKELASHVILI, TEONA LABUCHIDZE, EKATERINE JERENASHVILI
- გვ. 155 | ლიკა კოკაია, ნატელა შამათავა
LIKA KOKAIA, NATELA SHAMATAVA
- გვ. 159 | ეთერ ჩახნაშვილი
ETER CHAKHNASHVILI
- გვ. 163 | ია ფანგანი, მარიამ ფანგანი
IA PANGANI, MARIAM FANGANI

I PLACE

The Story of Nargiza Shavladze-Ghvinepadze

By Davit Mikautadze

Teacher: Davit Chivadze

Kutaisi Public School #6

The essay describes the New Repressions in the Soviet Union in the year of 1951 aiming at deporting intelligence, former prisoners of WWII and anyone who was pro-Western.

The main protagonist is Nargiza Shavladze-Ghvinepadze, an old but energized lady from Kutaisi, remembering the cold December night when her life had changed completely. The essay includes flashbacks from the Shavladze family introducing its members and describing life during the Soviet repressions. Their story is an example of struggle, courage and intolerance to the cruel state system which was careless about people and aiming only to maintain power at any cost.

The author refers to the fact that the new generation has no clear picture and information on occurrences in 1951. He mentions that this period ought to be properly examined in order to gain knowledge on recent history and to assume public responsibility to those who still suffer from a sense of injustice as the terror they went through has not been enough investigated.

ნარგიზა შავლაძე-ღვინეფაძის ისტორია

„მამა იყო ტყვედ ნამყოფი გერმანიის ომში... 1951 წელს, თუ ვინმეს ჰყავდა შვილი, ძმა ან სხვა ნათესავი საზღვარგარეთ, ყველა გადაასახლეს შუა აზიაში ... ეს საქართველომ არ იცის და მინდა, რომ ყველამ გაიგოს...“ – გვეუბნება ნარგიზა შავლაძე-ღვინეფაძე. თმა შევერცხლილი ქალბატონი ქუთაისის ცენტრთან ახლოს, ქალაქის ძველ უბანში ცხოვრობს, ასაკის მიუხედავად, ენერჯიულად გამოიყურება, ემოციებს ვერ იკავებს, როდესაც თავისი ცხოვრების ძნელებელობის შესახებ მოგვითხრობს. 1951 წლის დეკემბრის ცივ ღამეს მისი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა: სახლში შემოჭრილმა ადამიანებმა სუსხიანი ტონით განუმარტეს, რომ თბილი სახლი უნდა დაეტოვებინათ და თან უნდა გაჰყოლოდნენ. გამთენიისას, დამფრთხალი მეხუთეკლასელი გოგონა ოჯახის წევრებთან ერთად პირუტყვი-სათვის განკუთვნილი მატარებლის ვაგონით გაუყენეს შუა აზიის გზას.

1951 წლის გადასახლების შესახებ ჩემთვის და ჩემი თაობისათვის ბევრი არაფერია ცნობილი. ქალბატონ ნარგიზას ბევრი ძიების შემდეგ მივაკვლიეთ. ის უკვე იმ ერთეულ ადამიანებს შორისაა, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს საბჭოთა ტერორის სიმძიმე და ცოცხალ მეხსიერებაში ინახავენ გადასახლების წლებში გამოვლილ უბედურებას. რთულ განსაცდელგამოვლილ ქალბატონს დღემდე არ აქვს მკაფიო პასუხი კითხვაზე, რა დაუშავა ხელისუფლებას ათასობით ადამიანმა, რომლებიც ერთი ღამის განმავლობაში მოაშორეს საკუთარ სახლს, სანათესაოს და შორეულ აზიაში უწყლობისა და შიმშილისათვის გაწირეს.

როგორც ისტორიული მასალებიდან გახდა ჩემთვის ნათელი, 1951 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ აგორებული ახალი რეპრესიების სამიზნე ამჯერად მეორე მსოფლიო ომის ყოფილი სამხედრო ტყვეები, საბჭოთა კავშირში უკან დაბრუნებული ემიგრანტები, ესევე ემიგრაციაში მყოფი ადამიანების ნათესავები აღმოჩნდნენ. ამ ადამიანებმა გარკვეული პერიოდი დასავლეთში გაატარეს, იცნობდნენ დასავლური საზოგადოების სიკეთეებს, რის გამოც ცოცხალიცარული რე-

უიმი ეჭვის თვალთ უყურებდა. საქართველოდან დეპორტაციის საკითხის მომზადებაში განსაკუთრებით აქტიურობდა სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, ნიკოლოზ რუხაძე. მომზადდა წერილი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე, სადაც „მტრული ელემენტების“ მომრავლებასა და საქართველოდან მათი გასახლების აუცილებლობაზე იყო საუბარი. ხელისუფლებამ შექმნა გასახლებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი ოპერაციის განსახორციელებლად. რუსეთიდან სპეციალურად იქნა ჩამოყვანილი შინაგან საქმეთა სამხედრო დანაყოფები. ოპერაცია, მოსალოდნელი მღელვარების შიშით, ერთი ღამის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო. 1951 წლის დეკემბრის ღამეს ოჯახებით დაიწყეს სამიზნე ადამიანების დაპატიმრება და ქუთაისში, თბილისსა და ბათუმში ჩაყენებული სარკინიგზო ემელონებით წაიყვანეს ისინი შუა აზიაში. დაპატიმრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინტელიგენცია იყო.

მას შემდეგ, რაც 1951 წლის რეპრესიების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გავეცანი, გადასახლებაში მყოფი ადამიანების ცხოვრების, მათი განცდების შესახებ უფრო მეტი ინტერესი გამიჩნდა. როგორ ცხოვრობდნენ შუა აზიაში? რა გზა გაიარეს გადასახლებამდე? როგორ იყო მათი დაბრუნების პროცესი? აიღო თუ არა ვინმემ პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულზე? ქალბატონი ნარგიზა საინტერესო მთხრობელი აღმოჩნდა. საკუთარი და ოჯახის ისტორიის შესახებ ბევრი საინტერესო დეტალი გავგვანდო. გადასახლების სიმძიმეს ყველა რეპრესირებულმა ვერ გაუძლო, შავლაძეების ოჯახი კი გადარჩა. გაუსაძლის ყოველდღიურობასთან ბრძოლაში ხასიათის სიმტკიცე, განათლება და საკუთარი უდანაშაულობის რწმენა ეხმარებოდათ. თუმცა შავლაძეების ოჯახი 1951 წელს პირველად არ გამხდარა ხელისუფლების ცერორის სამიზნე, ცერორი დაბრუნდა: პირველი მსხვერპლი ნარგიზას ბაბუა იყო, კალისტრატე შავლაძე, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს.

ცერორის პირველი მსხვერპლი

შავლაძეების ოჯახი წარმოშობით რაჭიდანაა, თუმცა ბაბუა – კალისტრატე (კოლია) შავლაძე უკვე ქუთაისში, საფიჩხიაზე დაბადებულა. ბაბუა ძალიან განათლებული კაცი იყო, ქუთაისელ ქალზე, კაროლინა კვმევაძეზე ყოფილა დაქორწინებული. ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის პერიოდისგან მოყოლებული, ტაშკენტის რიკინიგზის სადგურის უფროსად მუშაობდა და ოჯახთან ერთად შუა აზიაში ცხოვრობდა. აქვე დაიბადა მათი ვაჟი, ვლადიმერ შავლაძე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ

ოჯახის ტრადიციული ცხოვრების რუტინა შეიცვალა. მუდმივი შეთქმულებებისა და საეჭვო ელემენტების ძიებაში მყოფი ხელისუფლება კალისტრატე შავლაძეს ნდობის თვალთ არ უყურებდა. 30-იან წლებში უშიშროების თვალთვალის ამკარა გახდა დაპატიმრების მოლოდინში მყოფმა კალისტრატემ ტაშკენტი დატოვა და სამშობლოში გამომგზავრება არჩია.

კალისტრატე შავლაძე საქართველოში დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. უსამართლო დევნის მსხვერპლი ბედთან შეგუებას არ აპირებდა. „ციმბირის ციხიდან ნიფხავ-პერანგის ამარა გამოქცეულა. უკვე დაღამებისას რომელიღაც რუსულ სოფლამდე მიუღწევია. სოფელში ლამფები ენთო. რუსი გლეხის ოჯახში შესულა, თავისი ამბავი უამბია და დახმარება უთხოვია. შეიცოდეს რუსებმა, თბილი ტელეგრეიკა და შარვალის ჩააცვეს, ცოტაოდენი ფული მისცეს, სოფლის გასწვრივ ჩამომავალ მდინარეზე ტივით გადმოიყვანეს და გამოუშვეს“. – გვიამბობს ნარგიზა შავლაძე-ღვინეთაძე. კალისტრატე კვლავ ქუთაისში დაბრუნდა, თუმცა ოჯახში მისვლა ვერ გაბედა, საფიჩხიის სასაფლაოსთან ახლოს, მდინარე წყალწითელას ნაპირთან იმალებოდა. სახლში მისვლას კი მხოლოდ ღამ-ღამობით ახერხებდა. კალისტრატეს ძმა ქუთაისის შინსახკომის უფროსი იყო. დევნილობაში მყოფი თავის ძმასთან ფარულად მისულა და უთხოვია, როგორმე აერიდებინა მისთვის ხელახალი პატიმრობა, თუმცა გაუტანელმა დრომ ძმებიც დააშორა ერთმანეთს. მუდმივად ცუდის მოლოდინში მყოფი კალისტრატე ცდილობდა, ოჯახს დახმარებოდა, ავბედით დროში მის გარეშე რომ მოეხერხებინა არსებობა. „მე რომ დავიბადე 1938 წელში, სახლის სარდაფი სავსე იყო ნიგვზითა და კარტოფილის ტომრებით. ოჯახს მოუმარაგა, იცოდა, რომ კიდევ მოელოდა დაჭერა... ასეთი თავიანი კაცი იყო“. – ამბობს ნარგიზა შავლაძე-ღვინეთაძე.

დამსმენების წყალობით კალისტრატე შავლაძე 1937 წელს კვლავ დააპატიმრეს, ამის შემდეგ მისი ბედის შესახებ ოჯახისათვის არაფერია ცნობილი, როგორც ჩანს, მალევე დახვრიტეს...

რეპრესიებიდან რეპრესიებამდე

„განათლებული კაცი იყო მამა, ამავე დროს ფიზიკურად ძლიერი, სპორტსმენი. თეთრ ხიდზე აბანოს თავიდან ხტებოდა“ – იგონებს ქალბატონი ნარგიზა. ვლადიმერ შავლაძე უნარიანი კაცი იყო, ქალაქში დაფასებული, კარგი სამეგობრო ჰყავდა. ცდილობდა, განსაცდელ გამოვლილი ოჯახი ფეხზე დაეყენებინა. იმერელ ქალზე – ია მებურიშვილზე დაქორწინდა და 1938 წელს პირველი ქალიშვილი შეეძინათ. ახალგაზრდა ოჯახს მშვიდო-

ბიანი ცხოვრება ღიბხანს არ დასცალდა: 1941 წელს სსრკ-სა და გერმანიის ომი დაიწყო და ვლადიმერი ომში გაიწვიეს. ერთი წლის შემდეგ მამა ტყვედ ჩავარდა და მის შესახებ აღარაფერი ისმოდა.

ნარგიზას მამის ომში გაწვევა არ ახსოვს, მაგრამ ახსოვს ლექსი, რომელსაც მამის მონატრებით ამბობდა:

„იქეთ ნუში, აქეთ ნუში,
შვაზე ფარდა ჩამოუშვი...
ძია სტალინ, გეხვეწები:
მამაჩემი გამოუშვი!“

ოჯახს ეკონომიკურად გაუჭირდა. ქალაქში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა, ნარგიზა დედასთან ერთად დროებით ბაბუამ წაიყვანა (დედის მამამ), ვანის რაიონის სოფელ სალომინაოში. „ისეთი გაჭირვება იყო, რომ ბებია მჭადის ნატეხს ლეიბის ქვეშ გადაინახავდა, მე რომ არ შემომკვლევოდა...“ – იგონებს ის. ოჯახი ფიზიკურად შრომობდა და თავს სოფელში მოწვეული პროდუქტით ირჩენდა.

ძალმომრეობა არც სოფლის ცხოვრებისათვის იყო უცხო. „დედა წითელარმიელის ცოლი იყო და სოფელში მიწის ნაკვეთი მისცეს. ერთ დღეს მოვიდა სოფლის თავმჯდომარე, სიმონია, დედაჩემს დაუძახა და უთხრა – თქვენ ეს ყანა აღარ გეკუთვნით, ჩამორთმეული გაქვთო. დედაჩემი ფიზიკურად ძლიერი ქალი იყო, მოკიდა ხელი და ცხენიდან ჩამოაგდო“. – გვიამბობს ნარგიზა შავლაძე-ღვინევაძე. ოჯახმა მიწის ნაკვეთის შენარჩუნება მოახერხა.

ომის დასრულების შემდეგ მამა დაბრუნდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ის გერმანელების ტყვეობაში აღმოჩენილა: ტყეში საბრძოლო ოპერაციების დროს ფეხში დაიჭრა. მუხლს ზემოთ ორი ჭრილობა ჰქონდა, რის გამოც სიარული ვეღარ შეძლო და გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ. გერმანელებს მისი გამოყენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სურდათ, ამიტომ თავად მკურნალობდნენ; თუმცა ტყვეობაში მყოფმა ვლადიმერმა, როგორც კი ფეხზე დადგომა შეძლო, გაპარვა მოახერხა, ფრანგ პარტიზანებს შეუერთდა და კვლავ გერმანელების წინააღმდეგ განაგრძო ბრძოლა. ომის დასრულების შემდეგ კი საბჭოთა კავშირში დაბრუნება მოახერხა.

ომის შემდეგ ეკონომიური სიდუხჭირე ისევ გრძელდებოდა. მალაზიებში რიგები იყო. პროდუქტები ტალღებით გაიცემოდა. მრავალრიცხოვან რიგში მდგომი ნარგიზა წაქცეული კიდეც. სწავლა რკინიგზის სკოლაში დაიწყო, ტაბიძის ქუჩაზე. „თინა ფანჩულიძე იყო დირექტორი, ძვირფასი მასწავლებლები მყავდა, ყველა მახსოვს...“ – იგონებს ის.

ოჯახი ნელ-ნელა დაუბრუნდა ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმს. ის

წყალტუბოს კურორტვაჭრობაში მუშაობდა, ხოლო მისი მეუღლე ფერშალი იყო სანეპიდსადგურში. ოჯახი კერძო სახლში ცხოვრობდა, ძერუინსკის (ახლანდელი კუპრადის) ქუჩაზე.

დაპატიმრება

1951 წლის 26 დეკემბერს, ღამის 4 საათზე, შავლაძეების ოჯახი კარზე კაკუნმა გააღვიძა. ოჯახში დედა, მამა და ორი მცირეწლოვანი გოგონა იყო: მეზუთეკლასელი ნარგიზა და მისი უმცროსი და – სამი წლის ნაილი. სახლში იყო ასევე ბებიაც, კაროლინა. კარის გაღების შემდეგ მისაღებ ოთახში ოთხი კაცი შემოვიდა: ერთი შინსახკომის თანამშრომელი იყო, მას შავლაძეების მეზობელი ახლდა ახლომდებარე ქუჩიდან (როგორც გაირკვა, ისიც შინსახკომის აგენტი იყო), უკან კი ორი შეიარაღებული ხიშტიანი რუსი ჯარისკაცი მოჰყვებოდა.

„გადასახლებულები ხართ, ბარგი ჩაალაგეთ!“ – სიციყვაძუნწად განუმარტეს შინსახკომის თანამშრომლებმა ოჯახს. მშობლებს თავბარი დაეცათ, შინსახკომის თანამშრომლებმა ისიც კი არ აუხნეს, რა იყო გადასახლების მიზეზი, ან გზა საით ჰქონდათ. „რაკი ბაბუას ამბები ვიცოდი, მივხვდი, რაშიც იყო საქმე“, – იგონებს ნარგიზა შავლაძე, – „ვიფიქრე, გავეპარები... მაშინ აბაზანა და ტუალეტი სახლში არ იყო, ჯარისკაცს ვთხოვე, ეზოში გავალ-მეთქი. მინდოდა, ეზო-ეზო მეზობლებთან გადავსულიყავი... როცა ეზოში გავედი, დავინახე, რომ შეარაღებული რუსი სალდათი უკან მომყვებოდა, უკან დავბრუნდი... მოგვკიდეს ხელი მთელ ოჯახს და სატვირთო მანქანაზე დაგვყარეს...“

ოჯახის წევრებმა მხოლოდ ტანსაცმლისა და აუცილებელი ნივთების ჩალაგება მოასწრეს. დედამ წამლების მომარაგებაც მოახერხა. ისედაც მცირეოდენი ბარგის წაღების უფლება ჰქონდათ. „ბიცოლას კარგი რეზინის ჩექმები აქვს, გადავალ და გამოვართმევ... რა ვიცი, რა ქვეყანაში მივდივართ...“ – დანანებით უთქვამს დედას შინსახკომის თანამშრომლებისთვის, თუმცა ყური არავის შეუბერცყავს.

სატვირთო მანქანა სავსე იყო ინტელიგენციის წარმომადგენლებით, ქალაქში ცნობილი ადამიანებით. ავტომობილი ავტოქარხნის დასახლებსაკენ დაიძრა, სადაც მომზადებული ჰყავდათ ცხოველების გადასაყვანად განკუთვნილი მატარებლის ემელონები. ხელისუფლებას მღელვარების ეშინოდა, ამიტომ სწრაფად მოქმედებდა. რეპრესირებული ოჯახები სატვირთო მანქანებიდან ჩამოასხეს, ვაგონებში შეყარეს და კარები ჩაუკეტეს.

გათენებისას ავტოქარხნის ტერიტორიაზე ვაგონებთან რეპრესირებულ-

თა ნათესავებმა დაიწყეს თავმოყრა. გაოგნებული ადამიანები ცდილობდნენ, როგორმე დახმარებოდნენ თავიანთ ახლობლებს. „მოდიოდნენ ნათესავები და ერთი წივილ-კივილი იდგა. ვაგონები სავსე იყო... პირუტყვის ვაგონები. ნათესავებთან შეხვედრის საშუალება არ მოგვეცეს. ერთადერთი საფიჩხიელი კაცი იყო, გრიშა ქარქაშაძე, ღმერთმა აცხონოს, მამაჩემის მეგობარი, ერთად მუშაობდნენ... ამბავი რომ გაუგია, ორ შალის „ადიელაში“ შეუხვევია ძეხვეული, პური და ვაგონში შემოგვივლო“. – იგონებს ქალბატონი ნარგიზა.

ემელონები მალე დაიძრა შუა აზიისაკენ.

შავლაძეების სახლსა და ქონებას კონტისკაცია გაუკეთეს. ბებია კაროლინა გადასახლებას გადაურჩა. ის სახლის ერთ ოთახში შეასახლეს, საცხოვრებლის დანარჩენი ნაწილი კი თბილისიდან ჩამოსულ შინსახკომის ხელმძღვანელ პირს გადასცეს. გაჭირვებაში მყოფი ბებია თავის ავეჯსა და ნივთებს კაპიკებად ჰყიდდა თავის მეგობრებზე.

გზა შუა აზიისკენ

ხალხით სავსე პირუტყვის ემელონები ორი კვირის განმავლობაში მიიკვლევდა გზას ყაზახეთისაკენ. ვაგონებში აუტანელი სუნი იდგა, არ იყო გათბობა და ელემენტარული პირობები. ბავშვები წუხდებოდნენ შიმშილისა და სიცივისაგან. დედის მიერ მომარაგებული წამლები და სამედიცინო გამოცდილება არ მარტო შავლაძეების ოჯახს, არამედ სხვა მგზავრებსაც გამოადგათ. „დედა ძლიერი ქალი იყო, მან გვაცოცხლა ჩვენ გადასახლებაში, თორემ რა ბედი გვეწყოდა არავინ იცის“. – ამბობს ნარგიზა შავლაძე-ღვინევაძე.

ადამიანები უჰაერობისაგან იხრჩობოდნენ. დასაძინებლად მხოლოდ ერთი თარო იყო, დანარჩენებს ცივ იატაკზე ეძინათ. არ იყო ტუალეტი: მამაკაცებმა ერთ კუთხეში ამოჭრეს და ფარდა ჩამოათარეს. ვაგონები იშვიათად ჩერდებოდა, მაგალითად ურალში, პერმში, თუმცა ვაგონებიდან ჩამოსვლის უფლებას არ აძლევდნენ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ვაგონის დაცვა გზადაგზა ბალანდას ან რაიმე სალაფავს შემოუდგამდა რეპრესირებულებს.

ურალში გაჩერების დროს ასეთი ამბავი მოხდა: რეპრესირებულთა ვაგონში შავლაძეების ოჯახთან ერთად ქუთაისელი ჟორა კოჩივარი იყო მეუღლე თამართან და ორ შვილთან ერთად. ვაგონის დაცვამ თამარს ვაგონიდან ჩასვლის უფლება მისცა, თუმცა ვაგონი დაიძრა და საწყალი ქალისათვის ყურადღება აღარავის მიუქცევია. დედის დაკარგვით შემინე-

ბული ბავშვები ხმამაღლა აცირდნენ. ციალ, უკაცრიელ ადგილზე დარჩენილი ადამიანი ნადირის ლუკმად იყო განწირული. ვალოდია შავლაძემ ვაგონის კარი გააღო და ქალის საშველად გადახტა. მოგვიანებით ვლადიმერი მის მიერ გადარჩენილ ქალთან ერთად ერთ-ერთ სადგურში სხვა მატარებლით დააწიეს თავის ეშელონს.

ორი კვირის შემდეგ ეშელონები ყაზახეთში ჩავიდნენ.

გადასახლებაში

სამხრეთ ყაზახეთში ჩასვლის შემდეგ დაიწყეს რეპრესირებული ოჯახების ხუტორებში განაწილება. ნარგიზა შავლაძის ოჯახი ერთ-ერთ ყაზახურ სოფელში აღმოჩნდა, რომელსაც პახტარალი ერქვა. ადგილობრივი ყაზახური მოსახლეობა, რომელიც საბჭოთა პროპაგანდის მიერ მცდარად იყო ინფორმირებული, გადმოსახლებულებს დამნაშავეებად თვლიდა და სიძულვილით უყურებდა. შავლაძის ოჯახი სამ სხვა ოჯახთან ერთად (მათ შორის ზოგიერთი მცირეწლოვანი ბავშვებით იყო) პატარა მიწურ ქოხში, ერთ ოთახში შეასახლეს, სადაც აუტანელ პირობებში უწევდათ ცხოვრება. ხუტორში უზარმაზარი პრობლემა იყო წყლის დეფიციტი. ადამიანები არხის ბინძური წყლით იკლავდნენ წყურვილს, რის გამოც ბევრი დაავადდა.

ხელისუფლება რეპრესირებულების დასაქმებაზე არ ზრუნავდა, სამუშაო თავად უნდა ეძებნათ. უმეტესობამ სამუშაო ბამბის პლანტაციაში გამონახა. ადამიანები აუტანელი სიციხეებით იტანჯებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ქართველებმა ბამბის პლანტაციაში გასვლაზე უარი თქვეს. ისინი უწყლობასთან ერთად შიმშილისათვისაც იყვნენ განწირულები.

გაუსაძლის პირობებში ცხოვრებას სამშობლოსა და საყვარელი ადამიანების მონატრებით გამოჩვეული სევდა ემატებოდა. საქართველოში დარჩენილი ნათესავები დღედაღამ ციროდნენ. ხუტორში ცხოვრებისას ნარგიზას ოჯახს საქართველოდან ბაბუა ესტუმრა: ისიღორე მეზურიშვილი ვანის რაიონში სოფელ სალომინაოში რუსული ენის მასწავლებლად მუშაობდა და მთელ რაიონში პატივცემულ ადამიანად ითვლებოდა. ბაბუამ რეპრესირებულებს უხვად ჩამოუტანა ქართული საჭმელები. „როგორ ჩამოხვედი“?! – ჰკითხა ნარგიზამ ბაბუას. „Через Каспийское море“. – რუსულად უპასუხა პაპამ ქართველებთან საუბარს მონატრებულ ნარგიზას. ოჯახის წევრები უზომოდ გახარებულნი იყვნენ ერთმანეთთან შეხვედრით. ნარგიზას მშობლებმა საქართველოდან ჩამოტანილი კერძები ყველაფერ მშობლიურს მონატრებულ ქართულ ოჯახებს გაუნაწილეს.

„ცოცხალი ხნის შემდეგ ბებიაც გვესტუმრა. სალომინაოდან. საკანდელიძის

თავმომწონე ქალი იყო, მაგრამ რუსული არ იცოდა. შეუფუთიათ კარგად დეიდას და ბიძაჩემს და რუსულის მცოდნე ადამიანებისათვის გამოუყოლებიათ...“ სტუმრები ერთი-ორი დღის განმავლობაში ჩერდებოდნენ, შემდეგ უკან უნდა გაბრუნებულიყვნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ ვლადიმერ შავლაძემ მოახერხა სოფლიდან მახლობლად მდებარე დაბაში, ილიჩოვკაში (ილიჩოვკა ლენინის საპატივცემულოდ ერქვა) გადასვლა, სადაც დედამ ექთნის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. ადგილობრივ საზოგადოებაში განათლების დონე დაბალი იყო და კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდიდნენ. ნარგიზა ილიჩოვკაში მდებარე სკოლაში შეიყვანეს. საქართველოდან რეპრესირებულებს ადგილზე მრავლად დახვდათ სხვა ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ასევე რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ, კერძოდ: გერმანელები, ფინელები, პოლონელები, ბერძნები და სხვა.

ილიჩოვკას გარშემო ხელისუფლებას სამკილომეტრიანი შებენიანი შტაბი დააარსეს და დაქვემდებარებული, რეპრესირებულები აღნიშნულ ზონას არ უნდა გასცილებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება უფლებას იცავდა, აკრძალვის დამრღვევები ადგილზევე დაეხვრიტა.

ვლადიმერ შავლაძემ მალე გამოიხატა საერთო სხვა ეროვნების რეპრესირებულებთან. ქალაქში ე. წ. Стройотдел იყო. აქ სახერხში დასაქმებულნი იყვნენ პოლონელები, გერმანელები, ფინელები და სხვა ეროვნების ხალხი. მათ სახერხის წინ ვალოდია შავლაძეს ორი ოთახი გამოუყვეს და მაღაზიის მოწყობაში დაეხმარნენ. ერთი ოთახი საცხოვრებლად გამოდგებოდა, ხოლო მეორეში ოჯახმა პროდუქტების მაღაზია გამართა. მართალია, საცხოვრებელში მცირეწლოვანი ბავშვებისათვის საკმაოდ მძიმე პირობები იყო, თუმცა ცალკე ცხოვრების შესაძლებლობა ოჯახისათვის მაინც დიდი შვება იყო. „ოროთახიანი, მიწაზე დადგმული შენობა იყო... დასაძინებლად ორი Топчанка გვედგა... არ დავძებდით, ოღონდ ჩვენთვის ვყოფილიყავით. სახერხში დასაქმებული გერმანელები, ბერძნები, ფინელები დიდ დახმარებას გვიწვედნენ და მათი შემწეობით ყველაფერი შევძელით“ – იგონებს ნარგიზა შავლაძე-ღვინეთაძე. დედა ცხენშებმულ ფორანზე დაჯდებოდა მოხუც თათართან ერთად და ბაზრისაკენ გასწევდა მაღაზიის პროდუქტებით მოსამარაგებლად. შემდეგ კი ადგილზე ჰყიდდნენ. გარდა ამისა, დედამ პიონერთა ბანაკში დაიწყო მუშაობა, სადაც როგორც ექთნის, ასევე ექიმის მოვალეობასაც ასრულებდა, ხანდახან სტომატოლოგის როლსაც ითავსებდა.

ყაზახებს და ქართველებს ერთმანეთთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ. ჩვეულებრივ, ადგილობრივი მოსახლეობა ქართველებთან ურთიერ-

თობას თავს არიდებდა. სკოლასა და ბანაკში ყოფნის დროს ქართველ ბავშვებს ძალაუნებურად მაინც უწევდათ ყაზახ ბავშვებთან ურთიერთობა და ცალკეულ შემთხვევაში საერთო ენასაც ნახულობდნენ. ნარგიზა შავლაძის თქმით, ქართველებსა და ყაზახებს შორის ხშირად იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა, ბერძნები აქტიურად იცავდნენ ქართველებს, საქმე ხშირად დანების ტრიალამდეც მიდიოდა. ბერძნები უფრო ადრე, ქართველებზე ბევრად ადრე იყვნენ გადასახლებულები და სიტუაციას კარგად იცნობდნენ.

სკოლა ილიჩოვკაში იყო, მასწავლებლები ძირითადად რეპრესირებული ადამიანები იყვნენ. თუმცა სკოლაში საქართველოდან რეპრესირებული შვილები ნაკლებად სწავლობდნენ. ნარგიზაც ოჯახის აქტიური მცდელობის შემდეგ მოხვდა. სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მასწავლებლებთან ურთიერთობის დახმარებით პატარა გოგონამ ყაზახური, გერმანული, რუსული ენები შეისწავლა. ყაზახური ენის შესწავლას განსაკუთრებულად სთხოვდნენ, თუმცა დასვენებაზე ყველა მოსწავლე თავის ენაზე ლაპარაკობდა. ნარგიზა აქტიური მოსწავლე იყო, სკოლის დასრულების შემდეგ გოგონა ოჯახს ეხმარებოდა: დღის მეორე ნახევარს ძირითადად მაღაზიაში ატარებდა. მაღაზიაში ხშირად მოდიოდნენ ქართველები, თხოულობდნენ პურს, თევზს. მამა ნარგიზას ავალებდა, რომ უარი არავისთვის ეთქვა და ხელცარიელი არავინ გაეშვა. საქართველოდან გადასახლებულები შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ჟორა კოჩივარმა, რომელიც წყლის გადასახადის ამკრეფად მუშაობდა, არ დაივიწყა ვლადიმერის სიკეთე და შავლაძეების ოჯახს წყლის გადასახადს არ ახდევინებდა.

დაბაში ყველაფერი ჭირდა, არ იშოვებოდა ტანისამოსი, აუცილებელი ნივთები, დღესასწაულების აღნიშვნის არც შესაძლებლობა ჰქონდათ და არც ხალისი. გაჭირვებაში გვერდით ედგნენ ერთმანეთს, როცა ვინმე გარდაიცვლებოდა, საერთო ხარჯით აკეთებდნენ ქეღებს. „ერთი ინანიშივილი იყო, გადასახლებაში გარდაიცვალა, ღია ცის ქვეშ გავაკეთეთ მისი გასვენება...“ – იგონებს ქალბატონი ნარგიზა.

ნარგიზა ცდილობდა, ოჯახს გამოსავლის პოვნაში დახმარებოდა. პატარა გოგონამ კრემლს წერილი მისწერა: ადრესატი საბჭოეთის ბელადი იყო, იოსებ სტალინი. გოგონა ბელადს აცუბინებდა, რომ თავის დასთან ერთად გადასახლებაში, ყაზახეთში მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება და სთხოვდა, როგორც მცირეწლოვნები, გადასახლებიდან გაეთავისუფლებინათ: „ჩვენ ვართ მცირეწლოვნები – მე და ჩემი სამი წლის და. საქართველოში ბებია და ბაბუა გვყავს. ისინი გაგვზრდიან. გთხოვთ გავვათავისუფლოთ გადასახლებისაგან“. კრემლიდან მშრალი პასუხი მოვიდა,

გიორგი მალენკოვის სახელით: „Ваше выселение справедливое“. ოჯახი იძულებული იყო, რთულ ყოველდღიურ ყოფას გამკლავებოდა.

დაბრუნება

1953 წლის მარტში სტალინი გარდაიცვალა, მრავალტანჯული ადამიანები ბელადის სიკვდილს გულგრილად შეხვდნენ. „ისე ვიყავით გამწარებულიები, არც სტალინისა გვწამდა...“ – იგონებს ნარგიზა შავლაძე-ღვინეფაძე.

1953 წელს (ნარგიზა შავლაძეს ზუსტი თარიღი არ ახსოვს) მამა კომუნდატურაში დაიბარეს. ახალი უსიამოვნო ამბების მოლოდინის შიშით ოჯახი კანკალებდა. კომუნდატურაში მამას აცნობეს, რომ უდანაშაულოდ ცნეს და უფლება ჰქონდა, ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნებულიყო. სხვა რეპრესირებული ოჯახები დაძაბულნი ელოდნენ გათავისუფლების ცნობას. ეტაპობრივად სხვებიც გამოიძახეს.

გადასახლებულები შეკრიბეს და შუა აზიიდან კვლავ მატარებლის ვაგონებით გამოამგზავრეს საქართველოში. „აქედან ცხენის ვაგონები იყო, საშინელი სუნი იდგა, იქედან – ცოცა სუფთა ვაგონები. მუსიკა უკრავდა. რა გვემუხიკებოდა ყაზახეთში გადასახლებულთ... გენერალი მოვიდა და დიდი ამბით გამოგვიცხადა, რომ გათავისუფლებულები ვიყავით...“

უკან დაბრუნებისას ეშელონები ტაშკენტში გაჩერდა. გადასახლებულებს ვაგონიდან ჩამოსვლისა და ქალაქში გავლა-გამოვლის საშუალება მისცეს.

სახლში დაბრუნების შემდეგ ქონების ნაწილი გაყიდული დახვდათ. ბებია შიმშილით კვდებოდა, ავეჯს მეზობლებზე ჰყიდდა და თავს ამით ირჩენდა. შავლაძეების ოჯახს თავისი ქონება დაუბრუნეს, სახლში შესახლებული შინსახკომის თანამშრომელი თავად გაერიდა სიტუაციას და წავიდა. უფრო მეტიც, ვლადიმერ შავლაძე კომისარიატში დაიბარეს და ომში გაწეული დამსახურებისათვის მედლები და ორდენები გადასცეს.

გადასახლებამ სამუდამოდ შეცვალა ნარგიზა შავლაძის ცხოვრება. ყოველწლიურად, 22 ივლისს სალორიას ტყეში დადის იმ ადამიანებისათვის პატივის მისაგებად, ვინც რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ფიქრობს, რომ ჩადენილი დანაშაული დაუსჯელი დარჩა. ბოროტებისათვის, რომელიც ათასობით და ათიათასობით ადამიანის წინააღმდეგ ჩაიდინეს, პასუხი არავის უგია, არავის აუღია ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა.

„ვინც ჩვენთან ერთად იყო გადასახლებული, ყველა საუკეთესო, განათლებული, გამორჩეული ხალხი იყო. ისეთ დღეში იყვნენ ჩავარდნილნი,

რომ ძველი ცხოვრებისა აღარაფერი ეტყობოდათ“. გადასახლებას ბევრმა ფიზიკურად ვერ გაუძლო. ფსიქოლოგიურმა და მორალურმა წნეხმა კი ადამიანების ცხოვრებას მძიმე დალი დაასვა.

„გადასახლებამ მძიმე კვალი დაამჩნია ჩემს ჯანმრთელობას... მრავალი ოპერაციის გაკეთება მომიხდა... მეორეს მხრივ, ჩემმა ოჯახმა გადასახლებაში დიდი გამოცდილება შეიძინა“, – ამბობს ნარგიზა შავლაძე-ღვინეფაძე და ცდილობს თავისი ოჯახის მძიმე ისტორიას განსხვავებული კუთხით შეხედოს: „ჩემ მეზობლად ერთი ადამიანი ცხოვრობდა, სიკვდილის წინ შვილებისათვის დაუბარებია: თუ რაიმე სირთულე შეგხვდეთ ცხოვრებაში, ნარგიზასთან მიდით და გამოსავალს გაპოვნინებთ... სხვადასხვა ხალხთან ვცხოვრობდი, სკოლაში ჩემ გვერდით ბერძენი, პოლონელი, გერმანელი ბავშვები იყვნენ... თავის გატანა ვისწავლე...“

ნარგიზა შავლაძის ოჯახის ისტორია ბრძოლის, მხნეობის, სახელმწიფო სისტემის ბოროტებასთან შეუგუებლობის მაგალითია. მრავალი განსაცდელის მიუხედავად, შავლაძეები არ შეგუებიან ბედს და გადარჩნენ. ტერორის ქვეშ მოხვედრილ ადამიანებს არ შეეძლოთ, თავიდან აერიდებინათ საკუთარი ხვედრი. დანაშაული, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების კისერზეა, ადამიანების ბედი არავის აინტერესებდა, მთავარი ძალაუფლების შენარჩუნება იყო, ნებისმიერ ფასად. შავლაძეებმა მოახერხეს, რომ რთული ცხოვრება საჭირო გამოცდილებად ექციათ და კვლავ დაიმკვიდრეს საზოგადოებაში ღირსეული ადგილი, ბევრმა ვერ გაუძლო ტერორის მანქანას და სახელმწიფო პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. 1951 წლის მოვლენების შესწავლა უდავოდ მნიშვნელოვანია, პირველ რიგში იმიტომ, რომ ვიცოდეთ ჩვენი უახლესი იტორია, თავისი სახელი დავარქვათ მომხდარ ამბებს, მეორეს მხრივ, უნდა გავითავისოთ ჩვენი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც დღემდე აწუხებთ უსამართლობის განცდა იმის გამო, რომ მათ მიერ გამოვლილი ტერორი სათანადოდ არ იქნა შესწავლილი და შეფასებული.

გამოყენებული მასალა:

ინტერვიუ ნარგიზა შავლაძე – ღვინეფაძესთან, განხორციელდა ესეს ავტორის მიერ, მენტორ-პედაგოგის დახმარებით.

ვ. გურული. მ. ვაჩნაძე. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე. გამომც. „არტანუჯი“, 2003.

შენიშვნა: ღვინეფაძე ნარგიზა შავლაძის მეუღლის გვარია.

II PLACE

Women behind History

by Mariam Bekauri

Teacher: Darejan Todua

School: Tbilisi Public School #10

The essay describes the life of the deported Georgian women in Kazakhstan. The author refers to the cruelty of the Soviet regime in the 1930s, when massive transfer of population was ordered by Joseph Stalin.

The main character, a lady called Liziko, is forced to leave her family and homeland behind. The new chapter of her life abroad begins in hard conditions. Sometimes in prison, sometimes homeless, but she never loses hope. In dreadful circumstances she has to exhibit her strong character, skills and ability to survive.

After 10 years in immigration, Liziko is able to return home and manages to find her family. She shows the letters, that were never sent to Georgia, tells of adventures abroad to her daughter and later to her grandchildren and great-grandchildren. During the years of repressions, the old lady uses her sewing skills learnt in immigration. She lost a lot during deportation but at the same time, gained useful experience.

II აღვილი

მარიამ ბექაური

მასწავლებელი: დარეჯან თოდუა
ქ. თბილისის მე-10 საჯარო სკოლა

ქალები ისტორიის მიღმა

მადლობა ნინო ისაკაძეს ემოციისთვის,
ერთი დაკარგული ისტორიის გაზიარებისთვის.

იმავე წელს (1934) მეორედ გაისმა კარზე კაკუნი.

ლიზიკოს უკვე გამზადებული და ჩალაგებული ჰქონდა ბარგი. ელოდა იმ მოგზაურობას, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა. არც ის იცოდა, საით წაიყვანდა, არც ის, რამდენ ხანს გასტანდა. თუმცა, შეიძლება, ამ ყველაფრის მიზეზები და მიზნები ორგანიზატორებსაც დავიწყებული ჰქონოდათ. უბრალოდ, ელოდებოდა, როდის მოაკითხავდნენ, როდის დააშორებდნენ ოჯახს და გააგზავნიდნენ იქ, საიდანაც ან დაბრუნდებოდა, ან – არა. ლოდინი მოუთმენლობაშიც კი გადადიოდა, რადგან რთულია, იცოდე, რომ რაღაც გარდაუვლად დაგაცდება თავს და ყოველი დღე შიშით მოლოდინში უნდა გაატარო.

ეს დღეც დადგა. ლიზიკო სხვა ქალებთან ერთად ქვანახშირის გადამზიდი მატარებლის ვაგონში შეიყვანეს. მატარებელი დაიძრა და დაიწყო თვეობით უგზო-უკვლო მოძრაობა, – მოძრაობა, რომელსაც მხოლოდ გრძნობ, მაგრამ ვერ ხედავ. ყველა გზა უხილავია იმისთვის, რომლის ბედსაც სხვა წყვეტს.

ვაგონის კედლები ნახშირისგან გამურულიყო და სუნთქვა ჭირდა. ამას ისიც ერთვოდა თან, რომ პატრა სივრცეში ოცდაათამდე ქალი იყო – რომ იცყვიან, „დასადგომი ადგილი არ იყო“. ერთ პოზაში ჯდომისა თუ დგომისგან ცკვილეები ეწყებოდათ. საჭმლად შავი პურის გამხმარ ნაჭერს აძლევდნენ, ხოლო წყლის დასალევად მატარებელი ტბასთან ჩერდებოდა. ქალები წყალთან ჩადიოდნენ და საკუთარი პეშვებით სვამდნენ. გზა კი არ მთავრდებოდა.

„პაციმარი“ ქალების უმეტესობა ღირსეული და გამოჩენილი ოჯახის შვილები იყვნენ, რომლებთან ოჯახის წევრებმაც ისეთი რამ ჩაიდინეს, რი-

თაც საფრთხე შეუქმნეს რეჟიმს ან არ დაემორჩილნენ მას. „ღამნაშავე“ მა-
ლევე ქრებოდა, შემდეგ კი მას მეუღლე მიჰყვებოდა. ახალ სამყაროში,
ახალი ცხოვრების დასაწყებად სხვადასხვა შეხედულებისა და ინტერესის
მქონე ქალებს ერთად მოეყარათ თავი. ზოგი მასწავლებელი იყო, ზოგი
– მსახიობი, ზოგი – მომღერალი. იყვნენ სუსტები, იყვნენ ძლიერებიც. იყ-
ვნენ ისეთებიც, რომლებიც იმ ყველაფრის მიუხედავად, ისევ რეჟიმისა და
ბელადის მომხრეებად თვლიდნენ თავს და იმას კი ვერ ხვდებოდნენ, რომ
მათ სიყვარულს არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სისცემა მხოლოდ
საკუთარი თავის ჩამოყალიბებასა და ფესვების უფრო ღრმა გადგმაზე
ფიქრობდა და რაიმე საფრთხე, თუნდაც ეს მინიმალური ყოფილიყო და
დიდი თაყვანისცემისგან წამოსული, შემჩნევისთანავე აღიკვეთებოდა და
ჩამდენი სასტიკად დაისჯებოდა.

ლიზიკოს მეუღლე, ანდრო კოპაძე, გაზეთ „კომუნისტში“ მუშობდა და
სისცემის დიდი მხარდამჭერიც იყო, თუმცა, მისი კარიერა და სიცოცხლეც
მაშინ დამთავრდა, როდესაც არ დაემორჩილა ბერიას ბრძანებას, ცილი
დაეწამებინა კონკრეტული ადამიანისთვის თავის სტაციაში... ანდრო წაიყ-
ვანეს და მალევე ლიზიკოსაც მოაკითხეს. ასე დასრულდა ოჯახის ერთ
დროს მშვიდობიანი ცხოვრება. თუმცა მათი სახლის კედლები ახალი „პერ-
სონაჟებისთვის“ უცხო არ აღმოჩნდა – ამასობაში, ლიზიკოს შვილებს,
ლამარასა და მის დას სახლის დატოვება მოუწიათ. მათი ოჯახი რუსი გე-
ნერლის ოჯახმა ჩაანაცვლა. გოგონების აღზრდა ბებიას დააწვა, ვისთან
ერთადაც ყოფილი სახლის სარდაფში ცხოვრობდნენ. იმ დროისათვის
ლამარა 8 წლის იყო. ბავშვები ხედავდნენ, როგორ ცხოვრობდა მათ ლა-
მამ სახლში სრულიად უცხო ხალხი, რომლებიც მათსავე ავეჯსა და ნივ-
თებს იყენებდნენ. თითქოს, არაფერი შეცვლილა, ადამიანების გარდა.

მატარებლის მგზავრები ფიზიკურ შრომას არ იყვნენ მიჩვეულნი, არც
ოდესმე უცხოვრიათ გაუსაძლის პირობებში, ამიტომ, რა გასაკვირია, რომ
მათთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა, როდესაც რამდენიმეთვიანი მგზავ-
რობის შემდეგ მატარებელი ყაზახეთში, კერძოდ ჯებკაზგანში გაჩერდა. აქ
მათ უკვე ფეხით მოუხდათ კილომეტრების გავლა, თოვლში, საკუთარი
ბარგით აკიდებულებს. ამის გადატანა ყველას არ შეეძლო, სიარულისას
ზოგიერთი მათგანი ეცემოდა და თოვლში ეფლობოდა. ზოგის წამოყენე-
ბასაც შეძლებდნენ ხოლმე, ზოგისა კი – ვერა. გზებიც იყოფოდა და ქაღე-
ბის ნაკადიც. ერთი ნაწილი სხვაგან, მეორე კიდევ სხვაგან. საბოლოოდ,
ლიზიკომ ყაზახეთის ქალების ციხემდე ჩააღწია.

ქალების ციხე – ეს ის ადგილი იყო, სადაც ნამდვილი მკვლევლები და
კრიმინალები იხდიდნენ სასჯელს. სწორედ აქ დატოვეს უდანაშაულო ქა-

ლები ლიბიკო აბზიანიძის ჩათვლით.

პაციმრები ახალჩამოსულებს კეთილგანწყობილად არ დახვდნენ. პირიქით, მათ მიიჩნევდნენ ნამდვილ დამნაშავეებად და ქვეყნის მოლაღატეებად. რამდენჯერმე მცდელობაც კი ჰქონდათ, საკუთარი ძალებით გასწორებოდნენ მათ.

ლიბიკო აბზიანიძის მოგონებებში ვაწყდებით მის ჩანაწერს მსგავსი შემთხვევის შესახებ: ქალები ჯგუფ-ჯგუფად გაყავდათ აბაზანაში, მეთვალყურეების თანხლებით. იმ დღეს, ლიბიკოს ბოლოს მოუწია შესვლა და მეთვალყურეებიც სხვა ქალებს აცილებდნენ საპაციმროებისაკენ. როგორც ჩანს, ყაზახეთის ციხის მკვიდრმა კრიმინალებმა დრო იხელთეს და მას თავს დაესხნენ. კარის შემტვრევის მცდელობით ცულებს ურტყამდნენ და სულ ცოცხაც და ალბათ, ლიბიკო მათ კლანჭებში მოექცეოდა. თუმცა, ბედზე მოუსწრეს მეთვალყურეებმა, რომლებიც რატომღაც უკან მობრუნებულყვნენ.

ასეთ პირობებში ლიბიკო თანდათან ეჩვეოდა ციხის სისასტიკესა და დაუწერელ კანონებს. ციხიდან ციხეში გადაჰყავდათ და ქალების გზებიც ისევ იყოფოდა. იცვლებოდა მათი ისტორიებიც. ერთ-ერთ საპაციმროში ყოფნისას კეთილისმსურველმა პაციმარმა ლიბიკოს ციხესთან და მის ბინადრებთან დაკავშირებით სასარგებლო რჩევა მისცა: თუ მას უნდოდა მათში პაცივისცემის გრძნობა გამოეწვია და საკუთარი საწოლიც ჰქონოდა, „უფროსი“ პაციმრისთვის შესვლისთანავე სიგარეტი უნდა შეეთავაზებინა. მართლაც, როდესაც ისევ გადაიყვანეს ახალ საპაციმროში, ლიბიკომ, რომელიც იმ დროისთვის თამბაქოს მომხმარებელი იყო, უფროსად მჯდარ დამნაშავეს (ყოველგვარი მინიშნებებისა თუ შეკითხვის გარეშე, ერთი შეხედვაც საკმარისი იყო გაგერკვია, ვინ „მართავდა“ იქაურობას) სიგარეტი შესთავაზა. იმ საღამოსვე განთავისუფლდა ლიბიკოსთვის საწოლი. თუმცა არც ეს აღმოჩნდა ხანგრძლივი სამყოფელი.

შემდეგი გაჩერება ციხე აღარ ყოფილა. რთულია, საერთოდ რაიმე სახელი შეურჩო იმ ადგილს, სადაც მიიყვანეს ლიბიკო სხვა ქალებთან ერთად. არათურის შუაგული. გაშლილი ტრამალი, სადაც ადამიანის ხელით შექმნილის კვალიც არ იყო.

– თქვენ აქ დარჩებით! – უთხრეს მათ.

– სახლი სად არის? – ინტერესით იკითხა ერთ-ერთმა ქალმა.

მეთვალყურემ ხელით მორეგზე ანიშნა და უთხრა, რომ სახლი თუ უნდოდათ, შეეძლოთ თვითონ ეზრუნათ ამაზე.

აქედან დაიწყო კიდევ ერთი გამაწამებელი შრომა. შიშველი ხელებით, ყველანაირი დახმარების გარეშე უნდა აეშენებინათ საკუთარი თავისთვის

საცხოვრებელი. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლოთ, ეს იყო, ამოეთხარათ დიდი ორმო და ხის მორები სახურავის ნაცვლად გადაეთარებინათ.

ლიბიკო პროფესიით ინჟინერი იყო და ეს საქმე თითქოს მისთვის შესაფერისი გამოდგა. შედეგმაც არ დააყოვნა: დიდი ორმო ხის სახურავით, რომელსაც უნდა გაეძლო ზაფხულის აუტანელი სიცხისთვისაც და ზამთრის ყინვისთვისაც. გაუსაძლისი შრომის დროს ქალებს ერთმანეთის გარდა არავინ ჰყავდათ. უზიარებდნენ ერთმანეთს მოგონებებს წარსული ცხოვრებიდან. იგონებდნენ თავიანთ შვილებს, ოჯახებს და ერთადერთი ნუგეშიც ეს იყო. წერილის მიწერაზე ფიქრიც კი სასაცილო იყო და ეს ყველასთვის ნათელი იყო.

ამის მიუხედავად, ისინი მაინც წერდნენ წერილებს შვილებს, დედებს, ვინ იცის იქნებ ერთ დღესაც, ოდესმე შესძლებოდათ მათი გაგზავნა და დიდი ხნის დაკარგული ოჯახის წევრების დამშვიდება, რომ ისინი ცოცხლები იყვნენ და ჯერ კიდევ შესწევდათ ძალა საარსებოდ. ქალებს შორის რეჟიმის მხარდამჭერებიც იყვნენ, თუმცა განსხვავებით დანარჩენებისგან, ისინი თვლიდნენ, რომ იმსახურებდნენ იქ ყოფნას, სადაც იყვნენ და იმ პირობებში ცხოვრებას, როგორც მაშინ დაუწესეს საცხოვრებლად. ისე იყვნენ დაბრმავებულნი, რომ საკუთარ თავებს მოიხსენიებდნენ დამნაშავედ – ამ ტრაგედიას დაუმსახურებლად არავინ ქმნიდა.

საშინელება იყო ჩვეულებრივ ცხოვრებას შეჩვეული ქალებისთვის იმ „სოროში“ ცხოვრება. სიცოცხლესთან შეუსაბამო კლიმატის პირობებმა შეარყია მათი ჯანმრთელობა. ნერვულ სისტემაზე მოქმედებდა და ანგრევდა ის ფაქტი, რომ სრულ სიბინძურეში უწევდათ ცხოვრება, მინიმალური ჰიგიენური ნორმების დაცვით.

უსასრულო ტრამალებში გამუდმებული ქარის ზუზუნი კი, თითქოს მათი გულების მეტად დასამძიმებლად, არასდროს არ უნდა ჩამდგარიყო. უფრო რეალურ ელფერს სძენდა იმ ყველაფერს, რისი გადატანაც მათ უწევდათ. ქარს, რა თქმა უნდა, ფართო და თავისუფალი გზა ჰქონდა, ნეგატიურად ემოქმედა გადასახლებული ქალების მენტალურ მდგომარეობაზე, რადგან, მართლაც რომ, არაფრის შუაგულში იმყოფებოდნენ. არც შენობა, არც ხე იყო გარშემო მის შესაკავებლად. ასეთ პირობებში ჰარაზიტებიც არ უშვებდნენ შანსს ხელიდან და მათ სხეულებზე იწყებდნენ დაბინავებას. გამუდმებული, გულსაკლავი შრომისგან, მათი ოდესღაც ნაზი და ქათქათა ხელები ჩამომხმარი და შეუხედავი გამხდარიყო.

ქალები და მამაკაცები ერთმანეთისგან იზოლირებულნი იყვნენ, თუმცა დროგამოშვებით მაინც უწევდათ ხანმოკლე შეხვედრა. ლიბიკო ლამაზი აღნაგობის ქალი იყო და თავდაცვის მიზნით ურჩიეს მოხუცივით მორთუ-

ლიყო, თვალი არავის დაედგა. ლიბიკოც ისე მოიქცა – სახე გაიმურა.

რეალურად, იქ მყოფი ყველა ახალგაზრდა ქალი კარგავდა თავის ახალგაზრდულობას და მოხუცს ემსგავსებოდა. შალის (ვისაც ჰქონდა) თავსაბურავებით თითქმის სრულიად იბურავდნენ სახეებს, რადგან ამ გზით უკეთ იცავდნენ თავს აუტანელი სიცივისგან.

ლიბიკო პროფესიით არქიტექტორი იყო და, შეიძლება ითქვას, რომ ამან იხსნა მისი სიცოცხლე. გადასახლებულ ქალებს თავიანთი პროფესიის მიხედვით ასაქმებდნენ, რაც უფრო გამოსადეგი იყო პროფესია, მით უფრო დიდი სარგებელი მოჰქონდა მისი მფლობელისთვის. იმ დროისათვის არქიტექტორი ქალი იშვიათი იყო და, რა გასაკვირია, რომ ლიბიკოსთვის მალევე გამოჩნდა ადგილი. როდესაც ხელში სახაზავი დააჭერინეს, სიხარულისგან უტირია, რადგან ეს იყო მისი უახლოესი ნივთი, გადმონამთი ძველი ცხოვრებიდან, რომელიც მას იმ დროს, იმ გადაკარგულ ადგილას შეიძლებოდა ჰქონოდა. სწორედ ასე დაიწყო საკუთარი პროფესიით მუშაობა გადასახლებულმა ქალმა, რომელიც ერთადერთ ნეტარებასა და იმედს ისევ თავის საქმეში პოულობდა. ეს საქმე მის იქაურ ყოფას მეტ აზრს სძენდა.

საქმის კეთება სულიერ მდგომარეობასთან ერთად მის ფიზიკურ არსებობასაც სულ ოდნავ ამსუბუქებდა. მშრომელ ქალებს ზოგჯერ საუზმეზე, პურთან ერთად კარაქსაც სთავაზობდნენ, რაც იმ დროსა და სიტუაციაში ფუფუნებას წარმოადგენდა.

დროთა განმავლობაში მან გარეშემომყოფთა კეთილგანწყობაც მოიპოვა, ვინაიდან მაქსიმალურად ცდილობდა, საკუთარი სახსრებით დახმარებოდა სხვებს. აქედან გამომდინარე, მას „დეიდა ლიბაც“ კი შეარქვეს – ქალი, რომელიც მუდამ მზად იყო საკუთარი გაედო, თუ ამით ვინმეს რაიმე სარგებელს მოუტანდა.

ის ტერიტორია, სადაც იმუამად „სამშობლოს მოღალატეების“ მეუღლეები იმყოფებოდნენ, დღვანდელი ქალაქი ჯეზკაზგანია. დღეს თუ იქ მოხვდებით, ცარიელი უდაბნოს ნაცვლად, ჩვეულებრივი ქალაქი დაგხვდებათ. დიდად სავარაუდოა, რომ ლიბიკოს დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქის განაშენიანებასა და დაგეგმარებაში. სავარაუდოდ, მასთან ერთად სხვა ქართველ ქალებსაც. შენობებზე ხშირად წააწყდებით ქართული სტილის ჩუქურთმებს. თუმცა მათი სახელები არსად არ არის ნახსენები.

ქალების უმრავლესობისთვის ეს ყოველივე უმნიშვნელო იყო. მათ უკვე გაუშვეს შანსი იმ ცხოვრების, რაც მათ ბედნიერებას მოუტანდა – ოჯახი, შვილები, საკუთარი სახლის კედლები, ნივთები – წარსულში დარჩა. აქ ცხოვრება კი იყო ის, რასაც ის ახალი სამყარო კარნახობდა და რასაც არა-

ნაირი საერთო არ ჰქონდა მათ რეალურ მიზნებთან, ვნებებთან და სურვილებთან. მათი ისტორიაც თუ დავიწყებას მიეცემოდა, დიდად არ ანაღვლებდათ. არადა, სწორედ ისინი არიან ისტორიის მთავარი პესრონაჟები, რომელთა სიმართლე მრავალი წლის განმავლობაში ისტორიის მიღმა დარჩა. მხოლოდ ამ სიმართლეს შეეძლო აეხილა თვალები მომავალი თაობებისთვის. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებზეც გადაიარა იმ წნეხმა, რაც სახლიდან მოწყვეტას, წამებას, წლების დაკარგვას, მონატრებასა და ყველა საშინელებას გულისხმობს.

ლიბიკო განაგრძობდა თავის საქმეს მუხლჩაუხრელად და ცხოვრებაც გრძელდებოდა. ასე განვლო 9 წელი: დაგეგმარება, შენება, დახმარება, ტკივილი, უანგაროდ მუშაობა ყველანაირი ანაზღაურების გარეშე. ლიბიკოს ეს შრომა რომ დაფასებოდა, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მან საკუთარი თავის რეალიზაცია მოახერხა, თუმცა ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ლიბიკოსგან გამოწურეს ის ყველაფერი, რაც მას თავის რეალურ ცხოვრებაში უნდა განეხორციელებინა საკუთარი თავისთვის, ან თუნდაც საყვარელი ადამიანებისთვის. ცხრა წლის შემდეგ ლიბიკოს უკვე შეეძლო სახლში დაბრუნება, თუმცა მაინც დარჩა კიდევ ერთი წელი, დაასრულა პროექტი, რომელზეც მუშაობდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა ნამდვილ სახლში.

საბოლოოდ, ლიბიკოს სახლში გამგზავრების დროც დადგა. იცოდა იმ ადგილას, რომელსაც სახლს უწოდებდა, არაფერი დარჩენოდა. არ იცოდა, სად იყო ის წერტილი, საიდანაც ახალი ცხოვრების ათვლა დაიწყებოდა, ამიტომ ჩემოდნით ის ნაჭრები გაიყოლა, რომელზეც უცხო მიწაზე ცხოვრების განმავლობაში ქარგავდა. ყაზახეთში დამზადებული საკერავი ქსოვილები ძვირად ფასობდა, მათ გაყიდვას შეეძლებდა და დაზოგილ თანხას გამოიყენებდა .

გზა სახლისკენ, რა თქმა უნდა, არ შემოკლებულა. მანძილი იგივე დარჩა, ტვირთი კი ბევრად მძიმე აღმოჩნდა. ლიბიკოს ეჩვენებოდა, რომ შინ დასაბრუნებლად უფრო დიდი დრო დასჭირდა. ლიბიკომ უკვე იცოდა, სად მიდიოდა. გზა გახდა ხილული და ამასთან ერთად, ბუნდოვანიც. დაუბრუნდე იმას, რაც ძალიან დიდი ხნის წინ დატოვე, უფრო რთულია, ვიდრე ის, როცა არც კი იცი, საით წავიყვანს გზა.

სად იქნებოდა მისი ადგილი იძულებითი ემიგრაციის შემდეგ? დახვდებოდა კი მას ისეთივე ოჯახი, სახლი, ნაცნობები, მეგობრები? ეს ყველაფერი დარდად აწვა გულზე, მაგრამ მაინც არ კარგავდა იმედს და განწყობას, რომ საბოლოოდ იმ ფესვებს უბრუნდებოდა, რომელსაც 10 წლის წინ მარტივად, ხელის ერთი მოსმით მოსწყვიტეს .

თბილისში დაბრუნებისას ცოცხალი ხანს პატარა ბინაში (თუკი შეიძლება, სარდატს ბინა ეწოდოს) ცხოვრობდა, სანამ საკუთარი ოჯახის ადგილმდებარეობას გაარკვევდა. ძველ სახლსაც ეწვია მანამდე, წარსული ცხოვრების უდიდეს გადმონაშთს. იქ უკვე სხვა ოჯახს დაედო ბინა, ლიბიკო მათ წინაშე სრულიად უძლური იყო, როგორც ის ასობით ქალი – რეჟიმის წინაშე. კარზე მაინც დააკაკუნა, თავისი სახლის კარზე დააკაკუნა. იცოდა, სახლში დედამისის ნაჩუქარი სანათი ეგულეობდა და მაინც შეჰხებდა ბინის ახალ პატრონებს მისი უკან დაბრუნება, იქნებ ღვთის ნებით, ამისათვის საკმარისად კეთილები აღმოჩნდნენო, თუმცა, ეს იმედიც მალე დაკრგა. და აი, ახლა მან უკვე იცოდა, რომ ძველი ცხოვრებიდან მხოლოდ ადამიანები შემორჩენილიყვნენ და არაფერი მატერიალური.

* * *

როდესაც კარზე დააკაკუნა, კარი ლამარამ გაუღო. შვილს იმდენი ხანი არ ენახა დედა, რომ ვერ იცნო. ლიბიკო მეორედ გახდა დედა. ლამარა უკვე 18 წლის იყო და ნათესავებთან ერთად ცხოვრობდა. მონატრებულ დედასთან უერთიერთობა არ გასჭირვებია. სახლში ხალხის სიმრავლის გამო დედა-შვილი პარკში მიდიოდა და ლიბიკო იქ უყვებოდა დაწვრილებით, როგორ განვლო ათი წელი მისგან შორს. აჩვენა ყველა ის წერილიც, რომელიც არასდროს გაგზავნილა შვილთან.

ლიბიკოს ძლიერმა პიროვნულმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ ყველაფრის მიუხედავად, რაც მან განვლო, მაინც ახერხებდა ფეხზე მყარად დგომას. ის იყო ოჯახის პოზიტივი, რომელიც ყველაფერს იმედის თვალით უყურებდა. რეჟიმმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო მასში არსებული ძლიერი ადამიანის დამარცხება. ლიბიკო თავად ამბობდა, რომ სამი ცხოვრება იცხოვრა: 1. იძულებით მიგრაციამდე 2. 10 წელი სახლიდან შორს, გადაკარგულ მიწაზე 3. სახლში დაბრუნების შემდეგ. იგი იყო ბებია, რომელიც შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს ძილისპირული ზღაპრების ნაცვლად უყვებოდა იმ ამბებს, რომელიც მას თავს გადახდა მათგან შორს, მარავეალი წლის წინათ. ეს ამბები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ბავშვებზე. როდესაც წლები მოემატათ და გააანალიზეს, რომ ყველაფერი ის, რასაც ბებია უყვებოდა, ზღაპრები კი არა, მათი წარსული იყო, სთხოვეს დღიურში ერთად მოეყარა თავი ამ ამბებისთვის. ასე შემორჩათ ლიბიკოს მოგონებები იმ საშინელ დღეებზე, რომლის წაკითხვა ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც შეძრავს ადამიანს.

საბედნიეროდ, სწორედ ლიბიკოსნაირი ადამიანებისა და მათ მიერ დაცოვებული უდიდეს განძის (მოგონებები, მემუარები, დოკუმენტები, დღი-

ურები, ფოტოები...) წყალობით შემონახულია ამბები თითქოსდა დაკარგულ ადამიანებზე, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათი ამბავი უმნიშვნელო იყო. ისინი ისე წავიდოდნენ ამ ქვეყნიდან, რომ მათი ამბავი ერთი ჩვეულებრივი ისტორია ეგონებოდათ – ერთი მტკივნეული, დაკარგული ისტორია ოდესღაც იძულებით გადასახლებული ქალისა.

ლიბიკომ დაბრუნების შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა და ყველა სხვა დანარჩენის მსგავსად, მასზეც გადაიარა იმ არანაკლებ საშინელმა წლებმა, რომლებიც მოჰყვა რეპრესიების პერიოდს. თუმცა, არაფერს უშინდებოდა. ოდესღაც, უცხო მიწაზე ცხოვრებისას, იქ ნასწავლი ხელობითაც ხშირად ირთობდა თავს, – უკრაინელმა ქალმა, რომელიც მასთან ერთად იყო გადასახლებული, ქალებს ულამაზსად ქარგვა ასწავლა, რაც ლიბიკომ მარტივად აითვისა და ულამაზესი ნაქარგები უსახსოვრა ოჯახს.

ნათელია, რომ დაკარგულმა წლებმა ლიბიკოს ბევრი რამ წაართვა, თუმცა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ბევრიც შესძინა.

III PLACE

„Smile, the Bird will Fly out!“

By Ana Levidze

Teacher: Zaira Tkabladze

Kutaisi Public School #7

In her essay about Ilo Khakhiashvili, the author, a photographer from Kutaisi, covers the migration topic, the process and outcomes of it. She reflects on the reasons that force people to leave their homeland and start searching a completely new area in the world. The essay describes the history of the Jewish emigration to Georgia and particularly, Kutaisi, their attitude towards the country and its culture. The main character, a Georgian Jew photographer is a good example of it.

Born in 1935, despite all difficulties, when massive Aliyah was taking place due to Soviet discrimination towards Jewish people, when lots of them experienced deportation to Siberia and execution, the photographer was able to maintain Jewish traditions considering Georgia as his motherland.

The author gathers stories and memories on the photographer. Although living in poor conditions, he had never asked money from Kutaisi citizens. Ilo had always worked hard and with the money, gathered by selling clothes from his relatives abroad, he used to purchase photo tapes and other equipment. Children loved his friendly character and his catchy phrase “smile, the bird will fly out!” stayed in the hearts of his fellow citizens.

Today when visiting Kutaisi and walking along the boulevard, Ilo photographer’s favorite place, one can spot the statue of the artist initiated by his friend, painter Merab Kajaia, known as Picasso.

III ადგილი

ანა ლევიძა

მასწავლებელი: ზაირა ტყაბლაძე
სსიპ ქ. ქუთაისის N7 საჯარო სკოლა

„გაიღიმე, ჩიტი გამოფრინდება!“

სავარდო და სამაისო ქუთაისის ქუჩებში მივსეირნობდი და... უფრო ზუსტად რომ ვთქვა, სახლში მიმეჩქარებოდა, მაგრამ ვინაიდან ეს პროცესი ნაცნობ, მეტად სასიამოვნო გრძნობას მანიჭებდა, შემოძლია, სეირნობა ვუწოდო. მივსეირნობდი და ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა მეჩუქებინა ჩემი დისტოვის მეოცე დაბადების დღეზე. ავიარე წერეთლის ქუჩა და გადავჭერი რუსთაველის გამზირი. თან ჩქარი ნაბიჯებით მივუყვებოდი ე. წ. „ბალის კიდეს“, თან ვათვალიერებდი მრავალწლოვან ხეებს, რომლებიც ფოთლების შრიალით მესალმებოდნენ, მივსეირნობდი. ბულვარი უკან ჩამოვიტოვე, გზას ვავრძელებდი და ვიხსენებდი ბებიის სიტყვებს, ჩვენი უკანასკნელი სეირნობისას რომ მითხრა: „ბებო, ასეთი ბალი მსოფლიოში არსად არ არისო“. რა თქმა უნდა, შევეკამათე და ჩამოვუთვალე უნიკალური და იშვიათი ადგილები, რომელთა ნახვაც ოცნებად მქონდა ქცეული. იწყინა, ნათქვამს რომ ვერ მივუხვდი, ხმა აღარ გამცა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და მკითხა: „შენ გაგიგია, მაგ ლამაზ-ლამაზ ადგილებში ხეები ყველას იცნობდნენ და თავაზიანად ესალმებოდნენ“? სიცხლით ვუპასუხე, არ გამიგია-მეთქი, – არა და ვერც გაიგებო. ამ ფიქრებში ძვირფას მწვანე ბაზარს მივადექი, განსაკუთრებით რომ უყვარდა ბებიამე. უკვე გადამეწყვიტა, რას ვუყიდიდი ჩემს დას.

ქუთაისში ბაზარი ძალიან საინტერესო ადგილია. თუ ცოცხალი ხნით გაჩერდებით და გამყიდველების საუბარს ყურს დაუგდებთ, თავი ონლაინ-ენციკლოპედიის აუდიოვერსიაში გეგონებთ (არ ვიცი, ასეთი რამ საერთოდ თუ არსებობს), რომელიც არეულა და ერთდროულად გაწვდით ინფორმაციას სხვადასხვა საკითხის შესახებ. მყიდველებს შორის გზა გავიკვლიე, მცენარეებს მივადექი და თვალსიერება დავუწყე ღეროებს, ფოთლებს, ყვავილებს ...

– პირიქით, მაგათ აწყობთ იაფი მუშახელი. ეგ ჩვენებისთვისაა დიდი ფული, აქეთ რომ ავბავნიან, თორემ მაგათთვის არაფერია. – გასძახა ხი-

ლის გამყიდველმა ქალმა მწვანილის გამყიდველს.

- თურმე ჩვენები ოთხმოცდარვა ათასამდე ყოფილან ემიგრაციაში. ოთხმოცდარვა რა არი, მე მეტი მეგონა.

- მეტი? რამდენი, კი მარა?

- რა ვიცი, ბევრი. ვითომ ახლა უკან რომ დაბრუნდნენ სუყველა, ვერ იმუშავენ აქ? - სუნთქვა შევიკარი და პასუხს დაველოდე.

- კაი, თუ ღმერთი გწამს, აქ რა უნდა აკეთონ? ადამიანი იქით მიდის, საითაც უკეთესი ეგულება და აქეთ რაღაზე დაბრუნდება? - მოულოდნელად საუბარში შუახნის მამაკაცი ჩაერთო, რომელიც ხილს ყიდულობდა:

- ქალბატონო, ადამიანი გაჩენილია მოძრაობისთვის, მუდმივი განვითარებისა და წინსვლისთვის. მომთაბარე თურქები გაიხსენეთ, რისთვის დაიწყო თურქული ცომების მიგრაცია მეათე საუკუნეში? საძოვრებისთვის, რაც, რასაკვირველია, დადებით გავლენას იქონიებდა თურქების ცხოვრების დონეზე. როგორ ეტყვი ადამიანს, იქ უკეთესია, მაგრამ აქ დარჩიო?

- რა შუაშია აქ თურქები, ბატონო? ქართველებზე ვლავარაკობთ ჩვენ. ამ უკეთესს რატომ შენს ქვეყანაში არ გააკეთებ, ოჯახამენებულო?! შენც გაიხარე და სხვაც გაახარე.

- რა გნებაეთ, გოგონა? - მომაქცია ყურადღება ყვავილების გამყიდველმა. ვუთხარი, რაც მნებავდა, გადავიხადე ფული და წამოვედი.

მივდიოდი სახლისაკენ და ვფიქრობდი იმ კაცის ნათქვამზე. თურქებმა მიგრაცია იმიტომ დაიწყეს, უკეთესი ცხოვრება უნდოდათ, საძოვრები არ ჰქონდათ. ნეტავ, სულ ეს არის მიგრაცია? ადამიანები ცოვებენ სამშობლოს, სახლ-კარს, მოყვარე-ახლობელს, რომ წავიდნენ და უცხო მიწაზე ეძიონ ამქვეყნიური სიკეთეები? მერედა, იქ რომ მიდიან, როგორ ხვდებიან, საიდან უნდა დაიწყონ ძებნა?

სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე ასე ვისწავლეთ: მიგრაცია ადამიანის გადაადგილება ან გადასახლებაა სხვადასხვა ვადით. მინიმუმ, რამდენიმე საათით, მაქსიმუმ - მთელი ცხოვრება და, ძირითადად, ქალაქის, ქვეყნის ან სხვა ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთაში გამოიხატებაო. რამდენიმე სახის მიგრაცია არსებობს: მუდმივი, როცა საცხოვრებელ ადგილს სამუდამოდ იცვლი, როგორც თურქი ცომები; დროებითი, როცა გადასახლება ხდება დიდი ხნით; სემონური, შიდა, გარე, ქანქარისებური, იძულებითი და ა.შ.

სახლში რომ დავბრუნდი, მეცადინეობა დავიწყე და ეს ამბავი აღარ გამხსენებია მანამ, სანამ ერთ მზიან დღეს რუსთაველის გამზირზე ტურისტების პატარა ჯგუფი არ შევნიშნე. ძეგლის წინ იდგნენ და ყურადღებით უსმენდნენ მთხრობელს, რომლის საუბარიც მათში ამკარად აღფრთოვანებას

იწვევდა. ვიცოდი, ვისი იყო ეს ძეგლი – ილო ფოტოგრაფის. ხშირად გამიგონია მისი სახელი ოჯახური ალბომების თვალიერებისას, სტუმრადაც და სახლშიც. „აი, ეს ილო ფოტოგრაფის გადაღებულია“, „გახსოვს, ილო ფოტოგრაფთან რომ გადავიღეთ“? მაგრამ... სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, რა იყო ამ ადამიანში ისეთი, რისთვისაც დაიმსახურა ეს ძეგლი, რომელიც გამვლელებს მომღიმარი მზერით აცილებდა და გიდი, რომელიც მის შესახებ ტურისტებს უყვებოდა.

სწორედ იმ ადგილას, სადაც ილოს ძეგლი დგას, ფოტოგრაფს ჰქონდა სახელოსნო, ფოტო-ატელიე. მისი გარდაცვალების შემდეგ აქ საზეიმოდ გაიხსნა პატარა მუზეუმი. გახსნას დიდი ქართველი მწერალი ოცია იოსელიანიც ესწრებოდა, რომლის სიტყვებით შეიძლება არაჩვეულებრივად აიხსნას, რატომ დაიკავა ამ ადამიანმა დიდი ადგილი ქუთაისის გულსა და მესიერებაში – „ილო იყო არაფერი და თან ყველაფერი“.

ილო ხახიაშვილი ქართველი ებრაელი იყო, რომელმაც მთელი ცხოვრება ქუთაისში გაატარა და აქვე აღესრულა. 1935 წლის 16 აგვისტოს დაიბადა იუველირი მამისა და დიასახლისი დედის მრავალშვილიან ოჯახში. მშობლები, მძიმე ღროების მიუხედავად, სიყვარულით ზრდიდნენ ხუთ გოგონასა და სამ ვაჟს.

14 წლის ასაკში დაინტერესდა ფოტოგრაფიით და მას შემდეგ ეს პროფესია მისი ცხოვრების მთავარ საქმიანობად იქცა. დილით ადრე დგებოდა, ხუთ-ექვს საათზე და სახელოსნოში მიმავალი გზად ქუთაისის ბულვარს, „ბალის კიდეს“ გადიოდა. ეს იყო მისი საყვარელი ადგილი, სადაც მას ხეებიც კი განსაკუთრებული სითბოთი ესალმებოდნენ.

მუშაობა უყვარდა და მისთვის, სხვა ებრაელებისგან განსხვავებით, შაბათ-კვირაც არ იყო უქმე. მისი ფოტოგრაფიული ხედვები განსაკუთრებული იყო. ხშირად იღებდა ბავშვების პორტრეტებს, რომელთაც გამოარჩევდა ილოს მხიარული და ინდივიდუალური მიდგომა. აპარატი, რომლითაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა, არაფრით ჰგავს თავის თანამედროვე, გაუმჯობესებულ მოდელს. უცნაური მოწყობილობა გრძელი ფეხებით, დიდი შავი ყუთით, შავი ფარდით, რომელშიც ფოტოგრაფს თავი უნდა შეეყო, აშინებდა და ატირებდა პატარებს. ამიტომ მან მოიფიქრა ფრაზა, რომელიც დღეს სენტენციად არის ქცეული: „გაიღიმე, ჩიტი გამოფრინდება!“. ამით ამშვიდებდა და აინტერესებდა ბავშვებს, ფოტოებზე კი აღბეჭდავდა მათ აცრემლებულ და ამავდროულად გაოცებულ, მომლოდინე სახეებს. პატარებთან ყოველთვის თბილი დამოკიდებულება ჰქონდა. ნებისმიერ დროს, როცა კი დაინახავდა ბავშვებთან ერთად მომავალ ნაცნობებს, ტკბილულით ეგებებოდა. ნაცნობი კი მრავლად ჰყავდა.

შეიძლება ითქვას, მთელი ქუთაისი მისი ახლობელი და მეგობარი იყო. ქუთაისელებს ფოტოებისათვის ფულს არასოდეს ართმევდა. ეს ყველამ იცოდა და ხშირად მისთვის ფულის ნაცვლად ერთი ბოთლი არაყი მოჰქონდათ. ხშირად სვამდა, თუმცა მარცო – არასდროს. ეს ალბათ შეუძლებელიც იყო, რადგან მის სახელოსნოში მუდამ ხალხი ირეოდა. მასთან მოდიოდნენ მდიდრები, ღარიბები, ცნობილები, უცნობები. ილოს სტუმრებისთვის მოკრძალებული სუფრაც მდიდრულ ნადიმად იქცეოდა, როცა იგი იწყებდა საუბარს. არ უყვარდა გრძელი სადღეგრძელოები. მოკლედ, ლაკონურად იცყოდა თავის სათქმელს და ლამაზად მოაყოლებდა ლექსებსა და გამონათქვამებს. ილოსთვის საყვარელი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე იყო, მხატვარი კი – ნიკო ფიროსმანი. სახელოსნოში შესვლისას პირველი, რასაც დაინახავდით, სწორედ ფიროსმანის ფოტო იყო. ებრაელები მუდამ გამოირჩეოდნენ ურთიერთდახმარებით. ტანსაცმელს, რომელსაც მას საზღვარგარეთიდან უგზავნიდნენ ახლობლები, ყიდდა და აღებული ფულით ფირებსა და საღებავის წამალს ყიდულობდა. ფიროსმანის ცხოვრებით ცხოვრობდა, ღარიბულად, მოკრძალებულად.

ილო ფოტოგრაფი დიდთან დიდი იყო და პატარასთან – პატარა. საბჭოთა კავშირში უცხო იყო თავისუფალი და მეგობრული დამოკიდებულება ბავშვებსა და მასწავლებლებს, მშობლებს, ზოგადად, უფროსებს შორის. ამიტომ ილოსთან ურთიერთობის მომენტი ყველა ბავშვისთვის განსაკუთრებული და ბედნიერი იყო. მათ შორის, ქუთაისელი მხატვრისთვის, მერაბ ქაჯაიასათვისაც. მას ქუთაისში პიკასოს ფსევდონიმით ვიცნობთ. პიკასო ილოს სახელოსნოსთან ახლოს ცხოვრობდა. ბავშვობაში დაწყებული მეგობრობა ფოტოგრაფთან მისი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. სწორედ პიკასო მესაუბრა ილო ხახიაშვილის ცხოვრებასა და ქუთაისზე, რომელიც თითქოს დაცარიელდა მისი გარდაცვალების შემდეგ. მან დადგა ილოს ძეგლი იქ, სადაც ხშირად თავად ფოტოგრაფი იდგა და გამვლელებს ღიმილით ესალმებოდა.

ილია ჭავჭავაძე ებრაელებზე წერდა: „არც ერთს ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდან გამოსხლიცა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაზნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე, ჩათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება“.

ერთ-ერთი უცხო ქვეყანა, სადაც ბედმა ებრაელები მოახვედრა, საქართველო იყო, რომლის არაქართული მოსახლეობიდან აქ ისინი ყველაზე ადრე, მთელი ოცდაექვსი საუკუნის წინათ დასახლდნენ.

საქართველოში მცხოვრებმა ებრაულმა მოსახლეობამ თავიდანვე ისწავლა ქართული ენა, აითვისა აქაური ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები. ისინი ზრუნავდნენ საქართველოზე, ისე, როგორც საკუთარ სამშობლოზე და ილო ფოტოგრაფიკ აშის მაგალითია.

ქუთაისში ებრაელები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი განსაკუთრებით გამრავლდნენ მეცხრამეტე საუკუნეში. 1817 წლის მონაცემებით ქუთაისში 57 ებრაული ოჯახი ცხოვრობდა, 1897 წლისთვის კი ეს რიცხვი 3464-მდე გაიზარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან გადმოსახლებული ოჯახების ხარჯზე.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, სიგყვის, ორგანიზების თავისუფლებამ ებრაელების ეკონომიკური მდგომარეობაც გააუმჯობესა, მაგრამ დამოუკიდებლობა დიდხანს არ გაგრძელდა და მას შემდეგ, რაც 1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ საქართველოს ანექსია მოახდინა, ორი ათასამდე ებრაელმა დატოვა ქვეყანა.

თავდაპირველად საბჭოთა კავშირმა ებრაელებს მისცა უფლება, შეენარჩუნებინათ რელიგიური ტრადიციები, თუმცა 1924 წლიდან ბოლშევიკურმა მთავრობამ დაწყო მათი ეკონომიკური შეზღუდვებით შევიწროება და დისკრიმინაცია. ანტირელიგიური პროპაგანდის ლომუნებით სალოცავები დახურეს, რაბინებს დევნა დაუწყეს, ზოგიერთი მათგანი დააპატიმრეს.

1930-იან წლებში ებრაელთა სიონისტური მოძრაობების ლიდერები ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა მეტად შეეწყოთ ხელი ალიისათვის, ანუ ებრაელების ისრაელში რეპატრიაციისთვის. საბჭოთა კავშირი მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა ამ მოძრაობებს, დევნიდა, აპატიმრებდა და სიკვდილით სჯიდა მის წევრებს.

ებრაელებისთვის ასეთ მძიმე ვითარებაში დაიბადა ქუთაისში ილო ფოტოგრაფი 1935 წელს. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა 1937-38 წლებში, როდესაც რაბინებს დაპატიმრებაც არ აკმარეს და ციმბირში გადაასახლეს. 1937 წლის სექტემბერში ცხინვალში ცხრა ხახამი დააკავეს და გასამართლების გარეშე დასაჯეს სიკვდილით.

მეორე მსოფლიო ომის დროს ათასობით ქართველი ებრაელი შევიდა წითელი არმიის რიგებში. ომის შემდეგ ხელისუფლებამ განაგრძო მათი დევნა, სინაგოგები დაიხურა. მიუხედავად მცდელობისა, საბჭოთა კავშირმა ვერ შეძლო, მთლიანად აღმოეფხვრა იუდაიზმის სწავლება და 1960-იანი და 70-იანი წლების ბოლოს აღმოჩნდა, რომ საქართველოში ებრაელების უმეტესობამ მოახერხა საკუთარი ტრადიციების დაცვა, მათ შორის, ილო ფოტოგრაფმაც, რომელმაც, გაჭირვებისა და ზეწოლის მიუხედავად,

შეძლო ეცხოვრა საქართველოში ისე, როგორც საკუთარ სამშობლოში.

1971 წელს ქუთაისში დაიწყო მასობრივი ალია. ებრაელების მიერ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დატოვებას დასავლეთის პრესაში საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა. „The Atlanta Journal“-ის ერთ-ერთ სტატიებში ჟურნალისტი თ. ელენი ქერეი წერდა: „თბილისი, სსრ კავშირი – ახალგაზრდა, განათლებული საბჭოთა ქართველი ებრაელები მასიურად ტოვებენ საბჭოთა კავშირს, ვინაიდან მზარდი ქართული ნაციონალიზმი ართმევს მათ მომავლის იმედს. ებრაელთა ასეთი მასობრივი გადინება საქართველოდან ერთგვარ გაოცებას იწვევს, რადგან საქართველო არის ერთადერთი საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც ებრაელებს მშვიდობიანად ეცხოვრებოდათ, რადგან განიცდიდნენ მინიმალურ შევიწროვებასა და დევნას. ქართველები ცრახხობენ, რომ მათი ქვეყანა ტოლერანტულია სხვა ერთა მიმართ და რომ საქართველოში ათწლეულების მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები...“. მოცემული საგაზეთო სტატიის მიხედვით, სიტუაცია საქართველოში, რომელშიც ებრაელები მე-20 საუკუნის ოციანი წლების შემდეგ ცხოვრობდნენ, „მინიმალურ შევიწროებად“ არის შეფასებული, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რა მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება მათ სხვა საბჭოურ ქვეყნებში.

ეს სტატია გადათარგმნეს და თანდართული კომენტარით გამოაქვეყნეს გაზეთში, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

ამ კომენტარის ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სტატიის ერთ მონაკვეთზე. ის წერს: „2000 წელზე მეტია, ებრაელები საქართველოში ცხოვრობენ. რამდენიმე ათეული წელია, მიემგზავრებიან ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, თან მიჰყვებათ საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარული, ეს ყველასთვის ცნობილია. წერილის ავტორი ებრაელთა დინებას საქართველოდან ქართული ნაციონალიზმის ზრდით ხსნის. ვერ დავეთანხმებით ჟურნალისტ თ. ელენი ქერეის, რადგან მიგვაჩნია, რომ ებრაელები გაურბიან საბჭოთა სისტემას და არა – საქართველოს. საბჭოთა კავშირიდან კი არა მარტო ებრაელები მიდიან, რადგან საბჭოთა კავშირში არც ქართველს, არც რუსს და არც ებრაელს არა აქვს მომავალი...“. მსგავსი სიტუაციის შესაბამისად, 1979 წლამდე ქუთაისი ებრაული მოსახლეობის თითქმის 60 %-მა დატოვა. ქალაქი დაიცალა. ებრაელები მიდიოდნენ ცხოვრების ახალი ფურცლიდან დასაწყებად, კიდევ ერთხელ, ამჯერად საბოლოოდ. თუმცა, რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც არ სურდათ ახალი ცხოვრება, სურდათ იქ დარჩენა, სადაც ათწლეულები გაატარეს. მათ შორის იყო ილოც. ხშირად

ეკითხებოდნენ მეგობრები ილო ფოტოგრაფს: შენ რატომ არ მიდიხარ ისრაელშიო, მან კი ერთხელ უპასუხა: „თქვენც წამოდით და წავალო“. დღეს მისი ოჯახის წევრების უმეტესობა ისრაელში ცხოვრობს, მისი და, ფრიდა ხახიაშვილი კი ქუთაისში, იმ სახლში, სადაც რვა დედმამიშვილი ერთად გაიზარდა.

საგარდო და სამაისო ქუთაისის ქუჩებში მივსერიწობდი და ვფიქრობდი, როგორი იქნებოდა ებრაელებისთვის ცხოვრება დღეს, არასოდეს რომ არ დაეცოვებინათ სამშობლო, არაფერ რომ არ ჩარეულიყო მათ ბედში. ავიარე წერეთლის ქუჩა და გადავჭერი რუსთაველის გამზირი. ნელი ნაბიჯით მივუყვებოდი „ბალის კიდეს“. საუკუნეების განმავლობაში რამდენჯერ მოუხდათ ებრაელებს საცხოვრებლის შეცვლა. მთელ მსოფლიოში დადიოდნენ და ეძებდნენ ადგილს, რომელსაც სახლი ერქმეოდა. ყოველ ჯერზე ცხოვრებას ნულიდან იწყებდნენ და ერთმანეთის თანადგომით უძლებდნენ მათ თავს დატყუებულ უბედურებებს. გაუძლეს ჰოლოკოსტს, დისკრიმინაციას, იმ ფაქტს, რომ ყველა ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ და მათ გამძლეობაზე დაშენდა თანამედროვე ისრაელის მომავალი. მძიმე იყო მათთვის მიგრაციასთან დაკავშირებული მოვლენები, მაგრამ შეიძლება ვიპოვოთ ამაში რაიმე დადებითიც. მაგალითად, ილოს ოჯახის ქუთაისში დასახლების შედეგად მან მეორე სამშობლო შეიძინა, რომელიც ყველაფერზე მეტად შეიყვარა...

კიდევ ერთხელ სიამოვნებით ვათვალიერებ ჩვენს მოშრიალე ხეებს და თვალწინ მიდგება ფოტოგრაფი, ჩემსავით რომ უყვარდა ისინი. ახლა იმასაც ვხვდები, რომ მართალი მითხრა ბებომ, მე არ გამიგია ისეთი ადგილი, სადაც ხეები ყველას იცნობენ და თავაზიანად ესალმებიან. ვერც გავიგებ, რადგან ეს აქ ხდება მხოლოდ, ქუთაისში. ორიოდ მეტრის მოშორებით სკამზე ორი ქალბატონი იჯდა. მივუახლოვდი და ვკითხე: „ილო ფოტოგრაფი ვინ იყო-მეთქი“. – „ოოო, დღესასწაული იყო ილო ფოტოგრაფიო. მას ყველგან სიტბო და სიხარული შემოჰქონდა და ყველა ოჯახში სასურველი სტუმარი იყო. „ზოგ ფოტოში მთლიანად გამოჩნდებოდი, ზოგშიც ნახევარი ან მესამედი, მაგრამ ეს არ იყო მთავარი, მთავარი ის იყო, რომ ილო ფოტოს გიღებდა“ – გაიღიმე, ჩიტი გამოფრინდება!

განაცხადის ვიზუალური მასალა [youtube-ზე](https://www.youtube.com/watch?v=o_8OOShOps0):
https://www.youtube.com/watch?v=o_8OOShOps0

III PLACE

Repatriated Meskhetians – The Way to Motherland is Free

By Tamar Chkhitunidze

Teacher: Marekhi Chikvaidze

School: Tbilisi Public School #45

The essay is about repatriation of Meskhetians to Georgia, their struggle being far away from home and difficulties integrating with the Georgian society upon return. It shows the author's interest towards them. She tries to find out history behind „Turkish Meskhetians“ or „Meskhetian Turks.“ The author decides to travel to Meskheti with her Meskhetian classmates for more clarity and meets with their family members telling interesting stories from the past. Going deep in history and digging out historical facts, she learns a lot in the process.

The epicenter of the stories is the year of 1944 when the Meskhetian Turks accused to be hostile to Soviet intentions were expelled from Georgia to Central Asia by Joseph Stalin. Deportation and then their repatriation to Georgia were connected with difficulties in adaptation. Mistrust, unfriendly attitude towards them and lack of knowledge were some of the major problems.

But there is a light at the end of the tunnel. Moreover, the author mentions how she finds a solution to establish friendly connections between two sides with organizing cultural activities and making them part of one equal community.

თამარ ჩიჭუნიძე

მასწავლებელი: მარეხი ჩიკვაიძე

სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლა

რეპატრირებული მესხები – სამშობლოსკენ მომავალი გზა თავისუფალია

1. კლასი გაკვეთილის დაწყებას ელოდა. უცბად ჩემმა თანაკლასელმა მეორეს გაბრაზებული ტონით მიმართა: „შე თურქო!“ დათო გამრა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, ტირილი დაიწყო და განაწყენებული თანაკლასელს უყვიროდა: „მე არ ვარ თურქი, მე ქართველი ვარ!“ ამ ფაქტმა ძალიან იმოქმედა, ყველა გაკვირვებულები ვუყურებდით ერთსაც და მეორესაც... დათო ხომ ქართველია, მართალია, უჭირს ქართულად საუბარი, მაგრამ ქართული გვარი აქვს, საუკეთესო მეგობარია. მაშ, რატომ „თურქი“? აღმოჩნდა, რომ მხოლოდ დათო არ არის ასეთ უხერხულ მდგომარეობაში. რუსლანსაც გული სტკივა, როცა „თურქს“ უწოდებენ. შემდეგ გავარკვიეთ, რომ დათო და რუსლანი წარმოშობით საქართველოს ულამაზესი კუთხიდან, მესხეთიდან არიან, თუმცა მამები შუა აზიიდან აზერბაიჯანში და აზერბაიჯანიდან საქართველოში ჩამოსულან და აქ ჩვენი სკოლის მახლობლად, გლდანის თემში დასახლებულან. მათ გარდა, ჩვენს სკოლაში იმ პერიოდში კიდევ 13 მესხი სწავლობდა. კითხვები აგვერია, დავიბენით... ჩემი ინტერესი მესხების შესახებ უფრო დიდი იყო, იმიტომ, რომ მეც მესხი ვარ, არ ვარ თურქი, არც მაჰმადიანი. ცოცხალი ვარამ გამეგო „თურქ მესხებზე“ ან „მესხეთელ თურქებზე“, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი სინამდვილეში, რატომ მოიხსენიებდნენ ასე და რა შუაში იყო ამ ყველაფერთან ჩემი მეგობარი დათო და რუსლანი? ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი, ჩემი და ჩემი მეგობრების გაერთიანება და მოგზაურობა მესხეთში, დათოსი და რუსლანის წინაპრების ისტორიის შესწავლა... ჩვენს ლექსიკონში გაჩნდა ახალი სიტყვები: რეპატრირებული მესხები, ემიგრაცია/მიგრაცია – ეს სიტყვები ჩემთვის ყოველთვის ასოცირდება „დაშორებასთან“, რაც უსიამოვნო შეგრძნებებს და ფიქრებს იწვევს. თუმცა ამ საკითხზე აქამდე არასოდეს სერიოზულად არ დავფიქრებულვარ... ჩაუჯექით წიგნებს... თურმე ყველაფერი 500 წლის წინ დაიწყო, როდესაც მესხეთი ოსმალეთმა და-

იპყრო, საქართველოს ჩამოაცილა, მოსახლეობა ძალით გაამაჰმადიანა და იქ ახალი საფაშო დააარსა. გავიდა ხანი, XIX ს-ში რუსეთის იმპერიამ ტერიტორიების ნაწილი თურქებს წაართვა და თბილისის გუბერნიას შემოუერთა. ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს ერთი ნაწილი საქართველოს სხვა ძირძველ ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის ფარგლებში აღმოჩნდა. მესხეთის დიდი ნაწილი კი – თურქეთის ფარგლებში დარჩა. რუსეთმა ყველა მუსლიმი მესხი თურქად გამოაცხადა და ხელი შეუწყო ამ ტერიტორიიდან მათ თურქეთში გადასახლებას. რელიგიის შეცვლის მიუხედავად, ქართველმა მაჰმადიანებმა შემოინახეს და წმინდად იცავდნენ თავიანთი წინაპრების ზნე-ჩვეულებებს. შემდგომ პერიოდში ვითარება იცვლებოდა. რუსეთის ადმინისტრაცია დიდად დაეხმარა თურქეთიდან ჩამოსულ მოლეებს და პოლიტიკურ ემისრებს მოსახლეობის გათურქებისა და ისლამში ჩაღრმავების საქმეში. ანატოლიიდან მესხეთში ჩასული მოლეები მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკსაც კი კრძალავდნენ.

თურმე XIX საუკუნის II ნახევრიდან საქართველოს თვალსაჩინო მოღვაწეები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ცდილობდნენ მესხთა შორის ქართული ენის, კულტურისა და თვითშეგნების აღორძინებას, მაგრამ ცარიზმის მხრიდან განსაკუთრებით შეუპოვარ და მტკიცე წინააღმდეგობებს წააწყდნენ. ვეცნობი ჩემი წინაპრების ისტორიას და თვალებს არ ვუჭერებ, რამდენ ქარცეცხლს გაუვლია მათ თავზე. 1921 წლიდან მესხეთის მუსლიმი ქართველების მდგომარეობა უფრო დამძიმდა. მუსლიმი მესხები თურქულენოვან ეროვნულ უმცირესობად გამოაცხადეს, ქართულის მაგივრად გახსნეს აზერბაიჯანული სკოლები, სადაც ჩასჩინებდნენ: „თქვენ თათრები ხართ, უნდა ისწავლოთ თქვენს მშობლიურ (თათრულ) ენაზე“. მათ ქართული გვარების ტარებას უკრძალავდნენ. გავოცდი, როცა წავიკითხე ახალციხეში მცხოვრები ჰამიდ შაჰალაძის მოგონება: „ახალციხეში სწავლისას, 1936 წელს, მასწავლებელმა ქალმა ჩემი გვარი მკითხა. ვუპასუხე – შაჰალაძე-მეთქი. მასწავლებელმა მკითხა – შაჰაშენს რა ჰქვიაო? ვუთხარი – თორომანი-მეთქი. მომიგო: „ჰოდა, დღეიდან შენ თორომანოვი იქნებიო“. ასე ვიქეცი შაჰალაძეთა გვარის კაცი თორომანოვად“.

დავინტერესდით ჩვენი მესხი მოსწავლეების გვარების ისტორიით და გამოვარკვიეთ, რომ, მაგალითად, რუსლან თინაძის შაჰას ერქვა ჰუსეინი, ამიტომ მათ მისცეს გვარი – ჰუსეინოვი. დედის ქართული გვარი არის ჩოლახიძე, მაგრამ შაჰის სახელის მიხედვით ჩაწერეს ბალშიევად. ამ ინფორმაციების გაცნობის შემდეგ მივხვდი, რომ მათი წინაპრების ისტორია არ შედგება სასიამოვნო მოგონებებისგან. მათ ესეც არ აკმარეს... 1944 წლის 15 ნოემბრის გამთენიისას სტალინის, ბერიასა და საბჭოთა კავშირის

სხვა ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში განხორციელდა მკაცრად გასაიდუმლოებული და მასშტაბური ოპერაცია: მესხეთის რამდენიმე ასეული სოფელი ერთ ღამეში დაცარიელდა. ათეულობით ათასი მაჰმადიანი მესხი, ხემშილები (მაჰმადიანი სომხები, თარაქამები (თურქმენები) და მაჰმადიანი ქურთები აჰყარეს თავისი სახლებიდან და შუა აზიაში – ყაზახეთში, უზბეკეთში და ყირგიზეთში გადაასახლეს. იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში მაჰმადიანი მესხები მოხსენიებული არიან, როგორც თურქული წარმომავლობისა და ეროვნების პირები. ტერმინები – „კავკასიელი თურქები“, „საბჭოთა თურქები“, „მესხეთელი თურქები“ და „თურქი მესხები“ საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მიერ, მოგვიანებით, 70-იან წლებში დამკვიდრდა. გადასახლების მიზეზები სხვადასხვაგვარი იყო. საბჭოთა მთავრობის აზრით, გარკვეული ეროვნების ადამიანები საომარი ოპერაციების დაწყების შემთხვევაში არასაიმედო ჯგუფებად მიიჩნეოდა. გამაჰმადიანებულ მესხთა ცხოვრებაში გადასახლებით ტანჯვა-წამების ახალი, უმძიმესი ეტაპი დაიწყო. დეპორტირებულები საქონლის გადასაზიდ ვაგონებში მოათავსეს და თითქმის ერთი თვე ამგზავრეს დანიშნულების ადგილებამდე. გზაში მრავალი მათგანი, ძირითადად, ბავშვები და მოხუცები, სიცვიისა და შიმშილისაგან იხოცებოდნენ. მატარებლების დაცვა ჭირისუფლებს აიძულებდა, ოჯახის გარდაცვლილი წევრები ვაგონებიდან გადაეყარათ. 18-დღიანი გაურკვევლობისა და ტანჯვის დასასრულს, შუა აზიაში ჩასულებს განუმარტეს, რომ ახალი საცხოვრებელი ადგილების დატოვების უფლება არ ჰქონდათ. „ხელთ სანთელით, სანთლის სახითა, დავალ ახით და ვახითა, ჩვენს მიწას, ჩვენს სახლს გაგვყარეს, დაგვადგინ იარაღითა“. – ასე იწყება მესხებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი – „უსამშობლონი“. გადასახლების ადგილზე ჩასული დეპორტირებულები პირველ წლებში უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ. ათასობით მათგანი გარდაიცვალა სიცვიის, შიმშილისა და ავადმყოფობისგან. დეპორტირებული მესხები ითვისებდნენ ახალ-ახალ მიწებს შუა აზიაში და ამუშავებდნენ ბრინჯისა თუ ბამბის პლანტაციებს. ალბათ, რა ძნელია სამშობლოსგან შორს ყოფნა, მით უმეტეს, როცა იცი, რომ ეს სისხლიანი, გამანადგურებელი რეჟიმის გამო ხდება. იქ, სამშობლოსგან შორს, წვიმაც კი სხვანაირია, სულ სხვა წვიმაა, რომლის ხმაურიც ქართულ სიმღერას არ ჰგავს, რომელსაც ის სიტბო არ მოაქვს, რაც საქართველოში. იქ ყველა წვიმის წვეთი რაღაცას ამბობს, ცკბილად ჩაგჩურჩულებს, თითქოს გულთან ახლოს მოსულა და სიყვარული და სიტბო მოაქვს. ის გათბობს და არ გასველებს, გაღვიძებს და თბილ ქვეყანაში მიმოტრენილ მერცხლების

ჭიკჭიკს გასმენინებს, ახალ ფიქრებსა და ახალ იმედებს გისახავს, სულში დაგუბებულ ტკივილს გიქარწყლებს და აცმის ყვავილების აფეთქებას გაცნობებს. გრძნობ ახლადგამოკვირებული ყვავილების თავბრუდამხვევ სურნელს, რომელსაც მოაქვს სიყვარული, თანაც ისე ძლიერი და ურყევი, რომ მასზე ვერაფერი ვერ მოქმედებს. ის მით უფრო ძლიერდება, როცა წყდები შენს სამშობლოს და მამულს. შეიძლება, გარემო შეიცვალოს, მაგრამ შენ არ შეიცვლები, შენი მონატრება, შენი ნოსტალგია არ შეიცვლება. თუნდაც გაიარე და უთხარი ვინმეს: „გამარჯობა“, ვერავინ ისე ვერ გიპასუხებს: „გაგიმარჯოს“, როგორც იმ დალოცვილ საქართველოში, რომელიც ღვთისმშობლის კალთის ქვეშ მოკალათებულა და მხოლოდ სიყვარულს, სიკეთეს, ურთიერთგაგებას, პატივისცემას, მორალს, ზნეობასა და შრომას ქადაგებს. ქადაგებს ყველა იმ თვისებას, რაც ქართველ კაცში დაბადებიდან ზის. ამიტომაც იყო, რომ მესხეთიდან თუ საქართველოდან იძულებით გადასახლებულმა ხალხმა თითქმის ყველა ბრძოლა და ომი გმირულად გადაიტანა. ვანა კი ცყუილად უთქვამთ: „თუ ქართველი ხარ, ცეცხლს შენობით ელაპარაკეო“! (მორის ფოცხიშვილი). ბევრჯერ უცდიათ უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს თავის სამყაროსთან და იმ უცხო ქვეყანასთან რაიმე კავშირის და საერთოს გამოძებნა, მაგრამ ამაოდ, იქ არავინ შემოგციცინებს ქართული თბილი თვალებით და არავინ გაგრძნობინებს თავს საკუთარ სახლში, როგორც ეს საქართველოში იციან, იქ არავინ აცირდება შენს გასაჭირზე და არავინ გაიხარებს შენ ლხინზე.

ყველაფერი შეიცვალა 1956 წელს, სტალინის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ. გაჩნდა ახალი იმედი, იმედი სამშობლოში დაბრუნებისა...

მესხები გათავისუფლდნენ კომენდანტის რეჟიმიდან. მათ შეეძლოთ, წასულიყვნენ სადაც კი უნდოდათ, მაგრამ არა – საქართველოში. ამ დროიდან იწყება ბრძოლა სამშობლოში დაბრუნებისთვის... ჩვენი ისტორიის მასწავლებელი ხშირად გვახსენებდა, რომ ჩემი თანაკლასელები, დათო და რუსლანი „რეპატრირებული მესხები“ არიან და რომ რეპატრიაცია გულისხმობს იმ პირთა დაბრუნებას მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებლის, ან წარმოშობის ადგილას, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. 1978 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მესხთა სამშობლოში დაბრუნების თაობაზე“. მესხების მცირე ნაწილმა საქართველოში მხოლოდ 70-80-იან წლებში მოახერხა დაბრუნება, უმეტესად აზერბაიჯანიდან, სადაც ნაწილობრივი თავისუფლების მიცემის შემდეგ, სამშობლოსთან სიახლოვის გამო სახლობდნენ. რეპატრირებულთა ეს ნაწილი, 20 ოჯახი, ოზურგეთისა და სამტრედიის რაიონებში ჩამოვიდა. ასე დაიწყო

მესხებისთვის ცხოვრების ახალი ფურცელი. დაბრუნდნენ საკუთარ მიწაზე დევნილის სტატუსით. მათ ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდათ, როგორ მიეღოთ რეპატრიანტის სტატუსი და საქართველოს მოქალაქეობა. ამის გარეშე კი ბევრი პრობლემა ექმნებოდათ: ეს იყო განათლების პრობლემა, ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემები და სხვა... ამას ემატებოდა ის, რომ უცხოეთიდან ახალდაბრუნებულებს ქართველი ხალხი მაინც ეჭვის თვალით უყურებდა, იყო უნდობლობა, არამეგობრული განწყობა, გაუცხოება. ქართული ენის არცოდნაც ბარიერს ქმნიდა.

გადავწყვიტე, ვსტუმრებოდი ჩემს მეგობარ დათოსა და რუსლანის ოჯახს და გავსაუბრებოდი. მათგან მომესმინა რეალური ამბები მათი წარსული და ახალი ცხოვრებიდან. დათო ცაცანიძემ მიაშბო, რომ მესხთა მცირე ნაწილი, მათ შორის, მისი ბაბუა ოჯახით (დათოს მამა მაშინ მცირეწლოვანი იყო) 1978-1979 წლებში ჩამოსულან და სამცრედიში, კოპიტნარში დასახლებულან. 80-იანი წლების ბოლოს გამოაცხადეს „საქართველო ქართველებისათვის“. მესხები ჩათვალეს, რომ ქართველები არ იყვნენ და ხელახლა დაატოვებინეს საქართველო. არადა, ზოგიერთს დაბადების მოწმობა უკვე საქართველოში ჰქონდა აღებული. ამის შემდეგ ცაცანიძეების საქართველოში ცხოვრების ახლი ფურცლიდან დაწყება 1993 წელს უკავშირდება, როცა საქართველოს მთავრობამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება მესხების მიმართ. რამდენიმე ოჯახი კიდევ დააბრუნა.

რუსლანის მამა საუკეთესო რესპონდენტი და კარგი ქართულით მოსაუბრე აღმოჩნდა. მიხვდა, როგორ მაინტერესებდა მათი ისტორია და გულწრფელად მიაშბო: „1944 წელს, როცა ჩემი დიდი ბაბუა გადაასახლეს უზბეკეთში, მამაჩემი 4 თვის იყო. სანამ სტალინი გარდაიცვლებოდა, კარანტინში ცხოვრობდნენ. ეს ნიშნავს, რომ ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლა არ შეეძლოთ. მდგომარეობა გაუსაძლისი იყო, მაგრეიალურ გაჭირვებას ემატებოდა ისიც, რომ ადგილობრივები „კავკასიიდან ვაგონებით ჩამოთრეულეებს“ გვეძახდნენ. 1989 წელს ფერლანში დატრიალებული ტრეგედია აღმოჩნდა საბაბი იმისა, რომ ხელახლა გადავესახლებინეთ რუსეთის ვორონეჟის ოლქში. იქიდან, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ბაბუაჩემის მეშვეობით მოვახერხეთ საქართველოში, გარდაბნის რაიონში ვახტანგისში დასახლება, ჩაწერის გარეშე. ამიტომ მალე აზერბაიჯანში გადაგვასახლეს, როგორც ლტოლვილები. ვცხოვრობდით ჯერ კარვებში, შემდეგ ვაგონებში, შემდეგ სოფლის სტანდარტულ ბინებში. როგორც ხედავთ, რამდენჯერმე მოგვიწია ცხოვრების ახლიდან დაწყება... მაშინ მე-7 კლასში ვიყავი და სკოლა აზერბაიჯანში დავამთავრე. 1993 წელს ხელმეორედ დავბრუნდით საქართველოში“.

1999 წელს საქართველო ევროსაბჭოში შევიდა და მაჰმადიანი მესხების სამშობლოში დაბრუნების ვალდებულება იკისრა. სპეციალურად მათთვის სახელმწიფოს ხელშეწყობით გაიხსნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეპატრაციის სამსახურთან არსებული ადაპტაციის ცენტრი, რომლის მიზანიც იყო რეპატრირებული მესხებისთვის მშობლიური ენის სწავლება. მათ მიიღეს განათლების უფლება საქართველოში. ვინც მოისურვა, დაამთავრა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, ზოგმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიციის აკადემია. დათოს და რუსლანის მამები რეპატრაციის სამსახურთან არსებულ ადაპტაციის ცენტრში სწავლობდნენ. შემდეგ დათოს მამა ექიმი გახდა. რუსლანის მამამ, რაჯამ პოლიციის აკადემიაში გააგრძელა სწავლა. მესხებისთვის სახელმწიფოს ნ ადგილი გამოუყვია უმაღლეს სასწავლებელში და ექვსი მესხი ჩაურაცხავთ. რუსლანის მამას ვკითხე, რაიმე უთანხმოება ხომ არ ჰქონდა თანატოლებთან, მიპასუხა: „თანაკურსელები „თათრებს“ და „თურქებს“ გვეძახებდნენ. ჩვენი ლექტორები უხსნიდნენ, რომ ჩვენ არ ვიყავით თურქები, ჩვენს ისტორიასაც ახსენებდნენ. კითხვები ჰქონდათ რელიგიის კუთხითაც, იმეორებდნენ: „ქართველი ქრისტიანი უნდა იყოსო“. ერთი სიტყვით, სახელმწიფომ მიგვიღო, მაგრამ საზოგადოებას გაუჭირდა ჩვენი მიღება. ენობრივი ბარიერი და რელიგიური განსხვავებულობა პრობლემას წარმოადგენდა ორივე მხარისთვის. ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენს ოჯახებს მეზობლებთან ნაკლებად გვექონდა ურთიერთობა. ჩვენდამი დამოკიდებულება დადებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1998 წელს მივიღეთ მოქალაქეობა და აღგვიდგინეს გვარები“.

ხომ გაგიგიათ, „ვინც ეძებს, ის პოულობსო“. აღმოჩნდა, რომ ადამიანი, რომელიც მუშაობდა ადაპტაციის ცენტრში და რეპატრირებულ მესხებს ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, ჩემს გვერდით, ჩემს სკოლაში მუშაობს. ის ჩვენი საყვარელი მამა (წირღვავა) მასწავლებელია. ის დათოს, რუსლანისა და ჩემი სკოლის სხვა რეპატრირებული მესხი მოსწავლეების მშობლების მასწავლებელი იყო ადაპტაციის ცენტრში და მათ ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ამ ადამიანებისგან დღესაც გრძნობს სითბოს და ყურადღებას. მამა მასწავლებელმა ბევრი რამ მიაშობ მათ შესახებ და მირჩია, წამეკითხა რეპატრირებული მესხის, იასონ ვარსკენლიძის წიგნი, „ჩვენი ფესვები მესხეთის მიწაშია“. იასონ ვარსკენლიძე ტერიტორიულად ჩვენი სკოლის ახლოს, რეპატრირებული მესხებისთვის განაწილებულ ბინაში ცხოვრობდა თურმე. მამა მასწავლებელი მას პირადად იცნობდა, აი, რა მიაშობ: „იასონ ვარსკენლიძეს შეხედავდით თუ არა, მიხვდებოდით, რომ ქართველი იყო. წარმოსადგეი მამაკაცი, ქართული

იერთ, ცისფერი თვალებით, თეთრი სახით, ქართული სულითა და შემართებით. საკუთარი სამშობლო ძალიან უყვარდა და ყველანაირად ცდილობდა, ხელი შეეწყო თავისი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნებისათვის. იასონმა მითხრა: „როცა ჩამოვედი, ყური დავადე ჩემს მიწას და მიწამ მითხრა: „ჩამოხვედი, შენ აქ, შენს სამშობლოში უნდა იცხოვრო“. მისი ქართული გარეგნობა ხელს უწყობდა, რომ მისდამი ნდობა ჰქონოდათ, ყველა უსმენდა და ბარიერი არსად არ ექმნებოდა“. მისი წიგნის წაკითხვისას მივხვდი, როგორი ნოსტალგია და სიყვარული ამოძრავებდა ამ ადამიანს. ის ჩავიდა თავის მშობლიურ სოფელ ტობაში – ახალციხის რაიონში და თურმე მისი მშობლების ასაკის ხალხს უცვნიათ, გულში ჩაუკრავთ. ის იხსნებდა, რომ ყველაფერი თვალწინ წარმოუდგა, გადაეშალა, როგორ თამაშობდა მეგობრებთან და როგორ ყვებოდა სააღდგომო ლექსებს თანაცოლებთან ერთად. იქ ადრე მაჰმდიანები და ქრისტიანები ერთად ცხოვრობდნენ და მეგობრობდნენ კიდევაც, სარწმუნოების გამო ერთმანეთს არ ასხვავებდნენ. გარდაცვალების წინ ანდერძი დაუტოვებია, სადაც მისი ორი ყველაზე დიდი ოცნება ეწერა: ერთი ოცნება იყო, რომ სოფელ ტობაში ვარსკნელიძეების საგვარეული ეკლესია აღედგინათ, მეორე ოცნება კი – დაეკრძალათ თავის მშობლიურ ტობაში, მის მეგობარი თანაკლასელის, ქრისტიანი შალიკოს გვერდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ოცნებები აუსრულებელი დარჩა. განვლილი წლების განმავლობაში დეპორტირებულთა მცირეოდენმა ნაწილმა შეძლო სამშობლოში დაბრუნება და ამჟამად ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში (გურიაში, იმერეთში, მესხეთში, შიდა ქართლსა და თბილისში) ცხოვრობს. მესხების საკითხზე მუშაობისას ძალიან დამეხმარა თსუ-ს კავკასიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლავრენტი ჯანიაშვილი. მასთან ინტერვიუ ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის. ბატონი ლავრენტი, დიდი ხანია, მუშაობს მესხების თემაზე. ვთხოვე მოეყოლა, თუ რატომ ვერ შეძლო მესხთა ნაწილმა საქართველოში დაბრუნება და რა პრობლემები შეექმნათ მათ, ვინც დაბრუნდა საქართველოში. ბატონმა ლავრენტიმ აგვიხსნა: „საბჭოთა რეჟიმმა იზრუნა, რომ უფსკრული დეპორტირებულებსა და საქართველოში დარჩენილთა შორის გაღრმავებულიყო, რათა მათი უკან დაბრუნების შანსები შემცირებულიყო. ამ მიზნით მოხერხებულად იყენებდნენ რელიგიურ ფაქტორს. ცრუ ხმებს ავრცელებდნენ მათ შესახებ. დეპორტირებულებში კი არსებობდა ჭორი, რომ საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში მათ იძულებით მონათლავენ ქრისტიანულად“.

სამშობლოში დაბრუნება, როგორც ვნახეთ, ნამდვილად არ აღმოჩნდა

ადვილი. კიდევ უფრო რთული აქ დამკვიდრება აღმოჩნდა. არადა, მესხები, იცით, როგორი ხალხია? გულთბილი, სტუმართმოყვარე, სითბოთი და სიხარულით სავსე. ესეს დასაწყისში დათოს ამბავი მოგიყვით. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, უფრო ზუსტად, 6 წელი გავიდა, და იცით, რა შეიცვალა ამ ექვსი წლის განმავლობაში? ვთვლი, რომ ჩვენ შევცვალეთ დათოს, რუსლანის, მათი და-ძმებისა და მათი მშობლების ცხოვრება. ამაში ძალიან დაგვეხმარა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა – „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“, ერთობლივად დაგვემილი აქტივობები მიმდინარეობდა არათუორმალურ გარემოში, გაკვეთილების შემდეგ. შევქმენით თეატრისა და კითხვის კლუბები, სადაც რეპატრირებული მესხი მოსწავლეების გარდა, მათი თანაკლასელები და მოხალისეები გაერთიანდნენ. ერთად ვამზადებდით სპექტაკლებს. თუ რეპატრირებული მესხები წინა წლებში თავიანთ გოგონებს არ აძლევდნენ სპექტაკლებში მონაწილეობის უფლებას, ახლა ჩვენი მესხი გოგონები ენთუზიაზმით ირგებდნენ როლებს და მშობლებიც სიამოვნებით ესწრებოდნენ სპექტაკლებს. კითხვის კლუბის მიზანი იყო, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის ზღაპრები და მოთხრობები წაგვეკითხა. მახსოვს, რამდენიმე დღე როგორ ვამეცადინებდით ჩვენს მესხ მეგობრებს კითხვაში და შემდეგ როგორი ენთუზიაზმით უკითხავდნენ ისინი პატარებს. მესხური სამზარეულოს სადამოც მოვაწყვეთ მათი ინიციატივით, სადაც გავეცანით მესხურ სამზარეულოს და მათმა დედებმა მასტერკლასიც კი ჩავვიტარეს მესხური სამზარეულოს გაცნობის მიზნით. ასეთი თანამშრომლობის პირობებში მათ გაუადვილდათ სახელმწიფო ენის სწავლა და დაახლოვდნენ თანატოლებთან, გაჩნდა ნდობა, საერთო ინტერესები. თანატოლებთან გაერთიანებამ შეამცირა მათ შორის ბარიერები. ამას არ დავჯერდით და ჩვენს მესხ მეგობრებთან ერთად შევისწავლეთ მათი ისტორია და სასკოლო ჟურნალად გამოვეცით. შარშან, როცა სასკოლო ჟურნალის, „წარსულიდან მომავალი მესხების“ გახსნაზე მოვიწვიეთ დავით ჯაფარიძე (1998-2005 წწ-ში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეპატრიაციის სახელმწიფო კომისიისა და რეპატრიაციის კანონპროექტის პირველი ვარიანტის შემუშავებელი ჯგუფის წევრი), მან აღნიშნა: „1998-2005 წწ-ში ვმუშაობდი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. რეპატრიაციის პრობლემებზე მსჯელობისას, ნებისმიერ დონეზე ყოველთვის მწვავედ იდგა რეპატრიანტ მესხთა ქართულ გარემოში ადაპტაციის პრობლემა. სახელმწიფო ინსტიტუტები უფროთხოდნენ მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციას სწორედ ამ სირთულის გამო, რაც გადაულახავი ჩანდა.

ახლა განვცვიფრდი, როდესაც თბილისის N45 საჯარო სკოლაში შევხვდი იმ მესხი ბიჭების შვილებს, რომელთაც ვკუთრივებიდით ოციოდე წლის წინ. თუ გული გულობს, თურმე შესაძლებელი ყოფილა მაჰმადიანი მესხების გაუცხოების დაძლევა, ადაპტაცია, სრულფასოვანი ჩაბმა ქართულ გარემოში. დავინახეთ, რომ თანაცხოვრებამ სასიკეთოდ წარმართა მათი და მათი შვილების მომავალი, დაიძლია ის პრობლემები, რაც ძნელად დასაძლევია გვეგონა“.

ის, რაც გიამბოვთ, რამდენიმე წლის დაუღალავი მცდელობის შედეგია. ორივე მხარე მონდომებით ვაგებდით ჩვენი მეგობრობის ხიდს. მიხარია, რომ დღეს ეს ადამიანები ადაპტირებულები არიან ქართულ საზოგადოებასთან. დათოსა და რუსლანის მომავალი გაინტერესებთ? ისინი დღეს პროფესიულ სასწავლებლებში სწავლობენ. დათოსთან სტუმრად მისულმა გავახსენე ექვსი წლის წინანდელი ამბავი და ვკითხე, დღეს რა სიტუაციაა მის გარშემო, მსგავსი პრობლემები თუ აქვს. რაზეც გაეცინა და მითხრა: „ძალიან მიყვარს ჩემი თანაკლასელები და ჩემი ახალი მეგობრები. დღეს ჩემ გარშემო არც ისმის საეჭვო კითხვები. მე ქართველი ვარ და ამაში ეჭვი არავის ეპარება“. რუსლანი რაგბის კლუბის, „ხვამლი“ მორაგბეა და ვამაყობთ მისი წარმატებებით. ხოლო დანარჩენი მესხებისთვის, ვისთვისაც ჯერ კიდევ არ დაწყებულა ცხოვრება ახალი ფურცლიდან, სამშობლოსკენ მომავალი გზა თავისუფალია.

IV PLACE

Ossetians Leaving Mountains

By Gvantsa Garishvili

Teacher: Gaga Koridze

School: Dusheti Municipality Village Lamovani

„I was dreaming of my mountains!“ – this phrase connects many Ossetians, originally from the mountainous parts of the Caucasus, who had to leave their place and move to lower lands. This process was caused due to some circumstances: harsh conditions in the mountains, especially, during winter and deportation of Ossetians after the collapse of the Soviet Union in the 90s as a result of the Georgian – Ossetian conflict.

The author, whose ancestors were Ossetians, gathers stories from the people living in her village, Lamovani. Her respondents are ethnically Ossetians who had experienced migration, which started in the 30s. They talk about difficulties with adaptation, finding lands for farming, shepherding, collectivization, which began during Joseph Stalin’s regime in the Soviet Union aiming at integrating individual landholdings into collectively and state-controlled farms.

The stories also cover the topics on various Ossetian traditions, games and entertainment in their childhood, relationships between generations, lyrics and the Georgian – Ossetian conflict forcing Ossetians to migrate to other villages or Russia.

In the end, the author ends up with a quotation from one of the respondent’s dreaming to revisit the mountains of his ancestors, today occupied by Russia.

IV აღზილი

გვანსა გარიშპილი

მასწავლებელი: გაგა ქორიძე
სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტი
სოფელ ლამოვანის საჯარო სკოლა

ოსების ჩამოსახლება მთიდან

„მე მესიზმრებოდა და მენატრებოდა ჩემი მთები!“...
ვალლო გარიევი

საქართველოში ოსები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ. მათი შემოსვლა და დასახლება სხვადასხვა დროს, განსხვავებული მიზეზებით მოხდა. ჩვენი თემა შეეხება მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ოსების ჩამოსახლების საკითხს დუშეთის რაიონში, კერძოდ, სოფელ ლამოვანში. რომელიც გამოჩვეული იყო მთაში რთული საყოფაცხოვრებო პირობებით, რასაც მოჰყვა მიგრაცია მთიდან ბარისაკენ უკეთესი ცხოვრების მოძებნის მიზნით. თემა ასევე შეეხება მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ოსების საქართველოდან გასახლებას. ამ დროს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა საცხოვრებელი ადგილები. დაპირისპირება მოხდა ოს და ქართველ მოსახლეობას შორის პოლიტიკურ ნიადაგზე და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მოუხდა ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლება. ეს დაპირისპირება დღემდე აქტუალურია და საჭიროა საერთო ენის გამოძებნა ოს და ქართველ მოსახლეობას შორის, ვფიქრობ, ჩემი თემა, სადაც მოთხრობილია რიგითი ადამიანების მიერ მოყოლილი ისტორიები, გავლენას მოახდენს მკითხველზე და ცხადად წარმოაჩენს ოსების მხრიდან დანახულ რეალობას და განცდილ ემოციებს.

მე საქართველოს მოქალაქე ვარ, ჩემი წინაპრები იყვნენ ოსები და მიმაჩნია, რომ ქართველებისა და ოსების თანაცხოვრება ამდღიერებს ორივე ერს, მაგრამ დღესდღეობით არის დაძაბული ურთიერთობა ამ ორ მხარეს შორის. მე მსურს, რომ დავამყაროთ ისევ ისეთი ურთიერთობა და ვიცხოვროთ ძველებურად.

ჩემი მიზანია ისტორიების მოძიება იმ ხალხისგან, ვინც უშუალოდ, თავის თავზე გამოსცადა ეს პროცესები. მნიშვნელოვანია, არ დავივიწყოთ ჩვენი წინაპრები, თუ როგორ ცხოვრობდნენ, რას საქმიანობდნენ, რატომ ჩამო-

სახლდნენ და რა სირთულეები გადახდათ თავს. ჩემს სოფელში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ჩამოსახლების პროცესი და მათ კარგად ახსოვთ ეს ამბები. უამრავი საინტერესო ისტორია მოვისმინე მათგან მიგრაციასთან დაკავშირებით ამიჯომ მინდა, რომ არ დაიკარგოს ეს ისტორიები და ცხადად გადმოვცეთ ეს ყველაფერი.

ოსების ჩამოსახლება დაიწყო XX-საუკუნის 30-იან წლებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ საქართველოში და მათი ჩამოსახლება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზნით ხდებოდა. ერთ-ერთი მიგრაციის დიდი ტალღა ჩამოვიდა 30-იან წლებში. სწორედ ამ დროს მოხდა დუშეთის რაიონის სოფელ ლამოვანში ოსური დასახლებების შექმნა. ჩვენ ვესაუბრეთ ადამიანებს, რომელთა ნაწილმა თავის თავზე გამოსცადა მიგრაცია, ან გადმოცემით ახსოვთ უფროსებისგან.

აი, რას ამბობს მიგრაციასთან დაკავშირებით დოდო გოლოშვილი (გოლოშვილი):

„ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ ახალგორის (ლენინგორის) რაიონში, უნაგირას მთაზე. გადმოცემით ვიცი, რომ მიგრაცია მოხდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. მაშინ, როდესაც ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში მოვიდა ძალიან დიდი თოვლი. მოსახლეობას გაუჭირდა მთაში ყოფნა, საქონლის მოვლა, გადაადგილება. განიცდიდნენ ყველაფერის ნაკლებობას და ამიჯომ იძულებულნი გახდნენ, ჩამოსულიყვნენ ბარში, სადაც თოვლი – ნაკლები და ცხოვრების პირობები უკეთესი იყო. სწორედ ამან განაპირობა მიგრაცია მთიდან ბარში. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ბარის ჰაერი ვერ აიტანა და უკან დაბრუნდა მთაში. უმრავლესობა კი დარჩა ბარში.“

საცხოვრებელი ადგილის შეცვლა უამრავ სირთულესთან არის დაკავშირებული. მტკივნეული პროცესია ნებისმიერი ოჯახისათვის და ერისათვის. ასეთივე რთული აღმოჩნდა ოსური ოჯახებისთვისაც, მათ საკუთარი ადგილ-მამულის დატოვება მოუხდათ. ჩვენი რესპოდენტი, ვლადიმერ გარიევი, რომელსაც ახსოვს საკუთარი ოჯახის მიგრაციის ისტორია, იხსენებს:

„მე ვცხოვრობდი ახალგორის (ლენინგორის) რაიონში, სოფელ მონასტერში. არ მინდოდა წამოსვლა და ცყეში ვიმალებოდი, მაგრამ იძულებული გახდი, ჩამოვსულიყავი, რადგან მშობლებს ასე უნდოდათ. ჩემმა მშობლებმა იცოდნენ, რომ არ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც მე მეძინა, ჩამსვეს გოდორში და აქ ჩამომიყვანეს. ავდექი დილით და – „ვაა სად ვარ“?! - შევძახე გაოცებულმა. არც მთები ჩანდა და არც მდელი. გავიპარე, მაგრამ უკან დამაბრუნეს. მე მესიზმრებოდა და მენატრებოდა ჩემი მთები, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რაღას ვიზამდი, დედ-მამა აქ მყავდა“.

ჩემი სოფელი ლამოვანი მდებარეობს ვაკე ადგილზე. შესაბამისად, ოსების ჩამოსახლება ამ ტერიტორიაზე დაიწყო. ჩამოსახლებული ოსები მთის სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოვიდნენ და მათი უმრავლესობა ერთმანეთს არ იცნობდა. ჩამოსახლებულთა შორის მთის ქართული მოსახლეობაც იყო.

ასინე ძავაშვილი (ძავაევა) 90 წლის

„ჩვენ მთიდან ფეხით ჩამოვედით, ზურგზე გვეკიდა ნივთები და დატვირთულნი მოვდიოდით. ჩამოვედით სოფელ უფურეთიდან. იმიტომ ჩამოვედით აქ, რომ მთაში გაჭირვება იყო და ყველაფრის ნაკლებობას განვიცდიდით.“

ბორის ძებისაშვილი (ძებისოვი), 75 წლის

„სოფელ ლამოვანში ოსები 1925-26 წლებში ჩამოგვასახლეს, ახალგორის (ლენინგორის) რაიონის სოფელ გდუდან. ქართველები კი – ჟინვალის ზემოდან, სოფელ ბოდავიდან. ოსები ჩამოასახლეს: გარიშვილები, ძებისაშვილები, ასაშვილები და ბედომშვილები. ოსები დასახლდნენ ხევს აქეთ და ხევს იქით – ქართველები. მათ 1932-35 წლებში შექმნეს ლამოვანის კოლმეურნეობა.“

ამ პერიოდიდან დღემდე სოფელ ლამოვანში ერთმანეთის გვერდით მეგობრულად და კეთილგანწყობით ცხოვრობს ოსური და ქართული მოსახლეობა.

სირთულეები ახალ სამშობლოში

ლამოვანში ჩამოსახლებულ მოსახლეობას ძალიან დიდი სირთულეების გადალახვა მოუწიათ, რომ დამკვიდრებულიყვნენ ახალ ტერიტორიაზე. მათ არ ჰქონდათ საცხოვრებელი სახლები, მეურნეობისთვის – მიწები. ჩამოიტანეს თავიანთი მცირე ქონება, რომლითაც დიდხანს ვერ შეძლებდნენ არსებობას. ეს ტერიტორია არ იყო დასახლებული. შესაბამისად, ვერავინ დაეხმარებოდა ახლადჩამოსულებს, რაც კიდევ უფრო ართულებდა ოსების მდგომარეობას.

გუგულა გოლოშვილი (გოლოევა) 92 წლის

„ჩამოვედი, არც სახლი და არც საწოლი არ გვექონდა, საბძელში თივაში გვეძინა. 1941-ში ომი დაიწყო. მამაჩემი ჯარში წაიყვანეს. უშვილო ბიძა მყავდა. მან წამიყვანა. მისი ცოლი მეღაძე იყო... ერთხელ გათხოვდა, ორ-

ჯერ გათხოვდა, სამჯერ, ოთხჯერ გათხოვდა. ძალიან გვიჭირდა.“

გელა გარიშვილი (გარიევი)

„ჩვენი წინაპრები ჩამოსახლდნენ ახალგორის (ლენინგორის) რაიონის სოფელ მონასტრიდან. იმ დროს მთაში ცხოვრება ჭირდა და ყველა ბარში მოდიოდა საცხოვრებლად. იქ სადაც ხორბალი, მარცვლეული მოდიოდა. აქ, რომ ჩამოვიდნენ ჩვენი წინაპრები, გაუვალი ტყე იყო და ხელით გაჯირკვეს. იმ დროს არ იყო ტრაქტორი, კომბაინი და ამიტომ თესავდნენ ხარებით, მოსავალსაც ხელით იღებდნენ. მერე თანდათან ცხოვრება განვითარდა და შეიქმნა ცხოვრებისთვის უკეთესი პირობები.“

ბორის ძებისაშვილი (ძებისოვი) 75 წლის

„ხვნა-თესვა გუთნებით, ხელით მიმდინარეობდა, ასევე იყო ძლიერი სიცხე, რაც უფრო ართულებდა შრომას და ნაწილმა ვერ შეძლო აქ ცხოვრება. ნაწილი მოსახლეობისა – ნამორაძეები დუშეთში გადასახლდნენ, ჭიკაძეები – მისაქციელში, ხისფეხიშვილები – ბოდავში და დარჩა ორი ოჯახი – ბოდაველებისა და ხისფეხიშვილების. დარჩენილმა მოსახლეობამ გააგრძელა აქ ცხოვრება. 1961 წელს ლამოვანის კოლმეურნეობა შეუერთდა მჭადიჯვრის კოლმეურნეობას და შეიქმნა საბჭოთა კოლმეურნეობა.“

მამაჩემი, არსენა ძებისაშვილი იყო მეცხვარე კაცი. ყიზლარში დადიოდა ცხვარში. კოლმეურნეობის ცხვარი მიჰყავდა და მოჰყავდა. ომიანობის დროს ქისტები ცხვრის ფარებს ართმევდნენ ხოლმე. ყიზლარში მიდიოდნენ, კასპიისპირეთში ქისტები გადმოდიოდნენ, ართმევდნენ ცხვრის ფარებს, ზოგჯერ მწყემსებიც მიჰყავდათ ხოლმე. ძალიან შეწუხდა რაიონი. მარტო ჩვენ არა, ახალგორიც, ახმეტაც... ცხვრებს ართმევდნენ ქისტები. მერე რაიკომის მდივანი დაიბარა და უთხრა, რომ არსენა ძებისაშვილს უთხარი და ეგ გააცილებს ჩვენ ცხვარს ყიზლარშიო. მან მამაჩემი დაიბარა და უთხრა, რომ ომში აღარ წაიყვანდა და ცხვარს გაჰყოლოდა. მიდიოდა მამაჩემი, მისი ძმაკაცები ქისტებთან მოილაპარაკებდნენ. ჩემი ცხვარი მოდისო და ხელს ნურავინ ახლებსო. მერე გავიდოდა დუშეთის რაიონის ცხვარი და ბოლო ფარას გაჰყვებოდა და მიდიოდა ყიზლარში.

მთიდან რომ ჩამოვედით, მამაჩემი მოზდლოქში გადასახლდა. მოზდლოქში იყიდა ორსართულიანი აგურის სახლი 1930-წლებში. მერე, 30-იან წლებში კოლექტივიზაცია რომ წავიდა, კოლექტივში არ შედიოდა, მამაჩემი იქ გააკულაკეს, წაართვეს რაც ჰქონდა მოზდლოქში და ციხეში დაიჭირეს. მერე გამოიპარა ციხიდან და ჩამოვიდა აქ. სამი წელი იმალებოდა. მერე ისევ

დაიწყო მეცხვარეობა. ის სახლი კიდევ მოზღოქში არის, ჩვენ ვერ მივაკითხეთ და მთავრობას დარჩა.“

ყოფაცხოვრება და წეს-ჩვეულებები

კავკასიაში მცხოვრები ხალხის კულტურა და წეს-ჩვეულებები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ალბათ ამის მიზეზი არის მათი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება. მიგრაციის შედეგად მთიდან ჩამოსახლებულმა ოსებმა ჩამოიტანეს საინტერესო წეს-ჩვეულებები, რომელთაგან ზოგიერთი დაკარგულია. მაგრამ ადამიანების მესხიერებაში შემორჩა და დღეს ისინი გვიამბობენ მათ შესახებ.

უფროს-უმცროსობა

თაია ნართიკოევა (ნართიხთაი)

„ოჯახში სტუმრები რომ მოდიოდნენ, ოჯახის ახალგაზრდები უფროსებთან ერთად სუფრასთან არ სხდებოდნენ. მხოლოდ უფროსები ისხდნენ სუფრასთან, ბავშვები კი ემსახურებოდნენ. ძალიან დიდი პატივისცემა იყო ოსებში უფროსსა და უმცროსს შორის. ხმამაღალი საუბარი, თამბაქოს მოწევა, სასმლის დაღევა, ახალგაზრდები ამ ყველაფერისაგან უფროსებთან თავს იკავებდნენ. საერთოდ, როცა ახალგაზრდები ქუჩაში ისხდნენ და გამოივლიდა უფროსი, მას ფეხზე წამოუდგებოდნენ და ესალმებოდნენ. უფროსების მიმართ ახალგაზრდები თავაზიანობასა და პატივისცემას იჩენდნენ“.

ქორწინებასთან დაკავშირებული ტრადიციები

დოდო გოლოშვილი (გოლოევა)

„პატარძლის მოყვანა ხდებოდა ასე: ჯერ საპატარძლო უნდა შეერჩიათ, მერე მიდიოდნენ მის ოჯახში და უცხოვებდნენ ბეს (ბელგას). იყო ხოლმე იქ ბეჭედი, საკაბე, ცუბილეული და სხვ. ამის შემდეგ პატარძლის ოჯახი მიდიოდა სასიძოსთან სახლის გასასინჯად, რომ ენახათ, რა ქონება ჰქონდათ, როგორი სახლი იყო. შემდეგ იყო ნიშნობა პატარძლის ოჯახში. ბოლოს ტარდებოდა ქორწილი. პატარძლის მოსაყვანად მიდიოდა ნეფე, მეჯვარეები, რამდენიმე მაყარი (ალბათ ათიოდე). მაყრებს შორის იყო უფროსი მაყარი, რომელიც განაგებდა ყველაფერს. ჰყავდათ ერთი ადამიანი, რომელსაც უნდა ჩაეხარებინა პატარძლის მზითვი: საწოლი, ჩემოდანი.

უნდა მოეცანა და ჩაეხარებინა ნეფის ოჯახისთვის. ქორწილი ტარდებოდა ერთი დღე პატარძლის სახლში, ხოლო მეორე დღეს – ნეფის სახლში. ქორწილში იყვნენ მუსიკოსები, ჰყავდათ ხაბაზები (ანუ პურის მცხოვრები), რომლებიც სუფრასაც შლიდნენ. ხალხს მოჰქონდა საჩუქრები, ნეფეს და დედოფალს მართმევედნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ, თუ ვინ რას მართმევედა. მათ ახალგაზრდა გოგონები მართმევედნენ ჩირაღდანს (ხისგან დამზადებული ფერად-ფერადი ქალღვრებით მორთული ხე, ზედ ჰკიდებდნენ ვაშლს, ასხმულ კაკალს, თხილს და ცუბილეულს), დაუდგამდნენ ამას მეფე-პატარძალს წინ (ტორცის მაგივრად)“.

ქორწინების ტრადიცია განსხვავებული იყო მთასა და ბარში მცხოვრებ ოსებს შორის. ჩრდილო ოსეთში მცხოვრებმა ხალხმა უფრო მეტი ტრადიცია შეინარჩუნა, რადგან მთაში უფრო მეტად იცავდნენ დამკვიდრებულ წესებს.

თაია ნართიკოევა (ნართიხთაი)

„საერთოდ, ოსებს ბევრი კარგი ტრადიცია ჰქონდათ, მაგალითად, ქორწილი. როცა პატარძალი მოჰყავდათ ოჯახში, პატარძალს თან მოჰქონდა თათლი და დედამთილთან ერთად თათლს აჭმევდა მოხუც ქალებს, ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვბო შემოჰქონდა ოჯახში. სანამ ამ თათლს აჭმევდა, უბნის ბავშვებს თათლი ხელიდან უნდა გაეცაცნათ და გაქცეულიყვნენ, ვინც გაიცაცვებდა ამ თათლს, ის ითვლებოდა ძლიერ ბიჭად“.

დაკარგულ ტრადიციებს შორის ძალიან საინტერესო და ლამაზი ჩვეულება ჰქონდათ საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს. ეს იყო ახლად მოყვანილი პატარძლის წყაროზე გაყვანა. წყარო იყო ადგილი, სადაც მთელი სოფლის ქალები იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე. წყაროს ასევე გარკვეული საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. შესაბამისად, პატარძალი ამ (წმინდა ადგილზე) უნდა მიეყვანათ.

დოდო გოლოშვილი (გოლოევა)

„ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პატარძალი მიჰყავდათ წყაროზე. ამზადებდნენ ცუბილეულს, ხაჭაპურს, ქათამს. ის აუვსებდა ყველას წყალს და ამის შემდეგ მას შეეძლო, მარტო წასულიყო წყლის მოსატანად.“

გართობა

დოდო გოლოშვილი (გოლოყვა)

„ჩვენ დროს მრავალფეროვანი თამაშები იყო, ვთამაშობდით: რეზინობანას, კლასობანას, კენჭაობას, დამალობანას და დაჭერობანას. მე ყველაზე მეტად მასწავლებლობანას თამაში მიყვარდა, შევკრებდი ჩემს და-ძმებს, მეზობლის ბავშვებს. მე ვიყავი მასწავლებელი, ხოლო ისინი მოსწავლეები. ვთამაშობდით თოჯინებით, რომელსაც ჩვენ თვითონ მშობლების დახმარებით ვკერავდით, ვაკეთებდით თონეებს და ვაცხობდით ცალახის პურებს. დედა გვასწავლიდა ქსოვას, ქარგვას. ყველა ოჯახში იყო ფანდური, რომელზეც უკრავდნენ, ცეკვავდნენ და ასე ერთობოდნენ.“

ასინე ძავაშვილი (ძავაყვა), 90 წლის

„სალოცავში დავდიოდით ხოლმე. ვთამაშობდით, კარგ დროს ვატარებდით. ვუკრავდით დაირაზე, ჩონგურზე“.

ბორია ძებისაშვილი (ძებისოვი), 75 წლის

„წვიმის დროს ფეხშიშველა დავრბოდით. ჩვენ სულ ღორებში დავდიოდით. როცა სკოლაში შევედით ქართული არ ვიცოდით. სულ ოსურად ვლაპარაკობდი.“

დღესასწაულები

დოდო გოლოშვილი (გოლოყვა)

„ჩემს ბავშვობაში აღვნიშნავდით სხვადასხვა დღესასწაულებს. გვექონდა ახალი წელი. ახალ წელს აუცილებლად უნდა ყოფილიყო: მურაბა, თათლი, მოხარშული ღორის თავი, ხინკალი, ნამცხვრები, უფრო ნაზუქი. ახალი წელი ყოველთვის იყო 14 იანვარს და არა 1 იანვარს.“

ადრე აღვნიშნავდით სახლთანგელოზობას. ამ დღეს უნდა დაეკლათ ქათამი და მხოლოდ ოჯახის წევრებისთვის შეიძლებოდა მისი ჭამა. არ უნდა გადაგვეყარა ძვლები. ეს იმას ნიშნავდა, რომ რაღაც შეეჩვეოდა ქათმებს.

ასევე აღვნიშნავდით ხატობებს (დღესასწაულებს): ლაშრობა, გიორგობა, მარიამობა და მრავალი სხვა, რომლებსაც დიდი მოწიწებით აღვნიშნავდნენ ჩვენი უფროსები. ამ დღეს იყო ცეკვა, დაკვრა, ზოგჯერ ჭიდაობაც.

ზამთარში ჰქონდათ ასეთი ტრადიცია. იკრიბებოდნენ მეზობლები. ერთად არჩევდნენ მაცყლს და ბუმბულს. ჩეჩავდნენ მაცყლს. შალის ძატს ართავ-

დნენ, ქსოვდნენ. ერთმანეთს ეხმარებოდნენ სხვა საქმეების შესრულებაშიც. მაშინ იყო გაჭირვება, სიღარიბე, სიღატაკე, ყველაფრის ნაკლებობა, მაგრამ იყო მეტი სიბოლო, მეტი სიყვარული ერთმანეთის მიმართ.“

თაია ნართიკოევა (ნართიხთაი)

„დღემდე შემორჩა ასეთი ტრადიცია. ძველი ახალი წლის ღამეს ოჯახის დიასახლისი ბავშვებთან ერთად აცხობს დიდ ხაჭაპურს, რომელსაც ეძახიან „რთხურონ“. ამ დიდ ხაჭაპურთან ერთად ვაცხობთ კიდევ სამ პატარას. სამი პატარა ხაჭაპური იმ ღამესვე იჭრება, დიდს დილამდე ტოვებენ, დილით როცა დგებიან, ადღეგრძელებენ უფაღს და ის დიდი ხაჭაპური იმდენ ნაჭრებად იჭრება, რამდენი ოჯახის წევრიც არის. ამ ხაჭაპურში გამოცხობამდე ვდებთ ფულს. დილით ვჭრით და ვანაწილებთ ყველა ოჯახის წევრისათვის. მასთან ერთად, ერთი ნაჭერი საქონელსაც ერგებოდა ხოლმე. ნაჭერი ვისიც იყო, აუცილებლად იმას უნდა ეჭამა. საქონლის წილი კი ოჯახის უფროსს მიჰქონდა და აჭმევდა საქონელს. ვისაც ფული შეხვდებოდა, იმაზე ამბობდნენ, რომ ის წელი კარგი წელი იქნებოდა მისთვის. ძველ ახალ წელს ბავშვები ცომისაგან აცხობდნენ ცხოველების ფიგურებს: კურდღლებს, ძროხებს, თხებს და შემდეგ გემრიელად შეეცქეოდნენ“.

მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ აღწერილიდან კარგად ჩანს ზოგიერთი ჩვევა, რომელიც ძალიან ჰგავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ ჩვევებს.

ოსური ზეპირსიტყვიერება

დღემდე შემორჩენილია სხვადასხვა ხალხური ლექსი, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა და მასში კარგად ჩანს მათ ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული მოვლენები. ჩვენ მოვახერხეთ რამდენიმე ლექსის მოძიება.

თაია ნართიკოევა

რაჯი ხოხი წუპაი ქასდი

ივ არრა ფიაუ,

მიღ ანგომ ია ბინი ბადიათი

ურს ცაღდ კუმბილაუ.

ერთხელ მთის კენწეროდან იყურებოდა

ერთი გიჟი მწყემსი

მის ქვემოთ იდგა ღრუბელი,

როგორც აჩეჩილი მატყლი.
ირმა ცანდიშვილი

ბალონ ახსდონ არაზე,
მაზარდაე ხორსძინადაი რასუდუ,
ხუცავ რაცად ვახაძავად ხორცძინად,
ვახშირადა სიახსამად საჩინძან.
მტრედი ბუდეს აშენებს,
მთელი გულით გისურვებთ სილამაზეს,
ღმერთი მოგცემთ თქვენს ოჯახს სიკეთეს,
როგორც სიძეს, ისე რძლებს.

90-იანი წლების სამწუხარო მოვლენები

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დადასრულს და 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელიც თავიდან პოლიტიკური შინაარსის იყო. შემდეგ ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამ პერიოდში ბევრი უსიამოვნო ქმედება ჩაიდინეს როგორც ქართველებმა, ასევე ოსებმა ერთმანეთის მიმართ. ეს წლები ძალიან მძიმე იყო ჩემს სოფელში მოსახლე ოსებისთვის და ამ ამბებს თვალცრემლიანი იხსენებენ.

ღოდო გოლოშვილი (გოლოვეა)

„90-იანი წლების არეულობის ამბებმა – ყველაფერმა ჩემ თვალწინ ჩაიარა. ძალიან დიდი საშინელება იყო, ერთმანეთს დაუპირისპირდა ხალხი, დაიწყო ოსი მოსახლეობის შევიწროება, იარაღის სროლით დადიოდნენ არაფორმალური გაერთიანებები სოფლებში. იტაცებდნენ მინდვრიდან საქონელს, ხალხს უვარდებოდნენ სახლებში, აყაჩაღებდნენ. რამდენიმეს მანქანა დაუცხრილეს. სროლის ხმაზე შეშინებული ხალხი ტოვებდა სახლს და გარბოდა ცყეში. თავს ესხმოდნენ ფერმებს და მიჰყავდათ საქონელი. ეს ხდებოდა ყველაფერი მიზანმიმართულად და მხოლოდ ოსურ სოფლებში. ამის შესახებ ყველაფერი იცოდა მთავრობამაც, ადგილობრივმა ხელისუფლებამაც, მაგრამ რეაგირებაც არ იყო. ტრანსპორტში, სამსახურებში, მაღაზიებში – ყველგან ოსებს ამცირებდნენ. შეწუხებული მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეცოვებინა თავიანთი საცხოვრებელი. ზოგმა იათვად გაყიდა სახლი და დაიწყო მიგრაცია ორჯონიკიძისაკენ“.

თაია ნართიკოევა (ნართიხთაი)

„საქართველოდან ოსები თავისი ნებით არ წასულან, იძულებულნი გახდნენ, იმიტომ რომ შევიწროება იყო 90-იან წლებში. ვლადიკავკაზში ჩასულ ოსებს არავინ არ ელოდებოდათ იქ. ამიტომ არ ჰქონდათ თავშესაფარი. ვისაც ნათესავი ჰყავდა, ისინი მათთან ჩასახლდნენ. დანარჩენებს სახელმწიფომ გამოუყო ძველი შენობები, სკოლები, ძველი სამკერვალოები, ქარხნის ოთახები და ცხოვრობდნენ იქ. უჭირდათ ძალიან, რადგან არ იყვნენ იქაურ წეს-ჩვეულებებს მიჩვეულნი, სხვა მენტალიტეტის იყვნენ. იქ მკაცრი წესები იყო შემორჩენილი ძველი ხალხისაგან, მაგრამ მაინც იქაური ხალხი მათ კარგად დახვდა. ვისაც რა შეეძლო, ყველაფრით ეხმარებოდნენ.“

მე საქართველოში 90-იან წლებში ახალი ჩამოსული ვიყავი, აქ დავოჯახდი, ჩემი მეუღლე არის ქართველი. მაგრამ ქართულ-ოსური კონფლიქტი რომ დაიწყო, ძალიან გამიჭირდა აქ ყოფნა. დავრჩი, მაგრამ დიდი ტრამვა გადავიტანე იმიტომ, რომ ამ პერიოდში მე ვმუშაობდი მჭადიჯვრის მეფრინველეობის ქარხანაში. ქარხანას ემსახურებოდა ტრანსპორტი, რომელსაც დავყავდით, მაგრამ რომ ავდიოდი ამ ტრანსპორტში, სულ მლანძღვდნენ, რადგან ოსი ვიყავი. ამიტომ ძალიან გამიჭირდა ამ ტრანსპორტით მგზავრობა და იძულებული გახდით, რომ ფეხით მევლო და ვცდილობდი ხალხმრავლობაში არ ვყოფილიყავი, რადგან სულ ოსებს ლანძღავდნენ და ეს ყველაფერი არ მსიამოვნებდა, ამის გამო კონტაქტი ნაკლებად მქონდა ხალხთან. ისედაც გამიგია, რომ ოსებს უვარდებოდნენ სახლებში, ართმევდნენ თანხას, საქონელი მიჰყავდათ. ასე, რომ დიდი პრობლემების წინაშე ვიდექით, მაგრამ ამ ყველაფერს მე გავუძელი და დავრჩი საქართველოში“.

ბორია ძებისაშვილი (ძებისოვი) 75 წლის

„როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ცალკე გამოეყო საქართველო, ოსების შევიწროება დაიწყო ქართველებმა. იყო შემოსევები ლამოვანშიც. ერთხელაც მჭადიჯვრის საბჭოს თავმჯდომარე, ბუღალტერი და ა. შ. გადმოვიდნენ საჩხუბრად. ეს ბიჭებიც კარგად ცემეს. მერე იჩივლეს და უნდოდათ დაეჭირათ აქაურები. მაგრამ გაიქცნენ და დაიმალნენ. მერე თანდათან დაწყნარდა ყველაფერი და ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო ლამოვანში, ჩვენ ახლაც მშვიდად და უსაფრთხოდ ვცხოვრობთ...“

გუგულა გოლოშვილი (გოლოვეა) 90 წლის

„მჭადიჯვრიდან გადმოდიოდნენ. ციკანს, თხას იპარავდნენ. მერე რომ გაუმჯობესდა მდგომარეობა, ეს სოფლები დამეგობრდნენ. როდესაც ლუდს გამოვხდიდით, ვეპატიუებოდით, მოდიოდნენ სვამდნენ და ჭამდნენ“.

ზემოთ მოყვანილი საინტერესო ისტორიები, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია ოსების მიგრაციასთან დაკავშირებით. აგრეთვე ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე საინტერესო ფაქტებს შეიცავს. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ინფორმაციის წყარო არიან ის ადამიანები, ვინც თავის თავზე გამოსცადა ეს ყველაფერი და მათი ადამიანური, პირადი შეხედულებებით, ემოციებით და გრძნობებით გადმოგვცეს ყველაფერი. ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის სამომავლოდ კარგი გაკვეთილი იქნება, რომ ქართულ-ოსურ ურთიერთობებს მომავალში სულ სხვა თვალთ შეხედოთ და ჩვენი როლი შევასრულოთ ამ კონფლიქტების მოგვარებაში, რომელიც დღესაც არსებობს ქართველებსა და ოსებს შორის. ჩემი თემა კი მინდა დავასრულო ერთ-ერთი რესპოდენტის, გელა გარიშვილის (გარიევი) სიტყვებით:

„ის მთა, საიდანაც ჩვენი წინაპრები ჩამოსახლდნენ, ოკუპირებულია რუსეთის მიერ და ვერ მივდივართ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ დავიბრუნებთ ჩვენს ტერიტორიას, წავალთ და მთას მოვინახულებთ“.

IV PLACE

People behind Migration Stories

By Lizi Mamulashvili, Saba Kviriashvili, Mariam Urushadze

Teacher: Tamuna Macharashvili

School: „Millennium School“, Tbilisi

Three students interested in migration topic decided to search for stories and started to interview the school teachers, students, staff and their family members who had migrated from one location to another or to foreign countries. Each story is unique, covering reasons and motives of migration.

Stories are from recent history except of one of the co-author's grandfather's memories from 1951, during Stalin's repressions, when his family was deported to Kazakhstan. The respondents talk about the ways of adaptation with the new environment, challenges, struggle and hope to return home. The essay highlights a person's ability to discover new strengths and opportunities while alone or in harsh conditions abroad. It is full of emotions, memories – both happy and sad -that have become important for the authors.

The students' interest towards the migration topic and people behind such stories shows that doors to lots of interesting stories should be unlocked.

IV ალბილი

ლიზი მამულაშვილი, საბა კვიციანიშვილი

მარიამ ურუშაძე

მასწავლებელი: თამუნა მაჭარაშვილი

მპს „ათასწლეულის სკოლა“

ადამიანები მიგრაციის ისტორიებს მიღმა

ჩვენ ყველანი დედამიწის მიგრანტები ვართ, ყველა საიდანღაც გადმოვსახლდით. ზოგი წერომ მოიყვანა, ზოგს უირაფი დაეხმარა რომ დედამიწამდე მოეღწია. პლანეტა დედამიწის მიგრანტები აქაც მიგრაციას განვიცდით. ამის მიზეზები კი მრავალგვარია. ზოგჯერ ადამიანები, საკუთარი ინიციატივითვე, კარიერული თუ ცხოვრებისეული ბედნიერებისთვის იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, ზოგჯერ კი, ისეც ხდება, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველაზე ნაკლებად სწორედ მიგრანტი მონაწილეობს. თითოეული მიზეზის უკან კი ისტორიები იმალება, ისტორიები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებული და თავისებურია. მიგრაციის ყველაზე თვალსაჩინოდ დანახვასა და გააზრებაში ეს ისტორიები გვეხმარება, თუმცა, სამწუხაროდ, მათი უმეტესობა მივიწყებულია.

სხვადასხვა მიზეზით მიგრირებულმა ადამიანებმა ერთ სივრცეში შეიძლება მოიყარონ თავი. ცხოვრება, ურთიერთობები, სწავლისა თუ მუშაობის პროცესი ისე შეიძლება გაილიოს, არავინ არავის ჰკითხოს მოსვლის მიზეზი. არადა, ხშირად ცალკეული ადამიანის უკან იმალება საინტერესო ამბავი. ამბავი, რომელიც გვეხმარება დავინახოთ რიცხვებს, მოვლენებს, ფაქტებს, ქმედებებს მიღმა თავად ეს ადამიანები და მათი გრძნობები. სწორედ ამიტომ ჩვენ იმ სივრცის შესწავლით დავიწყეთ, სადაც ყველაზე მეტ დროს ვატარებთ. გადავწყვიტეთ, გავვეცოცხლებინა ჩვენივე სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა, თუ მომსახურე პერსონალის მიგრაციის ისტორიები. ამ პროცესის დახმარებით კი შევეცადეთ, მათი თვალთ დაგვენახა მიგრაცია და მისი თანმხლები მოვლენები.

ყველაზე მეტი ადამიანის ისტორია შრომით მიგრაციას უკავშირდება. შრომითი მიგრაცია ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არის გამოწვეული. ჩვენს რესპოდენტებს შორისაც აღმოჩნდა ამ მიზეზით მიგრირებული გეოგრაფიის მასწავლებელი, თეონა შუბლაძე,

რომელიც ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. მისი შემთხვევა საინტერესოა იმ მხრივ, რომ შეიძლება საკუთარ ქვეყანაში დარჩე, შეიცვალო მხოლოდ საცხოვრებელი ქალაქი და თავი მაინც უცხოელ იგრძნო. „თითქოს სულ სხვა ქვეყანაში ვიყავი, სადაც მხოლოდ ქართული ენა იყო მშობლიური, რაც მესმოდა“. – იხსენებს ის. რა თქმა უნდა, დასაწყისში, ზოგადად, ნებისმიერი ტიპის მიგრაციის შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლას მსგავსი ეფექტი აქვს, შემდეგ კი თანდათან ვეჩვევით არსებულ რეალობას. ამას თავადაც აღნიშნავს – „საკმაოდ კარგად ვადაპტირდი, მეგონა, უფრო გამიჭირდებოდა. სამსახურის ძიების პროცესში რამდენიმე თვეში გასაუბრებებზე სიარულმა დედაქალაქი საკმაოდ კარგად გამაცნო“. განსხვავებები კი, შეიძლება, უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყოს, ჩვენი რესპონდენტის შემთხვევაში, ესენია: „უფრო სიცივე ურთიერთობებში, ნაკლები თავისუფალი დრო და ცოტა ფერადი დღეები. უფრო მეტი ერთფეროვანი დღეების სიმრავლე, მონაცრება, რომელიც თან მდევს ყოველთვის. სულ ვადარებ სიტუაციებს ერთმანეთს, იქით რა იქნებოდა და როგორ. ვთვლი, რომ ერთი ცხოვრება ლიხს იქით დავტოვე და მეორე ცხოვრება ლიხს აქეთ დავიწყე.“ ალბათ, ცხოვრების მსგავსი დაყოფა მიგრაციის ერთ-ერთი თანხმლები პროცესია, თუმცა, რაც ყველაზე კარგია და რასაც ბევრი ადამიანი ვერ ახერხებს, არის ის, რომ ჩვენი რესპონდენტი ცხოვრების ახალ გამოწვევებს შემართებით უმკლავდება ყოველდღიური საქმიანობით და ცდილობს, გაამრავალფეროვნოს როგორც თავისი, ასევე მოსწავლეების ცხოვრება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიგრაციის დახმარებით მან შეძლო საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა და ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა.

სკოლაში თავისი განსხვავებული ისტორიით სპორტის მასწავლებელიც გვყავს – აჯაი შარმა. აჯაი წარმოშობით ინდოეთის შტატ პუნჯაბიდან არის. საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილების მიღებას კი ამგვარად იხსენებს: „2009 წელს, განქორწინების შემდეგ, მინდოდა ჩემი ცხოვრება ახალი ფურცლიდან დამეწყო. საქართველოში გადმოსვლა ბევრი პროცესისა და ყველაფრის ნარევი იყო, რადგან ახალი ხალხი, გზა, ენა, კულტურა, ამინდი და სხვა ბევრი რამ მელოდებოდა წინ. ცვლილებები მიყვარს, რადგან ვფიქრობ, რომ თუ არ განვითარდი, ცხოვრებაში ვერაფერს მიადღწევ“. როგორც თვითონ ამბობს, მალევე ადაპტირდა საქართველოში, ხელს მხოლოდ ადგილობრივი ენის არცოდნა უშლიდა, რაც ხალხთან კომუნიკაციის პროცესს ანელებდა. 2010 წლიდან თბილისში ცხოვრობს და ამბობს, რომ აქ გადმოსვლა ნამდვილად ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო და ამან ბედნიერება მიანიჭა. სკოლაში ყოველთვის ღიმილიანი სახით

დადის და აუცილებლად შენიშნავთ, როგორ უყვარს ბავშვები და მათთან მუშაობა.

გადავწყვიტეთ, არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ მოსწავლეების თვალთაც დაგვეჩვენა და შეგვეფასებინა მიგრაციის პროცესი. სკოლაში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლე გვყავს. რუი და ავაც ჩვენს სკოლაში სწავლობენ. აქამდე მხოლოდ მათი წარმომავლობის შესახებ ვიცოდით, თუმცა მიგრაციის ისტორიების კვლევის ფარგლებში მათ საკუთარ თავზე ბევრი რამ გაგვიზიარეს და ჩვენც სხვაგვარად დავინახეთ ბავშვები, რომლებიც ჩვენ გვერდით უამრავ დროს ატარებენ. რუი ჩინეთიდანაა და ამბობს, რომ ძალიან მოსწონს საქართველოს ჰაერი, განსაკუთრებით კი – ლამაზი მთები. ავა კი ირანიდანაა. მისი თქმით, თბილისი ლამაზი და მშვიდი ქალაქია, ჰავა მშობლიურ ქალაქს ახსენებს. ორივე აღნიშნავს, რომ მიგრაციის პროცესი მათთვის გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, თუმცა თავიანთი ძალებით მოახერხეს პრობლემების დაძლევა. ავასაც და რუისაც საერთო ის აქვთ, რომ ქართული ენის არცოდნა ხელს უშლიდათ კომუნიკაციის პროცესში და უჭირდათ საკუთარი თავის, შესაძლებლობების წარმოჩენა, არ ჰყავდათ მეგობრები. ავა დანანებით აღნიშნავს, რომ საქართველოში ბევრს არ მოსწონს ირანელები, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ეხმარებიან ყოველდღიური სიძნელეების გადალახვაში და დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. უშუალოდ მისთვის მთავარი პრობლემა მაინც ენას უკავშირდებოდა: „მე მიგრაციამდე საერთოდ არ ვფიქრობდი ენების სწავლაზე, მაგრამ მიგრაციის შემდეგ დავიწყე ქართულის სწავლა. მხოლოდ ათი თვე მქონდა დრო და ვისწავლე ქართული. ინგლისურიც დავხვეწე, მერე გერმანულის სწავლა დავიწყე და კიდევ მინდა სხვა ენების სწავლაც“. ორივე აღნიშნავს, რომ ქართულის დაუფლებამ ხალხთან კონტაქტი გაუადვილა და მეგობრების შექმნაში დაეხმარა. დღეს ავას ოჯახს საკუთარი საცხოვრებელი აქვს თბილისში, სადაც გემრიელ ფუნთუშებს აცხობენ, რუის საოცარ ქართულზე კი სკოლაში ლეგენდები დადის.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ადამიანები სიყვარულის გამო იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. სწორედ ასე მოხდა გრეის ჰუდაკის შემთხვევამაც. ის სკოლის ერთ-ერთი თანადამფუძვნებლის მეუღლეა. სანამ მომავალ მეუღლეს გაიცნობდა, გრეისი ამერიკაში, კერძოდ, კლივლენდში ცხოვრობდა, შემდეგ კი თბილისში შექმნა ოჯახი. კლივლენდში გატარებული ბოლო დღიდან ახსოვს, როგორ ემშვიდობებოდა ოჯახის წევრებს და როგორ მიდიოდა აეროპორტში. შემდეგ კი აღელვებული იყო, აცნობიერებდა, რომ სრულიად ახალ ცხოვრებას იწყებდა. გადმოსვლის პროცესი მისთვის არც

ისე რთული იყო – „საქართველოში რამდენჯერმე მანამდეც ვყოფილვარ, ამიტომ ვიცოდი, რისი მოლოდინი უნდა მქონოდა. შესაბამისად, მალევე გადმოვედი. ასევე, ქართველი მეუღლე მეხმარებოდა ენის, კულტურისა და ცხოვრების პროცესის ნავიგაციაში“. გრესისთვის მთავარი სირთულე დამოუკიდებლობის დაკარგვაში გამოიხატა – „როდესაც კლივლენდში ვცხოვრობდი, სრულ განაკვეთზე ვმუშაობდი, საკუთარ მანქანას ვმართავდი და დედასთან ერთად ვცხოვრობდი. ფულს ვავროვებდი ახალი სახლისა და მანქანის საყიდლად. თავდაჯერებული ვიყავი და ვიცოდი, ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვა შემეძლო. ახლა კი საქართველოში მთლიანად ჩემს ქმარზე ვარ დამოკიდებული. გულწრფელად რომ გითხრათ, მგონია, რომ ჩემი წარსულის სრულიად საპირისპირო აღამიანი ვარ“. გრესის აზრით, ბევრ თავისუფალ დროს დადებითი მხარე ის აქვს, რომ შეუძლია თავის პატარა შვილთან მეტი დრო გაატაროს და მის აღზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

ჩვენს რესპოდენტებს შორის ისეთებიც არიან, ვინც განათლების მისაღებად დროებით საზღვარგარეთ იყვნენ ემიგრირებულნი, ლაშა ცყეშელაშვილი – ჩვენი სკოლის დირექტორი და ანამარია სუხიტაშვილი – ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ორივე მათგანისთვის საზღვარგარეთ გატარებული წლები გამოცდილების მიღებასა და იქ არსებული სიტუაციის გაცნობასთან ასოცირდება.

ანამარია 2012-2015 წლებში ბაკალავრიატზე სასწავლებლად იყო გერმანიაში, ბრემენში, ხოლო 2015-2016 წლებში კი მაგისტრატურაზე სწავლობდა ლონდონში. „აღბათ ყველაზე დიდი სირთულე იმის შეგრძნება იყო, რომ აქ ჩემი ადგილი არ არის, აქაურობას არ ვეკუთვნი (I don't belong here – I am a guest) – ეს გამოიხატებოდა ისეთ მარტივ რაღაცეებში, როგორც იყო, მაგალითად, ის, რომ ცხოვრების უფლებებზე თავის დროზე თუ არ შევიტანდი საბუთებს, ან თუ სწავლის დამთავრების შემდეგ მაშინვე სამსახურს არ ვიშოვიდი, დეპორტაცია შემუქრებოდა და იქ ცხოვრების უფლებას დაგვარგავდი“. – აღნიშნავს ის. ანამარიას ემიგრაცია საკუთარი ლიმიტების დანახვასა და თავის გაცნობაში დაეხმარა: „ჩემ თავზე დაკვირვება ვისწავლე: მაგალითად, აღმოვაჩინე, რომ ძალიან მსიამოვნებს ფეხით სეირნობა, მზის ამოსვლისა და ჩასვლის ყურება და მსგავსი დეტალები“.

ლაშამ 2009-2013 წლებში დიდ ბრიტანეთში მენეჯმენტის მიმართულებით დაიწვა ბაკალავრის ხარისხი. 2013-2016 წლებში კი ამერიკაში დაამთავრა ბიზნესის ადმინისტრირების ორწლიანი მაგისტრატურის პროგრამა და მუშაობდა ერთი წლით ერთ-ერთი ორგანიზაციის ანალიტიკის

დეპარტამენტში. ანამარიას მსგავსად, არც მისთვის ასოცირდება სასწავლო მიზნით მიგრაცია დიდ სირთულეებთან: „მთავარი უნარი, რაც ემიგრაციამ მომცა, არის ის, რასაც იდეაში, პირველ რიგში, ყველა კარგი სკოლა და მასწავლებელი უნდა უვითარებდეს მოსწავლეებს. ესენია: საკუთარი თავის მუდმივი და უწყვეტი შესწავლა და მართვა, შეცდომების იდენტიფიცირება/აღიარება, დამოუკიდებელი პოზიციის ქონა და შემდეგ უშიშრად და გაბედულად მისი დაფიქსირება. ემიგრაცია პიროვნულ თვისებებს გვითარებს, იქ მარტო ხარ, არც დედა გყავს, არც მარიკა დეიდა, არც ბავშვობის საუკეთესო მეგობარი, მარტო რჩები, სადაც თვითგადარჩენისა და განვითარების ერთადერთი საშუალება არსებობს – შენი თავის უწყვეტი შესწავლა და მართვა.“

საინტერესოა ჩვენი რესპონდენტის წარმოდგენების გადაფასება ამერიკული კულტურის შესახებ და თავად ამერიკელების დამოკიდებულებისა მისდამი: „მეგ-ნაკლებად ვიცოდი, თუ რა ტიპის კულტურაში მომიჩვედა ცხოვრება. თუმცა, საქართველოში საზოგადოების ნაწილში გავრცელებული ზედაპირული წარმოდგენები ამერიკელების მორალური ცხოვრების შესახებ ნამდვილად შეირყა და გადმოტრიალდა. ოჯახზე და ქრისტიანულ ღირებულებებზე საკმაოდ ორიენტირებული ქვეყანაა. ეს უფრო ამერიკის სამხრეთ ნაწილს ეხება ტეხასის შტატს, სადაც პრაქტიკულად ყოველ შაბათ-კვირას ჯგუფებიან ოჯახები დიდიან-პატარაიანად და მიდიან ეკლესიისკენ, შემდეგ ნაწილი სანადიროდ, ნაწილი – მწვადების შესაწავად და ნაწილიც კი – უბრალოდ სასროლოდ... უნივერსიტეტში საკმაოდ თბილი, ჭკვიანი და ყურადღებიანი პროფესორები და ჯგუფელები მყავდა. თანამშრომლების მხრიდან შედარებით არასასიამოვნო დამოკიდებულებები გაჩნდა სამუშაო ვიზის აღების პროცესში, რადგან ეს იყო 2016 წელი, როცა დონალდ ტრამპი გახდა ამერიკის პრეზიდენტი. მისი მთავარი პოლიტიკური მესიჯი იყო, ამერიკას დაებრუნებინა თავის ძველი ეკონომიკური სიდიადე და სოციალური ღირებულებები (community based values), რომელიც წართმეული იქნა ამერიკაში ემიგრირებული ხალხის მიერ. მისი ეს სლოგანი (ინგლისურად: make America great again) განსაკუთრებით მუშაობდა ჩემს ქალაქში მაცხოვრებელ მოსახლეობაზე (კლივლენდი, ოჰაიო), რადგან ეკონომიური გლობალიზაციის შედეგად ამ შტატში თითქმის ყველა ინდუსტრიული საწარმო დაიხურა და გადავიდა ჩინეთსა და ინდოეთში. ამ მოვლენასაც ტრამპი და მისი პოლიტიკური იდეოლოგიის შემოქმედნი სათავისოდ იყენებდნენ, მოსახლეობაში აღვივებდნენ აგრესიას და აგრესიის მთავარ სამიზნე ჯგუფად ემიგრანტებს ხდიდნენ. ამ მიმდინარე არაორდინალური პოლიტიკური პროცესების შედეგად რიგი ჩემი კომპანიის

თანამშრომლები ჩემ მიმართ (როგორც ემიგრანტის) არ გამოიჩინებდნენ ჩვეული ღიმილიანი მისალმებით. თუმცა, მე ეს დიდად არ მაწუხებდა, რადგან ზუსტად ვიცოდი მათი ამ დამოკიდებულებისა და ქცევის გამომწვევი მიზეზები და მიზანიც“.

ლამასა და ანამარიას დახმარებით მიგრაციის მეორე მხარე, ემიგრაციაც დავინახეთ, რამაც, მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, მეტი პოზიტიური შედეგი წარმოგვიდგინა სასწავლებლად საზღვარგარეთ წასვლასთან დაკავშირებით.

აქამდე განხილული მიგრაციები ნებაყოფლობითი იყო, თუმცა, არსებობს იძულებითი მიგრაციაც, რომელიც მიგრაციის ყველაზე რთულ სახედ მიიჩნევა. მსგავსი გამოცდილება მიიღო ჩვენი კლასელის ოჯახმა. მამამისს, ვიქტორ ქობალიას, საომარი სიტუაციიდან გამომდინარე, ოჩამჩირის დატოვება მოუწია: „მიგრაცია ძალიან რთული აღმოჩნდა ჩემი ოჯახისთვის, რადგან ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა, ერთ დღეს დაგვარგეთ. ძალიან რთულია ამასთან შეგუება, რომ აღარაფერი გაქვს, აღარავინ ხარ, გიწევს დატოვო ის ადგილი, სადაც ცხოვრება დაიწყე, რასთანაც შენი ყოველდღიურობა იყო დაკავშირებული... ახალ გარემოში ერთი გვარის 65 ოჯახი ცხოვრობდა, ჩვენ კი მათთან არაფერი გვაკავშირებდა. აფხაზეთისგან განსხვავებით აქ ჩვენ ვიყავით უცხოები“. მიუხედავად იმ დიდი ტკივილისა, რომელიც ბევრი სხვა დევნილი ოჯახის მსგავსად ქობალიებმაც გამოიარეს, დიდი შრომის ფასად შეძლეს ყველაფრის ხელახლა დაწყება, თუმცა, ისინიც აფხაზეთზე მოგონებებით და ოდესმე დაბრუნების მოლოდინით ცხოვრობენ.

იძულებით მიგრირებულების უამრავი ისტორია დაიკარგა საბჭოთა კავშირის დროს, კერძოდ, რეპრესიების პერიოდში. ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წევრის, მარიამ ურუშაძის ოჯახისთვისაც არ იყო უცნობი მსგავსი შემთხვევა და გადაწყვიტა, ბაბუის ისტორია ჩვენთვისაც გაეზიარებინა:

„ადამიანებს ხშირად გვიმეორებენ, რომ ჩვენ ყველანი განსხვავებულები ვართ, განსხვავებული გემოვნება, ინტერესები, შესაძლებლობები გვაქვს და რომ ეს მდგომარეობა ნორმალურია. შესაძლოა, ეს უბრალო ახირება იყოს და ტყუილად გვარწმუნებენ ამ მრავალფეროვნების არსებობაში და ერთმანეთს იმაზე მეტად ვგავდეთ, ვიდრე წარმოდგენა შეგვიძლია. ისევე, როგორც ადამიანები ჰგვანან და განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათი ისტორიებიც, თან თითქოს ერთნაირი და ბანალურია, თან კი უნიკალური და არსად მეორდება.“

ასეთივეა ბაბუაჩემის, ჯუდო ზედელაშვილის მიგრაციის ისტორიაც, რომელიც მილიონობით სხვა ადამიანის მსგავსად, სტალინურ რეპრესიებს უკავშირდება.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა რეპრესიები, რომლებიც საკუთარ თავზე უამრავმა პიროვნებამ გამოსცადა – პატარა ბავშვებიდან დაწყებული, ხანშიშესული ადამიანებით დამთავრებული. ალბათ, ბაბუას რომ არ გადახდომოდა თავს ეს ყველაფერი, ვგულისხმობ, დიდი სამამულო ომის შემდგომ რესპრესიებს, ასე ძალიანაც არ დავინტერესდებოდი ამ ამბებით და, როგორც ჩემი თანატოლების უმრავლესობა, მეც ზედაპირულად შევისწავლიდი ამ საკითხს და ბაბუას ისტორიასაც დრო წაიღებდა უკვალოდ.

პირველად ბაბუას ისტორიას დიდი ხნის წინ მოვუსმინე. შუა ზაფხულში ეზოდან ამოსული, თამაშით დაღლილები რომ დავუსხდებოდი მე და ჩემი ძმა ბებია-ბაბუას და სხვადასხვა ისტორიის მოყოლას ვთხოვდით ხოლმე. მაშინ პატარები ვიყავით და კარგად ვერც ვიაზრებდი, რა იყო რეპრესია, ან საერთოდ, როგორ შეიძლებოდა შუალამით შემოსულიყვნენ შენს სახლში და შორს წაიყვანე. რალაცნაირად გვასევედიანებდა ეს ამბავი, ახალი წლის ღამე ჩვენთვის ბედნიერებასთან, ურიაშულთან, ოჯახთან და სახლთან ასოცირდებოდა. ამიტომ ამ ისტორიის მოყოლას არასდროს ვთხოვდით, გვერჩივნა, მხიარული ისტორიები მოგვესმინა და კარგად გვეცინა.

ბაბუას მიგრაციის ისტორია 1951 წლიდან იწყება – „დეკემბრის ბოლო დღეები იყო, მოვიტანეთ სურსათი და საახალწლო სამზადისი გვექონდა, შემდგომ ჩვეულებრივ დავჩქეით. ღამის სამ საათზე გაგვალვითქეს. ერთი პოლიციის თანამშრომელი იყო, ერთი ოფიცერი, ერთი კი სერჟანტი. დასხდნენ მაგიდასთან, ჩვენ კი ლოგინში ვიჩქეით, პატარები. დედაჩემი კომუნისტური პარტიის წევრი იყო, ცნობილი პედაგოგი, ანა ბოლღაშვილი, დამსახურებული პედაგოგის სტატუსით. მას პარტბილეთი ჩამოართვეს და მამაჩემს დოკუმენტებზე ხელი მოაწერინეს“.

გამგზავრებამდე ბაბუას მშობლებისთვის უთქვამთ, რომ ბევრი ბარგის წაღების უფლება არ ჰქონდათ, ამიტომ მხოლოდ საჭირო ნივთების წაღება არჩიეს. 12 წლის ბაბუას მასზე პატარა 2 ძმაც ჰყავდა, ამიტომ მისმა მშობლებმა პატარებისთვის საჭირო ნივთები ჩააწყეს და მხოლოდ ორი ლოგინის წაღების უფლება მისცეს. მანქანით გადაიყვანეს დედოფლისწყაროდან გურჯაანში, სადაც, როგორც ბაბუა ამბობს, „ქრისტეს ტირილი იყო“ – მოჰყავდათ ხალხი სხვადასხვა რაიონიდან და სვამდნენ ვაგონებში, რომლებითაც ტვირთი გადააქვთ ხოლმე. საღამომდე შეავსეს ვაგონები

და 9 საათისთვის თბილისის მიმართულებით წავიდნენ. ამის შემდეგ კი სასწრაფო წესით გადაიყვანეს აზერბაიჯანში, შემდეგ გაიარეს დაღესტანი, რუსეთის ფედერაცია, ბოლოს კი ყაზახეთში ჩავიდნენ. თურმე პაპას 13 წელი სწორედ ამ ვაგონში შეუსრულდა. როგორც თვითონ იხსენებს, სარატოვში გაჩერდა მატარებელი. გაუსაძლისი სიცივე იყო, როდესაც ოჯახის წევრებმა სიცივედ მიულოცეს, იქ მყოფმა მამაკაცებმა სთხოვეს დაცვის ერთ-ერთ წევრს, რომ არაყი ეყიდათ მათთვის ამ პატარა ბიჭის ხათრით, მის დასალოცად. სინამდვილეში კი მნიშვნელოვანი მათი გათბობა იყო. მათდა გასაოცრად, დაცვამ ეს სურვილი შეუსრულა. ახალი წლის აღნიშვნაც, რომელსაც სახლში მყუდროდ აპირებდნენ, საცვირთო ვაგონში მოუწიათ. 14 დღე დასჭირდათ მგზავრობა საცვირთო ვაგონებით, სანამ დანიშნულების ადგილამდე ჩავიდოდნენ. ეს ადგილი კი იყო ჩიმკენცის ოლქი, პახტარალის რაიონი, სოფელი სლაფიანკა.

ასე დაიწყო ცხოვრება ახალი ფურცლიდან დანიშნულების ადგილზე ჩასულებს, რა თქმა უნდა, კარგი სიტუაცია არ დახვდათ. სტალინის სახელლობის კოლმეურნეობა დასახლებული იყო გადასახლებული პირებით. მათ შორის აღმოჩნდა ორი, 1937 წელს რეპრესირებული ერთი უკრაინელი და ერთი ქართველი. იყვნენ ასევე გერმანელები, ჩრდილოკავკასიელები, პოლონელები. ტერიტორია მავრთულხლართით იყო შემოფარგლული და მუდმივად კონტროლდებოდა. როგორც ბაბუამ თქვა, რთული პირობების მიუხედავად, მშვიდობა არასდროს იყვნენ და ლუკმა-პური ყოველთვის ჰქონდათ. საცხოვრებელ ადგილს რაც შეეხება, ნამდვილად არ იყო სასიამოვნო იქ ცხოვრება, თუმცა, რეპრესირებულ ადამიანებს უკეთესის იმედი არც ჰქონიათ. „მიუხედავად გასაჭირისა, ყველანი ძმებავით ვიყავით და ერთმანეთს ვეხმარებოდით“. -იხსენებს ბაბუა. ის მუშაობდა ბამბის პლანტაციაში, თავიდან ტრაქტორისტის თანამშემწედ, შემდგომ ცხენიან კულტივატორს მართავდა, ასევე ავროვებდა ბამბას დღეში დაახლოებით 32-35 კგ-ს. დედა არ მუშაობდა, ხოლო მამა, ალექსანდრე, ასევე ბამბის პლანტაციებში მუშაობდა სარწყავი არხების გამსუფთავებლად. აღმოჩნდა, რომ სკოლაშიც უსწავლია ორი წელი რუსულად, შემდეგ კი ყაზახურ ენაზე მიუღია განათლება.

ბაბუას დედა, ჩემი დიდი ბებია ანა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დამსახურებული პედაგოგი და კომუნისტური პარტიის წევრი იყო. მან არაერთი წერილით მიმართა იმდროინდელ მთავრობას, სადაც სთხოვდა აეხსნათ, რა იყო მათი გადასახლების მიზეზი. ბაბუას მამა, ანუ ჩემი დიდი ბაბუა, ალექსანანდრე ზედელაშვილი, დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა. პოლონეთში ტყვედ ჩავარდა და გერმანელებმა კუნძულ ტექსელზე გა-

დაიყვანეს. ისტორია იცნობს ამ კუნძულზე ქართველი ტყვეების აჯანყებას გერმანელების წინააღმდეგ, თუმცა სტალინმა მაინც არ აპატია მათ ტყვედ ჩავარდნის ისტორია. დიდ ბებიას აინტერესებდა პასუხი კითხვაზე, დამნაშავე იყო თუ არა მისი მეუღლე. ამისთვის რაცღამ ისჯებოდა ის თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად. რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობას აზრადაც არ მოსვლია, თუნდაც სიციყვიერი პასუხი გაეცა მისივე დამსახურებული წევრისთვის.

უმკაცრეს კლიმატურ პირობებში გავიდა 3 გრძელი წელიწადი, ეს ადგილი პრაქტიკულად უდაბნო იყო, ზაფხული ადრე იწყებოდა და ნოემბრამდე გრძელდებოდა, სიცხე 42-45 გრადუსს აღწევდა, საღამოს კი მკვეთრად ეცემოდა ტემპერატურა – 10 გრადუსამდე. რთული კლიმატური პირობები აისახა მცირეწლოვანი ბავშვების ჯანმრთელობაზე, რაც გამოიხატებოდა ფეხების გაუსაძლის ტკივილში, შემდგომ, უკვე საქართველოში, დაუსვენს ბაბუას ნეკრესის ქარის დიაგნოზი და დღემდე უწევს მწვავე ტკივილებთან გამკლავება. ბაბუამ და მისმა ოჯახის წევრებმა მხოლოდ დიდი დიქტატორის, სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოახერხეს საქართველოში დაბრუნება.

საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ აღმოაჩინეს, რომ მათი სახლით სხვა სარგებლობდა, თუმცა დაუბრუნეს სახლიც და მიწაც. ანა აღადგინეს კომუნისტური პარტიის წევრად და პედაგოგიური საქმიანობა გააგრძელა. ალექსანდრე ყველ-კარაქის ქარხნის ბუღალტერი იყო და იქვე გააგრძელა მუშაობა. ბაბუამ ისევ მეშვიდე კლასიდან დაიწყო სწავლა და სკოლის დირექტორისგან საჩუქრად ქვიშხეთის პიონერთა ბანაკის საგზური მიიღო (ლაზრენცის ბერიას სახელობის ბანაკის). სხვათა შორის, იმ ბანაკში გაიგო ბერიას გარდაცვალების შესახებ, სადაც მისი ქანდაკება უკვე ძირს ეგდო.

ჩემი ოჯახის ისტორია, ერთი მხრივ, მიქმნის უსამართლობისა და ბრავის განცდას იმ რეჟიმის მიმართ, რომელიც საბჭოთა კავშირმა შექმნა, მეორე მხრივ კი, მარწმუნებს ადამიანების განუსაზღვრელ შესაძლებლობებში, ტკივილის, დარდის, გასაჭირის მიუხედავად, როგორ შეუძლიათ, კვლავ უყვარდეთ და თავიდან დაიწყონ სადღაც შეწყვეტილი სიცოცხლე.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის კიდევ უამრავი ისტორია რჩება უცნობად და, ალბათ, მომავალშიც დარჩება, ისინი ყოველთვის ცოცხლობდნენ და დღემდე ცოცხლობენ მიგრირებულ ადამიანებში. მათ გასაცნობად კი მხოლოდ ინტერესია საჭირო, ინტერესი ერთგვარი გასაღებია იმ კარებისთვის, რომლის მიღმაც ეს ისტორიებია. ჩვენ კი ამ პროექტის დახმარებით შევძელით და რამდენიმე ასეთი კარი გავაღეთ ჩვენ ირგვლივ არსებულ ადამიანებში.

საბოლოოდ კი, გარკვეულ მომენტში, ეს ისტორიები და მოგონებები მათ თავს აუცილებლად შეახსენებს. ეს მომენტი კი თითოეულისთვის სხვადასხვა იქნება. თეონას შემთხვევაში, შეიძლება, ქუთაისის მოკირწყლული სველი ქუჩების დანახვა და ვარდების სურნელის შეგრძნება იყოს, რუისთვის და ავასთვის – მათ ნათესავებთან საუბარი, აჯაისთვის – ჭადრაკის თამაში (მამამისთან ერთად ხშირად რომ თამაშობდა), გრეისისთვის – კლივლენდში ყოველ ხუთშაბათს ოჯახთან ერთად ცბაზე წასვლის ეპიზოდი, ანამარიასთვის – ჩამჩის დანახვა, რომელიც გერმანიაში საკონკურსოდ ხაჭაპურისა და ვაშლის ნამცხვრის მომზადებისთვის მოიგო, ლამასთვის – ტრამპის სლოგანის მოსმენა (Make America Great Again), ვიქტორისთვის – მოთამაშე ბავშვების დანახვა, რაც მას აფხაზეთში, სამეზობლოში ნათამაშებ მერკურას გაახსენებს, ხოლო ჯუდო ზედელაშვილს მატარებლის ვაგონი თავის მე-13 დაბადების დღის მოგონებებში გაისტუმრებს.

ჩვენი რესპონდენტების მოგონებები მიგრაციასთან დაკავშირებულ ბევრ ემოციას იცევს, დარდსაც და სიხარულსაც, წარმატებასაც და იმედგაცრუებასაც, მათში საიმედოდ შენახული, ამ პატარა სივრცეში შეგროვებული ისტორიები უკვე ჩვენიც გახდა და ისევე, როგორც პერსონაჟებისთვის, დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

IV PLACE

„Migration – Restarting Life from Scratch“

by Nini Ninikuri, Naili Papiashvili, Ani Ghvaladze

Teacher: Ia Lursmanashvili

School: Kareli Municipality Village Mokhisi Public School

The essay written by three students covers Georgian-Ossetian relations based on historical facts and memories of two teachers. Authors are trying to find out the reason causing conflict and ways it could be avoided.

Students manage to find two teachers who experienced migration from Ossetia. Stories cover the period when Georgian – Ossetian relations became complicated in the 90s as a result of Soviet propaganda and tragic event from recent history – Georgian – Russian War in August 2008.

Stories include painful memories from war and depict people restarting life from scratch in completely new environment. They are dreaming on peace and that war would stay only in the past. They don't lose hope that one day they will be able to return to their villages and two sides conflicting with each other find common ground and relationships between them will improve without involvement of any third side.

IV ალბილი

ნინო ნინიჭუაძე, ნაილი ჰაპიაშვილი, ანი ღვალაძე

მასწავლებელი: ია ლურსმანაშვილი
სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის
სოფელ მოხისის საჯარო სკოლა

„მიგრაცია-ცხოვრება ახალი ფურცლიდან“

ჩვენი გულჩინა მასწავლებელი, სევდიანი და დიდი ტკივილის მატარებელი. სევდასა და ტკივილს მშობლიური კუთხის – სამაჩაბლოს და კერძოდ, სოფელ ავნივის მონაცრება ჰქვია. ნახევარ საუკუნეზე მეტი იცხოვრა მშობლიურ სოფელში; 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი, სხვა უამრავ ადამიანთან ერთად მოუწია მშობლიური კუთხის იძულებით მიტოვება და ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება.

რამ გამოიწვია კონფლიქტი შიდა ქართლში? შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გადავწყვიტეთ ისტორიულ მასალებს გავცნობოდით, რომლებიც ჩვენს, ანუ ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ეხებოდა.

ოსთა ურთიერთობას ქართულ სახელმწიფოსთან სხვადასხვა ეტაპები აქვს: ა.წ-ის დასაწყისი; VII ს; X ს; XIII-XIV სს; XIV-XVII სს; XVIII XIX სს; XX-XXI სს.

ა.წ-ის პირველ საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში გამოჩნდნენ ალანთა მეომარი ტომები, დასახლდნენ მის ცენტრალურ ნაწილში და შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მათი კულტურა კავკასიური ტიპის გახდა.

VII ს-დან ოსეთში ბიზანტიიდან და საქართველოდან ქრისტიანობა ვრცელდება. X ს-ში ჩრდ. კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძლიერი ოსური სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ოსებს საქართველოსთან, ძირითადად, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა სამხედრო კონფლიქტებიც მომხდარა. ოსთა რაზმები მონაწილეობდნენ ქართველ მეფეთა ლაშქრობებში. ქართულ და ოსურ სამეფო ოჯახებს შორის ნათესაური კავშირი იყო დამყარებული. ოსთა მეფეების ასულები ცოლად ჰყავდათ გიორგი I-ს; ბაგრატ IV-ს; გიორგი III-ს; დავით VII-ს. თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი, ზოგიერთი ცნობით, ოსეთში დამკვიდრებული ბაგრატიონების წარმომადგენელი იყო.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს ბაგრატ IV-ის ცოლისძმის, ოსთა მეფე დორლოლელის გალამქრების შესახებ საქართველოს მოწინააღმდეგის – განჯის საამიროს წინააღმდეგ: ბაგრატმა გამოიყვანა დორლოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასი ოვსით, მოაოხრეს განჯა და აიღეს ტყვე და ალაფი ურიცხვი“.

დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, მონღოლთა შემოსევებამდე ოსეთი საქართველოზე იყო დამოკიდებული. ოსები კვლავაც მონაწილეობენ ქართველ მეფეთა ომებში. დიდგორის ბრძოლაში ქართველთა მხარდამხარ 500 ოსი მეომარი იბრძოდა.

„ქართლის ცხოვრება“ – ოსთა სამხედრო სამსახურზე გიორგი III-ის დროს: [მეფე გიორგი] ოვსებს და ყივჩაღებს, რამდენ ათას კაცსაც დაიბარებდა, იმდენი მოვიდოდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში შემოჭრილმა მონღოლებმა დაანგრეს ოსთა სახელმწიფო, ოსების ნაწილი კავკასიის მთებში შემოიხიზნა, ნაწილი სხვადასხვა ქვეყნებში განსახლდა.

საქართველოსა და ოსეთს შორის ურთიერთობა, ძირითადად, კეთილმეზობლური იყო, მაგრამ საკმარისი იყო გარეშე, მესამე ძალის ჩარევა, რომ ურთიერთობა იძაბებოდა.

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე, ორი მონღოლური სახელმწიფოს – „ოქროს ურდოსა“ და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში, საქართველოშიც გამოჩნდნენ ოსთა სამხედრო რაზმები და, ილხანთა მხარდაჭერით, შიდა ქართლში მონინდომეს გაბატონება. „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუნეს და ტყვევნად თვისად დაიჭირეს ოვსთა“ (ყამთააღმწერელი). გიორგი ბრწყინვალემ გააძევა ისინი და ისტორიულ წყაროებში ქართლში შემოჭრილი ოსების ხსენება ქრება. სავარაუდოდ, მათ ან დატოვეს ჩვენი ქვეყანა, ან გაითქვიფნენ ქართულ მოსახლეობაში. ყაბარდოელები ავიწროებდნენ ოსებს, ამიცომ ისინი სამხრეთით, კავკასიონის ქედის გადმოღმა საქართველოში ჩამოვიდნენ. გადმოსახლება მშვიდობიანი ხასიათისა იყო. ოსები ქართულ მიწებზე ქართველ ფეოდალთა დასტურით სახლდებოდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონი – ქართლის მთიანეთში ოსთა ჩამოსახლების შესახებ: ამ მთის ადგილებში პირველად ქართველი გლეხები ცხოვრობდნენ, შემდეგ მათმა მეპატრონეებმა ოსები გადმოსახლეს, ხოლო ქართველები ბარში ჩაიყვანეს, რადგან ბარში მოსახლეობა შემცირებული იყო მცრის შემოსევებისაგან. ქართულ-ოსური ურთიერთობების მხრივ საყურადღებოა ბესარიონ ქართლის კათალიკოსის თხზულება – „მარცვილობა ლუარსაბ მეფისა“; XVII-XVIII სს.

„ბოროცნი აღდგომილ იყვნენ საქართველოსა ზედა. პირველად ოს-მანთაგან, რომელთა დაეპყრა მეფობა ბერძენთა, მერმე სპარსთაგან და მერმე მახლობელთა ჩუენთა მთიულთა ოვსთაგან, რომელნი დამკვიდრებულ იყვნეს მახლობელად ჩვენსა, რამეთუ იგინიცა ფრიად აჭირვებდეს, რამეთუ მოწევნასა ზათხულისასა ვიდრე უამამდე ზამთრისა ხოცდეს და ცყუე-ყოფდეს ცხადად და იდუმალ და ესოდენთა ძვირთაგან მოცულ იყვნეს ქართველნი“.

XVII საუკუნის დამდეგის წერილობით წყაროებში მოიხსენება კავკასიის სამხრეთ ფერდობზე ოსთა პირველი შესამჩნევი დასახლება (200-მდე ადამიანი). შემდეგ ოსები თანდათანობით ვრცელდებიან პატარა ლიახვის, ქსნისა და არაგვის საერისთავოებში და თავადი მაჩაბლების სამფლობელოში. მათი რიცხვი იზრდებოდა და 1771 წელს მათი რაოდენობა უკვე დაახლოებით 6600 კომლი ყოფილა. ჩამოსახლებულმა ოსებმა ქრისტიანობა მიიღეს, აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, თანდათანობით კი საზოგადოებრივი კულტურული ცხოვრების ასპარეზზეც აღმოჩნდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოანე იალღუშიძე (ნამდვილი გვარი – გაბარათი 1775-1830.) მან ქართულიდან ოსურად თარგმნა სასულიერო წიგნები. 1820 წ. ქართული ანბანის გრაფიკის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი, 1821 წ. კი პირველი საანბანო წიგნი ოსურ ენაზე.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ქართლში ოსთა განსახლებას ასახავს ვახუშტი ბაგრატიონის რუკები და „აღწერა“. ვახუშტის რუკაზე ოსური სოფლების ნიშნებით აღნიშნულია დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელი, მეჯუდის, ლეხურის, ქსნის, თერგის სათავეები. არაგვის ხეობაში არაა არც ერთი ოსური სოფლის ნიშანი. ქართულია სამუხრანბატონო და საამილახვრო. რაც ნიშნავს, რომ ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთიანეთსა და ბარში არ არსებობდა, ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა სათავეებში იყო.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქართლში აღრინდელზე მეტი ოსი ჩანს. ამ პერიოდის ვითარებას ასახავს ი. გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურები. მისი მონაცემებით, ლიახვის ზემო წელზე XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქართველები ოსებთან ერთად ცხოვრობდნენ. შემდგომში ქართლში კვლავ მატულობს ოსური მოსახლეობა. განსახლების არე კი – სამხრეთით მიიწევს.

ოსები სახლდებოდნენ დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებში. ოსური მოსახლეობა გაჩნდა გორისა და დუშეთის სოფლებში, რაჭასა და იმერეთში.

საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ, ოსებით დასახლებული ტერიტორიები, ძირითადად, გორისა და დუშეთის მაზრებში მოექცა.

...1804 წელს ცხინვალში 12 კომლი ოსი ცხოვრობს...

XIX საუკუნის დასაწყისში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთაში მკვიდრობდნენ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ისინი შიდა ქართლის მთისწინეთში დასახლდნენ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, ბარის სოფლებში დაიწყეს ინტენსიური ჩამოსახლება.

1843 წელს გორისა და თბილისის მაზრებს ჩამოაშორეს მათი კუთვნილი ქსნის ხეობის ზემო წელისა და შენაკადის აუზი, რომელიც ქართველეთით იყო დასახლებული და მთის ოკრუგის შემადგენლობაში შეიყვანეს.

რუსეთის 1917 წლის რევოლუციების შემდეგ, იმავე წლის დეკემბერში ოსებმა შექმნეს სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო, რომლის მიზანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა იყო. ოსებს რუსების დახმარებით სურდათ ისტორიული შიდა ქართლის რუსეთთან შეერთება, რადგან მაშინ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა არ არსებობდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გააქტიურდნენ სეპარატისტები. 1918-1920 წ.წ. საქართველოს საალბო გვარდიამ და ქართულმა ჯარმა შეძლო ოსთა მოლაღატური ამბოხის ჩახშობა.

1922 წელს ხელოვნურად შექმნილი ადმინისტრაციული ერთეული – „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ კონფლიქტის ძირითად წყაროდ მიგვაჩნია. კონფლიქტის ესკალაცია 1977 წ. დაიწყო. როდესაც ოქტომბერში საბჭოთა კავშირში ახალი კონსტიტუცია მიიღეს და მოკავშირე რესპუბლიკებს დაავალეს მათაც მიეღოთ თავიანთი კონსტიტუციები, სადაც სახელმწიფო ენა რუსული უნდა ყოფილიყო.

1978 წლის 14 აპრილს ქართველები (უმთავრესად სტუდენტი ახალგაზრდობა) რუსთაველაზე შეიკრიბნენ მშობლიური ენის დასაცავად და კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული დავიცოვეთ. ამ ფაქტმა აღაშფოთა აფხაზები და ოსები: „ქართველები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ“. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენები აქედან ჩაყრილი ფესვებით გაღვივდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონფლიქტი ძლიერდება. სეპარატისტულმა ძალებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1990 წ, რამაც 1991-1992 წწ. საომარი მოქმედებები გამოიწვია.

2008 წ. აგვისტოდან იწყება ქართულ-ოსური კონფლიქტის ახალი ეტაპი.

კონფლიქტის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად გულჩინა მასწავლებელს ვეწვიეთ მოხისის დევნილთა დასახლებაში. მოსვლის მიზეზი

რომ გაიგო, ბავშვობის სურათი გამოიგანა. ეს ერთადერთი სურათი დარჩა იქაური ყოფიდან. 2008 წლის შემდეგ აჩუქა თბილისში გათხოვილმა მეგობარმა...

გულჩინა მასწავლებელმა ამოიხრა და იმ მძიმე დღეების გახსენება დაიწყო: – არათფერი წამომიღია. საშინელი სროლა იყო, დეიდასთან წავედით ტახტიძირში. ვფიქრობდით სალამოს დავბრუნდებოდით, წამოსვლამდე საქონელს და წვრილფეხს ვაჭამეთ... ჩვენი ქალიშვილი შორენა და დედაჩემი ორი დღით ადრე გორში წავიდნენ. უფროსი ვაჟი კოდორში იყო, პატარა ავნევი იბრძოდა. არ მოვდიოდი, მაგრამ მთელი სოფელი იცლებოდა. ყანა-ყანა დაუწყევით და თრონის ნაპირზე გამოვედით, კაზაკები შემოდინო და – გორში წავედით. დედა და ქალიშვილი დედაჩემთან იყვნენ „ვერხვების დასახლებაში“ და რუსებმა ზუსტად იქ ჩამოყარეს ბომბები. აფეთქების ტალღამ მინები შემოანგრია, მისი ნამსხვრევებით დედაჩემი დაიჭრა, ებოში რვა ადამიანი იყო გარდაცვლილი. დედაჩემი სასწრაფო დახმარების მანქანამ წაიყვანა, მეც მინდოდა გავყოლოდი, ჩემი შვილის ყვირილმა უკან მომატრიალა და იმ ადგილზე სადაც რამდენიმე წამის წინ ვიდექი ბომბი ჩამოვარდა...

დედაჩემის ქმარმა უსათრთხო ადგილას წავვიყვანა; შეშინებულები, იქამდე ხოხვით მივედით. ვუყურებდით, როგორ ფეთქდებოდა სამხედრო ბაზა. სალამოს დედაჩემის ძებნა დავიწყეთ. საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს, ექიმი ჩვენი გვარის იყო – ჯავახიშვილი. ექიმები იმედს არ გვაძლევდნენ. ასაკოვანია და საშიშიაო. პატარა ვაჟიშვილი ლაშა სოფლიდან ჩამოვიდა, დედა ექიმებს ჩავაბარეთ და თბილისში წავედით, იქ ერთ-ერთ სკოლაში მიგვიყვანეს. ორი დღის შემდეგ დავბრუნდი გორში დედასთან, საავადმყოფო თბილისში ევაკუირებული დამხვდა. გადავწყვიტე ბინაში მივსულიყავი. უცნობმა ახალგაზრდამ მირჩია სასწრაფოდ დამეტოვებინა ქალაქი და ცენტრალურ ტრასამდე მიმიყვანა. ჩამოვედი თბილისში და დედას დაუწყო ძებნა საავადმყოფოებში. მხოლოდ მესამე დღეს ვიპოვეთ რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ორი თვე მკურნალობდნენ.

2008 წლამდეც მთელი 18 წელი ომში ვცხოვრობდით. უპირველესი სამიზნე სკოლა იყო, ბავშვები ხშირად ჩავვიყვანია სარდაფში. 2008 წლის 2 აგვისტოდან სროლები დაიწყო. ქართული ჯარი რომ არ შემოსულიყო ყველას დაგვხოცავდნენ. 90-იანი წლებიდან ოსები ღიად გვეუბნებოდნენ: კახეთში წადით და იქაური ოსები აქ ჩამოსახლდნენო. ამ მხარეში ქართული სოფლები ნელ-ნელა დაიცალა ქართველებისაგან, ნული და ავნევი ვიდექით ფარად... ძალიან ლამაზი სოფელი იყო ჩვენი ავნევი – სკოლა ე.წ. ევრორემონტით, კლუბი, საბავშვო ბაღი, საავადმყოფო, სპორტული

დარბაზი, ბუნებრივი გაზიც გვექონდა, ქუჩები მოასფალტებული... ყველა-
ფერი გაანადგურეს როგორც ჩვენთან, ისე ნულში... აგვისტომდე ერთი
თვით ადრე ცლიდნენ ოსები თავიანთ სოფლებს – დიდმუხას, მუგუთს და
ვლადიკავკაზში მიდიოდნენ ავტობუსებით. ვხედავდი ლოგინით, სხვადა-
სხვა ნივთებით დატვირთულ მანქანებს და ავტობუსებს, მაგრამ მაინც არ
მეგონა, თუ ასეთი საშინელება დაგვატყდებოდა თავს. ეს ფაქტი ნათლად
გვიჩვენებს, რომ ომი ქართველებს არ დაგვიწყია.

ჩვენს კითხვაზე – დაბრუნდებოდით თუ არა? – გულჩინა მასწავლე-
ბელმა ტირილი დაიწყო და გვითხრა: – რა თქმა უნდა. დაუფიქრებლად.
მიყვარს ჩემი სოფელი. 50 წელი იქ ვცხოვრობდი, იქ დარჩა მამის საფ-
ლავი... ამბობენ, საფლავები გაანადგურესო. მენატრება მამის საფლავი...

ჩვენს სოფელს ზემო ნიქოზი ესაზღვრება. ადრე უცხოვრიათ „ყვავის საყ-
დართან“, შემდეგ კი ე.წ. „გორა წმინდასთან“ ჩამოსულან. იქ ჩვენს დროს
წმ. გიორგის ნიში იყო და შემდეგ ჩამოსახლდნენ იქ, სადაც ვცხოვრობდით.
ჩრდილოეთით – ტილიანა, სამხრეთით – ფრონე, გარშემო – ტყეები. XVIII
საუკუნეში ჩატარებული აღწერის მიხედვით, მოცემული გვარებიდან შემო-
რჩა სამი გვარი: ბეგიაშვილი, სიქტურაშვილი და მაჭარაძე. შემდეგ მაჭა-
რაძეების გვარი ამოწყდა... სერგი მაკალათიას ვარაუდით, ძველი მოსახ-
ლეობა, ალბათ, ლეკიანობის შიშით აიყარა. მდინარე ტილიანა სოფელს
ორ ნაწილად ჰყოფს. სოფელში რამდენიმე სალოცავი გვექონდა. მოქმედი
ცაძარი ღვთისმშობლის სახელობის იყო, მეუფე ისაია ხშირად გადმო-
დიოდა ჩვენს სოფელში. ასევე გვექონდა რამდენიმე ნიში: სარკის, გერის,
წმ. შიოს ნიში... სადაც მივდიოდით სალოცავად. თქმულების მიხედვით,
თამარ მეფეს ლაშქრით გამოუვლია ჩვენს სოფელში... ძალიან მძიმედ
მახსენდება 1990 წლის 23 თებერვალი. თანასოფლელები – გოჩა სიქტუ-
რაშვილი და ნოდარ ცოროშელიძე მოგვიკლეს ოსებმა. აღშფოთებული
ჩვენი თანასოფლელები ჩაეჭრენ მკვლელებს. ამას მოჰყვა განუწყვეტე-
ლი სროლა. ჩვენს სოფელს უშენდნენ ოსები. დაახლოებით 10 ადამიანი
დაიღუპა... მოსახლეობა ბეტყერებით გამოგვიყვანეს სამშვიდობოს. თბი-
ლისში ჩავვიყვანეს, უფროსი შვილი ვალერი პირველ კლასში იყო და
რამდენიმე თვე იქ დამყავდა სკოლაში. შემდეგ დავბრუნდით სოფელში.
როდესაც სროლები ატყდებოდა, ბავშვებს საწოლის ქვეშ ვაძვრენდი, სა-
დაც ლეიბები მქონდა დალაგებული. ერთ-ერთი სროლის დროს ვაუები
საწოლის ქვეშ შევაძვრინე, ხოლო მე გოგონას აკვანზე გადამხობილს წამ-
სვლია გული... სროლის დამთავრების შემდეგ დედაჩემი ამოვიდა მეორე
სართულზე და ასეთ მდგომარეობაში დავხვედრივარ... რაზე ვოცნებობ?
მშვიდობაზე. უპირველესად, მშვიდობაზე. ომი აღარ გვენახოს...

...ამ დასახლებაში რომ მოვედით, სახლი ნესტიანი იყო. კედლები, იატაკი, ჭერი – სველი. 27 ნოემბერს ჩამოვედით, ყველა გავცივდით, ძალიან რთული იყო.

თბილისში ახმეტელის მეტროსთან ჯერ რუსულ, შემდეგ სომხურ სკოლაში ვცხოვრობდით. თავიდან მაგიდებზე გვეძინა, საკვები სულადობრივ გვეძლეოდა. ტანსაცმელი მეორადებში ვიყიდე, გავრეცხე და იმით ვიმოსებოდით. რატომ ავირჩიეთ მოხისი? გორთან სიახლოვის გამო, იქ ჩემი შვილი ცხოვრობს, თანაც მაგისტრალიც ახლოსაა. ხომ არ ვნანობთ? – არა, შემეყვარდა ხალხი, სკოლის საზოგადოება. სახლები ნომრებით გავვინაწილეს, პირველადი ნივთები და ავეჯი მოგვცეს. წყალი თავიდან ცუდი იყო, ახლა მოხისიდან ჩამოგვიყვანეს და ძალიან კარგია. აქ ცხოვრება ახალი ფურცლიდან დავიწყეთ.

გულჩინა მასწავლებლის სახლიდან წამოსულები ხმას არ ვიღებდით, ისე ვბრუნდებოდით სოფელში; შეგვძრა მისმა ნაამბობმა, თითქოს ჩვენც იქ ვიყავით და ავნიველებთან ერთად გადავიტანეთ ის მწარე დღეები.

ია მასწავლებლისგან შევიტყვეთ, რომ მოხისის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილეს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ თამარ გიკაშვილს უმაღლესი განათლება ცხინვალში მიუღია; მოვამზადეთ შეკითხვები (ვიცით, რომ სტუდენტობის წლები ცხინვალში გაატარეთ, როგორი იყო ქართველებისადმი დამოკიდებულება ინსტიტუტში, ქუჩებში? გყავდათ თუ არა ოსი მეგობრები? იმ დროს თუ გიფიქრიათ, რომ ცხინვალში დროებით, მაგრამ მაინც დაიკეცებოდა თქვენთვის? რა მოლოდინი გაქვთ ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით?) და ჩვენი თხოვნით, თამარ მასწავლებელმა გაიხსენა სტუდენტობა და იქ გატარებული წლები:

– ჩვეულებრივი, საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა იყო. განსაკუთრებული სიძულვილით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა იყო მომენტები, როცა ნაციონალობა იჩენდა ხოლმე თავს. ეს არ გადასულა სიძულვილში, ურთიერთობები არ გავფოჭებია. ბოლო პერიოდში, ანუ 90-იან წლებში ცოცხა დაიძაბა ურთიერთობა, როცა ქართველებმა წინ ეროვნული ინტერესები წამოსწიეს. ზოგადად, ქართულ-ოსური ურთიერთ-დამოკიდებულება ნორმალური იყო. დეიდასთან ვცხოვრობდი, მეზობლად ორი ქართული ოჯახი იყო. მყავდა ებრაელი, სომეხი, რუსი მეგობრები. სამწუხაროდ, ამჯერად ურთიერთობები აღარ მაქვს. დეიდაჩემის ქმარი ძირძველი ცხინვალელი იყო, ჭოველიძე. დარწმუნებული იყო, რომ არ გაწირავდნენ, ბოლომდე ცხინვალში ცხოვრობდა. ცოცხალი რომ გამოვიდა, ოსი მეგობრების დამსახურებაა. დეიდაჩემის ოჯახი დევნილობის შემდეგ

ჯერ გორში დასახლდა, შემდეგ თბილისში. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ესპანეთში მოუწიათ მიგრირება. დედაჩემი ძალიან განიცდის. დედაც და დეიდაც ასაკში არიან. ამ ეპოქის რეალობაა მათი სევდა. გლობალიზაციამ დაახლოვა სამყარო და დააშორა ახლობლები...

წინათგრძნობა მქონდა, განსაკუთრებით ინსტიტუტში, ჩანდა მათი სწრაფვა რუსებისაკენ; ბოლომდე არ მეგონა, თან არ გამკვირვებია. ინსტიტუტი 1989 წელს დავამთავრე. საბჭოთა პროპაგანდა ოლქის შექმნისთანავე მუშაობდა ქართველი და ოსი ხალხის დაშორებაზე. ქართულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ძირითადად ქართველებთან ვურთიერთობდი. ოს სტუდენტებთან ფესტივალების ჩატარების დროს გვექონდა ურთიერთობა, უფრო მათთან, ვინც ქალაქში ცხოვრობდა.

ერთი რამის მჯერა: ისტორია წლები წუთები და წამებია. რატომაც არ შეიძლება ამ საუკუნეებშივე აღდგეს ურთიერთობები, ამის თქმის საშუალებას ვაუა ექიმის ისტორია მაძლევს. ღმერთმა ქნას, მალე მოხდეს ეს ამბავი.

განსაკუთრებული სითბოთი გავიხსენებ ცხინვალელ ებრაელებს. ქართველების შემდეგ მათ დატოვეს ქალაქი. მეტწილად ქართულ სკოლებში ასწავლიდნენ შვილებს. სომხები, ძირითადად, დარჩნენ. მახსენდება მათი ე. წ. პრეზიდენტი ჩიბიროვი, რომელიც რაღაც პერიოდში ჩემი ლექტორი იყო. სიყვარული მაკავშირებს ამ კუთხესთან. ადამიანები ვართ... როცა საშინელი ამბები გესმის საერთო აღშფოთებაა, დროის გავლის შემდეგ აღშფოთებას სიმძაფრე აკლდება და უფრო კარგი მოგონებები გახსენდება.

ჩვენ შევეცადეთ გულჩინა ჯავახიშვილისა და თამარ გიკაშვილის ოჯახებისა და ახლობლების განვლილი ცხოვრება „დაგვებრუნებინა“ ისტორიაში. რამ განაპირობა მათი ცხოვრების არაერთგზის დაწყება ახალი ფურცლიდან? მათ გარდა რამდენმა ადამიანმა და ოჯახმა გადაიტანა იძულებითი გადასახლების ხვედრი? ეს ჩვენი ქვეყნის ტკივილიანი ისტორიის უახლესი ფურცლებია. ამ ტკივილის „წამლობა“ ისევ და ისევ ორ ხალხს შორის ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ. როდესაც ასეთ სევდიან ამბებს ვაანალიზებთ, უნდა გვახსოვდეს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ოლქის“ აქეთ მცხოვრები ოსური ოჯახების ისტორია; ოჯახებისა, რომლებიც, ძირითადად, შერეული იყო და ჩვენ შორის მესამე უხეში ძალის ჩარევამ დააყენა ისინი იმ მოცემულობის წინაშე, რომელსაც „ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება“ ჰქვია. თამარ მასწავლებელს დავესესხებით და ჩვენც იმავეს ვიცყვით, რომ ახლახან მომხდარი ვაუა ექიმის ისტორია გვაძლევს იმედს, იმედს იმისას, რომ არ დაგვჭირდება მესამე ძალა. ერთმანეთისაკენ სავალი გზები ჩვენ თვითონ უნდა მოვიძიოთ. ამ იმედით გემშვიდობებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

სერგი მაკალათია: ფრონის ხეობა.

ი. ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნა“: ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან.

ასევე კონკურსის გვერდზე მოცემული სხვადასხვა მასალები.

გულჩინა მასწავლებლის ბავშვობის ერთადერთი შემორჩენილი სურათი.

V PLACE

„Migration – Life from a New Page“

By Ana Abuladze

Teacher: Roena Khozrevanidze

School: Khulo Municipality Village Kvemo Vashlovani
Ruslan Meladze Public School

In her essay the author reflects on the outcomes caused by migration and refers to the occasions obliging people to move to new locations. The main focus is on the memories of a teacher Pheride Ajiba whose family, originally from Abkhazia, experienced several migrations in and out of the country during the Soviet repressions in the 30s and WWII forcing her father to leave the family.

Despite the fact that Adjara became her second home, the family members were still dreaming of their own place. Pheride gets married when immigrated to another village in upper Adjara to a local man, the first professional painter in the region, Simon Artmeladze, who thanks his wife for her outstanding service to their family in archives.

The author learned a lot during research. The story of migration from Abkhazia to Adjara is not strange for her but the fact that the Georgian territory is occupied causes her trouble.

V ალბილი

ანა აბულაძე

მასწავლებელი: როენა ხოზრევანიძე
სსიპ რუსლან მელაძის სახ. ხულოს მუნიციპალიტეტის
სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა

„მიგრაცია – ცხოვრება ახალი ფურცლიდან“

XIX საუკუნე – ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმესი პერიოდი, რუსეთის იმპერიის მესვეურებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ სრულიად კავკასიის ბედი. სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ბედი. ტერიტორია – ხიდი ევროპასა და აზიას შორის – დიდი სახელმწიფოების დავის საგანი ხდება. ვინც დაასწრებს და განიმტკიცებს გავლენის სფეროებს, მნიშვნელოვან სახელმწიფოთა სიაში პირველი ხდება. რუსეთი – გაუმაძღარი სისხლითა და ტერიტორიებით – ახალ საკბილოს ეძებს. გადაწყვეტილი აქვს სრულიად კავკასიისა და საქართველოს ბედი. იარაღი – გათიშე და იბაცონე. ვის ანალღვლებს ათი-ათასობით ბუდეაშლილი ადამიანების ბედი. ასე აღმოჩნდნენ ადამიანები სამშობლოში სამშობლოს გარეშე.

დაიწყო 1801 წელი, გაქრა ქართლ-კახეთის სამეფო. 1810 წელი – იმერეთის სამეფო და რიგრიგობით მთელი კავკასიური სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. მინდა მოგიტხროთ იმ ადამიანების ცხოვრების ამბები, რომლებიც საკუთარ სამშობლოში უსამშობლოდ აღმოჩნდნენ.

ჩემს ლამაზ სოფელში, ვაშლოვანში ერთი, ნიჭითა და ინტელექტით გამორჩეული ოჯახი ცხოვრობს. თითქმის ყველა ხელოვანია ან თავისი საქმის პროფესიონალი. ასეთი პროფესიონალი გახლდათ ჩვენი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, აჭარის დამსახურებული პედაგოგი, აწ გარდაცვლილი ქალბატონი, ფერიდე აჯიბა. გვარმა მიგანიშნათ ალბათ, საუბარი აფხაზ ქალბატონს ეხება, რომელმაც ძალიან ბევრი გაუკეთა ჩემს სოფელს, ხალხს.

მზიური აფხაზეთი, სოფელი აჩანდარა, ულამაზესი ხედებით, უხვი მოსავლით, მეგრულ-აფხაზური ტრადიციების ოჯახი, აჯიბების ოჯახში ძირძველი აჩანდარელი აფხაზები არიან. ოჯახში ორი ძმა და მათი ოჯახები ცხოვრობდა. შრომობდნენ, წელში წყდებოდნენ და ოჯახს ისე არჩენდნენ. და აი, რუსული პოლიტიკა – აფხაზეთი აფხაზების გარეშე. აჭარა და აფხა-

ზეთი ოსმალთა ბატონობამ ისლამის მიმდევრებად აქცია. თვითმპყრობელურმა რუსეთმა რაც დააკლო ამ ხალხს, საბჭოთა რუსეთმა ორმაგად აზღვევინა. მუჰაჯირობიდან იძულებით აყრილებად იქცნენ ძირძველი აფხაზები. ოჯახის უფროსი, ალი და მისი ოჯახი აჭარაში ჩამოდიან, მათ მოჰყვება მამა და მეორე ძმა, დურსუნი ოჯახით, და ზეციე ოჯახით. ცხოვრება იწყება ახალი ფურცლიდან. ბათუმთან ახლოს სოფელი ურეხია. სწორედ იქ დასახლდნენ ძმები – ალი და დურსუნი ოჯახებით. ცყე გაკათეს, სამოსახლოები გაიკეთეს, კერა გააჩაღეს და კვლავ ბედი მუხთალი – მთავრობას არ სურს, აფხაზები ცხოვრობდნენ აჭარაში, მიზგმს ეძებენ, რომ აიძულონ თურქეთში წასვლა ამ ზნეკეთილ ადამიანებს. ოჯახის უფროსი, ჰაჯი მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად თურქეთს მიაშურებს, რომ ვაჟები როგორმე აარიდოს მეორე გადასახლებას. და ალიც ქორწინდება აჭარელ ქალბატონზე, ქობულეთელ ზეციე ბოწყობილზე. 7 შვილი დაიბადა ახალ ფუძებზე – 5 ქალიშვილი და 2 ვაჟი, თუმცა ემშაკს არ სძინავს და ალიც – ოჯახის უფროსი იძულებულია თურქეთს მიაშუროს მშობლებთან და დასთან. თურქეთი – მძიმე დღეები. ბრძოლა არსებობისთვის, დარდი ოჯახზე, 7 შვილი, გოგონების აღზრდა ცრადიციისამებრ.

ისტორიის ავბედითობა და მძიმე დღეები. მიგრაციიდან მიგრაციაში, სხვა ქვეყანაში დამკვიდრება და ადგილის პოვნა, დარდი ოჯახზე, აჩანდარაზე დარჩენილი ვაჟის სიკვდილი და მოუშუშებელი იარა მამისათვის. კვლავ დაბრუნება თურქეთიდან და, საბოლოოდ, ურეხში დამკვიდრება. აფხაზური ოჯახი სიყვარულით მიიღო აჭარამ. ოჯახი დამკვიდრდა და გაიზარდა. გოგონები სწავლობდნენ. და აი, II მსოფლიო ომი. უჭირდა ქვეყანას, ხალხს, გოგონები შრომობდნენ, სწავლობდნენ, „ურეხიდან ფეხშიშველად ჩავდიოდი ბათუმში, სადაც ქალთა პანსიონში ვსწავლობდი. მამა რძეს წაიღებდა გასაყიდად ქალაქში, რომ ფქვილი ეყიდა. გვიჭირდა, მაგრამ ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა გვაძლებინებდა. ვსწავლობდით, ხუთივე დამ უმაღლესი განათლება მივიღეთ და ქვეყნის სამსახურში განვვლეთ ცხოვრების გზები“. – იხსენებდა ქალბატონი ფერიდე აჯიბა. აფხაზური ოჯახი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა მშობლიურ აჩანდარას, აფხაზურ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აჭარაშიც თავს კარგად გრძნობდნენ.

და კიდევ ერთი მიგრაცია. რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ფერიდე აჯიბა აჭარის მაღალმთიანეთის ლამაზ სოფელში მიავლინეს პედაგოგად. გაუჭირდა ოჯახთან განშორება, მაგრამ სხვა გზა არ იყო და აი, ფიქრი იმაზე, რომ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდება ოჯახში, იმით დასრულდა, რომ სიყვარული ეწვია და ოჯახი შექმნა ხულოელ სიმონ ართმელაძესთან. მიგრაციიდან მიგრაცია,

თუმცა მუდამ რომ გახსოვს, ვინ ხარ? საიდან მოდიხარ?

მე არ მახსოვს ქალბატონი ფერიდე აჯიბა, მაგრამ ოჯახში ხშირად მესმის მისი კარგი პედაგოგობისა და ქალობის შესახებ. მისი მუღლე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პირველი პროფესიონალი ზემო აჭარაში, მხატვარი სიმონ ართმელაძეა (აწ გარდაცვლილი). მის სახელთან არის დაკავშირებული ხულოში სამხატვრო გალერიისა და სახელოვნებო სკოლის გახსნა.

როდესაც ბატონ სიმონ ართმელაძის შესახებ ვკითხულობდი, ასეთი რამ ამოვიკითხე მის ინტერვიუში: „თუ რამე შევძელი და რომ დღეს შემდგარი მხატვარი ვარ, მყავს ოჯახი და 3 შვილი, ეს ჩემი მეუღლის, აფხაზი ქალბატონის, ფერიდე აჯიბას დამსახურებაა“.

ვფიქრობ... სულ ვფიქრობ – ადამიანებისათვის მიგრაცია სასჯელია, ადვილი არ არის ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება. ჩვენ, ქართველებს გვიჭირს ჩვენი კერიის შეცვლა და სადაც მიდიოდნენ ჩვენი წინაპრები, ქმნიდნენ მსგავსს, მიახლოებულს ძველთან, შორეულ ფერეიდანში გაჩნდა მარტყოფი და მარაბდა. იცვლება დრო. ჩვენი სახლი – დედამიწა ბევრ სიურპრიზს გვიმზადებს. დიდი ვაჟა ამბობდა: „ბუნება მბრძანებელია“. ეკოლოგიური პრობლემები, ომები, ცხელი წერტილები, ტერორიზმი, გაუტანლობა და შური და კვლავ მიგრაცია...

ჩვენზე დიდი ერები გაქრნენ მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან, ჩვენ გადავრჩით! ყველა დამპყრობელი გადასახლებით გვემუქრებოდა, ყველა გადასახლება პატარა ქართული კერიის შექმნით მთავრდებოდა, მაგრამ რთულია ცხოვრების დაწყება ახალი ფურცლიდან. ქალი რომ თხოვდება, მისთვის მიგრაციაა, ნამდვილად ასეა, ახლიდან იწყებ ცხოვრებას. ასე იყო ფერიდე მასწავლებლისთვისაც – დაიწყო სუფთა ფურცლიდან და არაჩვეულებრივად დაასრულა ადამიანური ყოფა. ასე იქნება შემდეგშიც. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება ერის ისტორიაა, ჩვენი წარსული და აწმყო.

ფიქრები... ფიქრები. სიხარულით დავიწყე ფიქრი მიგრაციაზე ესეს დაწერისთვის, ძალიან ბევრი გავიგე ამ საკითხის შესახებ, რა არ გადაუტანია ჩემს ხალხს: მუჰაჯირობა, საბჭოთა პერიოდის გადასახლებები შუა აზიაში, ციმბირში, რომლის ტკივილის ნაკვალევი ჯერ კიდევ მწარედ მოსდევს ჩემი სოფლის ხალხს. მერე ფერიდე მასწავლებლის გვარიდან გამომდინარე, დავინტერესდი, თუმცა კი არ მიკვირს აფხაზების აჭარაში ცხოვრება, ყველა კუთხე საქართველოა, მაგრამ დღეს რომ საქართველოს რუკას ვუყურებ, გული მტკივა დაშტრიხული კუთხეების გამო.

ნაშრომი თითქმის გამზადებული მქონდა და სამყარო ნაცრისფერი გახდა, დღეებს ვითვლიდი არდადეგებამდე და უცებ შემძულდა არდა-

დეგები. არ მინდა, სამყარო კორონამ დაიპყროს, არ მინდა ადამიანები საცხოვრებელ ადგილს ტოვებდნენ, არ მინდა, თუნდაც ერთი ციფრით შემცირდეს ადამიანების რიცხვი დედამიწაზე. გული მტკივა ღღევანდელი მდგომარეობის გამო, მაგრამ მე მწამს, გაუძლებს სამყარო და ჩემი სამშობლო ამ განსაცდელს, ჩვენ არ წავალთ მიგრაციაში სადმე და გვექნება ჩვენი ადგილი ამ სამყაროში.

ღვთისმშობელო, დაიფარე ჩემი ქვეყანა და ჩემი პატარა ერი განსაცდელისგან.

ამინ.

VI PLACE

the“Migration – Life from a New Page”

By Davit Vardidze

Teachers: Eter Kachkachashvili, Tamar Tatalashvili

School: Adigeni Municipality Village Ari Public School

In the conversation with people who or whose relatives experienced immigration, the author discovers an unfair system during Stalin’s regime making false accusations forcing the citizens to leave their motherland and locate somewhere else in the 50s.

Main characters remember the cruel nights of December when the family was in preparation for the New Year and suddenly, they became victims of injustice. The respondents tell stories of hard work abroad, feeling nostalgic for Georgia and each day hoping to return home. The author mentions that it was impossible for them to focus on anything positive abroad as their thoughts were connected to motherland. Their memories never fade away and that bitter-sweet smile when telling those stories, depicts deep inner pain as a result of the cruel regime.

VI აღზილი

ღაკით ჰარლიქ

მასწავლებელი: ეთერ კაჭკაჭაშვილი, თამარ ტატალაშვილი
ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელ არლის საჯარო სკოლა

მიგრაცია – ცხოვრება ახალი ფურცლიდან

მშობელ ქვეყანას ქართველმა კაცმა დედა-სამშობლო უწოდა და ამ სიტყვაში ის აზრი ჩააქსოვა, რომ სამშობლო დედასავით ტკბილია და შეუცვლელი. სამშობლო, ისე როგორც დედა მშობელი, ერთია ამქვეყნად. „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“ – ბრძანებდა ვაჟა. სამშობლოსთან სისხლხოცეულად ვართ დაკავშირებული, აქ დავიბადეთ, აქ გავიზარდეთ, აქ ამოვიდგით ენა, აქ განვიცადეთ პირველი სიხარული და პირველი გაცაცება. აქ ვისწავლეთ ავისა და კარგის, კეთილისა და ბოროტის გარჩევა. აქ შევიგრძენით იისა და ანბანის პირველი სიტყვის განუმეორებელი სურნელი. „ცა ფირუბ, ხმელეთ ზურმუხტის“ გამაოგნებელი სიკეთე და მიმზიდველობა. და ასეთ ყოფაში, როცა შენს კერძასთან, მიწასთან უხილავი ძაფებითა ხარ მიჯაჭვული, იძულებით გაცოვებინებენ იმ ადგილს „სადაც აგვეხილნა პირველ თვალნი, სად რბიოდა სიყმაწვილე ნათლად ჩვენი, სად გვეფარვიდა ნებიერად ხვევნა-ალერსი მშობლისა, და სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიხარულისა“. დღესაც ცხოვრობენ სოფელში მოუშუმებელი ტკივილით შუა აზიაში იძულებით გადასახლებულები, საშინელ იარღიყმიწებებულები – „სამშობლოს მოღალატე“ ადამიანები, მათი შთამომავლები.

ის წუთები, რაც მათ განიცადეს, ახსოვთ. რუსული სიტყვები: „ბისტრა, ბისტრა“ ჩააღაგეთ, ერთი საათი გაქვთ დრო“. ოჯახის უფროსი დამუნჯებული, გაურკვეველ ვითარებაშია, უძლური და უბადრუკი უსიტყვოდ ასრულებს ბრძანებებს ღამის წყვილიადი, შინაურების შერბენ-გამორბენა. ვინ რას ეზიდება, არავენ იცის. მამა წარმომადგენელთან მიდის და ეკითხება – მითხარით, რაში მდებთ ბრალს? პაუზა – ჩვენ ბრძანებას ვასრულებთ, ვერაფერს გეტყვითო. ტირილი, გამომშვიდობება ახლობლებთან, უკანასკნელად დათვალიერება სახლ-კარისა.

დატვირთული მანქანა. გეზი ახალციხისკენ. სატვირთო ვაგონები. შვიდი-რვა ოჯახი ერთ ვაგონში, თხუთმეტდღიანი მგზავრობა, ციებ-ცხელება, შიმშილი და სხვადასხვაგვარი დამცირება. და... მცირედი ნუგეში.

სადღაც გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომლებმაც რაღაც ურჩიეს, დაარიგეს, მოუსმინეს. ნელ-ნელა შეგუება გარემო პირობებთან, იმედის ჩასახვა უკან დაბრუნებისა. მუდმივი ფიქრი სამშობლოში დაბრუნებაზე. ღმერთი არ მიგვატოვებს. სამი წელი ძალიან გაიწელა. ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ფიქრი, როგორმე თავი დაეღწიათ. თუმცა იქაც გამოიჩინეს შრომისმოყვარეობა, კარგი სახელი დაიმკვიდრეს იქაურებში.

მოსკოვიდან ბრძანება მოდის გათავისუფლებისა, შინ დაბრუნებისა. დიდი სიხარული იძულებით გადასახლებულებში. და კვლავ მშობლიურ სოფელში დაბრუნება. გავერანებული სახლ-კარი, დატაცებული პირუტყვი, ბალახით დაფარული მიწის ნაკვეთები. კეთილი მეზობლები, მხარში დგომა, ნუგეში, მოხმარება, ხელის შეშველება და... ოჯახის ფეხზე დაყენება.

მარიამ ჩილინგარაშვილი (ათრიაშვილი). 84 წლის, რეპრესიის მონაწილე. იგი გვიამბობს:

კარგად მახსოვს ყველაფერი. მე-7 კლასის მოსწავლე ვიყავი. ღამით მოვიდნენ. არაფერს გვეკითხებოდნენ ფორმიანი კაცები და ერთი ჩემი სოფლელი, ივანე კაჭკაჭაშვილი (ობოლი ვანო). შემოვიდნენ და დაიწყეს ჩხრეკა, იარაღს ეძებდნენ. რაც არ გქვონდა, რა უნდა ენახათ. სწრაფად, დრო მცირეა, ჩაალაგეთ, რაც შეიძლება ჩქარა, რაც გეშოვებათო - გვეუბნებოდნენ. ერთ ხალიჩაზე დავაგროვეთ საჭმელები, ჩასაცმელები. შეგვირთეს დიდ მანქანაში. ჩვენც ჩავსხედით: ჩემი მშობლები, ძმები. უფროსი სტეფანე ცოლშვილიანი იყო. ჩავვიყვანეს ახალციხეში. „ტულმან“ ვაგონებში შეგვყარეს. ერთ ვაგონში 8 ოჯახი ვიყავით. 5 დღე ვიმგზავრეთ. ახალი წელი მოდიოდა – 1952 წელი. ჩვენ ერთმანეთს მივულოცეთ და სიმღერა წამოვიწყეთ. ჯარისკაცმა გაგვაფრთხილა: ნუ ყვირიხართო. ჩვენ ვმღერით თქო. არა, ყვირითო.

მანამ თუ დღეში ერთხელ გაგვიღებდნენ ვაგონის კარებს, რომ ქაშა ვედროთი შემოეცანათ, ამ სიმღერის შემდეგ აღარ აღებდნენ კარებს, ფანჯრებიდან გვაწოდებდნენ. ნარეცხ წყალს არ ვაქცევდით, ხანდახან იმას ვსვამდით. ბოლოს ჩავედით დათქმულ ადგილას, „იუჟნი კაზახსტანიში“. ზემლიანკებში შეგვრეკეს. იქ სხვადასხვა რჯულის ხალხი იყო. ცუდად გვექცეოდნენ გადმოსახლებულები, მამამ სთხოვა უფროსებს, რუსების უჩასტში (ნაწილში) გადაგვიყვანეო. რუსები უფრო კარგად გვექცეოდნენ. მამამ და ჩემმა ძმამ დაიწყეს მუშაობა. მართალია, მამაჩემი არ იყო ძაან ახალგაზრდა, მაგრამ შრომისმოყვარე იყო და არც იქ გაუჭირდა ამის დამტკიცება. სამუშაოც მალე იშოვა. კარგად გვიხდიდნენ. ჩემი ძმა ტრაქტორისტი იყო და ადვილად შეეჩვია იქაურობას. არც ჩვენ გაგვჭირვებია კლიმატთან შეგუება, რადგან სითბო იყო და ადვილად ავიტანეთ

ჰაერიც. ჩვენ ბამბას ვკრიფავდით. ძალიან ცხელოდა, იქ იყო სირ-დარია. მდინარეში შევდიოდით ტანსაცმლიანები და იქ ვსველდებოდით. მანამ სამუშაო აღვიღებე მივიდოდით, ტანსაცმელი ზედვე გვაშრებოდა. საზამთრო და ნესვი მოჰყავდათ. ყველაფერი ბლომად იყო. მთავარი იყო, გემუშავა, მაგრამ ჩვენ მაინც გვენატრებოდა ჩვენი ადგილი, ჩვენი ქვეყანა, პატარა საქართველო, ჩვენი მესხეთი, ჩვენი სოფელი. არალში არ გაგვჭირვებია, იმიტომ, რომ სოფელში მსგავს სამუშაოებს ჩვენც ვასრულებდით და ბოსტნეულიც მოგვყავდა. პამიდორსაც რგავდნენ. ხორბალის მოსავალი დიდი იყო. ჩვენ, აქაურები, ერთმანეთს ვეხმაურებოდით. თათეთ ვანო მოხუცებული იყო და ყარაულად გაუშვეს. ქალი ავადმყოფი ჰყავდა. ჩვენმა სოფლის კოლმეურნეობის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ხეშავამ (ზედმეტი სახელია), შეგვიყვანა მოღალატეთა სიაში, თითქოსდა ეს ხუთი ოჯახი არაკეთილსამიერო ოჯახები ვიყავით და მოგვიშორა თავიდან. მოხუცი ქალი იქ გარდაიცვალა. ჩვენებურად აუგეთ წესი და დაგვრძალეთ იმათ სასაფლაოზე. საფლაოზე ჯვარი ხის ჩავარტეთ. სხვებს არ ჰქონდათ. იმ სასაფლაოზე მივდიოდით და სანთელს ვუნთებდით. მე ქარხანაში ვმუშაობდი ჩემს ძმასთან და მამასთან ერთად გუდოკზე, რომელიც მუშაობის დაწყებას და დამთავრებას აუწყებდა. ვისწავლე რუსული ენა, მაგრამ სკოლაში აღარ დავდიოდი. მამაჩემი დღე და ღამე ფიქრობდა, როგორ დაბრუნებულიყო საქართველოში. მართალია, მდიდარი მიწები იყო, წელიწადში 2 მოსავალს იღებდნენ, მაგრამ წყალი არ ვარგოდა. ადამიანი ყველა ჭირს ეგუება და თითქოს ჩვენც შევეგუეთ აქაურობას, მაგრამ სამშობლოს მონატრება გვიკლავდა გულს. ქალაქი ბახტრალი ჩვენთან ახლოს იყო და უფლება გვქონდა, კვირაში ერთხელ ჩავსულიყავით და ბაზრიდან რამე გვევაჭრა. არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, როცა მამამ იქ ლაკის ტუფლები მიყიდა. იქ ყველას „კალოშები“ ეცვა. სიციხეში ფეხები, ლამის იყო, ჩაგვხარშოდა. ჩემი რძალი, თამარა ნესვისა და საზამთროს ჩირებს აკეთებდა. იქაური ნესვიც და საზამთროც ძალიან ტკბილი და გემრიელი იყო, მაგრამ არც ეს გვახარებდა. ჩვენ მაინც ჩვენი კუთხის გვინდოდა. ჰაერიც კი გვენატრებოდა. საკმარისი იყო, აზრში გაგვევლო რაიმე დამაკავშირებელი ჩვენს ქვეყანასთან, რომ გულს დარდი შემოგვაწვებოდა. მაგრამ ღვთის იმედი ყოველთვის გულის სიღრმეში გვქონდა, რომ ოდესმე ისევ დავდგამდით ფეხს საკუთარ მიწაზე და აგვისრულდა კიდევ. საქართველოში მოსკოვიდან ბრძანება მოვიდა ჩვენი გათავისუფლებისა. ჩვენ ძალიან გაგვიხარდა, გამოვიარეთ არალის ზღვა. მახლობლად გვითხრეს, შეგიძლიათ ჩახვიდეთ და ზღვაში იბანათ, 2 საათი ჩერდებოდით. მე შემეშინდა, ვერ ჩავედი, მაგრამ ფეხები მუხლებამდე ჩავიბანე. ჩვენ ცუ-

დად უკვე აღარ გვექცეოდნენ, რადგანაც გაგვამართლეს. სულ ტყუილი ბრალდებით გაგვასახლეს. ჩვენ ახალი ფურცლიდან მოგვიწია ცხოვრების დაწყება. უკვე მეორედ „ცხოვრება ახალი ფურცლიდან“ – ერთი, როცა გადაგვასახლეს და მეორე, როცა დაგვაბრუნეს. გაპარტახებული დაგვხვდა ჩვენი სახლი. იმდენი ძროხები, კამეჩები გვყავდა, გვქონდა ფუტკრის სკები. კოლმეურნეობას (კოლხოზს) ჩაებარებინათ ძროხები, ვითომდა, კეთილი ნებით. მხოლოდ ერთი მეწველი ძროხა მოგვცეს, ამით გამოიკვებეთო. შევაკეთეთ სახლი, დაგვეხმარნენ მეზობლები, შინაურები და აღვადგინეთ ჩვენი კერა. გაჭირვებას არაფრად ვთვლიდით, რადგანაც ჩვენს სამშობლოში ვიყავით. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვობის წლების გატარება მომიწია განუვითარებლობის, დაბეზღებების, პერიოდში. შავ ლაქად აჩნევია ჩემს გულს ცუდი სახელი, მაგრამ როცა გავმართლდით, ამაყად დავდიოდით, როგორც უსამართლობის მსხვერპლნი. შემდეგ ამავე სოფელში ვანო ათრიაშვილს გავყევი ცოლად. შეგვეძინა 4 შვილი, 2 გოგო და 2 ბიჭი. ეკონომიურად კარგად ვართ, 2 წლის უკან ქმარი გარდამეცვალა, ვარ უმცროს შვილთან ოჯახში.

ლაზრენტი ჩილინგარაშვილი, 75 წლის (მისი ნაამბობი)

ეს იყო 1951 წლის 26 დეკემბერი, ყველა ახალი წლის მოლოდინში იყო, კლავდნენ ღორებს, საქონელს, წინასწარ ამზადებდნენ ჰალვას. ღამის 3 საათი იქნებოდა, მე მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს, ჩვენთან ვიღაცა ფორმიანი კაცები შემოვიდნენ, მამა გააღვიძეს, რაღაცა საბუთებს სთხოვდნენ. დედა ისე დაიბნა, რომ ვეღარ ნახულობდა საბუთებს (პასპორტებს). ოჯახში ვცხოვრობდით: დედა, მამა, ჩემი უფროსი ძმა თავისი ცოლ-შვილით (2 გოგოთი), ჩემი მომდევნო ძმა და ჩემზე 9 წლით უფროსი და – მარიამი. ყველანი ახლადგაღვიძებულნი ვიყავით და არ ვიცოდით, რა ხდებოდა. მე, მით უმეტეს, ვერც კი ვიაზრებდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო. გაოცებული აქეთ-იქით ვიყურებოდი. ერთი, რომელიც რუსი არ იყო (მაგრამ რუსული ენა იცოდა), მან თქვა: ეტყობა, შეცდომით შემოვედით ამ სახლში, კარგად გადაამოწმეთო. იმ დროს თავმჯდომარედ ვანო თათეშვილი იყო (ზედმეტ სახელად ხეშავას ეძახდნენ). მან დაუდასტურა, რომ თქვენ სწორედ იმ ოჯახში ხართ, ადიგენმა – რაიონმა რომ გადმოგცათო. – მაშინ კარგი. ბრძანება გასცა. სასწრაფოდ ჩაეცვათ და მომზადებული ყოფილიყვნენ. თქვენს ოჯახს ასახლებენ ამ სოფლიდანო. მამამ უთხრა – ჩვენ რა ბრალი მიგვიძღვისო ქვეყნის წინაშე, რაში გვადანაშაულებენ? მათ უპასუხეს – თქვენ ნებაყოფლობით ჩაბარდით გერმანე-

ლებს პლენად”, სამშობლოს ღალატში გედებათ ბრალიო. მამამ უთხრა: მე ომში საერთოდ არა ვყოფილვარ, იმიტომ, რომ 45 წლისა ვიყავი და როგორ ჩავვარდებოდი ტყვედო. პასუხი ესეთი იყო: თქვენ „იქ“ გაარკვევთ საქმეს. თქვენი გვარი და სახელია გადმოგზავნილიო. დრო აღარ ითმენდა, სასწრაფოდ ყველაფერი მოვაგროვეთ. ჩამარილებული ხორცი, ყველი, ლოგინი, ტანსაცმელი. მეზობლებმა, ნათესაებმა უცხად მოიყარეს თავი. ჩვენს უბანში მხოლოდ ჩვენ გვქონდა ფურნე, რომელშიც პურებს აცხობდნენ. კაცო ბაბოს ერთო ფურნე, მოვიდა და მითხრა: წამო, ფურნის სახლში დაგმალაავო, შენ მაინც გადარჩი ცოცხალი, როცა გაიზრდები, ოჯახს მიხედავო. არ ვიცი, შიშმა თუ თავის გადარჩენის სურვილმა იმ დამეში ფურნეში მიმიყვანა. მანამდე სია წაუკითხავთ და როცა დაუხედიათ, ერთს უთქვამს – მგონი ვიღაც აკლიათ. იმდენად კარგად იყო დასმენილი, დაბეზლებული, რომ ზუსტად იცოდნენ ოჯახის წევრების რაოდენობა. ამ დროს შეშინებულმა დედაჩემმაც მომიკითხა – ჩემთან ერთად იქნებიო, ნუ გეშინია, შვილო, ჩვენ დავბრუნდებითო. იმიტომ ამ მაგიდის ქვეშ შევძვერი. მოიყვანეს “სუდაბეკერები”. სამხედროები იყვნენ შოფრებად. დატვირთეს. ყველა გვეხმარებოდა, სახეზე მკვდრისფერი ედოთ. უხმოდ ტვირთავდნენ მანქანაზე ჩვენს უბადრუკ ნივთებს. ბოლოს დედას გავახსენდი, ჩემი პატარა შვილი მრჩება, მოძებნეთო. მე მესმოდა დედის ტირილი, ეგონა ვიღაცამ მოსტაცა შვილი... შვილი მოიყვანეთო. გამწარებული დედა აქეთ-იქით აწყდებოდა. შემეცოდა და სამალავიდან გამოვედი, დამინახა და გულში ჩამიკრა, რომ მართლები ვართო. ჩვენ კი მართლები ვიყავით, მაგრამ მათ ვერ ვუმტკიცებდით. თან არც კი გვისმენდნენ. გადაწყვეტილი ჰქონდათ და ისე უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც დავალებული ჰქონდათ. ისინი ჩქარობდნენ – ჩქარა, ჩქარა, მატარებელი გველოდებოდა. მერე გავიგეთ, რომ თურმე ჩვენს გარდა ამ სოფლიდან ოთხ ოჯახს ასახლებდნენ. ზოგს რა ბრალდება წაუყენეს, ზოგს – რა. ესენი იყვნენ პეტრე ვარდიძის, ოსიკო აფრიაშვილის, პეტრე ტატალაშვილის და ივანე თათეშვილის ოჯახები. ჩავედით ახალციხეში, ჩვენი მანქანა მიადგა „ტავარნის ვაგზალს“. თურმე ვაგონები იყო სატვირთო და არა სამგზავრო. ერთ ვაგონში რამდენიმე ოჯახი შეგვიყვანეს. ერთ კუთხეში „ვეში“ დავყარეთ. არ ვიცოდით, რამდენ ხანში მივიდოდით დანიშნულების ადგილამდე. პური მალე გამოგველია, 2 დღე ახალციხის „ტავარნიზე“ ვიდევით. ჩემმა ბიძამ, რომელიც ომგამოვლილი იყო, უთხრა: “თქვენ რა ხალხი ხართ, მშვირები იხოცებიან, მოგვეცი ნება, პური მაინც მივაწოდოთ ფანჯრიდანო. კარი ჩაკეტილი იყო და იცავდნენ ჯარისკაცები. არსებობენ კეთილი ადამიანები, ზოგჯერ ასეთებიც გამოერეოდნენ. მან ნება დართო: წადი, მოუტანე და ფანჯრიდან

მიწოდებო. ერთი ტომარა სავსე გამომცხვარი პური შემოგვაწოდა და ცოტ-ცოტობით ვიზოგავდით. ცოცხლები ჩავედით, დავბინავდით მიწურებში. ჩემმა ძმამ ტრაქტორის მართვა იცოდა და დაიწყო მუშაობა, ჩვენ ბამბის პლანტაციებში უნდა გვემუშავა. თეთრად გადაპენტილი, თვალუწვდენელი მინდორი თვალეხს გვცვენდა. რაღაცა წამლები დაგვირიგეს, თვალეხში ვიწვეთებდით, პურისთვის ვმუშაობდით მთელი ოჯახი. ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია ფიქრი იმაზე, რომ როგორმე უკან დაგვაბრუნებდნენ. მე ბავშვი ვიყავი და ყაზახ ბავშვებთან ვთამაშობდი, ვერთობოდი. იქ შემიყვანეს სკოლაში. რუსული არ ვიცოდი, ახლა ვსწავლობდი. ფეხშიშველი დავბობოდი. მამამ ქალამნები შემიკერა და ისე მივედი სკოლაში. ილღიაში ერთი რვეული და ორი ჩიგნი ამოვიჩარე და შევედი კლასში. ყველა ჩემსკენ იხედებოდა, თითქოს ველური ტომის წარმომადგენელი ვიყავი, გვიან მივხვდი, რომ ჩემს ქალამნებზე იცინოდნენ. მე დამცინოდნენ ჩემი ლარიბული ჩაცმულობის გამო. დიდის ტანისამოსი მეცვა. შემრცხვა და ვთქვი – აღარ მინდა სკოლაში სიარული-მეთქი. მამაჩემმა გაიცნო ერთი კეთილი ადამიანი, უამბო თავისი თავგადასავალი. ის გაოცებული იყო ჩვენი ისტორიით და დაჰპირდა, მოსკოვში უახლოეს დღეებში მივდივარ და თქვენს ამბავს კრემლში მოვახსენებ ბელადსო. იმ კეთილი კაცის შესანდობარს მუდამ ვსვამ. მამაჩემი იმედს არ კარგავდა. აქედან წავალთო, მაგრამ ისე მუშაობდა, გეგონება თავის მამაპაპურ მიწაზე დგას და ერთგულად ირჯებაო. იქ სირდარია მდინარიდან არხზე გამოდიოდა და იმით ირწყვებოდა. მამაჩემმა ვერხვები დარგო. საჩრდილობლად იყოს, ვინმე ქართველს მომიგონებენ აქაურებიო. იქ ძროხაც შევიძინეთ, ბოსტანიც გავაშენეთ. უამრავი ნესვი, საზამთრო მოდიოდა. ფულის მაგივრად ხორბლებს გვირიგებდნენ. იქიდან რომ დავბრუნდით, ბევრი ხორბალი ჩამოვიტანეთ. ვფეკავდით წისქვილში და ოჯახში გვეოთენიდა წლობით. როცა დავბრუნდით, შემოდგომა იყო. 1953 წელი, მოსავლის აღების დრო. ჩვენი პირუტყვი კოლმეურნეობას წაესხა, ყანებს ნათესავები უვლიდნენ. სიხარული იყო. მთელი სოფელი მოვიდა, გვილოცავდნენ დაბრუნებას. მე 9 წლის ასაკში ვიყავი. სკოლაში შევედი, კარგად ვსწავლობდი. რუსული კარგად ავაწყე. მათემატიკა მიყვარდა. ანგარიში იქვე კარგად ვიცოდი, იმიტომ, რომ რძის ვყიდდი. ძროხა გვეყავდა იმისთანა, რომ სამჯერ ვწველიდით, ჩვენც გვეოთენიდა და ყველსაც ვყიდდით. ბაზრიდან საჭირო პროდუქტები მომიქონდა. ჩემ გარდა, არავის ეცალა ამისთვის. ეს პერიოდი ჩემს პატარა გულს ლაქად აცხია. მართალია, პატარა ვიყავი, მაგრამ მამა და ჩემი ძმა სოფლელებს, ნათესავებს, ყველას უყვებოდნენ, თუ რა დღეები გამოვიარეთ. ის საშინელი ლაქა, რომელიც ჩვენ გვეცხო, ჩამოვირეცხეთ. ჩვენ გავმართლდით

და მშობლიურ კერას დავუბრუნდით, ჩემი და გათხოვდა და ძმა დაოჯახდა. მე უმაღლეს სასწავლებელში შევედი და, „გეპი“ დავამთავრე და ვმუშაობ გეოლოგად. მყავს შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ივანე ბათმანაშვილი, რეპრესირებულის შვილიშვილი

ჩემი პაპა და ბებო რომ გადაასახლეს, მაშინ 6 წლის ვიყავი. ბევრი რამ არ მახსოვს, მაგრამ უკვე ცხრა წლის ვიყავი, რომ დაბრუნდნენ შინ. საცხოვრებელი ბინა დანგრეული დახვდათ და ჩვენს ბინაში ცხოვრობდნენ. 9 წლის ბავშვი ვიყავი და ვუსმენდი, რასაც ყვებოდნენ, 3 წლის განმავლობაში რაც გადახდათ. 5 ოჯახი გადაგვასახლესო. ჩვენ ასეთი ბრალი ჩაგვიყენეს, – იხსენებს ივანე ბათმანაშვილი პაპის ნაამბობს – თქვენი ოჯახის წევრი თურქეთში ცხოვრობს და კავშირი გაქვთ მასთანო. ჩვენ უარყოფით, არავინ გვყავს ასეთიო. სოფელში მართლა ცხოვრობდა პეტრე ვარდიძე, რომელსაც 2 ძმა სტამბულში ჰყავდა (მღვდლები იყვნენ). პაპაც პეტრე ვარდიძე იყო, ოღონდ მამის სახელი არ ემთხვეოდა. ბებიაჩემი ეუბნებოდა, ჩვენ ეგ ხალხი არა ვართო. – არა, თქვენ გყავთ 2 ვაჟი და 1 ქალიო.

ძალიან დიდი სიცხეები იყო. ბამბის პლანტაციები იყო და ვისწავლეთ ბამბის კრეფა. დიდი საზამთროები და ნესვები მოდიოდა. არხით ირწყვებოდა. პაპაჩემს უთქვამს, ფეხით ჩავალ სტალინთან და ყველაფერს მოვუყვები, რომ უსამართლოდ გაგვასახლესო. 3 წელი წერდნენ წერილებს, არავინ პატრონი არ იყო, როცა 1953 წელს სტალინი გარდაიცვალა, მოვიდა ბრძანება – ყველა თავის ქვეყანაში გაუშვითო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩემი გასათხოვარი გოგო, ქრისტინე ბიჭს გავაყოფე, ლევან მამუკაშვილს. იქ ერთი შვილი შეეძინათ. 1953 წლის შემოდგომით დაბრუნდნენ. გაპარტახებული დახვდათ სოფელში საცხოვრებელი სახლი, უპატრონოდ დარჩენილი ყანები, საქონელი, რაც დარჩათ, მიუტაციათ. როცა ჩამოსულან, ქალიშვილთან დაბინავებულან დროებით. რადგან აღდგენა ესაჭიროებოდა. ისევ მატარებლით დაბრუნდნენ, ჩამოიტანეს ხორბალი, საზამთროს, ნესვის ჩირი და ფართალი. პაპაჩემს დაუწყია ფიქრი იმაზე, რომ გვარი უნდა გამოვიცვალო (ვარდიძის გვარმა დამლუპა) და ისევ პაპის გვარზე უნდა გადავიდეთ. ახლა ცხოვრობენ იმისი შთამომავლები იმავე ადგილას, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ და გვარად აფრიამაშვილებად იწერებიან. ხანდაზმულობამდე იყოცხლეს პეტრე აფრიამაშვილმა და ანიკო აფრიამაშვილმა, პაპამ – 92, ბაბომ – 86 წელი. საშინელი 3 წელი, ავადმოსაგონარი 3 წელი, წამების წლები – ასე იხსენებდნენ ხანშიშესული მოხუცები იმ წლებს. იყო დაბეზღებები, ცრუ ბრალდებები, განუკითხაობა.

VI PLACE

“If I forget thee, O Jerusalem...”

By Salome Kintsurashvili

Teacher: Mzia Bubashvili

School: Kutaisi Public School #7

The essay is about constant migration of the Jewish people and reflects on the connections between two ancient nations of Georgia and Israel. It describes the famous Georgian Jews living in Kutaisi, their enormous service to our country in times of hardship and strengthening the country's economic situation during the Soviet Union. The author tries to find out the reasons why some Jews living in Georgia refused to return home especially in the 70s during Aliyah despite their permanent nostalgic feeling.

She finds a lady from a the Jewish family and in the conversation with her the author discovers what starting life from the beginning means for e/immigrants. The respondent talks about her background and attempt to move to Israel in 2010 to reunite with her relatives and go back to her roots, although, it does not help to forget about Georgia and three months later she immigrates again.

The story helps the author to realize that everything new is much more interesting than the monotony of life and she is excited to move to the capital this year.

VI აღზილი

სალომე კინსუკაშვილი

მასწავლებელი: მზია ბუბაშვილი
სსიპ ქ. ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლა

„რამეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალქმ...“

არსთა გამრიგემ დედამიწაზე ყოველ ხალხს თავისი სამოსახლო მიუჩინა და ისინიც დაბინადრდნენ, გამრავლდნენ, სამანი დაადეს ხმელეთსა და წყალს, სამშობლო უწოდეს და ცხოვრების აზრად მისი მოვლა-პატრონობა დაისახეს. მაგრამ ზოგჯერ ისტორიული ბედუკუდმართობის მიზეზით არა თუ ერთ ადამიანს, არამედ მთელ ერს უწევს მოწყდეს ფესვებს და ბედის საძებნელად მსოფლიოში გაიფანტოს. სწორედ ამ ურთულესი მომენტიდან იქცევა სამშობლოში, მიწა-წყალთან დაბრუნების სურვილი თითოეული ემიგრანტის სანუკვარ ოცნებად.

მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ნაცნაზი და წამებული ერი, როგორც ებრაელები არიან. მათ ბედმა გამოხსლიცა ხელიდან სამშობლო და უცხო ქვეყანაში ჩაასახლა. ებრაელებს არაერთხელ მოუწიათ ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება. ქრონოლოგიას თუ მივყვებით, მათი უსამშობლოდ მოგზაურობა ძვ. წ. აღ. 586 წლიდან იწყება. ამ პერიოდში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა აიღო იერუსალიმი. რასაკვირველია, თვითგადარჩენის მიზნით ებრაელები მტერს გამოექცნენ და აი, მივადექით იმ მოვლენას, რომელიც, ვგონებ, ძალიან საინტერესოა. ქართლის ცხოვრების მატიანე გვამცნობს, რომ უსამშობლოდ გადაექცეული ებრაელები საქართველოს ტერიტორიას მოადგნენ. აქ მათ მცხეთის მამასახლისმა სოფ. ზანავში მიწები გამოუყო. ებრაელებმაც დაიწყეს უცნობი ტერიტორიების ათვისება და დროის სვლასთან ერთად მთელი საქართველო მოიცვეს. მათ სწრაფად ათვისეს აქაური კულტურა, ენა და ამავდროულად დიდი როლი შეიტანეს ადგილობრივთა განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ ებრაელებს არ განუცდიათ სრული ასიმილაცია, შეინარჩუნეს საკუთარი კულტურა, სალოცავები, ტაძრები და ორმა ბიბლიურმა ერმა თანაარსებობისა და ურთიერთობის საუკეთესო ფურცლები ჩაწერა ისტორიაში. მოვლენათა ეს უწყვეტი ჯაჭვი ელიოზ მცხეთელის მიერ ქრისტეს კვართის მცხეთაში ჩამობრძანებითა და ბავრატოვანთა იესიან-დავითიანად გამოცხადებით გვირგვინდება.

დრო გადიოდა... ებრაელ ემიგრანტთა რიცხვი კი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამის მიზეზი ქართველთა ცოლერანტული ბუნება გახლავთ. ალბათ საქართველოში ყველაზე ნაკლებად გრძობდნენ ებრაელები სამშობლოს დანაკლისს. ამგვარი დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითი ის არის, რომ გაჩნდა ტერმინი, „ქართველი ებრაელი“. ერთ დროს ებრაელ ემიგრანტად წოდებული ხალხი, ქართული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. მათ ახალ სამშობლოს ისტორიას, ეკონომიკას, ხელოვნებას დიდი ძალისხმევა შესწირეს. მათი ღვაწლი, რასაკვირველია, უკვალოდ არ გამქრალა და შეიქმნა „ებრაელთა ღირსების ორდენი“. სია საკმაოდ გრძელია, მათგან მაინც გამოსარჩევია გინესის რეკორდსმენი, ვირტუოზ-გიტარისტი თემურ ყვითელაშვილი, დიზაინერი აბრამ ბაზელი, მომღერალი და მუსიკოსი ჯემალ სეფიაშვილი, მწერალი ბორის აკუნინი, მხატვარი ავრაამ კანი და ა. შ. როგორც ვხედავთ, ქართველმა ებრაელებმა არაერთ სფეროში გამოავლინეს საოცარი ნიჭი და მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს (დანართი N1 - წიგნი „ეთნოსები საქართველოში“, 2008).

როდესაც ებრაელთა ღვაწლზე და მათ დამსახურებაზე ვსაუბრობთ, წარმოუდგენელია, დავივიწყოთ ამ ადამიანთა როლი ვაჭრობაში. ქართველ ებრაელებს ჩვენს ქვეყანაში (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დროს) ფარულად შემოჰქონდათ დეფიციტური საქონელი და მედიკამენტები, რაც ხშირად მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ადგილობრივთა კეთილდღეობისა. ისტორიას თუ გადავხედავთ, ისინი საკმაოდ დაწინაურებული იყვნენ მეურნეობაშიც. სოფლის მეურნეობასთან ერთად ებრაელები ხელოსნობას, შინამრეწველობას მისდევდნენ (მეთუნეობა, დურგლობა, მეწაღეობა...). ხშირად საკუთარ საწარმოებსაც კი აარსებდნენ, რასაც ფუნდამენტური როლი ჰქონდა ქართული ეკონომიკის განვითარებაში. საინტერესოა, ებრაელთა მასობრივი მიგრაცია რომ არ მომხდარიყო თავის დროზე, დღევანდელი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში როგორი იქნებოდა მათი როლი ქუთაისის აღმშენებლობის საქმეში.

და მაინც, შეუძლებელია, უცხო მიწაზე თავს სრულყოფილად გრძობდე, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში ებრაელებმა ჩვენს ქვეყანაში უამრავი თაობა გამოიყვალეს. დროის სვლამ მათი გულიდან აღთქმული მიწის მონატრება ვერ ამოშალა. მათთვის თითოეული წამი კიდევ უფრო ამძაფრებდა სამშობლოს დანაკლისით გამოჩვეულ განცდებს. „რამეთუ დაგივიწყო, იერუსალიმ...“

რომაელთა მსოფლიო ბატონობამ ბოლო მოუღო ებრაულ სახელმწიფოებრიობას. VII საუკუნეში არაბთა დაპყრობებს საბედისწერო შედეგი

მოჰყვა „ღვთის რჩეული ერისთვის“. აღთქმულ მიწაზე ისლამის მიმდევრებმა დაივანეს სამარადჟამოდ...

მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ განხორციელებულმა ანგისემიტიზმმა და მილიონობით ებრაელის ჰოლოკოსტმა შეაძრწუნა ცივილიზებული მსოფლიო. ამან კი 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა განაპირობა. ეს იყო მრავალსაუკუნოვანი განშორების შემდეგ მსოფლიოში გაფანტული ერისთვის შანსი, მრავალი თაობის ოცნების ახდენისა და იერუსალიმის წინაშე დადებული ფიცის აღსრულებისა. „უკუეთუ დაგივიწყო, იერუსალიმ...“

რაც შეეხება ქართველ ებრაელებს, ისინი მეოცე საუკუნის 70-იან წლებამდე იყვნენ იძულებულნი, არსებულ რეალობაში ეცხოვრათ. ჩემს მშობლიურ ქალაქშიც ჩანს ებრაელ ემიგრანტთა ნაკვალები. ისინი აქ მე-17 საუკუნიდან გამოჩნდნენ, კერძოდ, 1644 წლიდან დასახლდა ფიჩხაძეთა გვარი მწვანეყვავილაზე. მათ არსებობას ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს (1745) იგი წერდა, რომ ქუთაისის მოსახლენი „არიან იმერნი. სომეხნი, ურიან ვაჭარნი.“ დროთა განმავლობაში ებრაელთა რიცხვი ქალაქში საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა. ქუთაისის ისტორიულ უბანში დღემდე მოქმედებს ებრაული სინაგოგა, რომელიც 1885 წელს აშენდა, ჰყავს თავისი რაბინი და ყოველ დღესასწაულზე აქ აღასრულებს ღვთისმსახურებას მშობლიურ ენაზე ქალაქში დარჩენილი მცირერიცხოვანი ებრაელი თემისთვის. აღსანიშნავია ბორის გაპონოვის ძეგლიც, რომელიც შენობის წინ დგას, როგორც სიმბოლო ქართველი და ებრაელი ხალხის დიდი კულტურული ურთიერთობისა. ბორის გაპონოვმა მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ებრაულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. როგორც ისრაელის საუკეთესო სპეციალისტებმა აღიარეს, ასე სრულყოფილად იერთებ არც ერთი წიგნი არ თარგმნილა. (დანართი N2 - ინტერნეტსაიტი kutaipost.ge. უცნობი ქუთაისი, ბორის გაპონოვი.)

ფოტოგრაფი ილო ხახიაშვილს „ილო ფოტოგრაფს“ ეძახდნენ. დიდი სიყვარულისა და დამსახურების გამო მას 2003 წელს ქუთათურებმა ძეგლი გაუხსნეს.

ქუთაისში მოღვაწე ებრაელებზე საუბრისას, წარმოუდგენელია, დაგვა-ვიწყდეს ბუზიაშვილთა გვარი (მათი ოჯახის ზოგი წევრი დღემდე გელათის ქუჩის 5 ნომერში ცხოვრობს), რომელთაგან გამოსარჩევია ექიმი, კარდიოლოგი, ჩიტო ბუზიაშვილი (ეს ქართული სახელი სრულიად შემთხვევით შეარქვა ბიძამ, მისი მკვირცხლი და ხალისიანი ბუნების გამოსახატად). მისთვის უამრავი ინტერვიუ ჩამოურთმევიათ, სადაც მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით საუბრობს. თუმცა ერთგან, კერძოდ გაზეთ „მენორას“

2008 წლის გამოცემაში, იგი აღნიშნავს ქართულ მიწაზე მიჯაჭვის მიზეზს და სანატრელ სამშობლოში არდაბრუნების საბაბს: „რაჯომ არ წავედი?... მე მიყვარს ქუთაისი, მისი ადამიანები... მათაც ვუყვარვარ... და მე ვერ გავექეცი ამ დიდ სიყვარულს“.

ქუთაისის ნამდვილად ჰყავს გამოჩენილი ებრაელი მოღვაწეები, მაგრამ რა უნდა ვთქვათ მათზე, რომელთა მთელი ისტორია საფლავის ქვაზე ამოციფრული რიცხვებით შემოიფარგლება? დიახ, შეიძლება, ეს მცირედი ცნობაა, თუმცა ქუთაისის ებრაული სასაფლაო კიდევ ერთხელ ადასტურებს ორი ერის ცოლერანგულ ურთიერთობას. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: „გამვლელი, ნუ გათელავ ჩემ საფლავს, გახსოვდეს, შენ სტუმრად ხარ, მე კი – სახლში“. ნამდვილად მრავლისმთქმელი ეპიტაფიაა... დავაბიჯებდი და მეუფლებოდა განცდა, რომ ქართულად აჟღერებულ გვარები: იაკობიშვილი, ელიაშვილი, ბუზიაშვილი, ფიჩხაძე და სხვა თითქოს სულმოუთმენლად ელიან ახლობლებთან, ნათესავებთან კვლავ შეხვედრას.

გარდა ქუთაისისა, ებრაელები სამტრედიის დაბა კულაშშიც ცხოვრობდნენ. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში აქ დაახლოებით 10 000 ქართველი ებრაელი ცხოვრობდა. მათი კვალი ამ ტერიტორიაზე პირველად მე-16 საუკუნეში დაფიქსირდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კულაშიდან ებრაელები მასობრივად წავიდნენ ისრაელში.

ფაქტია, საბჭოთა რეჟიმის არსებობის პერიოდში ებრაელები გაეროშიც კი გამოვიდნენ სიციყით, სადაც აღნიშნეს საქართველოში ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები და, ამავდროულად, უკან დაბრუნებაც მოითხოვეს. საბჭოთა კავშირის უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, ებრაელებმა თავიანთი ძალისხმევით მოიპოვეს სამშობლოში დაბრუნების უფლება. ჩემი მცდელობის მიუხედავად, ამომწურავი პასუხი ვერ მოვიძიე, თუ რა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდა ზემოთ აღნიშნული მოვლენა, თუმცა, ფაქტია, რომ „დიდი ალია“ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. დიდი ენთუზიაზმით ელოდა უამრავი ქართველი ებრაელი (ერთ დროს უსამართლოდ ემიგრირებული) სამშობლოში დაბრუნებას. უმეტესობა, რა თქმა უნდა, წავიდა, მაგრამ ნაწილი დარჩა. ეს კი ბევრ კითხვას ბადებს. ნუთუ დროის სვლამ „ემიგრანტ ებრაელებს“ იმდენად გაუდგა ქართულ მიწაში ფესვები, რომ რეალურ, სანუკვარ სამშობლოში დაბრუნება გაუძნელდათ? როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ემიგრაციაში ცხოვრება ადამიანის განუყოფელი ნაწილი ხდება. არადა, მათი გულისთქმა, მრავალი საუკუნის გამოძახილი, სულ სხვას ავალდებულებს შთამომავლობას:

„უკუეთუ დაგივიწყო, იერუსალიმ“. (დანართი N3. მერაბ კვბევაძის „ქუთაისში ებრაელთა დასახლების მთავარი ქუჩები მე-19 საუკუნეში“, მე-6 თავი, 146/147 N4) ინტერნეტსაიტი: პოსტნიუსი – ინტერვიუ ჩიტო ბუზიაშვილთან. N5 გაზეთ „მენორას“ 2008 წლის გამოშვება).

არასოდეს მესმოდა, რას განიცდიდნენ უცხო მიწაზე ემიგრანტები, რას ნიშნავს ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება. ბოლო პერიოდში კი ვეძებდი ისეთ ადამიანს, რომელიც ამ ჩემთვის დაბურულ საკითხს ფარდას ახდიდა. ახლობელთა დახმარებით კი აღმოვაჩინე ქალი, რომელთან საუბარმაც უკეთ გამაანალიზებინა ორი განსხვავებული ეთნოსის ურთიერთობა და, რა თქმა უნდა, მიგრაციის პრობლემა.

მისი იდენტიფიცირება საკმაოდ მცირედ, თუმცა მნიშვნელოვნად უნდა მოვახდინო. ქალბატონი სახელად ნატო, ხოლო გვარად ფიჩხაძე დაიბადა 1964 წლის 28 ივნისს ებრაულ ოჯახში. განათლება მე-13 სკოლაში მიიღო და დღეს ქალაქის პირველი პოლიკლინიკის ექიმი გახლავთ. მახსოვს, ზამთრის ერთ სუსხიან დღეს მასთან სამსახურში მივედი ინტერვიუს ასაღებად. ოთხში შესულს პაციენტი ვეგონე, თუმცა ჩემი იქ ყოფნის რეალური მიზეზი რომ შეიტყო, გაუკვირდა, შემდეგ გაიღიმა და ჩაფიქრდა. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ (ალბათ გონებაში აზრები დააღაგა) საუბარი დაიწყო. იმდენად ამომწურავად მელაპარაკა, კითხვის დასმაც ვერ მოვახერხე.

საკუთარი ისტორიის მოყოლა საკმაოდ ძველი პერიოდიდან დაიწყო. პატარაობაში, როგორც თავად აღნიშნავს, თავს არ გრძნობდა უსამშობლო ადამიანად, ქართული მიწა მისთვის უპირველესი იყო. დრო გავიდა და გააანალიზა, რომ ეს ადგილი მისთვის უცხო იყო. წინაპართა მხრიდან განცდილმა ემიგრაციის ტკივილმა მისი გონებაც მოიცვა და დაახლოებით 6 წლის ასაკიდან ერთადერთ სანუკვარ ოცნებად ფესვებთან დაბრუნება გაიხადა.

ინტერვიუს დროს ნატომ ამიხსნა, თუ რა გახდა მისი მომავალი პროფესიის არჩევის მიზეზი: „მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, შალვა მარდახიაშვილმა და მისმა მოღვაწეობამ ჩემზე დიდი გავლენა იქონია. ბავშვობიდან დიდ პატივს ვცემდი ქართველ ებრაელებსა და მათ ღვაწლს“. ნატოც მიჰყვა მისაბაძი პიროვნების კვალს და მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან სამედიცინოს სტუდენტი გახდა. დაულალავი შრომის შემდეგ მან მუშაობა ქუთაისის პოლიკლინიკაში დაიწყო.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა, ნატოს თამამად შეეძლო თავის ოჯახთან ერთად ისრაელში დაბრუნება, თუმცა, სამწუხაროდ, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ამას ვერ ახერხებდა, რაც ძალიან

ადარდებდა. ინტერვიუს დროს დამწუხრებულმა მითხრა, რომ მისმა უამრავმა მეზობელმა დატოვა ქუთაისი და დაუბრუნდა ფესვებს (მათი უმრავლესობა ნაცოს იმ დღის შემდეგ აღარ უნახავს).

დროის სვლასთან ერთად ნაცომ უკეთესობისკენ წარმართა თავისი ცხოვრება, ეკონომიკური თვალსაზრისით, მოძლიერდა და უკვე აღარათფერი უშლიდა ხელს მშობლიური მიწის სიყვარულის შესაგრძნობად. ასეც მოიქცა... ისრაელში დაბრუნების ამბავი დეტალურად აღმიწერა. 2010 წლის გაზაფხულზე იგი თავის ოჯახთან ერთად სანუკვარ სამშობლოში გაემგზავრა. რასაკვირველია, მოლოდინი დიდი იყო იმისა, რომ იქ უკეთეს ცხოვრებას დაიწყებდნენ. იქ ჩასულთ ნათესავები დახვდათ და საკმაოდ კარგ პირობებში მოუწიათ ცხოვრება. თუმცა ძალიან მალე მას უცნაური გრძნობა დაეუფლა... იქ მას არც სამსახური ჰქონდა (დროებით) და არც შემოსავალი. ეკონომიკურად ვერ იყო დამოუკიდებელი, რამაც სამშობლოში დაბრუნების სიამოვნების განცდა გაუნელა. თანდათან ძალიან მოენატრა ქუთაისი, აქაური სახლი, სამსახური და სამეგობრო წრე. ინტერვიუში კი ყოველივე ეს შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „შეიძლება გონებამ იცოდეს, რომ მშობლიურ მიწაზე მედგა ფეხი, თუმცა გულს ამას ვერ ვაჯერებდი. როცა თვითმფრინავში ჩავჯექი და პირველად გავფრინდი ისრაელში, მეგონა, სამშობლო მეძახდა. ჩავედი, ავასრულე წინაპართა ოცნება, თუმცა გაორება დამეწყა. აქ ხორციელად მყოფს სული კვლავ უკან, საქართველოსკენ მიმიწევდა, მიწის ყვილი მესმოდა, სამშობლოდ ქცეული ქართული მიწის...“

ყოველივე ამან აიძულა ნაცო, კიდევ ერთხელ განეცადა ემიგრანტობის სირთულე და 3 თვის შემდეგ იგი თავის ოჯახთან ერთად (არასრული შემადგენლობით) ქუთაისში დაბრუნდა. ძველი რეალობისა და მდგომარეობის აღდგენას აქ დიდი დრო დასჭირდა, თუმცა საკუთარი ძალისხმევით ეს შეძლო. გავხედე და ვკითხე, თუ რა გახდა მისი უკან დაბრუნების მიზეზი. მოკლედ მიპასუხა: „ფიჩხაძეთა გვარი ქუთაისში მე-17 საუკუნიდან ცხოვრობს, მე კი არ მსურდა ამ ტრადიციის შეწყვეტა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაცოს არ გაუწყვეტია კავშირი ისრაელში მცხოვრებ ნათესავებთან (ისინი ხშირად ჩამოდიან დღესასწაულებზე, განსაკუთრებით ჰანუკას დროს), თანაც წინაპართა სასაფლავო ქუთაისშია და ამ ადგილთან ბოლომდე კავშირს ვერ წყვეტენ. „ესეც ხომ მათი ფესვებია... მათგან იმით განვსხვავდები, რომ საუკუნეების წინათ ებრაელი ემიგრანტებისთვის მეორე სამშობლოდ ქცეული ერისა და მიწის მიტოვება ვერ შევძელი. დროის სვლასთან ერთად კიდევ უფრო მეტად დავაფასე ის კულტურა, ურთიერთობა, ცოლერანტობა, რომელსაც ებრაელები და

ქართველები დიდი ხნის განმავლობაში ქმნიდნენ“. – მითხრა ინტერვიუს ბოლოს ნაცომ.

- თემა დავასრულე. – სიამაყით წამოვიძახე და ბოლო წერტილი დავსვი. „რაზეა შენი თემა“? – მეკითხება ბაბუ. „ემიგრაციაზე, ახალი ფურცლიდან დაწყებულ ცხოვრებაზე“. - ვპასუხობ მე. „და შენ იცი, რომ დედამიწაზე ჩვენი ცხოვრება სამზადისია დიდი მიგრაციის დასაწყისისთვის, როცა სული სხვა სამყაროში მიემგზავრება და სრულიად ახალ რეალობაში გადასახლდება“. – ეშმაკურად მიღიმის 100 წელს მიტანებული მოხუცი და ცალი თვალით ზეცას გაჰყურებს...

მე კი ისევ მიწაზე ვეშვები... წელს სკოლას ვამთავრებ. სწავლას დედაქალაქში გავავრძელებ. ეს იქნება ჩემი პირველი მიგრაცია, სიახლეებით, სირთულეებით დატვირთული ახალი გზის დასაწყისი. გაისად აღბათ უფრო მეტი მექნებოდა სათქმელი, თუმცა ემიგრანტ ებრაელთა ცხოვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, შესაბამისად, აღარ მაშინებს სიახლეებიც. გაუსაძლისია ერთფეროვნება, ცხოვრება რთულია და საინტერესო. შთამბეჭდავი კი ყოველი ბიოგრაფიაა, დაწერილი ახალი ფურცლიდან.

გამოყენებული წყაროები:

- 1) მერაბ კვბევაძის „ქუთაისში ებრაელთა დასახლების მთავარი ქუჩები მე-19 საუკუნეში“, მე-6 თავი, გვერდი 146/147
- 2) ინტერნეტსაიტი: პოსტნიუსი – ინტერვიუ ჩიგო ბუზიაშვილთან.
- 3) გაზეთ „მენორას“ 2008 წლის გამოშვება.
- 3) ჩიგნი „ეთნოსები საქართველოში“ 2008 წლის გამოშვება.
- 4) ინტერნეტსაიტი www.feedc.com სტატია „ქუთაისი ნიშა“ – ფოტოგრაფი ილო
- 5) ინტერნეტსაიტი www.kutaisipost.ge „უცნობი ქუთაისი, ბორის გაპონოვი.“

VII PLACE

People Restarting Life from Scratch Several Times

By Mariam Sheklashvili, Mariam Guliashvili, Ani Kvinikadze

Teacher: Nanuli Sheklashvili

Sackhere Municipality Village Gorisi Public School

The essay reflects on constant change of places caused by wars and cruel Soviet regime unfairly accusing its citizens of false statements and forcing for deportation. Serving for Russia against Finland in 1939 or being in military camps in Denmark, France and other European countries during WWII, or later deported to Siberia in late 40s took 17 years of life of the Georgian man Nikoloz Abramishvili, the victim of injustice.

He dreams of his homeland but loses all hope to return home. Migration teaches him adaptation to new environment despite of brutal conditions. A new chapter in his life begins when he gets his second family and is forced to start everything from the beginning again.

As the authors mention, only chosen ones are destined to find strength in themselves as their path is always thorny. After much toils and difficulties in his life, Nikoloz is able to return to Georgia and reunite with his family.

VII აღვილი

მარიამი შაყლაშვილი, მარიამი გულიაშვილი, ანი კვინიქაქა

მასწავლებელი: ნანული შაყლაშვილი
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის
სოფელ გორისის საჯარო სკოლა

ადამიანები ცხოვრების რამდენიმე ახალი ფურცლით

1917 წელს, როცა რუსეთის იმპერია „დიდმა რევოლუციამ“ შეარყია, საქართველოში, ზემო იმერეთის ერთ პატარა, მაგრამ უძველესი ისტორიის მქონე სოფელში ვაჟიშვილი – ნიკოლოზ სილიონის ძე აბრამიშვილი მოეწვინა ქვეყანას.

„ბაბუ, ჯერ კიდევ პირველი მონადირეების, პალეოლითის ხანაში, ჩვენი სოფლის ტყეებიდან, ჯრუჭის ხეობისაკენ ერეკებოდნენ ცხოველებს და სოფელს სარეკი ამიგომაც ეწოდაო“. – გვეუბნებოდა სულ და იმასაც დასძენდა: – „უძველეს ნამოსახლზე, დარკვეთის ახოში მცხოვრებნი, პირველი მონადირეები ჩვენი სოფლის ნადირით იკვებებოდნენო“.

უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყნის ისტორია, პატრიოტი იყო თავისი იბერიის, 90-იან წლებში მიტინგებზე დადიოდა, სიგიჟემდე უყვარდა ზვიად გამსახურდია, საქართველოს პირველი პრეზიდენტი და უსაზღვრო, უკიდევანო სიძულვილი ჰქონდა სსრკ-ის, რატომ?!... იმიტომ!...

1938 წელს ნიკალა ბაბუ დაქორწინდა ჭიათურის სოფელ ვანში მცხოვრებ ნადია გაბრიჭიძეზე, შეძლებული გლეხის ოჯახიდან ყოფილა ნადია. „გაკულაკების“ შემდეგ მის ოჯახზე ლეგენდები დადიოდა – „ოქრო რაჭის მთაზე, ერთი მუხის ძირში დაუფლავთო“. იწყებდებოდა ბებია – „მეტი არ შევიდა იმის სახლში, რაც ჩვენ ოქრო არ გვექონიყოს, ჩემი მამისა და ძმების სისხლი მოეკითხება ოდესმე იმგენს და სამართალი გაიმარჯვებსო“.

– იმედოვნებდა ბებია.

არ დასცალდა ახალშეუღლებულ ოჯახს, თათლობის თვე მალე გაილია. ერთ დღესაც თბილისს წკნელისაგან შემოწნულ პატარა, კობცა სამომო, საზიარო ეზოში, სამხედრო კიტელში გამოწყობილი კაცი გამოჩნდა. უწყება მოვიდა, სილიონიჩი ჯარშია გაწვეულიო.

გონდაკარგული ახალი რძალი მიწაზე დაეცა და დაცემას მის სხეულ-

ში ჩასახული ახალი სიცოცხლის დაკარგვა მოჰყვა. მეტი მძიმე ტკივილი აღარც მეუღლის უკანასკნელი ცრემლიანი კოცნა და ჩუმი ჩურჩული: „მიყვარხარ – დამელოდე“ ყოფილა. წავიდა და თან ახალგაზრდობის ყოველივე სილაღე თან წაიღო.

„სამხედრო სამსახური იძულებით თავსმოხვეულ სამშობლოში მომიწია – ასდღიანი ომი „არ გვაკმარეს (რუსეთ-ფინეთის ომს გულისხმობდა, 1939 წ.). როცა მოვრჩი სამხედრო სავალდებულო სამსახურს და თავისუფლების სიომ დაბერა, ვალმოხდილად ვიგრძენი თავი თავსმოხვეულ სამშობლოსთვის, სახლში წამოსვლის იმედი გამიჩნდა და ჩემი ფიქრები სარეკს დასტრიალებდა, იმ სულძაღლმა, გიგლერმა მომისწრაფა ცხოვრება. ვინლა გამომიშვებდა?! „სამშობლოს ჭირდებითო, ქუდზე კაცი იქნებით გამოძახილიო“.

იქ დამრთავრდა მისი ცხოვრების პირველი ფურცელი. ტკივილიანი, იმედგაცრუებული, ცხოვრების იმედდაკარგული, საშინელი მონატრების, საშინელი უიღბლობისა და ცხოვრებაზე განაწყენების ხანა. მეორე ფურცელი დაიწყო – მეორე მსოფლიო ომი (1939-1946) და მისი შვილობილი სამამულო ომის ხანა (1941-1945).

„პირველი ორი წელი წერილებს ვიღებდით ოჯახში, კარგად ვარ, ვუმკლავდებითო მტერს, არაფერი მიჭირსო, ჯავრი არ გქონდეთო – იწერებოდა. მერე წერილებიც შეწყდა.

მეხვეწებოდა საწყალი დედაჩემი – წამოდი ვანში, ჩვენ გიპატრონებთ, მარტოკინამ როგორ უნდა გაუძლო ცხოვრებასო – მაგრამ ვერ წავედი, ვერ მივატოვე მოხუცი დედამთილ-მამამთილი და ლოგინად დავარდნილი ქმრის ბიძა“. (ხელმოწერილი ცოლ-ქმარი არ ყოფილან, კანონის წინაშე ვალდებულება არ ჰქონდა, სინდისისა და ადამიანობის ცყვეობაში არჩია ცხოვრება. ასე იქცა ქორწინებით მიგრანტად)“. რას მიჩერებხარ მაგათ, შენებისას წაღიო. – სოფელი მიჩინებდა, მარა ვერ წავედი, ვერ ვისვინდისე, ნამუსი არ მაძლევდა საშველს. ფერმაში დავიწყე მუშაობა მწყემსად და გვეიქვავე გული ნიკალას მოლოდინში“. – გვიყვებოდა ნადია ბებო.

ამასობაში ჩვენი ომის გმირი მიიწევდა წინ. უკრაინა, ბელორუსია, ვარშავა – წინ-წინ ბერლინისაკენ. აქაც გამოკრა ფეხი ბედისწერამ. გერმანული აქცენტით, „რუსკაია სვინიას“ „ძახილით და გერმანული ჩექმის პანდურებით შეაგდეს საკონცენტრაციო ბანაკში. „დანის „ლაგირში“ ხართო. – გვითხრეს ჩვენზე ადრე მისულებმა. მთა მთას არ შეხვდებო, ნათქვამია. ბანაკში ლამის სიხარულით შევიშალე, ღია კარში ჩემი სოფლელი, კალისტრატე აბრამიშვილი რომ დავინახე, მაგრამ ამაოდ, მათ ფორმაში იყო გამოწყობილი, მტრის მხარეზე გადასულა და ბანაკის ზედამხედვე-

ლიც გამხდარიყო, ვილას ახსოვდა ჯრუჭულის პირზე შიშვლად მობანავე ბიჭები. პური ვთხოვე – პური დაგვანახა და კარი გაიხურა, „უკან დაიწიე, თუ არ გინდა, ადგილზე ჩაგაძაღლო“.

იღვა 1943 წელი. დანიის ლაგერში ვინც იმათ მხარეზე გადავიდნენ, ალბათ იმ მონის ფსიქოლოგიის მქონე კაცივით განდიდების მანიას დაემორჩილნენ, ან წინასწარ განჭვრიტეს მომავალი ბედისწერა უმადურ სამშობლოში დაბადებულმა ჯარისკაცებმა. ჩემნაირები ქალაქიდან ქალაქში გადავყავდით, თვალი შევავლეთ საფრანგეთს, ევროპის სხვადასხვა ლაგერებში ძირითადად სანგრებს ვთხრიდით, გვეუბნებოდნენ – გაგიმართლათ, სანამ გვეჭირდებით, არ დაგხოცავეთო. „პადვოდით“ – ცხენის ურიკებით გადავყავდით. დაავადებულებს პირდაპირ თავში ურტყამდნენ და მინდორშივე კლავდნენ. საკვებად დამბალი პურის მარცვალი გვექონდა, ზოგჯერ ხორბლის სუპიც. იყო შემთხვევები, შიმშილის მოსაკლავად განავალს რეცხდნენ და ხელახლა მიერთმევდნენ. მინდვრებში მცენარეთა ფესვებს ვავროვებდით. ხე-ტყის დამზადებისას ყარაულ-პატრულები შედარებით უკეთ გვექცეოდნენ. ჰიტლერი დანებდაო – მეხის გავარდნასავით მოედო ლაგერს, ზედამხედველები მუხლებზე დავარდნენ. რალაც ნაწილი შემოვიდა, ყველანი ერთ სატვირთო მანქანაზე შეგვრეკეს და სად მივყავდით, არავის აუხსნია. უზარმაზარ თხრილთან მიგვიყვანეს, ალბათ უნდა დავეხვრიტეთ, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ერთი კაცი გამოჩნდა, რომელიც, როგორც შემდეგ ვავიგე, ჩემი რაიონელი, სოფელ გორისიდან წასული გომართლების ოჯახის შვილი იყო, რომელთა ოჯახიც 1921 წლის რუსეთის ოკუპაციის შემდეგ საფრანგეთში გადასახლებულა და იმათ მხარეს იბრძოდა. დახვრეტას მან გადაგვარჩინა და თავისუფლად გაგვიშვეს. რამდენიმე ხანი ტყე-ტყე დავიარებოდით. შემდეგ საბჭოთა კვბ-ს ჩავბარდით, აზოვის ზღვის სანაპიროზე ჩამოგვიყვანეს, რამდენიმე ხანი იქ ვიყავით, ვისაც დანაშაული არ ჰქონდა, გაათავისუფლეს. ჩემნაირები სტალინის ბრძანებით ყოველივე გამოძიების გარეშე ციმბირში, ქალაქ ვორკუტაში გაგვიშვეს. სამშობლოს ღალატი იყო ჩვენი დანაშაული და იქ ქვანახშირის მადაროში, შრომა-გასწორებით კოლონიაში უნდა გამოგვესყიდა. არავის უკითხავს რაიმე მიზეზი, არც ტყვეობისა, არც ბანაკში გაჭირვებისა და შიმშილისა, არავის განუმარტავს, რატომ არ ეკუთვნოდა სამშობლოს ხელისუფლების მიერ თითოეული ჯარისკაცის გულში ჩაკვრა. არ მოუკითხავს თავისი შვილები, რომელთაც შეძლეს სიცოცხლის შენარჩუნება ომის პირობებში, როგორც ომში წასვლისას არავის უკითხავს მათი სურვილი, ისე არავის აზრად არ მოსვლია მათი დაცვა, პირიქით, „სამშობლოს მტერი“ – იარლიყი განაჩენის გარეშე. ვინ იყო მტერი? ან სად იყო სამშობლო?

განა ასე ექცევინ ომის გმირებს? განა წაგებულ იყო მათი ქვეყანა? დამარცხებულთაც პატივს მიაგებენ ღირსეულად, ღირსეულ საზოგადოებაში. განა დემბერტირი აიყვანეს, საკუთარი სახლის სხვენზე დამალული? ფეხით გაიარეს გზა გერმანიისკენ და მუხთალი ბედისწერით გამარჯვების გემო ვერ იგემეს, შეუბრალებელი აღმოჩნდა გამარჯვებული სარდალი, რომლის უღვაშებიც ხშირად იყო გინებისა და უხამსი მიმართვის ობიექტი. „უსამართლობა ზიზღს იჩვევს ადამიანში“.

აქ მესამე ფურცელი გადაიშალა და უფრო მძიმე, ვიდრე პირველი. პირველ ცხოვრებაში მებრძოლი იყო, ჯარისკაცი. თავსმოხვეული სამშობლოს ნებით თუ უნებლიე დამცველი, ახლა კი ვორკუტის ცივი და სუსხიანი პირქუში დღეების სრბოლაში უნდა გაეტარებინა დარჩენილი ცხოვრება, შრომითი იძულება (შრომითი მიგრაცია) სიცოცხლის ბოლომდე. რისთვის?! – „ვაი, ჯრუჭულის პირზე გაზრდილო, თავისუფლების სიონახულო ბიჭო, სად დაიმსხვრა შენი ოცნებები და დაიმარხა იმ მონადირეთა საცხოვრებელი არეალივით, ძვ. წ. აღ. ათასწლეულებიდან მიწით რომ დაითარა და დაიმარხა.

1946 წელი იწურებოდა. ნიკალა სილიონის ძე თავისი ახალი ცხოვრების წიგნის ფურცელას იწყებდა ციმბირში, ქალაქ ვორკუტაში. მისი ფიქრებივით შავი იყო მიწა, რომელსაც თხრიდა. თხრიდა თავდაუზოგავად, იმ იმედით, რომ ფილტვებს დაიზიანებდა და იმქვეყნად ნაადრევად გაემგზავრებოდა, სიცოცხლე არად უღირდა, რაც მეტი მონდომებით თხრიდა, მით მეტი ნახშირი ამოდიოდა და ამდიდრებდა ქვეყანას, თითქოს ბედისწერა აქაც დასცინოდა, ჯანს ჯანი ემატებოდა და კუნთები ეზრდებოდა, უკანონოდ მისჯილი შრომა ქვეყნის სასარგებლო, შედეგიანი იყო. ამასობაში შეეგუა თავის მდგომარეობას. არავითარი კონტაქტი ოჯახთან, არა წერილი, არავითარი კომუნიკაციის საშუალება, მხოლოდ ფიქრსა და გონებას ვერ მისწვდა საბჭოთა სამართალი, ვერ წაშალა ვერც ფიქრი პატარა სოფელზე, სიყვარულზე, მშობლებზე, ნადიაზე, მაგრამ მხოლოდ ფიქრი... და აუხდენელი ოცნებები... ტანჯვა ცოცხალ-მკვდრად ყოფნისა.

როგორც იქნა, მოსკოვიდან მოვიდა ახალი ბრძანება, ახალი სასამართლოს გამართვის შესახებ. „დრო მკურნალიაო“. – თქმულა, ჩვენი გმირიც შეეგუა ციმბირულ ცხოვრებას. ნელ-ნელა დასახლებაში ინტეგრაცია დაიწყო. სამშობლოს მტრებს რუსული მავთულ-ხლართებიდან თავის დაღწევა ახალი ცხოვრების მიზნად ექცათ, სასოწარკვეთილ ადამიანს გულისა და სულის მესაიდუმლე გამოუჩნდა, ბედის ირონია იყო თუ საჩუქარი, ვინ იცის? და ისიც დედით გერმანული წარმომავლობის მშვენიერი ქალიშვილი, ნადია. ნადია მეღდა იყო მაღაროში, დანახვისთანავე მოსწო-

ნებია კავკასიური წარმომავლობის, ეშხითა და სევდით გაჯერებული გამოხედვის მქონე, მაგრამ თვალეში სითბოშემორჩენილი მზერის ვაჟკაცი.

1949 წლიდან დაიწყეს ერთმანეთის დარღითა და მომავლით ცქერა. 1952 წელს ვაჟიშვილი, ვალოდია ნიკოლოზის ძე აბრამიშვილი მოეველინა ქვეყანას.

როგორც იქნა, მოსკოვმა და კრემლის მესვეურებმა გადასახლებულე-ბისათვის მოიცალეს, მოვიდა ბრძანება ხელახლად სასამართლოს გამართვის შესახებ. 1951 წლის 27 დეკემბრის სასამართლო სხდომის განაჩენი ასეთი იყო: დასავლეთ ციმბირის ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სამშობლოს ღალატისათვის სსკ 58 „ბ“ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 (ოცდახუთი) წლით და სასჯელის მოხდა შრომა-გასწორების კოლონიაში ქ. კემეროვოში.

წესით, ეს მოვლენა უნდა ყოფილიყო ახალი ცხოვრების დასაწყისი საშინელ უიღბლობას დამონებული კაცისათვის და შედარებითი სიმშვიდე უნდა მოეტანა იმ ნათელ სხივს, ვისაც პატარა ვაჟიშვილი, ვალოდია ერქვა.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა“? – ბრძანებს სულმნათი აკაკი და თითქმის არცაა შესაფერი ჩვენი გმირისთვის, მაგრამ მაინც გამოვიყენოთ იმ ამაოების ხაზგასასმელად, რომელიც 1955 წლის 17 სექტემბრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამინისციით გათავისუფლებულმა იგრძნო. უფლება მიეცა, დაბრუნებოდა თავის პირვანდელ საცხოვრებელს. ეს უკვე არც ირონიაა, არც აღამიანთა ბედით თამაში, არც უსამართლობა, არც უნამუსობა, არც ვიცი და ვერც გავიგებ, რა ქვია ასეთ რეჟიმს – ტოტალიტარიზმი? ფაშიზმი? დიქტატურა? კანიბალიზმი? ალბათ ადამის მოდგმის სიძულვილი, უღმერთობა და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უბრალოდ ჯოჯოხეთი.

„არავის უკითხავს, განთავისუფლების შემდეგ რას აპირებთო, რჩებოდა თუ მიდიოდა პირვანდელ საცხოვრებელში. არ მოუკითხავთ, ჰყავდათ თუ არა ვინმე ახლობელი იქ, არც დამშვიდობება, არც გამომშვიდობება. თვითმფრინავში შეგვრეკეს, გვარების მიხედვით ვხვდებოდი, რომ ყველა კავკასიურ გვარებს გვიძახებდნენ. ილუმინატორიდან მთები რომ დავინახე, მივხვდი, რომ კავკასიონის თავზე ვიყავით, მაშინ გავფიქრე პირველად, სამშობლოში გვაბრუნებენო, არანაირი ემოცია არ მქონდა, ბაბუ, გული გამეყინა, სად დავტოვე შვილი? ქალი, რომელმაც ჩემს ცხოვრებას აზრი დაუბრუნა და ვინ მხვდებოდა იქ? ან დამხვდებოდა კი? მშობლები ცოცხლები აღარ მეგონა, ნადიას კი აბა ვინ გააჩერებდა, დედა წაიყვანდა, ან როგორ უნდა გაეძლო 17 წელი ტანჯვით ცხოვრებისათვის. ვიტანჯებოდი, ისე ვიტანჯებოდი და არცერთ ტანჯვაში არჩევანი არ მქონდა, არცე-

რთ ცხოვრებაში ჩემით არ მიცხოვრია, მთელი ცხოვრება „პლენი“ ვიყავი, მაგრამ ვისი, ესეც გაურკვეველი მაქვს დღემდე. ჩემი დაბადებაც დაიწვას და ჩემი ცხოვრების დედაც. თვითმფრინავი სოჩაში დაეშვა. ამის შემდეგ მატარებელში ჩაგვსხეს და ჯანდაბამდეც გზა გქონიათო“.

„ნიკალა მოდისო. – მოვიდა ამბავი უბანში, – ვინ ნიკალა? სილიონის ბიჭი – ნადიას ქმარი, მკვდარი რომ გვეგონა, „სარიკაოზე“ ამოდის აგერ და მე რომ დევინახე, გამოვიქეცი, რომ ამბავი მომეცანაო. „ისემც შენ ცხონდებიო“. – გულგადატრიალებულმა, 17 წლის წინ დაქვრივებულმა ნადიამ დაასრულა თუ არა სიტყვა, ებოს ხის ღია კარში ნიკალა გამოჩნდა. „ცოცხალი ყოფილაო“. – ამოილულულა და ისევ ისე გაიშხლართა გონდაკარგული ქალი, როგორც მაშინ, 1939-ში, ჯარში გაწვევისას.

აქ ისევ ახალი ცხოვრების წიგნი გადმოიშალა და უკვე მეოთხე. ნელ-ნელა იფურცლებოდა სევდის, ტკივილის, მოგონებებისა და „მკვდრეთით აღმდგარი“ კაცის (აკი საკურთხს უკეთებდა ოჯახი, გასვენებაც გადაუხადა, ორმოცი და წლისთავიც) ცხოვრების ფურცლები.

„რახან ოჯახი დამხვდა, დედ-მამა ცოცხალი, ერთგული, მშრომელი და პატიოსანი მეუღლე, რომელმაც არა თუ გააჩანაგა ოჯახი, პირიქით, მუხლჩაუხრელი შრომით ფეხზე დააყენა, სადღა წავიდოდი, ბაბუ?! ვფიქრობდი წასვლას, მინდოდა გამეგო, რა ბედი ეწია რუსეთში ნადიას, მინდოდა შვილი მომეძებნა, არ მასვენებდა ფიქრი იმაზე, დარჩნენ საბჭოეთში, თუ მოახერხა საზღვარგარეთ გადასვლა (რაზეც მუდმივად ვოცნებობდით და შესაფერის მომენტს ველოდებოდით). მაგრამ ვერ წავედი. არ ეწერა ალბათ ჩემს ბედისწერის წიგნში. აქ სხვაგვარად აზროვნებს კაცი, გაყინული გულიც კი იწყებს ფეთქვას, სისხლი ყივის და გეძახის ადგილის დედა“.

1960 წელს მეუღლესთან ქორწინება დააკანონა.

1964 წელს ჭიათურის კომისარიატმა სამხედრო ბილეთი მისცა, სადაც ეწერა, რომ 1939-1941 წლებში მსახურობდა მსროლელთა მე-8 პოლკში „რიადავოის“ თანრიგით.

1965 წელს დააჯილდოვეს მედლით სამამულო ომში გამარჯვების 20 წლის აღსანიშნავად.

აქვე ჩანაწერია: მეუღლე – ნადია აბრამიშვილი.

შვილი – გიზო აბრამიშვილი დაბადებული 1951 წ. დიას, შვილი.

ბიძაშვილის შვილი იშვილა. ბედისწერამ არც საკუთარ შვილის გვერდით დაუწერა ყოფნა და არც საყვარელ მეუღლესთან არგუნა მემკვიდრე.

მეოთხე ცხოვრების ფურცლებიც ირონიითა და საშინელი განცდებით იყო სავსე. თავსმოხვეული დედასამშობლოს – სსრკ შრომის ჯილდო

ერგო „მოწინავე ბრიგადირის“ სტატუსით, მანამდე ვორკუტასა და კემეროვში მიღებული ცოდნა ჭიათურის მაღაროში გამოიყენა და „მოწინავე მაღაროელის“ ფოტოები ამშვენებდა საბჭოთა სოციალისტური გმირებისა თუ მშრომელთა სტენდებს. მშვიდი და ლაღი ცხოვრება არც აქ ღირსებია. ხშირი იყო დაცინვა – „მოლაღაღე“, „პლენი“, „ენაზე დამლა ექნება“, „სამშობლოსა და სტალინის მტერი“, „გადამხრელი“...

მიუხედავად ყველაფრისა, რამდენჯერმე დაიწყო ცხოვრება ახალი ფურცლიდან, თავიდან აღდგა, მოძებნა ძალები ცხოვრების გასაგრძელებლად.

მოძებნო და იპოვო ძალა შენს თავში, ეს რჩეულთა ხვედრია, რჩეულთა ხვედრი კი ყოველთვის ეკლიანია. 1999 წლის 5 ივნისის სასამართლოს დადგენილებით „ნიკალა, იგივე ნიკოლოზ სილიონის ძე აბრამიშვილი აღიარებულ იქნას პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად და რეაბილიტირებულ იქნას“.

1991 წელს საძულველი სსრკ დაიშალა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში „ზვიადისტი“ იყო.

ააშენა სახლი, დარგო ათობით ხე, თავის მოსახელე შვილიშვილი ნიკოლოზი დატოვა და ასე, ვალმოხდილმა დახურა ამ ცხოვრების წიგნის რამდენიმე ფურცელი და მარადიული ცხოვრების წიგნში (2001წ) ახალი ფურცელი გადაშალა.

VIII PLACE

Way from Toba to Tskordza

By Mate Neadze, Nino Neparidze, Saba Gelashvili

Teacher: Lela Gvirjishvili

School: Akhaltsikhe Public School #6

Three students from Akhaltsikhe decide to dig into historical sources and find information on migration in the Samtskhe – Javakjeti region. Their focus of interest is Toba, a less explored settlement compared to other ones. The students visit historical places and are fascinated by their beauty. Their research is depicted on video where the locals, experiencing migration, descendants of immigrants and the historian, are telling historical facts and adventures from the past. The stories describe the process of extradition of the Tatar population from Toba during the Soviet Union in 1944 and Toba settlers' deportation to the closer village Tskordza, which remained empty from Tatars.

In the end of the video the students tell that migration was a challenging experience, full of interesting adventures and new opportunities for the Toba citizens.

VIII აღზილი

მათა ნაბაქა, ნინო ნაუარქიქა, საბა გელაშვილი

მასწავლებელი: გვირჯიშვილი ლელა
სსიპ ქ.ახალციხის მე-6 საჯარო სკოლა

გზა ცობიდან წყორძამდე

ჩვენ ვართ ქ. ახალციხის N6 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები და ჩვენ ამ პროექტის შესახებ ინფორმაცია გავიგეთ ჩვენი ისტორია მასწავლებლისგან, ლელა გვირჯიშვილისგან. კლასიდან ჩვენ სამმა გამოვთქვით სურვილი, რომ ამ პროექტში მიგველო მონაწილეობა. ჩვენ დავიწყეთ მოძიება ჩვენს რეგიონში არსებული სხვადასხვა მიგრაციის შესახებ და ყველაზე მეტად დაგვაინტერესა ცობის ისტორიამ, რადგან იგი, სხვა მიგრაციებთან შედარებით, ასე თუ ისე შეუსწავლელი იყო და ეს ჩვენთვის საინტერესო გამოჩვენა იქნებოდა. პირველ ეტაპზე ვეწვიეთ ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკას და ამ საკითხს გარშემო დავიწყეთ ინფორმაციის მოძიება, თუმცა საჭირო ინფორმაცია ვერ მივიღეთ. ამიტომ გადავინაცვლეთ ქალაქის ცნობილ ისტორიკოსებთან და მკვლევარებთან. ვიყავით ბატონ მერაბ ბერიძესთან (სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში), ვესაუბრეთ და მან მოგვცა მასალა თავის წიგნიდან „მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის“. ამის შემდეგ ვიყავით ისტორიკოს ბატონ რეზო ანდლულაძესთან და მანაც მოგვარწოდა ინფორმაცია თავისი ჩატარებული კვლევებიდან.

შემდეგ ეტაპზე დავიწყეთ მოძიება იმ ხალხის ვინც ცობაში ცხოვრობდა. როცა მოვიძიეთ, გავემართეთ მათთან და ვთხოვეთ, რომ გაეხსენებინათ ცობაში ცხოვრების წლები და გადმოსახლების პერიოდი. დღესდღეობით მხოლოდ ორი ადამიანი დმოჩნდა ცოცხალი – ქალბატონი ბაბუღია სუდაძე და ქალბატონი ირინე ასპანიძე. მართალია, ისინი მცირეწლოვნები იყვნენ, როდესაც გადმოსახლდნენ, მაგრამ კარგად ახსოვდათ ყველაფერი, მათი ემოციები მეტად საინტერესო იყო. მათმა ოჯახებმა თბილი დახვედრა მოგვიწყეს და დიდი სიამოვნებით გვიმასპინძლეს. ასევე გავესაუბრეთ შთამომავლებს: ბატონკახა სუდაძეს და ქალბატონ მაკა სუდაძეს. ჩვენ ასევე ვესტუმრეთ ნასოფლარ ცობას და დავტკბით იმ სილამაზით. ჩვენ ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ უკეთესი იქნებოდა, ჩვენი კვლევა ვიდეოსახით გადმოგვეცა, რადგან პროექტი ამის საშუალებას გვაძლევდა.

ამიტომ თითოეული რესპონდენტის ჩაწერა დავიწყეთ. თავდაპირველად საქმე კარგად წავიდა, მაგრამ მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ის ტექნიკა, რომელიც ვიდეოს გადასაღებად და ასაკინძად უნდა გამოგვეყენებინა, მწყობრიდან გამოვიდა. ამიტომ მოგვიწია სხვა გზების მოძიება. გადავინაცვლეთ უფრო რთულ გზაზე: მოგვიწია ტელეფონის კამერით გადაღება და ლეოტოპით მუშაობა, რომელმაც ძლივს გაუძლო დაკისრებულ სამუშაოს. სწორედ ამ დროს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში კორონავირუსი გავრცელდა. რადგან ჩვენმა მთავრობამ გადაწყვიტა საგანგებო ვითარების გამოცხადება და მოსახლეობას მოუწოდა სოციალური დისტანციისკენ, ჩვენი მუშაობა გარკვეულწილად შეფერხდა, რადგანაც მუშაობა ონლაინრეჟიმში გვიჩვევდა. ეს არც ისე მარტივი საქმე გახლდათ. ამ დროისთვის რამდენიმე რესპონდენტი ჩასაწერი გვყავდა, ბატონმერაბთან მოვახერხეთ დაკავშირება და ჩავიწერეთ, ხოლო ბატონ რეზოსთან სამუშაოდ – ვერა. ამანაც გარკვეული პრობლემები შექმნა, მაგრამ საბოლოოდ არ დავნებდით, ბევრი შრომის შედეგად ჩვენ მივალჩინეთ შედეგს. გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, გარდა იმ ინფორმაციისა, რაც ვიდეოშია განთავსებული, ჩვენ ბევრად მეტი შევიტყეთ, მაგრამ გადავწყვიტეთ, მეტად მნიშვნელოვანი საკითხებისთვის დაგვეთმო განსაზღვრული დრო... ჩვენ კვლევის დროს ასევე წავაწყდით შემდეგ პრობლემას: იყო ისეთი საკითხები, რომლებზეც ორი სხვადასხვა მხარე რადიკალურად განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიდა. გარკვეულწილად, ჩვენ ეს გამოვაჩინეთ ვიდეოში, მაგრამ დანარჩენ ნაწილზე იმ მხარეს დავუყრდენით, ვისი ნაამბობიც მეტად სანდო და დადასტურებული იყო. ბოდიშს გიხდით ცუდი ხარისხის გამო, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აპარატურამ ხელი არ შეგვიწყო. იმედია, მოგეწონებათ ჩვენი კვლევა. მაღლობას მოგახსენებთ ამ მშვენიერი პროექტისთვის, ჩვენ ძალიან ვისიამოვნეთ ამ საქმიანობით. თქვენ ნამდვილად მიაღწიეთ თქვენს მიზანს – ჩვენ უფრო მეტად „მოვიწამლეთ“ ისტორიით. ჩვენ მოუთმენლად ველოდებით თქვენს პასუხს და შემდეგ პროექტებს, რათა უფრო დიდი შემართებითა და მობილიზებით ჩავერთოთ მათში.

განაცხადის ვიზუალური მასალა youtube-ზე:

<https://www.youtube.com/watch?v=bQb2mmaxf10&feature=youtu.be>

IX PLACE

Vakhtang Sakvarelidze Restarting Life from Scratch

By Nutsi Mamukelashvili, Teona Labuchidze,
Ekaterine Jerenashvili

Teacher: Tamar Uzunashvili

School-Lyceum „Mtsignubartukhutsesi“

The essay is about the immigrant Vakhtang Sakvarelidze, whose idyllic life with his family ends in 1941 when World War II starts.

Being involved in the war, then living in Germany and Austria and later moving to the United States, he loses all hope to return home despite his love towards his motherland and family. With the help of his friend, he is finally able to find his family after 25 years of living abroad.

In the letter sent to Telavi, Georgia forces his daughter to apply for an American visa and visit him. Her brother follows her later. The author mentions how Vakhtang was financially helping others including the presidential candidate Ronald Reagan. Friendly connections established by him are kept even after his death. His third wife and daughter are still in touch with each other.

The essay refers to the fact that immigration is always hard but Vakhtang Sakvarelidze is a perfect example of maintaining mental strength during crisis and his story highlights that life goes on despite everything.

IX ალბილი

ნუსი მამუკელაშვილი, თონა ლაბუჩიძე, ქაჯარინა ჯაჩინაშვილი

ავტორები: მასწავლებელი: თამარ უზუნაშვილი
სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“

ვახტანგ საყვარელიძის ცხოვრება ახალი ფურცლიდან

„ჩემო ძვირფასო დედა! ქალიშვილო! ძმავ და ყველა დანარჩენო ოჯახის წევრებო!... ვწერ ამ წერილს და თვალები სულ ცრემლებით მაქვს საესე.“ – წერს ოჯახს დაშორებული ვახტანგ საყვარელიძე ბოლო წერილის გაგზავნიდან 25 წლის შემდეგ. წერილი ოჯახისთვის დიდი სიხარულისა და კათარზისის მომტანი გამოდგა. ეს იყო „უგზო-უკვლოდ დაკარგული“ საყვარელი ოჯახის წევრის პირველი შეტყობინება წლების შემდეგ.

ყველაფერი ასე დაიწყო. 1911 წლის 3 მარტს ქალაქ თელავში, ილია და საშა საყვარელიძეების ოჯახში დაიბადა ვახტანგ საყვარელიძე. იგი თავიდანვე ნიჭიერებით, გონიერებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ამაში ისიც გვარწმუნებს, რომ პირველკლასელი ვახტანგი ერთი თვის შემდეგ გადაიყვანეს მეორე კლასში. მან სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის საბუნებისმეტყველო სასწავლებელში განაგრძო, თან რევიზორ-ბუნებისმეტყველო დაიწყო მუშაობა.

1931 წელი: ვახტანგი დაოჯახდა ეკატერინეზე და 2 წლის შემდეგ, 1933 წელს მათ პირველი შვილი – თენგიზი შეეძინათ, 1939 წელს კი მათ ოჯახურ იდილიას ქალიშვილი – ნელი შეემატა. „ყველაფერი კარგი ოდესღაც მთავრდება“, ნათქვამია და არც ეს შემთხვევა იყო გამონაკლისი. 1941 წელს ეკატერინესა და ვახტანგის ბედნიერება სამხედრო სავალდებულო სამსახურმა დაარღვია, როდესაც ვახტანგი 3 თვით გაიწვიეს. ეს შემთხვევა იყო იმ მოვლენათა საწყისი, რომელიც მრავალი წლის შემდეგ ვახტანგ საყვარელიძეს ცხოვრების ახალ ფურცლიდან დაწყებისკენ უბიძგებდა. მამასთან დიდხნიან განშორებას ექვსი წლის თენგიზიც გრძნობდა, რომელმაც მამის გაცილებისას ცრემლები ველარ შეიკავა. ამ შემთხვევას ბატონი ვახტანგი თავის წერილშიც იხსენებს: „სულ იმაზე ვფიქრობ, თქვენ რომ ჯარში მაცილებდით, თენგიზმა ტირილი დაიწყო და როდესაც შენ შეეკითხე: „რა იყო შვილო“? მან გიპასუხა: „მამა აღარ დაბრუნდება“- თითქოს პატარა თენგიზი გრძნობდა მამასთან განშორებას.

სწორედ ამ დროს დაიწყო ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში – მეორე მსოფლიო ომი და ვახტანგის თავისდაუნებურად ომის ეპიცენტრში აღმოჩნდა. 1941 წლის 22 ივნისს საყვარელიძეების ოჯახმა წერილი მიიღო ვახტანგისგან, სადაც ის სალამს უთვლიდა, ყველას და სთხოვდა, მასზე არ ენერვიულათ, არამედ საკუთარ თავებზე ეზრუნათ და ერთმანეთს დახმარებოდნენ ამ რთული პერიოდის გადაგორებაში. ვახტანგს ორი ძმა ჰყავდა – ლადო და ლევანი. მან თექვსმეტი წლის ძმას – ლადოს ჩააბარა ოჯახი და სთხოვა, მასზე ზრუნვა ეთავა. ლადომ კი ძმის დანაბარები არ შეასრულა და თავადაც ომში წავიდა მოხალისედ. ომში წასული, არც მამა და არც ლევანი, უკან აღარ დაბრუნებულან. მათგან სახლში დაბრუნება მხოლოდ ლადომ მოახერხა, რომელიც სამშობლოში მძიმეომგამოვლილი და ორივე ფეხით ინვალიდი ჩამოვიდა. საქართველოში არსებული საყოველთაო მდგომარეობა და ოჯახში დატრიალებული მწუხარება მძიმე ტვირთად დააწვა საყვარელიძეებს. ლადოს მოვლასა და ბავშვების აღზრდაში დიდი ძალისხმევა ჩადეს საშამ და ეკატერინემ. ისინი ცდილობდნენ, რომ ბავშვებისთვის უმამობა არ ეგრძნობინებინათ და ოჯახის სიმყარე შეენარჩუნებინათ.

პარალელურად, ვახტანგი სხვა ჯარისკაცებთან ერთად ფეოდალშია გავზავნეს, სადაც ფრონტზე თავის ბიძაშვილებს, საშამ და მიშამ გოგიაშვილებს შეხვდა. ხოლო 1942 წელს საკონცენტრაციო ბანაკში ტყვედ იქნა ჩავარდნილი. მალევე გერმანიაში გადააგზავნეს. ტყვეობამ, ბანაკში შექმნილმა გაუსაძლისმა პირობებმა, მომავლის არცოდნამ და კილომეტრებით დაშორებულ ოჯახის წევრებზე მუდმივმა დარდმა და ნერვიულობამ ვახტანგის ცხოვრება გაუსაძლისი გახადა. ამ ყველაფერს ემატებოდა ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროს ტყვედ ჩავარდნილ ხალხს ეკრძალებოდა ნებისმიერი სახის კავშირი ოჯახთან. ამ ბარიერის გარდა, მას კიდევ ერთი ფაქტორი აშინებდა, რაც იყო თავისი ახლობლების კეთილდღეობა, ეს იქიდან გამომდინარეობდა, რომ ნელის ძალიან სუსტი ორგანიზმი ჰქონდა და ადვილად ხდებოდა ავად.

ვახტანგს ქალიშვილი და მეუღლე გარდაცვლილი, ხოლო ობლად დარჩენილი თენგიზი – რომელიმე ბავშვთა თავშესაფარში მიბარებული ეკონა. არც გერმანიაში მოუწია დიდხანს გაჩერება, რადგან ომის შემდეგ ის და მისი მეგობრები გადავიდნენ საცხოვრებლად ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში, ხოლო 1955 წელს ბატონი ვახტანგი ისევ ივკლის ადგილსამყოფელს და საბოლოოდ ბინავდება ამერიკაში. ბატონ ვახტანგს არაერთხელ მოუხდა ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება, მაგრამ ყოველი დაცემის შემდეგ ისევ მყარად დგებოდა ფეხზე, ნიჭიერებისა და შრომისმოყვა-

რეობის წყალობით. თუმცა ოჯახში არაფერი იყო მის შესახებ ცნობილი.

ძნელი იყო ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება უცხო ქვეყანაში, თუმცა ბატონმა ვახტანგმა შეძლო, დაეძლია წინააღმდეგობები, შეაგროვა თანხა, იყიდა სახლი ნიუ-იორკში და მოაწყო ყველაფერი თავისი გემოვნებით. იგი დაუახლოვდა ადამიანს, რომელმაც იგივე ბედი გაიზიარა და მისნაირად ცყვება განვლო, ეს იყო ირაკლი მენთეშაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს გული და ფიქრები სამშობლოსკენ იყო მიმართული, მათ ესმოდათ, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო და ახალი ნაბიჯები უნდა გადაედგათ ცხოვრებაში. ირაკლიმ შექმნა ოჯახი და ეყოლა ოთხი შვილი, ხოლო ვახტანგმა გერმანელი ქალი მოიყვანა ცოლად. ირაკლის უკვე მოხეხრებინა, საქართველოში თავის ახლობლებთან კონტაქტი დაემყარებინა და უნდოდა, რომ თავის მეგობარს მისი ოჯახის ამბის გაგებაში დახმარებოდა. ვახტანგს ინტერესი კლავდა, თუ რა ხდებოდა საქართველოში საყვარელიძეების ოჯახში, მაგრამ ამავდროულად იგი შეპყრობილი იყო დუალისტური გრძნობებით, რადგან მას არ სურდა, რომ მისი ბნელი ფიქრები რეალობა აღმოჩენილიყო. ირაკლი მენთეშაშვილის შვილებმა საქართველოში იპოვეს საყვარელიძეების ოჯახი, ამცნეს, რომ ვახტანგი ცოცხალი იყო და ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი გადასცეს, სადაც „უგზო-უკვლოდ დაკარგული“ თავის ამბავს ყვებოდა. სწორად ამ დროს გაცოცხლდა საყვარელიძეების ოჯახში წლების განმავლობაში ჩუმად დამარხული იმედის ნაპერწკალი.

ვახტანგის ქალიშვილის, ქალბატონი ნელის სიცყვებით, მამის მიერ გამოგზავნილი წერილი გახდა ყველაზე დიდი სიხარულის მიზეზი საყვარელიძეების ოჯახში. „ყველაფერი ვარდისფერად ანათებდა, ყველაფერი ჩემთან ერთად მღეროდა“. ასე ემოციურად იხსენებს იგი ამ დღეს. „ჩემო ძვირფასო დედა! ქალიშვილო! ძმავ და ყველა დანარჩენო ოჯახის წევრებო!“ – იწყებს 25 წლის შემდეგ საყვარელი ადამიანებისთვის ემოციებით სავსე წერილის წერას ვახტანგი. საბედნიეროდ, ჩვენ მოგვეპოვება ეს კონკრეტული წერილი, სადაც ემიგრანტი იხსენებს საქართველოს დატოვებამდე მონაპოვარ მოგონებებს და ურთავს ემიგრაციაში დაწყებული ახალი ცხოვრების დეტალებს. იგი იწერებოდა: „მე ბოლო წლებში მინდოდა თქვენთან წერილის მოწერა, და, მართალია, სულ სხვაა, ვიდრე წინათ იყო, მაგრამ მაინც მეშინოდა, რომ ჩემი წერილით თქვენთვის ზიანი არ მომეცანა“. „მე ორი წელიწადია, რაც აქ ესე ვცხოვრობ. მანამდე სულ ნიუ-იორკში ვცხოვრობდი. აქედან ნიუ-იორკამდე 45 კილომეტრია. აქედან დავდივარ სამუშაოზედ ქარხანაში, ვამზადებ აპარატებს საავადმყოფოებისათვის“. „მომიკითხე, ვისაც კი ჩვენთვის რამე კარგი უნდა“. ოჯახი-

დან გაგზავნილმა წერილმა იგი დაადარდიანა, მისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა გაგებულთან შეგუება, შეგუება იმასთან, თუ რა შეემთხვა მის ძმებსა და მამას. თავის ემოციებს იგი ასე აღწერს: „ისე მწარედ ვიტირე, რომ გული ველარ დავიდინჯე“.

ვახტანგის გამოჩენამ ნელის იმედი ჩაუსახა, რომ მას მიეცემოდა საშუალება, კიდევ ერთხელ ენახა ნანატრი მამა, რომლის გარეგნობაც კი აღარ ახსოვდა. ნელი მალევე გადავიდა მოქმედებაზე და დაიწყო მზადება ამერიკაში წასავლელად. ბევრი დაბრკოლებისა და შეფერხების მიუხედავად, აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონს ნ-ჯერ მოუვიდა უარი, მაგრამ მან მაინც მოახერხა ვიზის აღება და დიდი წვალების შემდგომ მოსკოვის გავლით ამერიკაში ჩასვლა. ვახტანგი სულმოუთქმელად ელოდა მონატრებული შვილის კიდევ ერთხელ ნახვას. ამერიკაში ჩასულ ნელის მამა უკვე სანტა-ბარბარაში, ახალ სახლში დახვდა. მამა-შვილის ემოციური შეხვედრის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ ერთმანეთისთვის ძალიან ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი. ვახტანგი სამშობლოს ნოსტალგიის აღმოსაფრხველად ყველანაირად ცდილობდა, რომ მის ახალ სახლში შეექმნა ისეთივე იდილია და სიტბო, რაც თელავის სახლში მუდამ ჰქონდა. ქალბატონი ნელი იხსენებს: „ავიდოდით მე და მამაჩემი ამ ხიდზე და ვიყურებოდით აღმოსავლეთით, ვითომ ჩვენს ეზოში ვიდექით“. ეს გახლდათ ვახტანგის მიერ აშენებული პატარა ხიდი, მისსავე ეზოში, რომელიც უვსებდა მას სამშობლოს მონატრებისგან გამოწვეულ სიცარიელეს.

მონატრებული მამა-შვილისთვის ერთი თვე ძალიან მცირე დრო იყო მთელი იმ წლების ასანაზღაურებლად, ამიტომ მათ გააგზავნეს ვიზის გახანგძლივებასთან დაკავშირებით მოთხოვნა სან-ფრანცისკოში, სადაც იყო საბჭოთა კავშირის საელჩო. ნელის საქართველოში დაბრუნება კიდევ ნ თვით გადაიდო. ვახტანგის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, მისთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა, რადგან მამა ჯერ არ იყო მზად, ნელის გამომშვიდობებოდა. გაფრენამდე მან ორი დღით ადრე გაუშვა ქალიშვილი ნიუ-იორკში თავისი საუკეთესო მეგობრის, მენტემაშვილების ოჯახში. ირაკლი მენტემაშვილის დახმარებით ქალაქში მყოფმა სხვა ემიგრანტებმა ნელი მოინახულეს, ისინი მასში ხედავდნენ იმას, რაც ყველაზე მეტად ენატრებოდათ, ეს იყო სამშობლო და მათი ოჯახები. ეს გახლდათ ძლიერ ემოციური დღე როგორც მათთვის, ასევე ნელისთვის. მან მოისმინა მამამისის განვლილი ისტორიის მსგავსი უამრავი ამბავი და გულთან მიიტანა თითოეულის გრძნობები. სანამ ნელი ნიუ-იორკს ათვალდებოდა, პარალელურად, ვახტანგი, მისი გერმანელი ცოლი და თვით პატარა თეთრი ძაღლი, რომელიც მათ ჰყავდათ, ძლიერ განიცდიდნენ მის წასვლას. განსაკუთრე-

ბით გამოხატავდა დარდს ეს ლეკვი, რომელიც ყოველ დილას მიდიოდა ქალიშვილის ცარიელ ოთახში და საწოლზე წევბოდა.

ნელის წასვლის შემდეგ ბატონ ვახტანგს უკვე რეალურად გაუჩნდა ფიქრები, რომ ის საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო. მან მისი გერმანელი მეუღლე გაათრთხილა კიდევაც, რომ ის ვერ დაუშლიდა სამშობლოში დაბრუნებას. თუმცა განვლო ხანმა და ვახტანგის მეუღლე, სამწუხაროდ, გარდაიცვალა, როდესაც ნელიმ ამ ფაქტის შესახებ შეიტყო, მამას ჩამოსვლას ემუდარებოდა: „გინდა ცალკე იცხოვრე, გინდა დედასთან, გინდა ჩემთან“, თუმცა მამის პასუხი მკაცრი უარი იყო: „მე აქედან უფრო გამოვადგებით“. ქალბატონი ნელი იხსენებდა, რომ მამა მათ უზრუნველყოფაზე ყოველთვის ზრუნავდა და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ბატონმა ვახტანგმა გული აიცრუა სამშობლოში უკან დაბრუნებაზე.

1977 წელს უკვე მოხერხდა ბატონი ვახტანგის მეორე შვილის, ბატონი თენგიზის ამერიკაში გამგზავრება. იგი ძალიან ბედნიერი იყო ვაჟის დანახვით. მათი შეხვედრის წამს მამას თვალწინ წარმოუდგა 36 წლის წინათ მდგარი პატარა მომცირალი თენგიზი, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი შეხვედრა. თენგიზის საქართველოში დაბრუნების შემდეგ შვილებს კიდევ რამდენჯერმე მიეცათ საშუალება, ენახათ მამა.

ვახტანგისთვის ძალიან რთული იყო ოჯახისგან მოშორებით ეულად ცხოვრება, ამიტომ ის კიდევ ერთხელ დაქორწინდა, ახლა უკვე უკრაინელ ახალგაზრდა ქალბატონ თინაზე. ნელის და თინას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, რამაც განაპირობა ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ნელის რამდენჯერმე ვიზიტი ამერიკაში მამის საფლავის მოსანახულებლად. თენგიზი მამის ბოლო მონახულებიდან მალევე გარდაიცვალა, თუმცა ვახტანგმა ისე დატოვა წუთისოფელი, რომ ამის შესახებ არაფერი სმენია, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ ნელის, რომელიც წერილებში საგულდაგულოდ მაღავდა ძმის ამბავს, რადგან იცოდა, რომ მამა შვილის დაკარგვას ვერ გადაიტანდა. „მამის წერილის მოსვლა აღარ მიხაროდა, ის ცყუილი უნდა ჩამეწერა, რაც მამას სწამდა“. – იხსენებს ვახტანგის ქალიშვილი, თუმცა, ამასთანავე აღნიშნავს, რომ მამას თენგიზის გარდაცვალებაზე მშობლის წინათგრძობა ჰქონდა.

1989 წელს ამერიკაში ბაბუას ესტუმრა ნინო საყვარელიძე (ქალბატონი ნელის ქალიშვილი). ვახტანგი ნინომ თავის მეორე ნახევართან, ბატონ დავით კახნიაშილთან ერთად მონიხსულა. ბატონმა ვახტანგმა სურვილი აისრულა, მან სიცოცხლის ბოლომდე არა მარტო შვილების, არამედ შვილიშვილის ნახვაც მოახერხა. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა თენგიზის შვილებისა და ბაბუის შეხვედრა, რასაც ვახტანგი ძლიერ განიცდიდა.

ბატონმა ვახტანგმა თავისი ცხოვრების ბოლო წლები განვლო თავის მეუღლე თინასთან ერთად. 1993 წლის 29 ოქტომბერს ვახტანგ საყვარელიძე გარდაიცვალა. სამწუხაროდ, მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ნელიმ ვერ მოახერხა მამის დაკრძალვაზე ჩასვლა. მისთვის ვახტანგის საფლავის მონახულება მხოლოდ 6 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ეს ყველაფერი მოხდა მისი მამის მეუღლის, თინას დახმარებით. ქალბატონმა ნელიმ საქართველოდან, კერძოდ, თელავის საკუთარი სახლიდან ჩაიღო მიწა, რომელიც ვახტანგის საფლავს მოაბნია. ქალბატონი ნელი იხსნებს: „მამას საფლავზე დავწევი და ისე ვცვიროდი, ცხვირსახოცი არ მიხმარია და ასე დავალბე მიწა ჩემი ცრემლებით“. მამას მონატრებული ქალიშვილისთვის ძალიან რთული იყო ისედაც შორ მანძილზე მცხოვრები მამის გარდაცვალება. „მამას ორივე შვილი ძალიან ვუყვარდით, მაგრამ განსაკუთრებით მე, რადგან სულ წინ მაყენებდა, ალბათ იმიტომ, რომ გოგო ვიყავი“. ამბობს ის. ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ ნელისა და ვახტანგს განსაკუთრებული და გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, მიუხედავად მცირე დროისა და ათასობით კილომეტრის დაშორებისა.

ბატონი ვახტანგი არა მარტო ოჯახის წევრებისთვის იყო ძვირფასი და მნიშვნელოვანი, არამედ მან მოახერხა, რომ სამუდამოდ დარჩენილიყო ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტი მეგობრების გულებში. ის ყველანაირად ცდილობდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი სახის დახმარება გაეწია ახლობლებისთვის. ვახტანგი ხშირად აწარმოებდა ფინანსურ დახმარებას სხვადასხვა სახის ფონდებში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გახლდათ, როდესაც ვახტანგმა ფინანსური დახმარება გაუწია პრემიიდენტობის კანდიდატს, რონალდ რეიგანს, რომელმაც გაპრემიიდენტების შემდეგ მას სამადლობელი წერილი და ხელმოწერილი სურათი გამოუგზავნა. ვახტანგი გახლდათ ყველასთვის საყვარელი და მისაბაძი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ მას მოუწია ცხოვრება ათასობით კილომეტრის მოშორებით საკუთარი სამშობლოდან, იგი ყოველთვის გამოირჩეოდა საქართველოსადმი სიყვარულითა და ერთგულებით. ასეთი მისაბაძი ადამიანი გახლდათ ქართველებისთვის ვახტანგ საყვარელიძე, ხოლო ამერიკელებისთვის – ვალტერ საყვარელი.

ომმა მრავალ ადამიანს დაუნგრია ცხოვრება, ოჯახები დაანაწევრა, შვილებს – მშობლები, მშობლებს შვილები წაართვა, დაასო სამუდამო დაღი მათ ცხოვრებას და ბევრი გამოასალმა ამ წუთისოფელს. მსოფლიოში არაერთმა ადამიანმა განვლო ვახტანგ საყვარელიძის მსგავსი ეკლიანი გზა. ზოგმა შეძლო ფეხზე წამოდგომა და ახალი ფურცლიდან ცხოვრების დაწყება, ხოლო ზოგს ბედმა კიდევ უფრო მძიმე განსაცდელი არგუნა

წილად, ყველასა და ყველაფერისგან მოშორებით, ურთულეს პირობებში დასრულება სიცოცხლის.

ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ ახალი ცხოვრების დასაწყებად საჭიროა წარსულის დავიწყება და განადგურება. ბატონმა ვახტანგმა მოახერხა ამ შეხედულების დამსხვრევა და ცხოვრების სამივე განზომილებაში დალაგება: წარსულში, აწმყოში და, თქვენ წარმოიდგინეთ, მომავალშიც კი. მისი წყალობით დამყარებულმა ურთიერთობებმა შეძლო შენარჩუნება ვახტანგის სიცოცხლეში და სიცოცხლის შემდეგაც. თუნდაც მაგალითია ნელისა და თინას თბილი დამოკიდებულება ერთმანეთსადმი.

1990 წელს ვახტანგ საყვარელიძემ სამძიმარი გააგზავნა გაზეთ „სამშობლოში“ ბატონ რეზო თაბუკაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მისი გულითადი სამძიმარი ასე უღერდა: „ჩემის აზრით, დიდი ადამიანები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ სამუდამო ძილს ეძლევიან, ვინაიდან მათი დატოვებული შრომა სამუდამოდ ცოცხლობს და თაობიდან თაობაში გადადის“.

ბატონი ვახტანგ საყვარელიძის ოჯახი დღესაც იზრდება და მრავლდება, ბატონი თენგიზის შვილები, ლევანი და პაპას მოსახელე, ვახტანგი ქალაქ თელავში, მის ფუძემე ცხოვრობენ, ხოლო ქალბატონი ნელი ქალიშვილ ნინოსთან და ბატონ დავით კახნიაშვილთან ერთად წარმატებით უძღვება მომავალი თაობის აღზრდა-განათლების კეთილშობილურ საქმეს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, „სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში“. სწორად ეს სკოლა დაასრულა წარმატებით ვახტანგის შვილთაშვილმა, მარიამ კახნიაშვილმა.

ემიგრაცია არის უცხო ქვეყანაში მცირე ხნით ან მუდმივად გადასახლება, გადახვეწა. ემიგრაციაში ცხოვრება ადამიანებისგან დიდ გამძლეობასა და სულიერ სიძლიერეს მოითხოვს. ემიგრაციაში ცხოვრება ნიშნავს ყოველი დღის სამშობლოს მონატრებასა და ახლობლებზე ღელვაში გატარებას. ვახტანგ საყვარელიძემ დიდი გამძლეობა გამოიჩინა და დაძლია ყველანაირი გამოცდა, რაც ცხოვრებამ მოუწყო. იმ პერიოდის გათვალისწინებით, რომელშიც ბატონ ვახტანგს მოუწია ცხოვრება, რაშიც იგულისხმება გაჭირვება, ომიანობა, უცხო ქვეყანაში ოჯახისაგან შორს ყოფნა არ იყო იოლი, არამედ შეუძლებელი ბევრისთვის. მან კი ამ ყველაფერს ცივი გონებით შეხედა და არაერთხელ შეძლო ფეხზე დადგომა და, შეიძლება ითქვას, ცხოვრების ახალი ფურცლიდან წარმატებულად დაწყება.

საქართველოს, სამწუხაროდ, უამრავი გაჭირვება გადაუტანია და წარსულში მისთვის ბევრჯერ წაურთმევიათ შვილები იძულებით. ზოგიერთი ემიგრანტის იძულებითი ემიგრაცია ათ წელიწადს და მეტს ითვლის.

არიან დედები, რომელთა შვილებიც ისე იზრდებიან წლების განმავლობაში, რომ არ იციან, თუ რა არის დედის სიტბო. მრავლად არიან ადამიანები, რომელთა ოჯახის წევრებაც ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ ვერც კი დაიტირეს. ეს ადამიანები ცხოვრობენ თავიანთი სამშობლოდან, ოჯახიდან ძალიან შორს და მათ ცხოვრებას ნაწილობრივ აზრი აქვს დაკარგული. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველთვის შეიძლება თვებზე წამოღგომა და ცხოვრების ხელახლა, ახალი ფურცლიდან დაწყება.

„ადამიანი იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურს სჭამს იმისთვის, კაცურ კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავლობა“.- ილია ჭავჭავაძე.

სწორედ ასეთი კაცურკაცური ცხოვრებით იცხოვრა ბატონმა ვახტანგმა და ასევე ღირსეულად აგრძელებენ ცხოვრებას მისი შთამომავალნიც.

X PLACE

„Sunset Village – Ecomigrants from Gumbati“

By Lika Kokaia, Natela Shamatava

Teacher: Natela Davitaia

School: St. Aleksii Shushania Orthodox School Gymnasium,
Senaki

Two students from Senaki of the Samegrelo region in West Georgia, interested in ecomigrants story, are invited to Gumbati, their current settlement in Tsalka, formerly a Greek village. Students are introduced to their hospitality and traditions. Originally from Khulo in the Adjara region, the ecomigrants tell about difficulties they were in and are still facing. Their ecomigration caused by the environmental deterioration started in the 80s. Apart from them the village consists of diverse minorities including Armenians, Azeris, Svanetians.

Establishment of educational institutions, cultural centers and friendly connections between Georgian and non-Georgian population is a result of their interest and hard work. The main person behind that is a young girl, Ira Dzirkvadze, who despite many offers, refused to stay in Tbilisi and returned to her village. Today she is a perfect example of a 21st century teacher.

The trip to „Sunset village“ is full of impressions and emotions. The students witness the life of minorities and problems they encounter daily.

X აღვილი

ლიკა კოკია, ნათელა შაქათაძე

მასწავლებელი: ნათელა დავითაია
წმინდა ალექსი შუმანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

„მზის ჩასვლის სოფელი – ეკო-მიგრანტები გუმბათში“

კონკურსის გამოცხადებისთანავე დავიწყეთ ფიქრი, თუ რა თემა შეგვერჩია. სწორედ მაშინ გადავანწყდით გადაცემას საზოგადოებრივ არხზე, რომელიც მოგვითხრობდა გოგონაზე მზის ჩასვლის სოფლიდან. გოგონას ჰქვია ირა ძირკვაძე, ხოლო სოფელს – გუმბათი. აქ საინტერესო ის არის, რომ ეს ისტორია ეკომიგრანტების ოჯახს შეეხებოდა. და იდეაც დაიბადა.

გადავწყვიტეთ გამგზავრება წალკაში და ეკომიგრანტების მონახულება. მხოლოდ არქივებში მუშაობას ვამჯობინეთ, უშუალოდ მათგან მოგვესმინა ის სირთულეები, რომელიც გამოიარეს ხულოდან გუმბათამდე და შემდეგ გუმბათში დასამკვიდრებლად. ჩვენი ისტორიის პედაგოგი დაუკავშირდა ძირკვაძეების ოჯახს და ესაუბრა პროექტის შესახებ. ისინი დიდი სიხარულით შეხვდნენ ჩვენს წამოწყებას და დაგვპატიჟეს სოფელში. მართლაც, რამდენიმე დღეში მზად ვიყავით გასამგზავრებლად.

იქ ნანახმა და მოსმენილმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პირველ რიგში, გვინდა ავღნიშნოთ მათი სტუმართმოყვარეობა. თითოეული დეტალი გათვლილი, ნაფიქრი და სიმბოლური იყო.

ჩავედით საღამოს. პირველი, რაც გვაჩვენეს იყო სოფლის ეკლესია, რომელიც ბერძნების მიერაა აშენებული, მაგრამ ამჟამად ფუნქცია აქვს დაკარგული, რადგან სოფელი მთლიანად მუსულმანურია. მიუხედავად ამისა, მოწიწებით და სიყვარულით უვლიან მას, ხოლო ყოველ აღდგომას და შობას ზარს რეკავენ ქრისტიანების პატივისცემის ნიშნად.

შემდეგ კი ვეწვიეთ მეჩეთს, სადაც ადგილობრივმა მოსახლემ გაგვიჩაი გიდობა და გაგვაცნო მუსლიმთა წეს-ჩვეულებები.

სოფელი ბერძნული იყო. სწორედ მათ მიერ დატოვებულ სახლებში დასახლდნენ აჭარლები და სოფელი გააცოცხლეს. მათ სომხური დასახლება ემეზობლება, რომელთანაც დღეს მეგობრული ურთიერობა აქვთ, თუმცა ეს თავიდანვე არ იგრძნობოდა. დრო დასჭირდა შეგუებას და მშვიდობიანი თანაცხოვრების დამკვიდრებას. წალკის მუნიციპალიტეტში, გარდა სომ-

ხებისა, ცხოვრობენ აზერბაიჯანელები და სვანეთიდან ემიგრირებულები. მართლაც საინტერესოა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩეული ეს მხარე, მათი ყოფა, ტრადიციები, ცხოვრების წესი.

საოცრებები კი წინ გველოდა. როდესაც ოჯახს ვესტუმრეთ, ეზოში დაგვხვდა თითქმის მთელი სოფელი. გამოფენილი ჰქონდათ აჭარული ტრადიციული კერძები: სინორი, ბორევი, ბორანო, ყაისათა, ყურუთი, ჩლეჩილი ყველი, ლუხუმი, იაღლი პური, ცყლაპი – ჩვენთვის, მეგრელებისთვის უჩვეულო რამ. დანთებული იყო ღუმელი და მიმოფანტული იყო საწოლები, ტანსაცმელი – იმიტირება მოგვიჩყეს მათი ჩამოსახლებისა. გვიჩვენეს, თუ რა განიცადეს ჩამოსახლების პირველ დღეებში და როგორ ცხოვრობდნენ. წალკაში ჩამოსულები ფაქტიურად ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ. შემდეგ ნელ-ნელა იჩყეს შესახლება ბერძნების მიერ მიტოვებულ სახლებში, რომელიც მათი საკუთრება არ იყო და ყოველ წამს იყო საშიშროება, რომ დაცლას მოსთხოვდნენ. ბევრი იბრძოლეს წლების განმავლობაში ხელისუფლებასთან, რომ სახლები გადმოეცათ საკუთრებაში. ზოგმა მიაღწია, ზოგი კი ისევ პრობლემის ქვეშ რჩება. ამის გამო ეკომიგრანტები ცოვებენ ამ რეგიონს და უკან ბრუნდებიან, ან თურქეთში გადადიან.

„მთავრობამ გვითხრა, რომ სახლების შესყიდვას ვერ შეგპირდებით, რადგან ბიუჯეტში ამის ფული არ გვაქვსო. ჩვენ ვუთხარით, რომ აუცილებელია სხვანაირი პოლიტიკის გატარება, რადგან იცლება ეს რეგიონი. ეკომიგრანტები რომ წამოვიდნენ, გაუდაბურდება, ისედაც ნაკლებია მოსახლეობა. ალბათ, ეს ვილაცას სჭირდება. ვინც მიწები დაისაკუთრა იქ და ბიზნესები ააწყო. ჩვენი ბედი არავის აინტერესებს, ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა ჩვენ“. – გვითხრა ელგუჯა შავაძემ.

შუალამემდე ვუჯექით ღუმელს ირგვლივ და ვისმენდით იმ სირთულეებსა და ისტორიებს, რაც გამოიარეს და რასაც ახლაც გადიან.

გავიდა წლები და ისინი უკვე საფუძვლიანად დამკვიდრდნენ გუმბათში, თუმცა იმავეს ვერ ვიცყვით მეზობელ სოფლებზე, სადაც მიგრანტები ზემოთ აღნიშნული პრობლემებით ცხოვრობენ. გუმბათელებმა კი, შეიძლება ითქვას, სოფელი გააცოცხლეს. აქვთ საკუთარი მეურნეობა, სადაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კარტოფილის კულტურას.

სოფელში არ იყო სკოლა. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს გუმბათში ფუნქციონირებს როგორც სკოლა, ასევე, სასწავლო ცენტრი „გუმბათი“, რომლის მიზანი ძალიან მნიშვნელოვანი საქმეების კეთებაა: არაქართველი და ქართველი მოსწავლეების ინტეგრაცია და ამ გზით ქართული ენის პოპულარიზაცია; ზოგადი განათლების პოპულარიზაცია; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; კულტურულ-

საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.

ცენტრში აქვთ ბიბლიოთეკა, ხდება წიგნების განხილვა, დისკუსიები, ინტელექტუალური თამაშები, ფილმების ჩვენება. ტარდება სპორტული შეჯიბრებები, ოლიმპიადები.

რაც ყველაზე მთავარია, ისინი ქმნიან თბილ და მზრუნველ გარემოს, ყველა პირობას იმისათვის, რომ ახალგაზრდებს მიაწოდონ ხარისხიანი ცოდნა.

ამ ყველაფრის სული და გული გახლავთ „პატარა“ გოგო, ირა ძირკვაძე – „გოგონა მზის ჩასვლის სოფლიდან“. მან, მიუხედავად მრავალი შემოთავაზებისა, უარი თქვა თბილისში დარჩენაზე და სოფელს დაუბრუნდა, რადგან თვლის, რომ გუმბათს სჭირდება. ირა მხოლოდ 25 წლისაა და საოცრებებს ახდენს მოსწავლეებისთვის. ის არის ნათელი მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის მასწავლებელი.

ის ორი დღე იყო ბევრი სიტბო, სიყვარული, ქართული ცეკვები, თამაშები და კიდევ ბევრი რამ. რაც მთავარია, ჩვენ შევიგრძენით ის პრობლემები, რაც ეკომიგრანტებმა გამოიარეს და საკუთარი თვალით ვიხილეთ, როგორია ცხოვრება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მხარეში.

მაშ ასე, საინტერესო ორი დღე დასრულდა. ჩვენ ვიყავით „სტუმრები მზის ჩასვლის სოფელში“..

IOM SPECIAL PRIZE

„Migration – Life from a New Page“

By Eter Chakrnashvili

Teacher: Nino Topuria

School: Public School #26, Tbilisi

„It was a terrible time“ – this is what one, who experienced terror during the Soviet repressions, can say. The author shares the memories of her grandmother and her sister, who tell stories of their father being victim of the regime. There was no freedom of speech, that is why he and his friends were deported to the far North, in the cold town of Russia, Vorkuta, in 1936. Captives, living in slavery, had only letters for communication and even that often had fatal result.

He falls in love with a captive German lady, Gertrude Akkerman. After five years the grandfather is released from the zone, although, sentenced to life imprisonment. His reputation of being the best specialist in engineering, allows Gertrude to escape the zone as well and they get married. However, they live in a constant fear of being arrested and executed until Stalin’s death in 1953.

Gertrude’s desire is to move to Georgia and after 20 years in immigration, the family settles down in Tbilisi, where their generation lives until now.

ეთერ ჩახნაშვილი

მასწავლებელი: ნინო თოფურია
თბილისის N26-ე საჯარო სკოლა

„მიგრაცია – ცხოვრება ახალი ფურცლიდან“

მეოცე საუკუნე, ყველას მოეხსენება, დიდი გადატრიალებებისა და სისხლისღვრის პერიოდი იყო. პირველ მსოფლიო ომს მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა. ადამიანები უცხო მიწაზე, ოჯახებისგან მოშორებულნი, იღუპებოდნენ. ბევრის სახელი და ისტორია უკვალოდ გაქრა. ბევრიც, საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლი გახდა. ვინც რეჟიმს გადაურჩა, მწარე და ტკივილით სავსე მოგონებებით იცხოვრა.

1936 წელი იდგა. თბილისში, ერთ-ერთ ოთახში შეკრებილმა სტუდენტთა ჯგუფმა, უბრალო ინტერესის გამო, ტროცკის წერილების კითხვა დაიწყო. მათ შორის იყო ჩემი ბაბუა, ლადო შოშიაშვილი. მიუხედავად ცენზურისა, ახალგაზრდები მსოფლიოში მიმდინარე პროცესების თვალყურის დევნებას ცდილობდნენ, რის გამოც ისინი დააპატიმრეს.

არა სიტყვის თავისუფლება, არა საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება... ასეთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებსაც ზედმეტი სიტყვის თქმისთვის ასახლებდნენ ან პირდაპირ ადგილზე ხვრეტდნენ...

ჩემი ბაბუა შორეულ ჩრდილოეთში, რუსეთის ერთ-ერთ ქალაქ ვარკუტაში გადაასახლეს, სადაც ტემპერატურა ზამთარში -35 გრადუსს, ხოლო ზაფხულში +7 გრადუსს აღწევდა. ქალაქს ვერ დაარქმევდით, შენობებს და სახლებს იქ გადასახლებულები აგებდნენ. ისინი არაადამიანურ, მონურ პირობებში ცხოვრობდნენ, ეგრეთ წოდებულ „დეგუტებში“. ყოველი სახლი ოთხი ოთახისგან შედგებოდა, ყოველ ოთახში თითო ოჯახი ცხოვრობდა. წყალი რთულად მოსაპოვებელი იყო – გაყინულ მდინარეს ძალაყინებით ამტვრევდნენ და „კორომისლოებით“ მიჰქონდათ სახლში წყალი. ხანგრძლივი ზამთრის გამო ხილ-ბოსტნეული ვარკუტაში სანატრელი იყო. იქ მცხოვრებთა ძირითად რაციონს ხორცი შეადგენდა. დასახლებები რამდენიმე ზონად იყოფოდა. პაციმრები, თავიანთი სამუშაოს შესასრულებლად, „კონვოებად“ დადიოდნენ გრძელ რიგებში. გრძელი და თბილი „ტელეგრეიკები“ და ჩექმები ეცვათ, თავზე კი თბილი „უშანკები“ ეხურათ. მათ წინ იარაღმომარჯვებულნი „კონვეიერები“ მიუძღოდნენ ძაღლებთან

ერთად. იქაურობა რკინის მავთულხლართებით იყო შემოსაზღვრული, რომლებშიც დენი გადიოდა. შეიარაღებული „კონვეიერები“ მაღალი სათვალთვალ კოშკებიდანაც ადევნებდნენ თვალყურს პაციმრებს. რადგან ერთმანეთთან კომუნიკაცია ეკრძალებოდათ, პაციმრები ინფორმაციის გაცვლას წერილების საშუალებით ცდილობდნენ, რაც ძალიან ხშირად ფაქტალურად მთავრდებოდა მათთვის.

ლადლო ბაბუა ხუთი წლის შემდეგ გამოუშვეს ზონიდან, მაგრამ საშუალო პაციმრობა მიუსაჯეს.

მაშინ ქალაქის მშენებლობისთვის კარგი სპეციალისტები სჭირდებოდათ დაპროექსით ინჟინერი ბაბუჩემიც სამშენებლო დაწესებულებაში დაასაქმეს.

გადასახლებულთა შორის ბევრი გერმანელი იყო. მათ თავიანთი იდენტობის გამო ასახლებდნენ. ლადლომ გერმანელი გოგონა გერტრუდა აკერმანი გაიცნო, რომელიც ზონაში თავის დასთან, ელზასთან ერთად ცხოვრობდა, და მასზე ქორწინება გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება დიდი საფრთხეს შეიცავდა, ამიტომ ბაბუაგერტრუდას ზონიდან გამოშვების შესახებ უმაღლესი თანამდებობის პირებს სწერდა. მას აფრთხილებდნენ, რომ ეს ამბავი, დიდი ალბათობით, ცუდად დამთავრდებოდა მისთვის, მაგრამ იგი მაინც არ წყვეტდა წერილებით მიმართვას. ლადლო კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, საუკეთესო სპეციალისტი და ამასთან, ზედმიწევნით პაციოსანი შემსრულებელი იყო, რამაც გერტრუდას ზონიდან გამოშვება განაპირობა. ისინი დაქორწინდნენ და 1944 წელს ორი ქალიშვილი – ნათელა და ეთერი შეეძინათ. ქორწინებიდან რამდენიმე თვეში ლადლომ ზონიდან ელზას გამოშვებაც შეძლო იმ მოტივით, რომ ახალგაზრდა ოჯახს დამხმარე სჭირდებოდა.

ყოველ ღამე ჩერდებოდა სახლებთან მანქანა... ჯარისკაცები ოჯახებში შედიოდნენ, აპაციმრებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს და ხვრეტდნენ. მათი ხვედრის გაზიარების ეშინოდა ლადლოსაც და ელზასთან ერთად ტყვეს აფარებდა თავს, რადგან ჯარისკაცებს ელზას წაყვანაც უნდოდათ.

1953 წელს მთელ საბჭოეთში სწრაფად გავრცელდა სტალინის გარდაცვალების ამბავი, რამაც განსაკუთრებით გადასახლებულებს მოჰგვარა შვება.

1956 წელს, გადასახლებულებმა რუსეთის ქალაქებში დაიწყეს დასახლება. ლადლოსაც უნდოდა რუსეთში წასვლა, თუმცა არჩევანი მაინც საქართველოზე შეჩერდა, რაც გერტრუდას დიდი სურვილი იყო. 1959 წელს ისინი თბილისში ჩამოვიდნენ და ძმის, გიორგი შოშიაშვილის გვერ-

დით დასახლდნენ, სადაც დღემდე ვცხოვრობთ მათი შთამომავლები.

ბევრი ადამიანი იმსხვერპლა იმ საშინელმა რეჟიმმა. თვითონ ლადო, რომელიც ოთხი წელი მხოლოდ ტროცკის წერილებით დაინტერესებოდა იყო გადასახლებული, რომ არა ეს გადასახლება, ვინ იცის, როგორ ააწყობდა თავის ცხოვრებას. თუმცა ადამიანებს, რომლებმაც მაშინდელ „ჯოჯოხეთს“ გაუძლეს, საშინელი მოგონებები დარჩათ „სახსოვრად“...

ამ ამბავს სევდანარევი ხმით მიყვებოდნენ ბებიაჩემი და მისი და. მძიმე იყო მათთვის წარსულის გახსენება. ბოლოს კი ორივემ ოთხი სიტყვით დაასრულა თხრობა: „ეს იყო საშინელი დრო“. ის დრო მართლაც რომ საშინელი იყო.

IOM SPECIAL PRIZE

Soviet Conscription: Sweet memories or Lost Years?

By Ia Phangani / Mariam Phangani

Teacher: Giorgi Gvasalia

Teacher: Mestia Region Village Tsvirmi Public School

The authors share memories of their father Demur (Dima) Phangani, serving in the Soviet army in the 70s. Born and raised in Svaneti, where he was walking from one village to another to get to school in -15C in his childhood, he could never imagine that there would be any place colder in the world. And it was the closed town Chelyabinsk-70 (renamed as Snezhinsk), close to the Ural Mountains, hidden on maps, as it was a place for making nuclear weapons. Today the town is under the control of the Russian State Atomic Energy Corporation „Rosatom“, operating a nuclear power plant.

In his first six months in the army, Demur experiences harsh conditions of the military regime. Another challenge for him is constant bullying of junior conscripts during their service by senior ones, called “Dedovshina.” After that he becomes sergeant and moves to another closed town, Chelyabinsk-65 (renamed as Ozersk), birthplace of the Soviet nuclear weapons program after the World War II and radioactive spot.

Despite these circumstances, he made friends there and today, when asking what he could change in his life, the answer would be – nothing. He believes that the years spent in the Soviet army were not completely lost as he learned to overcome difficulties, to live independently, how to behave with peers and superiors and he sweetly remembers fun times and romantic adventures spent with this friends.

ია უანგანი, მარიამ უანგანი

მასწავლებელი: გიორგი გვასალია

მესტიის რაიონის სოფელ წვირმის საჯარო სკოლა

საბჭოთა ჯარში სამსახური: ტკბილი მოგონებები თუ დაკარგული წლები?

საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა მილიტარიზებულ სახელმწიფოს, რომელიც მუდამ სამხედრო მზადყოფნაში იყო და შიშის ზარს სცემდა მთელ მსოფლიოს. მისი სიძლიერე შეირადებულ ძალებს ემყარებოდა. აქედან გამომდინარე, ჯარში სამსახური 2 წლის განმავლობაში იყო სავალდებულო. საბჭოთა პროპაგანდა მაქსიმალურად ცდილობდა, პრესტიჟულად წარმოეჩინა სამხედრო სამსახური, მხოლოდ ჯარგამოვლილი ადამიანი ითვლებოდა ნამდვილ მამაკაცად, თუმცა რეალობა უფრო სხვაგვარი და მკაცრი იყო. მამაჩემის თაობა სხვადასხვანაირად იხსენებს საბჭოთა ჯარში გატარებულ დროს. ზოგიერთისთვის ის „დედოვщина“-ს, მკაცრ დისციპლინას, არაადამიანურ პირობებს უკავშირდებოდა, ზოგისთვის კი ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბებას, რომანტიკულ თავგადასავლებს და სახალისო ისტორიებს. ვინაიდან საბჭოთა ჯარში გატარებულ დროზე ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული აზრი არსებობს, გადავწყვიტე, მამაჩემის პირადი გამოცდილებითა და მისი სუბიექტური თვალდახედვით გამეცა ამ კითხვაზე პასუხი. ამისათვის ინტერვიუები ჩამოვართვი მამაჩემს, მის მშობლებს – ჩემს ბებიასა და ბაბუას და ინტერნეტშიც მოვიძიე მასალა იმ სამხედრო ნაწილების შესახებ, სადაც მამაჩემი მსახურობდა, ასევე ძველი ფოტოებიც მოვიპოვე საოჯახო არქივიდან.

მამაჩემი, დემური ფანგანი, შინაურულად დიმა, დაიბადა და გაიზარდა მესტიის რაიონის სოფელ წვირმიში, ზემო სვანეთის ზემო ნაწილში თეთნულდის მთის ფერდობზე. ჩვენი სოფელი იმდენად მიუვალა, რომ პირველად ავტომანქანა წვირმიში 1978 წელს ავიდა და ისიც მამაჩემის ახალნაყიდი „ნივა“ იყო. მამა საბჭოთა ჯარში 1974 წელს გაიწვიეს 18 წლისა. მისთვის ეს სერიოზული გამოწვევა იყო ცხოვრებაში, რადგან სრულიად ახალგაზრდას პირველად უწევდა გასვლა არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მშობლიური რაიონიდან და სრულიად უცხო გარემოში, უცხო ადამიანებთან ერთად მოუწევდა ცხოვრება, დამოუკიდებლად ზრუნვა სა-

კუთარ თავზე. ახალწვეულები თბილისში ჩასხეს მატარებელში და ბაქოს გავლით გაამგზავრეს ურალში. ერთი კვირა იმგზავრეს. გზაში 10 კაცს 1 ბუხანკა თეთრ და 1 ბუხანკა შავ პურს აძლევდნენ დღეში, რაც, თავისთავად, ძალიან ცოცხა იყო და ამის გამო მატარებელში ხშირად ჩხუბობდნენ. იქიდანვე მიხვდა მამაჩემი, რომ მომავალი 2 წლის მანძილზე მეცად რთული ცხოვრება ელოდა და გამართლდა კიდევ ეს მოლოდინი.

მამა ქალაქ ჩელეებიანსკ 70-ში გაანაწილეს. დღეს ამ ქალაქს სნეუნსკი ჰქვია. თუმცა მაშინ ეს ქალაქი რუკაზე არც კი არსებობდა. ეს იყო დახურული ქალაქი, რომლის შესახებ უბრალო მოკვდავებმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიგეს, რადგან მანამდე იგი გასაიდუმლოებული ობიექტი იყო, სადაც ბირთვულ იარაღს ამზადებდნენ. ურბანული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ სცალინის ბრძანებით ლავრენტი ბერია ვერტმფრენით დაფრინავდა ურალის მთებში და ადგილს ეძებდა ქალაქის ასაშენებლად, სადაც მასობრივი განადგურების იარაღს დაამზადებდნენ. დღეს ქალაქი სნეუნსკი რუსეთის ატომური ენერჯის სახელმწიფო კორპორაცია „როსატომს“ ექვემდებარება, რადგან იქ ატომური ენერჯის საწარმო მუშაობს.

ოფიციალურ დოკუმენტებში, საბჭოთა წლებში, ის ჩელიაბინსკის ერთ-ერთ მიკრორაიონად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩელიაბინსკის ოლქში ცალკე არსებული ქალაქი იყო, რომელიც 1955 წელს დაარსეს. ეს დახურული ქალაქი შემოსაზღვრული იყო მავთულხლართებით, სადაც შესვლა და გამოსვლა საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით ხდებოდა სპეციალური საშვით. ქალაქის მაცხოვრებლებს ხელწერილი ჰქონდათ დადებული, რომ არსად არაფერს იცყოდნენ ამ ქალაქზე. ხელწერილის დარღვევის შემთხვევაში ადამიანს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ანუ ციხე ელოდა. მამაჩემს პასპორტში ჩაურტყეს სპეციალური შტამი, რაც იმას ნიშნავდა, რომ 10 წლის განმავლობაში ეკრძალებოდა უცხოეთში გამგზავრება. თუმცა დახურულ ქალაქებს თავისი უპირატესობაც ჰქონდათ. მასში ყოველთვის დაბალი იყო კრიმინალის დონე და ქალაქი საკმარისად მარაგდებოდა პროდუქტით.

დემური ფანგანი სამშენებლო ბატალიონში მოხვდა. პირველი 6 თვე სრული კომმარი იყო – ნამდვილი „ჯოჯოხეთი“. პირველი შოკი მისთვის სამხედრო რეჟიმი აღმოჩნდა. ჯარიკაცებს დილის 6 საათზე უწევდათ ადგომა და ნახევრად ციტიკანებს 30-წუთიანი გარბენი -20 გრადუსიან სიცივეში. ვინც დილით ადგომას დაავიანებდა, კაპიტანი წიხლებით სცემდა მძინარეს. გარეთ ჯარისკაცებს მხოლოდ უსახელო მაისურები და შარვალი ეცვათ. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ჯერ კიდევ სკოლის

ასაკში დადიოდა -15 გრადუსიან ცინვაში მშობლიური წვირიდან მეზობელი სოფლის იფარის სკოლაში, ამაზე მეტი სიცივე დედამიწის ზურგზე თუ კიდევ სადმე იქნებოდა, ვერც კი წარმოედგინა (მხოლოდ, როდესაც ტემპერატურა – 20 C-ს აჭარბებდა, ჯარისკაცები გარეთ არ გაჰყავდათ). გარბენის შემდეგ 7:00 სთ-ზე მორიგე სერჟანტი სიას კითხულობდა და პირად შემადგენლობას ამოწმებდა. შემდეგ იყო ოთახის დალაგება, დილის საუზმე და 9:00 სთ-ზე, ფეხით გასვლა სამშენებლო ობიექტზე სამუშაოდ.

მეორე შოკი მამაჩემისთვის „დედოვщина“ იყო. საბჭოთა ჯარის ფენომენი, როდესაც ძველები ანუ ეგრეთ წოდებული „ბაბუები“ ახალმოსულ ჯარისკაცებს ჩაგრავენ. „ბაბუები“ ფულს, პირად ნივთებს, საჭმელს ართმევდნენ ახლებს; აიძულებდნენ მათ მაგივრად ოთახის დალაგებას, საპირფარეშოს გაწმენდას, ლოგინის გასწორებას და ა.შ. თუ ახალმოსული ჯარისკაცი ძველებს არ დაემორჩილებდა, სცემდნენ და ამიტომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. მამაჩემის ნაწილში საჭმლის გამო ხშირად ჩხუბობდნენ, რადგან იგი ყველას არ ჰყოფნიდა. მაგალითად, დილით საუზმეზე მაგიდაზე დებდნენ ერთი კაცის სამყოფ კარაქს, როცა მაგიდასთან 6 კაცი იჯდა და ამ პორციასაც „ბაბუ“ ითვისებდა. თუმცა მამაჩემის ნაწილში დაპირისპირება არა იმდენად ძველებსა და ახლებს შორის, არამედ ეთნიკურ ნიადაგზე ხდებოდა. ბატალიონში ე.წ. „პალაჟენია“ ეჭირათ ანუ უპირატესობით სარგებლობდნენ ჩეჩნები, რომლებიც ქართველებს, როგორც მეზობლებს, პატივისცემით ეპყრობოდნენ. მამაჩემის ბატალიონში 40-მდე ქართველი მოგროვდა, რაც საკმაოდ დიდი ძალა იყო და ვერავინ ბედავდა მათ ჩაგვრას. მაგრამ 6 თვის შემდეგ, როდესაც დიმა ფანგანი სხვა ქალაქში და სხვა სამხედრო ნაწილში გადაიყვანეს, იქ მოუწია სერიოზული დაპირისპირება უზბეკებთან. ვინაიდან, თავის დროზე, ქართველი „ბაბუები“ ჩაგრავენ უზბეკებს, უზბეკებმა ახალმოსულ ქართველებზე გადაწვიტეს შურისძიება. ეს იყო ერთგვარი მოჯადოებული წრე, რადგან ახალმოსულები ერთი წლის მერე თვითონ ხდებოდნენ „ბაბუები“ და ახლა ისინი ძალოდებდნენ ისე, როგორც თავის დროს – მათზე.

6-თვიანი სანიშნო სამსახურის შემდეგ მამაჩემს სერჟანტის წოდება მიანიჭეს და კიდევ უფრო გასაიდუმლოებულ ქალაქ ჩელიაბინსკ 65-ში გადაიყვანეს. როგორც მე დავადგინე, დღეს ეს ქალაქი ოზერსკია. ამ ქალაქში არსებობდა ქიმიური ქარხანა, რომელშიც ბირთვული საწვავის ракетное топливо-ს წარმოება და შენახვა ხდებოდა. ქარხანა მიწისქვეშეთში მდებარეობდა და 12 სართული ჰქონდა. ქარხანაში სამხედროები ლიფტით ჩადიოდნენ და 2 ცვლაში მუშაობდნენ: დღის და ღამის. ღამის ცვლაში ჯარისკაცები საღამოს 21:00 სთ-დან დილის 5 სთ-მდე მუშაობდნენ, დღის

ცვლაში კი – 9-დან 18-00 სთ-მდე, ერთი კვირა – დღისით, ხოლო მეორე კვირას – ღამით. ქარხანაში შესვლის წინ ჯარისკაცები ტანსაცმელს იხდიდნენ, ქლორიან აბაზანას იღებდნენ და შემდეგ რენტგენ-კონტროლს გადიოდნენ. როგორც თვითმებშია, ლაზერის სხივი ზემოდან ქვემოთ ჩადიოდა და თუ რამე მიკრობს აღმოაჩენდა, სიგნალიზაცია ირთვებოდა, ინთებოდა წითელი ღილაკი და აპარატზე აღინიშნებოდა სხეულის ის ნაწილი, სადაც მიკრობი აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში სამხედრო ისევე სააბაზანოში ბრუნდებოდა. რენტგენ-კონტროლის გავლის შემდეგ ჯარისკაცები გადიოდნენ გასახდელში, სადაც ყველას ჰქონდა თავისი შემნახველი საკანი. მასში ინახებოდა ქარხანაში სამუშაოდ საჭირო თეთრი ტანსაცმელი – თეთრი ფერი ნაკლებად იღებს გამოსხივებას. ამის მერე მამას ჩვევაში გადაუვიდა თეთრი ტანსაცმლის ტარება.

ვინც ზედმიწევნით არ იცავდა პირად ჰიგიენას, მას რადიაციის მიღება ემუქრებოდა. რადიაციის მიღების შემთხვევაში კი სისხლის გათეთრება ემართებოდათ. მაგრამ სისხლის გათეთრება იწყებოდა არა ჩელებიანსკ 65-ში, არამედ სხვა კლიმატურ ზონაში მოხვედრის დროს. ამიტომ იყო, რომ ჯარის შემდეგ მშობლიურ სახლში დაბრუნებისას ბევრი ჯარისკაცი იღუპებოდა ნელი სიკვდილით. სამხედრო ნაწილში ხშირად შემოდებოდა მშობლების წერილები, ჯანმრთელი ბავშვი ჩაგაბარეთ და მკვდარი ღამიბრუნეთო. ქალაქის გარშემო მდებარეობდა 2 ტბა, რომელშიც რადიოაქტიური ნარჩენები იყრებოდა. ამიტომ ამ ტბაში არაპროპორციული ზომის, ლამის ღორის ცოლი თევზები ბინადრობდნენ, რომლებიც მეორე დღესვე იხრჩნებოდა. ქალაქის სასაფლაოზეც, გარდაცვლილთა ქვებზე ამტვირთული ცხოვრების წლები მხოლოდ 40-45 წელიწადს შეადგენდა.

ყაზარმაში მამაჩემს 2 სართულიან საწოლზე ეძინა, 46 კაციან ოთახში. ოცეულში (ВЗВОД), რომელშიც სულ 40 კაცი მსახურობდა, სერჟანტის წოდებიდან გამომდინარე, იგი 12 კაციან განყოფილებას (отделение) მეთაურობდა. მამა ჯარისკაცებს მხოლოდ ანტისანიტარიისა და არაჰიგიენურობის გამო სჯიდა. ვინც პირად ჰიგიენას არ იცავდა, „ნარიადში“ ამწესებდა. ყველაზე მეტად არაჰიგიენურები იყვნენ უბზეკები იმ დონეზე, რომ საპირფარეოში დადიოდნენ ჩუსტების გარეშე, ამის გამო მათ „ჩურქებს“ ეძახდნენ და ყველაზე მეტად მამაჩემი მათ ეჩხუბებოდა. სხვა დანარჩენში მამაჩემი სამართლიანობას იცავდა.

ბატალიონის შემადგენლობა ძალიან ინტერნაციონალური და ეთნიკურად ჭრელი იყო. ნაწილში ყველაზე მეტად წარმოდგენილნი იყვნენ შუა აზიელები, კავკასიელები და იაკუტები, ბურიატები, უდმურტები, ბაშკირები, რომლებსაც „უზკავლაზებს“ (წვრილთვალებიანებს) ეძახდნენ, ხოლო

ყველაზე ცოტანი იყვნენ სლავები. ეტყობა სსრკ-ში რადიაციისთვის ყველაზე მეტად არასლავი ხალხები ემეტებოდათ. აქედანაც ჩანდა, თუ რომელი იყო პირველხარისხოვანი და რომელი მეორეხარისხოვანი ეთნოსი საბჭოთა კავშირში.

ჯარისკაცის მკაცრი და მძიმე ყოფის მიღმა ისეთი პატარა ამბებიც ხდებოდა, რომელიც ნეგატივს ფარავდა და საკმარისი იყო სრული ბედნიერებისთვის. ეს ბედნიერი მომენტები ეხებოდა ახალ გაცნობილ მეგობრებს, სპორტს, რომანტიკულ თავგადასავლებს და გართობას.

სამხედრო ნაწილში არსებობდა სპორტული კლუბი, სადაც ჯარისკაცები ვარჯიშობდნენ. იმართებოდა სხვადასხვა შეჯიბრებები ჭიდაობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში და თხილამურებით სრიალში. საოჯახო არქივში მე მოვიპოვე მამაჩემის სურათი, რომელიც გადაღებულია თხილამურებით სლალომში გამარჯვებულებთან. ამ შეჯიბრში მამაჩემმა 15 კმ-იან მანძილზე წარმატებით ჩააბარა ნორმატივი და მესამე თანრიგი მიენიჭა. ამ სპორტული მიღწევით ის დღემდე ამაყობს.

ქარხანაში მუშაობისას თითოეულ ჯარისკაცს აძლევდნენ ცალონს, სადაც თითო სამუშაო დღეზე 80 კაპიკი ირიცხებოდა. ამ ცალონით სამხედროს ქარხნის მალაზიაში შეეძლო ეყიდა მისთვის სასურველი პროდუქტი: არაუანი, კოტლეტი, პელმენი და ა.შ. ქარხნის გარდა თითო სამუშაო დღეზე სამხედრო ნაწილიც რიცხავდა საბანკო ანგარიშზე 65 კაპიკს, რომელსაც სამსახურის გავლის შემდეგ ჯარისკაცი მთლიანად იღებდა. მამაჩემს მაშინ 1500 მანეთი ჩაერიცხა ბანკში, რაც დიდი თანხა იყო იმ დროსთვის. მაგალითად, ავტომანქანა „ჟიგული“ იმ დროს 4500 მანეთი ღირდა. ცალკე გასართობი თემა იყო დასაღვევი. ქალაქში წასულ ჯარისკაცებს სასმელის შესაძენად ფულს ატანდნენ, როცა ისინი დავალებით, წერილების გასაგზავნად ან „самоволка“-ში მიდიოდნენ. ნაწილში შემოსატანად არაყს ბუშლაგში მალავდნენ. ქალაქის მალაზიაში იყიდებოდა ვერმუტი, პორტვინი და არაყი. ჯარისკაცებში ყველაზე დიდი მოთხოვნით არაყი „Столичная“ სარგებლობდა, რომელიც 2,5 მანეთი ღირდა. პორტვინის ნაკლებად ყიდულობდნენ, ვინაიდან მისი სუნი 10 მეტრზე ვრცელდებოდა და თუ ნაწილში შეამჩნევდნენ, რომ ნასვამი ხარ, 3 დღე-ღამე ჰაუშთავსტა გელოდა. სვამდნენ ჩუმად „კოტელნაიაში“, ოთახში, სადაც ჯარისკაცები ტანსაცმელს აშრობდნენ. სვამდენ იმ დონეზე, რომ დილით არ ყოფილიყო შესამჩნევი. დილით მოწყობაზე კაპიტანი სპეციალურად ნელა შემოივლიდა მთელ რიგს და ცდილობდა, ალკოჰოლის სუნით დაეჭირა ვინმე. ვისაც წინა დღეს დაღეული ჰქონდა, სუნთქვას შეიკრავდა, მაშინ კაპიტანი იქამდე იდგა იმ ჯარისკაცთან, სანამ იგი ამოისუნთქავდა. ხოლო როცა სამხე-

დროებს ფული არ ჰქონდათ, რუსები ყველაფერზე მიდიოდნენ, „трыйной одеколон“-ში წყალს უმატებდნენ და სვამდნენ.

წელიწადში ერთხელ მშობლებისგან ამანათი მოდიოდა. მშობლები აგზავნიდნენ მოცვის მურაბას, მანდარინს, კომპოტს – იმას, რაც ჯარისკაცებს ყაზარმაში აკლდათ. თუ რამე დარღვევა არ ჰქონდა, ჯარისკაცებს მშობლების ნახვის უფლებასაც აძლევდნენ 1 კვირით მეზობელ ჩელიაბინსკში, სასტუმროში.

ყველაზე ტკბილი მოგონებები კი მაინც რომანტიკულ თავგადასავლებს უკავშირდება. ქალაქის სხვადასხვა საწარმოებში სამუშაოდ რუსეთის რეგიონებიდან ჩამოდიოდნენ ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ. ქალთა კოლექტივში მამაკაცების ნაკლებობას განიცდიდნენ. ადგილობრივი მამაკაცები მაღალი რადიაციის გამო ჯანმრთელობით არ გამოირჩეოდნენ, ამიტომ მათი ყურადღების არეალში ადვილად ექცეოდნენ ჩამოსული, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ჯარისკაცები. კვირაში ერთხელ ჯარისკაცებს 1 დღით 9-დან 18:00-მდე ქალაქში უშვებდნენ. სამხედროებს ნაწილში საცელეფონო ცნობარი ჰქონდათ, ბრმად იღებდნენ ცელეფონის ნომერს. თუ გაუმართლდებდათ და ყურმილში ქალის ხმას გაიგებდნენ, მის „დაკერვას“ ცდილობდნენ და პაემანს უნიშნავდნენ ქალაქში. არსებობდა გოგონების გაცნობის კიდე ერთი ხერხი. თუ სამხედრო მუნდირში გამოწყობილი გახვიდოდი ქალაქში სასეირნოდ და გამვლელ გოგონას თვალს ჩაუკრავდი ან გასაუბრებოდი, უკვე საკმარისი იყო ურთიერთობის დასამყარებლად. სამხედროს პროფესია იმდენად პრესტიჟული იყო მაშინ საბჭოთა კავშირში, რომ ამ პროფესიის ადამიანები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ქალებში. თუ ჩვენი ჯარისკაცი მორიდებული აღმოჩნდებოდა, რუსი მანდილოსნები იმდენად თამამები იყვნენ, რომ თვითონ ჩაუკრავდნენ თვალს ჯარისკაცებს და იწყებდნენ ფლირტობას. გაცნობის შემდეგ სახლში ეპატიუებოდნენ და ერთობოდნენ. ეს სასიყვარულო რომანი ამ ქალაქში ყოფნის განმავლობაში გრძელდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ჯარის დასრულების შემდეგ რომანი ოჯახის შექმნით მთავრდებოდა. ჯარის მერე ბევრი ჯარისკაცი სამუდამოდ რჩებოდა ქალაქში დაოჯახების გამო, მიუხედავად რადიაციისა. მამაჩემიც არ იყო გამონაკლისი და ამ ქალაქში მას პირველი სიყვარული ეწვია. მამაჩემს ყოველთვის ესმოდა 37 მანეთის ამბები, ლეგენდები სლავი ქალების შესახებ და მათთან პირველი შეხების შემდეგ მიხვდა, რომ ეს ხმები სულაც არ იყო გადაჭარბებული. ქართველ მამაკაცებს ყოველთვის იზიდავდა ქერა, ცისფერთვალება რუსი მანდილოსნები, ვინაიდან გარშემო მხოლოდ შავკრემან, თათლისფერთვალე-

ბა ქართველ გოგონებს ხედავდნენ. მაგრამ განსხვავებული გარეგნობის გარდა, მათი მთავარი უპირატესობა ის იყო, რომ ადვილად შეიძლებოდა მათი გაცნობა, ურთიერთობაში იყვნენ უშუალოები, უკომპლექსოები და მეტად ალერსიანები. თან კიდევ დალევაც უყვარდათ. როგორც სლავი ქალები სარგებლობდნენ პოპულარობით ქართველ მამაკაცებში, ასევე, ქართველი მამაკაცებიც ძალიან პოპულარულები იყვნენ რუს ქალებში, როგორც ქალური სილამაზის ნამდვილი დამფასებლები და გალანტური ჯენტლმენები. მძიმე, ერთფეროვანი და რთული სამუშაო კვირის შემდეგ, თან როდესაც გარშემო მხოლოდ მამაკაცებია, ქალაქში გასვლა და მანდილოსანთა საზოგადოებაში დროის გატარება აუცილებელი განცვიროთვა და სრული ნეტარება იყო. რომ არა სასმელი და რომანტიკული ურთიერთობები, ძნელი იქნებოდა ყოველდღიური სირთულეების გადალახვა. დასვენების დღის მოლოდინი და შეყვარებულთან შეხვედრის იმედი მოცივაციას მატებდა ჯარისკაცებს ყველაფრის მოსათმენად. მეორე ფაქტორი, რომელიც საშხედრო ყოფას ამსუბუქებდა, იყო ჯარისკაცული მეგობრობა. მაგალითად, მამაჩემს ჰყავდა სომეხი მეგობარი. როდესაც დიმა ფანგანი პირველ შეყვარებულს დაშორდა, მან არ იცოდა ამის შესახებ და ამიტომ, როდესაც მამაჩემის ყოფილი შეყვარებული მან სხვა კაველერთან დაინახა პიკანტურ მდგომარეობაში, ის მეორე მაგრად ცემა.

დასკვნის სახით, ყველაფერი რომ შევაჯამოთ და ჩვენს კითხვას დავუბრუნდეთ – კარგი იყო თუ ცუდი საბჭოთა ჯარში სამსახური – ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. პირველი ნი თვე მამაჩემს ჯოჯოხეთად ახსენდება. იგი ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც მოუმზადებელი აღმონდა ჯარისთვის.

მიუჩვეველი იყო მეთაურობის მხრიდან ხმამაღლა და დამამცირებელ საუბარს, წვრილმანი მიზეზების გამო დასჯას, უსამართლობას ძველი ჯარისკაცების მხრიდან, საჭმლის ნაკლებობას, დილით ადრე ადგომას და ადრე საღამოს დაძინებას. უწევდა ჩერნობილის მაგვარ ადგილას სამსახური, სადაც ერთი პატარა შეცდომა და საბოლოოდ, უკეთეს შემთხვევაში, ინვალდი გახდებოდი. მაგრამ ყველაზე რთული მაინც იმის გააზრება იყო, რომ შენი სიცხოცხლე და ჯანმრთელობა შენს გარდა არავის ადარდებს. თუმცა დღესაც რომ ჰკითხოთ დიმა ფანგანს, რომ შეგეძლოს განვლილი ცხოვრების წლების შეცვლა, რას შეცვლიდიო, მისი პასუხი იქნება – არაფერს! მას, გაუსაძლისი ყოფის მიუხედავად, მიაჩნია, რომ საბჭოთა ჯარში გატარებული წლები სრულადაც არ იყო დაკარგული და ჩელიაბინსკში გატარებული დრო დღესაც ტკბილად აგონდება. საბჭოთა ჯარი მისთვის ცხოვრების სკოლა აღმონდა. ჯარში მან ისწავლა სირთუ-

ლევების გადალახვა, ურთიერთობა თანატოლებთან, უფროსებთან, რა არის კარგი, რა არის ცუდი, როგორ უნდა იზრუნო საკუთარ თავზე და დამოუკიდებლად ცხოვრება ასწავლა. მიღებულ ნეგატივს პოზიტიური შთაბეჭდილებები აბალანსებდა: ახალი გაცნობილი მეგობრები, მალაზიაში ნაყიდი პროდუქტების გემო, სპორტული ცხოვრება, პირველი სიყვარული, მეორე სიყვარული, მესამე სიყვარული და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს პოზიტივი გამოწვეულია იმით, რომ მამაჩემი მაშინ ახალგაზრდა იყო და ამ ემოციებს პირველად განიცდიდა. ამიტომ ეს, პირველ რიგში, ნოსტალგიაა ახალგაზრდობაზე, თუმცა ჯარში მიღებულმა გამოცდილებამ მამაჩემი უფრო დისციპლინირებული, მიზანდასახული, მოწესრიგებული, პასუხისმგებელიანი გახადა. მისი აზრით, მაშინდელი საბჭოთა ჯარი თავისი დისციპლინითა და მკაცრი რეჟიმით, მართლაც, რომ ნამდვილ მამაკაცებად აყალიბებდა საბჭოთა ახალგაზრდებს. სწორედ ასეთი გაუსაძლისი ყოფა უნდა განიცადო, რომ გახდეს ნამდვილი პიროვნებაო, – ამბობს დიმა ფანგანი.

ბიბლიოგრაფია

1. ინტერვიუ დემური ფანგანთან
2. ინტერვიუ გოლია ფანგანთან
3. ინტერვიუ არშიკო კორძაიასთან
4. <https://uraloved.ru/mesta/ural/zakrytye-goroda-urala> მოძიებულია 15.12.2019წ.
5. <https://gubernia74.ru/articles/society/1092178/> მოძიებულია 25.01.2020წ.

